2018 წელს საქართველოს ეკონომიკამ კვლავ კარგი შედეგი აჩვენა: მთლიანი შიდა პროდუქტი 4,7%-ით გაიზარდა, ინფლაცია კი სტაბილურ დონეზე, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ თარგეთირებულ 3%-ზე დაბლა შენარჩუნდა. ქვეყანამ სტაბილურ პროგრესთან ერთად მის გარეთ მიმდინარე ნეგატიური მოვლენებისა და რეგიონსა და მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული საგარეო შოკებისადმი ელასტიკურობა გამოიჩინა. თურქეთმა 2018 წელს სერიოზული ეკონომიკური შოკი განიცადა, რამაც შეამცირა მომხმარებლის და მიზნესის ნდობა. რუსეთი კი კიდევ უფრო გამკაცრებული ეკონომიკური სანქციების წინაშე დადგა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა „Fitch” და “Moody's” საქართველოს საკრედიტო რეიტინგი გააუმჯობესეს, რაშიც ეკონომიკის მთავარი მაჩვენებლების პოზიტიური დინამიკა აისახა. საგარეო ფაქტორები თანდათან სტაბილურდება, რაც წყაროების დივერსიფიკაციას და მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის პოზიტიურ ზეგავლენას ასახავს, პრუდენციულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად. მძლავრი ეკონომიკური ზრდის, სტაბილური ინფლაციის და საგარეო შემოსავლების ძლიერი შემოდინებების ფონზე, სებ-მა შეძლო რეზერვების მობილიზება.

საშუალოვადიანი პერსპექტივა პოზიტიურია, მომავალი ორი წლისთვის 5%-ია ნავარაუდევი. ზრდის მთავარი მამოძრავებლები კერძო ინვესტიციები და წმინდა ექსპორტის სტაბილური ზრდა იქნება, ასევე კაპიტალის დანახარჯებით გაზრდილი ფისკალური სტიმული, ინფრასტრუქტურული პროექტები, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი შეთანხმებები და მსხვილი პროექტები სატრანსპორტო სექტორში, მთავრობის მიერ ინიცირებულ რეფორმებთან ერთად.

გვახსოვს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის და ტურიზმის განვითარება კერძო სექტორის ზრდის მთავარი მამოძრავებელია. შესაბამისად, ეს სფეროები საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების სიის სათავეშია, რადგან კონკურენტული სამუშაო ადგილების გაჩენას უწყობს ხელს. ბაზისბანკი ტრადიციულად ემსახურება მცირე და საშუალო ბიზნესს, რითაც ხელს უწყობს ქართული ოჯახური მეურნეობების განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას. ამ მხრივ გასული წელი გამონაკლისი არ ყოფილა. ჩვენ განვაგრძეთ მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტის განვითარების მხარდაჭერა და გავზარდეთ კონცენტრაცია მთავარ სტრატეგიულ სექტორებზე. ბიზნესსესხებში აქტიური როლი ჰქონდა ტურიზმის და სასტუმროების სექტორს, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, ენერგეტიკას, წარმოების და მომსახურების სექტორებს.

ენერგიის დაზოგვის ღირებულების გაზრდის და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ევროსტანდარტების და ღონისძიებების დანერგვის მიზნით, ვთანამშრომლობდით ჩვენს დიდი ხნის პარტნიორ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან (EBRD). შევიძინეთ ახალი პარტნიორები: FIN, ResponsAbility.

განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი, რითაც მცირე და საშუალო საწარმოებს დავეხმარეთ ენერგოეფექტურობის და ევროსტანდარტების დანერგვაში, შევთავაზეთ ხელსაყრელი პირობები, ხელმისაწვდომი დაფინანსება შეღავათიანი პირობებით, საინვესტიციო წახალისება და სპეციალური საკრედიტო სქემები EBRD-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის დაჩქარების და ეროვნულ ვალუტაში საკრედიტო რესურსებზე წვდომის გაზრდის მიზნით, ბანკმა პარტნიორობა დაამყარა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან და საკრედიტო რესურსი ეროვნულ ვალუტაშიც ხელმისაწვდომი გახადა.

ვაცნობიერებდით რა ჩვენს განსაკუთრებულ მისიას ჩინურ და ქართულ ბიზნესს შორის მედიატორობის საქმეში, ასევე მზარდი ჩინური ინვესტიციების და ვაჭრობის მნიშვნელობას, ჩვენ განვაგრძეთ ჩვენს ძირითად საქმიანობაში ინოვაციების განხორციელება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. ბაზისბანკი მზადაა, ეფექტიანად მოემსახუროს ჩინელ მომხმარებელს. ჩვენი ცოდნის მობილიზაცია ამ მიმართულებით მოვახდინეთ: როგორ გავაკეთოთ ბიზნესი ამ რეგიონში და როგორ შევქმნათ აზიისთვის სპეციფიკური პროდუქტები ჩვენი კლიენტების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

როცა ბაზისბანკის წარმატების ისტორიაზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ჩვენი მთავარი აქციონერის, უმსხვილესი ჩინური კონგლომერატის, ჰუალინგ ჯგუფის მხარდაჭერით ვსარგებლობთ.
ჰუალინგის ოპერაციები და საქართველოსადმი გაწეული მხარდაჭერა ჯგუფის ცალკე წარმატების ისტორიაა. ჰუალინგ ჯგუფი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ჯგუფს მნიშვნელოვანი პროექტები აქვს

განხორციელებული და აგრძელებს ინვესტირებას საქართველოს ეკონომიკის მრავალ სექტორში. ამ ეტაპზე, ჰუალინგ ჯგუფის მთლიანი ინვესტირებული კაპიტალი 550 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს.

გასულ წელს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ - გაზისბანკის ჯგუფის ბიზნესი გავაფართოვეთ და ლიზინგის და დაზღვევის მიმართულებები შემოვუერთეთ, რითაც ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრი მოვიცავით. 2018 წელს ოპერირება დაიწყეს გაზისბანკის ჰოლდინგის ახალმა შვილობილმა კომპანიებმა: „ჰუალინგ დაზღვევამ“ და „BHL ლიზინგმა“. ჩვენი შემდეგი საშუალოვადიანი ამოცანაა, გავხდეთ ფინანსური სერვისების ცენტრი, რომელიც მომხმარებელს ხარისხიანი ფინანსური სერვისების სრული სპექტრით - საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო მომსახურებით უზრუნველყოფს. სერვისების მიღება მარტივად, პასუხისმგებლიანად და მოქნილად, ერთი ფანჯრის პრინციპით იქნება შესაძლებელი. ბანკი განაგრძობს გაფართოებას, პროდუქტების და მომსახურების დისტანციურად მიწოდებას, კლიენტებისთვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველყოფის და მათი დროის დაზოგვის მიზნით.

განსაკუთრებით ვამაყობ 25 წლის იუბილეს აღნიშვნით ჩვენს ერთგულ კოლეგებთან ერთად. ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ბიზნესის ზრდის მიმართულებით და გონივრული და ორგანული ზრდის მეშვეობით ლიდერი ბანკის პოზიცია დავიკავეთ. ბანკი აქამდე იმ ძლიერ საფუძველზე დაყრდნობით მოვიდა, რომელიც მისმა დამფუძნებლებმა ჩაყარეს, მისი თანამშრომლების ერთგულების და თავდადების კულტურასთან და აქციონერის მუდმივ მხარდაჭერასთან ერთად. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ჩვენს შესანიშნავ თანამშრომლებს ერთგულებისა და ბრწყინვალე მუშაობისთვის. განსაკუთრებით მიხარია ძველი სახეების, ჩვენი გუნდის ერთგული წევრების ნახვა, რომელთაც ბანკში 10, 15, 25 წელი იმუშავეს.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი ჯგუფი გაამართლებს ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინს: კლიენტებისთვის კვლავ გრძელვადიანი პარტნიორი იქნება, თანამშრომლებისთვის - სამართლიანი და მზრუნველი დამსაქმებელი, საზოგადოებისთვის - კარგი და გულშემატკივარი წევრი, ხოლო აქციონერებისთვის - პროდუქტიული ინსტიტუტი.

ბედნიერი ვარ, რომ უკვე 15 წელია, გაზისბანკში ვმუშაობ და მჯერა, რომ ჩვენი აქტივებით შევძლებთ ჩვენი სამომავლო ამბიციური გეგმების შესრულებას.

სტრატეგია და ისტორია

- სტრატეგია
- ისტორია
- ჯგუფის სტრუქტურა





სტრატეგია

25-წლიანი ისტორიის მქონე ბაზისბანკმა განვითარების დინამიკური და ინტენსიური გზა განვლო და საქართველოს საფინანსო ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი, სტაბილური ფინანსური ინსტიტუტის სახელი დაიმკვიდრა. ბანკი არაერთი მიზნესის, სახელმწიფო დაწესებულების, ფინანსური ინსტიტუტის და კერძო პირის ნდობით სარგებლობს და მათი ძლიერი პარტნიორია. ჩვენი შესანიშნავი კლიენტების რეალურ ეკონომიკურ მოთხოვნებს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების და პროდუქტების: დაფინანსების, დეპოზიტების, ტრანზაქციების, დისტანციური არხების მიწოდებით ვაკმაყოფილებთ. ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ ინოვაციებს და ბაზრის განვითარების ტენდენციებს და მოთხოვნას.

25-წლიანი წარმატებული მუშაობის, გაფართოებისა და სტაბილური ზრდის შემდეგ, ბაზისბანკი განაგრძობს მისი სტრატეგიისკენ - იყოს საბანკო ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი საბანკო ინსტიტუტი - მყარი ნაბიჯებით სვლას. ბაზისბანკი ეფექტიანად იყენებს მის რესურსებს ბრენდის გასაძლიერებლად და დაინტერესებული მხარეებისთვის: კლიენტების, თანამშრომლების, პარტნიორების და ფართო საზოგადოებისთვის ერთგულების დასამტკიცებლად. საშუალოვადიან პერსპექტივაში ბაზისბანკი გეგმავს მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების კიდევ უფრო გაფართოებას. პროფესიონალთა გუნდისა და საკრედიტო ტექნოლოგიის წყალობით, ორგანული ზრდით მიღებულ გამოცდილებასთან ერთად, ბაზისბანკი გეგმავს ბაზრის უკეთ ათვისებას და აქტივების მიხედვით ბანკების პირველ ხუთეულში ყოფნას.

ბაზისბანკი ბაზარზე თავის 1,4 მილიარდი ლარის აქტივებით მე-6 ადგილზეა, კორპორაციული და საცალო დაკრედიტებით - მე-5. მას კაპიტალის მყარი ბაზა აქვს. მისი მთავარი აქციონერი ჩინური კონგლომერატი, საქართველოს უმსხვილესი აქციონერი ჰუალინგ ჯგუფია, რომელიც ქართულ ბაზარზე 2006 წლიდანაა წარმოდგენილი.

ჩვენი სტრატეგიული ღონისძიებების მთავარი ამოცანაა, ბანკი ბაზარზე უფრო ძლიერი მოთამაშე გახდეს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის ათვისებით, კარგად იყოს პოზიციონირებული თავის ზრდის მიზნების შესასრულებლად და ქვეყანაში უფრო ფართო ქსელით იყოს წარმოდგენილი, თან კლიენტთა მძლავრი ბაზა და კაპიტალის ჯანსაღი სტრუქტურა უმაგრებდეს ზურგს.

ჩვენი ამოცანა პოზიციონირების გაფართოება და ბრენდის გაძლიერება, ასევე ბანკის მეტი ყურადღების ცენტრში მოქცევაა.

კონკურენტული პოზიციის გაძლიერების და გაზრდის, სრული სპექტრის ფინანსური მომსახურების გაწევის და კლიენტთა უფრო ფართო ბაზის შეძენის მიზნით, ბანკმა 2017 წელს მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური ინდუსტრიის ახალ სექტორებზე გადასვლის, მომსახურების მეტი დივერსიფიკაციის და მიზნესის მეტი მთლიანობის შესახებ და თავის საქმიანობას ორი სტრატეგიული მიზნესმიმართულება: დაზღვევა და ლიზინგი დაუმატა.

გაზისბანკის ჯგუფის (შემდგომში: ჯგუფი) ორი შედარებით ახალი მიმართულება: დაზღვევა და ლიზინგი მომავალ წლებშიც პრიორიტეტული იქნება. ბანკი აქტიურად განაგრძობს ამ სფეროების შემდგომ განვითარებას მიზნობრივ კლიენტებზე პროდუქტების ჯვარედინი გაყიდვის გზით. ასეთი მიდგომა ჯგუფს მძლავრ ფინანსურ ცენტრად აქცევს, რომელსაც სრული სპექტრის ფინანსური მომსახურება ექნება.

ჯგუფმა თავისი ბრენდის იდენტობა სამი პრინციპის ირგვლივ გააერთიანა. ესენია: სისწრაფე, ხარისხი და მოქნილობა. ბანკის ერთგული პროფესიონალები კლიენტებთან ყოველდღიური მუშაობისას ამ კორპორაციული ღირებულებებით ხელმძღვანელობენ.

ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებით ჯგუფი განაგრძობს თავის სტრატეგიულ სეგმენტში - მცირე და საშუალო ბიზნესის, კორპორაციულ და საცალო საბანკო მიმართულებებში - პოზიციების გამყარებას. იგი მეტ ყურადღებას დაუთმობს საცალო საბანკო საქმიანობას არა ფილიალების ქსელის ზრდით, არამედ პროდუქტებისა და მომსახურების დისტანციურად მიწოდებით, ყველაზე მოსახერხებელი გზით. გაზისბანკი დააჩქარებს კლიენტზე ორიენტირებული მოდელის დანერგვას, უფრო ეფექტიანი დაფარვით.

მომსახურების მიწოდების არხების გაუმჯობესება უზრუნველყოფს, რომ კლიენტებს ხარისხიანი პროდუქტები /მომსახურება მრავალარხიანი შეთავაზების სახით მიეწოდება, რასაც თან ახლავს გაფართოებული საკონსულტაციო შესაძლებლობები და მაღალ დონეზე ავტომატიზებული პროცესები.

ჯგუფი სარგებლობს მისი მთავარი აქციონერის მხარდაჭერით და განაგრძობს განსაკუთრებული ინტერესის სფეროს - საქართველოში ჩინური ინვესტიციების - გამოკვლევას. ბანკი სრულ მზადყოფნაშია, ჩინური კომპანიების ბიზნეს-შუამავალი გახდეს და საერთაშორისო ვაჭრობის და სხვა ფინანსური მომსახურება შესთავაზოს, ამისთვის კი ბოლომდე გამოიყენოს მისი უნიკალური ძლიერი მხარეები: ჩინეთთან ახლო ურთიერთობები მთავარი აქციონერის და ჩინური ბანკების მხარდაჭერით.

მთლიანად ჯგუფს საშუალოვადიანი სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად ყველა აუცილებელი რესურსი აქვს. ძლიერი კაპიტალიზაცია, კაპიტალის მკაფიო სტრუქტურა, მთავარი აქციონერის მუდმივი მხარდაჭერა და კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტები მდგრადი გაფართოების საფუძველს ქმნის. ბოლო წლებში ჯგუფმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი და ოპერაციული ეფექტიანობა, დახვეწა ფილიალების ქსელი და კარგად აჩვენა ერთგულება განცხადებული ღირებულებებისადმი, რისკების მართვის დისციპლინირებული ფუნქციებისა და ზოგადად რისკის კულტურისადმი, პრუდენციული შიდა შეფასების და კონტროლის სისტემებისადმი. ბოლო წლებში რეიტინგების გაუმჯობესება დაფიქსირდა, რაც ინვესტორთა ნდობის და საკრედიტო ინსტიტუტების აღიარების მკაფიო დადასტურებაა.

ისტორია

განვლილი

დასაწყისი და ადრეული წლები (1993-2008)

ბაზისბანკმა, როგორც ქართულმა კერძო ბანკმა, 1993 წელს დაიწყო თავისი საქმიანობა. ბანკი მეგობრების ჯგუფმა დააფუძნა, რომლებიც გამოჩენილი ლიდერები იყვნენ, მომავლის მკაფიო ხედვით. დასაწყისიდან მოყოლებული, ბანკს მკაფიო და მარტივი მიზანი აქვს, მისი რესურსები კლიენტების საჭიროებებთან დააკავშიროს და ბანკის გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატებული განვითარებისათვის მყარი საფუძველი მოამზადოს. იმ დროისათვის ბაზისბანკის დამფუძნებელთა ძირითადი პრინციპები იყო: კლიენტზე ორიენტირებული მიდგომისა და ბაზარზე სტაბილური პროგრესის მქონე ნიშური ბანკის შექმნა. ბანკი და მისი საბჭო კლიენტებთან ძლიერი პირადი ურთიერთობების დამყარებაზე მუშაობდა. ეს მოგვიანებით ჩვენს გამორჩეულ თვისებად და მიზნეს კულტურად გადაიქცა, ბანკმა კი საიმედო პარტნიორის აღიარება და სტატუსი მოიპოვა. მალე ბაზისბანკმა კლიენტების ჯგუფი გაზარდა და უფრო მეტი ღირებული კლიენტი შეიძინა, რომელთა დიდი ნაწილიც ბანკთან ერთად გაიზარდა და დღემდე მისი ერთგული დარჩა.

ადრეულ პერიოდში, როცა ბანკს არც უცხოური მფლობელები ჰყავდა და მხოლოდ ჯანსაღი მენეჯმენტი უმაგრებდა ზურგს, ის მხოლოდ თავისი ორგანული ზრდის გზით განვითარდა და გამოცდილი, ზრდაზე ორიენტირებული სტრატეგიული უცხოელი ინვესტორისთვის მიმზიდველი პლატფორმა შექმნა.

ადრეულ წლებში ბანკი სტაბილურად იზრდებოდა. ბაზისბანკთან EBRD-ის სტრატეგიული ალიანსის დროს, ის უკვე სხვა მცირე ბიზნესებს შორის გამორჩეული ცნობილი ინსტიტუტი იყო.



გარდატეხის პერიოდი (2008-2012)
EBRD- სთან სტრატეგიული ალიანსის წლები

EBRD ბაზისბანკის აქციონერი 2008 წელს გახდა. ამ დროს ბანკს უკვე ჰქონდა ფუნქციური ორგანიზაციული სტრუქტურა და კორპორაციული მმართველობის სისტემა, რომელიც მორგებული იყო ბანკის ზომაზე. ბაზისბანკის და EBRD-ის სტრატეგიული პარტნიორობის პერიოდში ბანკმა ძირეული ცვლილებები განიცადა, გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები: ბანკის იმიჯის გაზრდა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტირება და სტრატეგიული ინვესტორის შემოსვლისთვის მიმზიდველი პლატფორმის შექმნა.

ახალ აქციონერთან ერთად, ბაზისბანკმა გააუმჯობესა თავისი ოპერაციები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით. მენეჯმენტისა და თანამშრომლების დაუღალავმა მუშაობამ ბაზისბანკი ეფექტიან, საიმედო ბანკად აქცია და თავის კონკურენტების შორის ძლიერი პოზიცია დაამკვიდრებინა, რამაც ბანკის დღევანდელი რეპუტაციისთვისაც მოამზადა საფუძველი. ბანკი შორს გასცდა თავის პირვანდელ, ადგილობრივი ინსტიტუტის მდგომარეობას. თანამშრომლების, კლიენტების, პარტნიორებისა და აქციონერების ნდობის მოპოვებით, მან განაგრძო შემდგომ ზრდამდე და ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშედ გახდომამდე გონივრული ნაბიჯების გადადგმა.

25 წელი

ახალი ეპოქა ჰუალინგ ჯგუფთან ერთად - დინამიკური ზრდა ახალ მფლობელებთან ერთად

EBRD-ის და ბაზისბანკის სტრატეგიული ალიანსი ბაზისბანკის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ტრანსფორმაციისა და განვითარების პერიოდი იყო. მან ბანკის განვითარების შემდგომი ეტაპის საფუძველი მოამზადა.

2012 წელს ბაზისბანკმა აღმოაჩინა ინვესტორი, რომელმაც გამოხატა ინვესტირების და ბანკის განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის ინტერესი. ჩინეთის სინძიანგ ჰუალინგ ინდუსტრიისა და ვაჭრობის ჯგუფმა (Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co) ანუ ჰუალინგ ჯგუფმა - ჩინეთის კერძო კომპანიამ და საქართველოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინვესტორმა ბაზისბანკის აქციების დიდი წილი შეიძინა. ახალ მფლობელთან და სოლიდური კაპიტალის შემოდინებასთან ერთად, ბანკი ენერგიულად შეუდგა განახლებული სტრატეგიის შესრულებას, რომელიც ამბიციურ ზრდას და ბაზარზე გაფართოებას ითვალისწინებდა. ჩამოყალიბდა განახლებული პრიორიტეტები - ბანკის მძლავრი ზრდა, ბიზნესის დაჩქარებული ტემპით განვითარება და აზიის ბაზართან მჭიდრო ბიზნეს-კავშირების დამყარება.

ახალი სტრატეგიული გეგმის ხუთი წლის განმავლობაში ბანკი ბაზარზე სიდიდით მე -11-დან მე-6 ბანკის პოზიციაზე გადავიდა. ამავდროულად, ბანკმა თანამშრომლობა დაიწყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და გააფართოვა პარტნიორობა მაღალრეიტინგულ გლობალურ, მათ შორის აზიის რეგიონის ინსტიტუტებთან. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ჩინეთის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი (ADB), OFID, ურუმჩის ბანკი, Blue Orchard, Finance-in-Motion, ResponsAbility, EFA Group, Commerzbank, BSTDB ჩვენი ბიზნესის დაფინანსების მიმართულების მთავარი სპონსორები და პარტნიორები არიან. პარტნიორ ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, ბანკმა დაიწყო სპეციალიზირებული შეღავათიანი სესხების გაცემა მწვანე დაკრედიტებისა და ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ფარგლებში, რითაც მცირე და საშუალო ბიზნესს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში შეუწყო ხელი.













ჯგუფის სტრუქტურა

ცოტა ხნის წინ გაზისბანკი კორპორაციული განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა: იყოს მძლავრი ფინანსური ჯგუფი, რომელიც სრული სპექტრის ფინანსური მომსახურების - საბანკო, დაზღვევის და ლიზინგის შესაძლებლობებს აერთიანებს. სამივე ფრთის კოორდინირებული მუშაობა ჯგუფს რესურსების სინერგიის, დროის დაზოგვის და საქართველოს ბაზარზე პროდუქტებზე უკეთესი წვდომის უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს.
ამჟამად გაზისბანკის ქოლგის ქვეშ სამი შვილობილი კომპანია ერთიანდება: ჰუალინგ დაზღვევა, BHL ლიზინგი და BAMH აქტივების მართვის ჰოლდინგ-კომპანია.

ჰუალინგ დაზღვევა

გაზისბანკის შვილობილი კომპანია - ჰუალინგ დაზღვევა 2017 წელს დაარსდა, საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ლიდერებს შორის ადგილის დამკვიდრების მისიით.

ჰუალინგ დაზღვევა კლიენტებს დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტს სთავაზობს, გარდა სიცოცხლის დაზღვევისა: ქონების, ქირის, ავტო, სამოგზაურო, კორპორაციულ პაკეტებს. ეს პროდუქტების არასრული სიაა. სადაზღვევო ბაზრის ახალი მოთამაშე მიზნად ისახავს მარტივი, ადვილად ხელმისაწვდომი და ინოვაციური სადაზღვევო მომსახურების მიწოდებას. უსაფრთხოება, განათლება და გაძლიერება კომპანიის პრიორიტეტებია. სარგებლობს რა გაზისბანკის ჯვარედინი გაყიდვის მძლავრი ქსელით, ჰუალინგ დაზღვევა ძლიერ აქციონერებს, მძლავრ პარტნიორ ბანკს და ადექვატურ კაპიტალიზაციას ემყარება. ის სწრაფად იყენებს შესაძლებლობას, გაზარდოს საკუთარი ბაზრის წილი. საყოველთაოდ აღიარებულ Bancassurance (BIM) მოდელზე დაყრდნობით, კომპანია ეფექტიანად იყენებს პარტნიორი ბანკის რესურსებს და კლიენტებს ბანკის ფილიალების ქსელის მეშვეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით აწვდის სწრაფ და მოქნილ სადაზღვევო პროდუქტებს. ჰუალინგ დაზღვევის კორპორაციული ღირებულებებია:

- სამართლიანობა
- სიმარტივე
- ინოვაცია
- გამჭვირვალობა

ჰუალინგ დაზღვევა კლიენტებს ეხმარება გაიგონ და თავი დაიცვან რისკებისგან. კლიენტებზე ორიენტირებულობა კომპანიის კულტურის საფუძველია, რომლის ცენტრშიც მწარმოებლური სულისკვეთებაა. მისი გუნდის წევრები ძალისხმევას არ იშურებენ საუკეთესო გადაწყვეტების და მომსახურების გაწევისთვის. ახალმა ტექნოლოგიებმა ბაზარზე კონკურენცია გაზარდა. „ჰუალინგ დაზღვევას“ სჯერა ციფრულ დისტრიბუციაზე მზარდი მოთხოვნის, რადგან ეს ის არხია, რომელმაც ინდუსტრიის ტრანსფორმაცია უნდა იტვირთოს. და მაინც, მიწოდების არხის მიუხედავად, კომპანიის ძალისხმევა კლიენტებისთვის საუკეთესო მომსახურების მიწოდებაზეა ორიენტირებული.

კლიენტის კმაყოფილება და ერთგულება გაყიდვებისადმი პასუხისმგებლიანი მიდგომით მიიღწევა.

ჰუალინგ დაზღვევის სერვისებით სარგებლობა კლიენტებს ყველა იმ ქალაქსა და რეგიონში შეუძლიათ, სადაც ბაზისბანკის ფილიალები მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ბაზრის შედარებით ახალი მოთამაშეა, 2018 წელს მან მაინც მოახერხა ცნობადობის და კლიენტთა ნდობის მოპოვება და წელი 11 მილიონი ლარის მთლიანი აქტივებით და 1,4 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა.

BHL ლიზინგი

BHL ლიზინგი 2018 წლის ბოლოს დაარსდა, ბანკის სტრატეგიის თანახმად, რომელიც კლიენტებისთვის სრული ფინანსური მომსახურების გაწევას გულისხმობდა.

კომპანია BHL ლიზინგის დაარსების მთავარი მიზანი ჩინურ კომპანიებსა და ქართველ მომხმარებელს შორის მედიატორობა და ქართველი კლიენტებისთვის ჩინური ფინანსური ლიზინგის პროდუქტებით სარგებლობის ფართო შესაძლებლობების მიცემა იყო. BHL ლიზინგი ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესკლიენტებს ემსახურება და მათ მარტივი და იოლად გასაგები ლიზინგის პროდუქტებით უზრუნველყოფს, ჯგუფის წევრი კომპანიების საბანკო და სადაზღვევო პროდუქტებთან ერთად.

სალიზინგო კომპანიის ჩამოყალიბების საჭიროება საქართველოს ეკონომიკის რეალობამ განაპირობა, რასაც წინ უძღოდა ეკონომიკური ზრდა, რომელმაც მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების მხრიდან კაპიტალურ საქონელზე მოთხოვნა გააჩინა. ამ საწარმოებს გაზრდა სურდათ, მაგრამ არ ჰქონდათ კაპიტალურ საქონელში ინვესტირებისთვის საკმარისი სახსრები.

ლიზინგის პროდუქტებით სხვადასხვა ტიპის კლიენტები სარგებლობენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ბაზრის უმეტესი წილი კორპორაციულ კლიენტებს უჭირავთ. ლიზინგით ძირითადად ეს სფეროები სარგებლობენ: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, წარმოება, სასარგებლო წიაღისეულის რესურსები, ვაჭრობა, სამედიცინო დანადგარები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. BHL ლიზინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინური და ქართული ბაზრების ერთმანეთთან დაახლოებაში და ქართულ კომპანიებს გაფართოების და ბიზნესის განვითარების ახალ შესაძლებლობებს უქმნის.

მთავარი აქციონერი - ჰუალინგ ჯგუფი

საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი, სინძიანგის ჰუალინგის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფი (ჰუალინგ ჯგუფი) კერძო საწარმოთა ჯგუფია, რომელიც ფართოდ დივერსიფიცირებულ საქმიანობას ეწევა, მათ შორისაა კომერციული უძრავი ქონების განვითარება, ბაზრის გაქირავება და მენეჯმენტი, საგარეო ვაჭრობა, ლოჯისტიკა, მშენებლობა, ტურიზმი და ფინანსური ინდუსტრია. ჯგუფი 1988 წელს დაარსდა და თავისი ჯანსაღი ბიზნესმოდელი ბაზარზე ორიენტირებულ განვითარებაზე დააფუძნა, განავითარა ბიზნესის არხები და მომსახურების მაღალი ხარისხი უზრუნველყო. მისი დივერსიფიცირებული ბიზნესი ერთ ჯგუფში გაერთიანებულ 30 შვილობილ კომპანიას მოიცავს, სადაც 5000-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს. 2018 წლის ბოლოს ჯგუფის განცხადებული კაპიტალი 30 მილიონ აშშ დოლარს უდრიდა, წმინდა ღირებულება კი 1,4 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

თავდაპირველად კომპანია ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სინძიანგის პროვინციის პატარა საბღვრისპირა ქალაქ ურუმჩის მცირე ბიზნესს წარმოადგენდა, რომელიც ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარის სამშენებლო მასალების მთავარ მიმწოდებლად გადაიქცა და თანდათან გაიმყარა საქონლის საბითუმო ბაზრების მფლობელის და დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში საქონლის ექსპორტიორის პოზიცია. ბაზრის დივერსიფიკაციის ამბიციური სტრატეგიის თანახმად, ჯგუფმა რეგიონსა და მეზობელ ქვეყნებში სულ უფრო მეტად გაამყარა თავის პოზიციები და კიდევ უფრო, აღმოსავლეთ ევროპისკენ გაფართოვდა.

ჰუალინგ ჯგუფი დიდი ოდენობით რესურსების ინვესტირებას ახდენს სიღარიბის დაძლევის და საზოგადოების კეთილდღეობის პროექტებში. ჯგუფი ზრუნავს ათასობით ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე, აშენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აფინანსებს გრძელვადიან საქველმოქმედო ინიციატივებს. ჰუალინგ ჯგუფის დამფუძნებელი და მფლობელია ცნობილი ჩინელი ბიზნესმენი და ფილანთროპი, მი ენხვა. მას ბიზნეს-სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ბიზნესმენს ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილისა და საქველმოქმედო საქმიანობისთვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული.

HUALING GROUP

ჰუალინგ ჯგუფი საქართველოში

ჯგუფს საქართველოს ეკონომიკაში სულ 550 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს ჩადებული.

2012 წლის შემდეგ, ჯგუფი გაზისბანკის 90%-ზე მეტი წილის მფლობელია, რითაც მხარს უჭერს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი ბიზნესურთიერთობების გაფართოებას.

საქართველოში ჰუალინგ ჯგუფის ინვესტიციებია:
ჰუალინგის თბლისის ზღვის პლაზა, თბილისის ზღვის რეზიდენცია, ქუთაისის და თბილისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ჰუალინგის სასტუმროები თბილისსა და ქუთაისში, ჰუალინგის ფონდის სასატუმრო, ჰუალინგის ხეტყის განვითარება, თბილისის ზღვის ახალი ქალაქი და ავიაკომპანია MyWay. ეს ინვესტიციები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო ცენტრს, საოფისე ფართებს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს, საცხოვრებელ შენობებს, სასაწყობე ფართს და ა.შ. დიდი წინდადადგმული ნაბიჯია აზიის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ვაჭრობის, ინვესტიციების და ტურიზმის შემდგომი განვითარების საქმეში.

ჰუალინგ ჯგუფის სამომავლო ხედვაა, ისარგებლოს აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში არსებული დაფარვით, განვითარდეს „აბრეშუმის გზის“ პროექტის ინიციატივის კვალდაკვალ და გააცოცხლოს საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის ვაჭრობის ცენტრის ისტორიული როლი. ეს კი ჰუალინგის ბაზრებს ამ ორი რეგიონის დამაკავშირებელ ხიდად აქცევს.

ეკონომიკური გარემო და ბაზრის მიმოხილვა


- ეკონომიკური გარემო და ბაზრის მიმოხილვა
- საბანკო სექტორის განვითარება






ეკონომიკური გარემო და ბაზრის მიმოხილვა

საქართველო - რეგიონის ძლიერი მოთამაშე. 2018 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 4,7%[2] შეადგინა. საქართველოს ბოლო 5 წლის შედეგი სტაბილური და რეგიონის ქვეყნებზე უკეთესი იყო. წლის საშუალო ზრდამ 4%-ს მიაღწია. რეგიონის ძლიერი მოთამაშე მშპ-ის ზრდის პოზიტიური პერსპექტივით



რეგიონის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული დაღმავალი ტენდენციების მიუხედავად, საქართველომ გარე შოკებისადმი ელასტიკურობა შეინარჩუნა და მასტაბილიზებელი მაკროეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებით, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული დაფინანსების პროგრამა უჭერდა მხარს, მდგრადი ზრდა აჩვენა. სტრატეგიას ასევე ამყარებდა მთავრობის მიერ აღებული ვალდებულება, ემუშავა იმ საკითხებზე, რომლებიც მდგრადი ზრდისთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა. ესენია: ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა, გარე მგრძნობელობის ზეგავლენის შესუსტება, საგარეო შოკებისადმი მდგრადობის გაძლიერება, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დაცვა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და ზრდის მეტი ინკლუზიურობა.

ეკონომიკაში ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენები და სტრუქტურული რეფორმები პოზიტიურად შეაფასეს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა. სააგენტომ Moody's საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი 2017 წლის სექტემბერში Ba2-დან Ba3-მდე გააუმჯობესა, სტაბილური პერსპექტივით. სააგენტომ Fitch 2019 წლის თებერვალში საქართველოს გრძელვადიანი საერთაშორისო რეიტინგი „BB“-დან „BB-„ -მდე

[2]საქსტატის წინასწარი შეფასება

გააუმჯობესა, სტაბილური პერსპექტივით. სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების მთავარი მიზეზები იყო რეგიონის ქვეყნებს შორის 2014-2016 წლებში საქართველოს მდგრადობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ფინანსური და გაცვლითი კურსის შოკებისადმი, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ინსტიტუციური ძლიერება, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პარამეტრების შესრულება.
საქართველოს მიმდინარე სტრუქტურული რეფორმები კვლავ ხელს უწყობს შიდა და უცხოური ინვესტიციების ზრდას. მსოფლიო ბანკის ანგარიშის „ბიზნესის კეთება 2019“ მიხედვით, საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-9-დან მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა, მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით მე-16 ადგილზე დარჩა, ევროპის რეგიონში კი 44 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზე[3].

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები, საქართველო	
სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგი:	S&P: BB- /სტაბილური/ Moody's: Ba3 /სტაბილური/ Fitch: BB /სტაბილური/
ბიზნესის კეთების სიმარტივე	# 6
ბიზნესის დაწყების სიმარტივის ინდექსი	# 2
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	# 16
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი	# 66
საკუთრების რეგისტრაციის სიმარტივის ინდექსი	# 4

საქართველო დგას რეგიონისა და და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში მოსალოდნელ არახელსაყრელ მოვლენებთან დაკავშირებული გარე რისკების წინაშე. მასზე ასევე მოქმედებს ევროგაერთიანების ქვეყნებში არსებული გლობალური ტენდენციები, ნავთობსა და საკვებზე საერთაშორისო ფასები, აშშ დოლარის ტენდენციები და ა.შ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინასწარი შეფასებით[4], 2018 წლის გლობალური ეკონომიკური ზრდა ზომიერი, წლიური 3,7% იქნება, ზოგიერთი ქვეყნის, განსაკუთრებით ევროპის და აზიის ქვეყნების ეკონომიკის სუსტი შედეგების გამო. გლობალური ეკონომიკის ზრდა წლიურად 3,5% იქნება, 2019 და 2020 წლებში კი წლიური 3,6%.

[3]საერთაშორისო სავალუტო ფონდი: მსოფლიოს ეკონომიკის განახლებული პერსპექტივა, 2019 წლის იანვარი

[4]საერთაშორისო სავალუტო ფონდი: მსოფლიოს ეკონომიკის განახლებული პერსპექტივა, 2019 წლის იანვარი

ზრდის პროგნოზზე ნეგატიურად იმოქმედა აშშ-სა და ჩინეთში ამოქმედებულმა გამკაცრებულმა სავაჭრო ბარიერებმა (გაზრდილმა ტარიფებმა). ევროს მოქმედების ზონაში ზრდა ზომიერი, 2018 წლის წლიური 1,8% მაჩვენებლიდან 2019 წელს 1,6%-მდე შემცირდება, 2020 წელს კი წლიური 1,7% გახდება.

საქართველო მასშტაბური და ქრონიკული საგარეო შოკების წინაშე დგას. ნავთობსა და საქონელზე შემცირებულმა ფასებმა რეგიონში ზრდის შენელება გამოიწვია. აშშ დოლარის მყარმა პოზიციამ და პარტნიორ ქვეყნებში ვალუტის კურსის დაცემამ საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მოახდინა ზეწოლა: თურქეთში ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი და თურქული ლირის დაახლოებით 30%-იანი გაუფასურება დაფიქსირდა. ეკონომიკა შემცირდა, 2019 წლის პროგნოზით კი ზრდა წლიური 1,6% იქნება, წლიური ინფლაცია კი 15-16%. რეგიონის კიდევ ერთი მოთამაშე - რუსეთი, გამკაცრებული ეკონომიკური სანქციების, ნავთობზე ფასების დაცემის და ცუდი შედეგების გამო ზეწოლის ქვეშ იყო. ქვეყანამ მაინც შეძლო, სტაბილური ზრდა და ინფლაცია ეჩვენებინა. 2019 წლის პროგნოზით, ეკონომიკური ზრდა 1,6% იქნება. დსთ-ის ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობა პროგნოზით 2019-202 წლებში წლიური 2,2%-ით გაიზრდება.

ეროვნული სტატისტიკის თანახმად, წლიური ეკონომიკური ზრდა წინასწარი შეფასებით 2018 წელს 4,7%-ია, საშუალოვადიანი პროგნოზი კი პოზიტიური 5%-ია. ზრდის მთავარი მამოძრავებლები, გაუმჯობესებულ შიდა მოთხოვნასთან ერთად, იყო საერთაშორისო ვაჭრობა, გზავნილები და ტურიზმის შემოდინებები აგრეგირებულად, რაც საქართველოს საგარეო დაფინანსების მთავარი წყაროებია.

საგარეო რყევები თანდათან მცირდება. საგარეო შემოდინებები გზავნილების სახით სტაბილურ ზრდას განაგრძობს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები კვლავ საგარეო დაფინანსების მთავარი წყაროა (2018 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ეს მონაცემი წლიური 20,5%-ით გაიზარდა და 2,57 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.)

ზემოხსენებულ მოვლენებს პოზიტიური ზეგავლენა ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე, რაც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. 2018 წლის 9 თვის მდგომარეობით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 6,5% შეადგინა, 2017 წლის ბოლოს კი ეს მაჩვენებელი 8,8%-ის დონეზე იყო. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აღრმავებს გარე შოკების მიმართ ეკონომიკის დაუცველობას და გაცვლით კურსზე ზეწოლასაც ქმნის. ფინანსთა სამინისტროს ბოლო პროგნოზით, ის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს 2019-2022 წლებში თანდათან შეამცირებს და 6%-ზე დაბლა დატოვებს. საშუალოვადიან პერსპექტივაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება გარე შოკებისადმი ეკონომიკის მდგრადობას გაზრდის და გაცვლითი კურსის მერყეობას წონასწორობის დონეზე დაასტაბილურებს, ეს კი თავის მხრივ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის გაზრებით გამოწვეულ გაურკვევლობას შეამცირებს. გარკვეულობის უფრო მაღალი დონე, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისკენ მიმართულ სამთავრობო ინიციატივებთან ერთად, მომავალ წლებში საქართველოსადმი უცხოელი ინვესტორების ინტერესის ზრდას შეუწყობს ხელს.

ბიზნესისთვის ხელსაყრელი გაუმჯობესებული გარემო კვლავ იწვევს უცხოურ ინვესტორთა მეტ ინტერესს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროდ რჩება. მოსალოდნელია, რომ 2019-2020 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზრდება და საშუალოდ მშპ-ის 8%-ს შეადგენს. მის ზრდას ხელს შეუწყობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი შეთანხმებები, მსხვილი პროექტები ტრანსპორტის სექტორში და ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები. მთავრობა ცდილობს, გაზარდოს სახელმწიფო ინფრასტრუქტურის მასშტაბები და საინვესტიციო პროექტები, რამაც კაპიტალური დანახარჯების ზრდით 2019 წლის ზრდას უნდა დაუჭიროს მხარი. ეს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უფრო ეფექტიან კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა: მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი პორტის

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა. ამ მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას. ეს რეგიონში ლოჯისტიკური სერვისების და ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის. ახალ პორტს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტვირთების მთლიან ბრუნვაზე, რაც ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის შესაძლებლობას შექმნის. პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 2,5 მილიარდი აშშ დოლარია.

- ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზი: პროექტის მიზნია, აზიის და ევროპის შემაერთებელი ალტერნატიული სარკინიგზო მარშრუტის შექმნა. ის გააძლიერებს საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი კონკურენტული მარშრუტის პოზიციას.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრასა - 800 კმ-ზე მეტი სიგრძის საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტრანზიტს. პროექტის ღირებულება 3,5 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული. მშენებლობა 2020 წელს დასრულდება.
- ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება ხელს შეუწყობს ლოჯისტიკურ სერვისებს, რაც გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობას და მხარს დაუჭერს ექსპორტს. პროექტის მხარდამჭერია მსოფლიო ბანკი.

საქართველოს ეკონომიკა სავარაუდოდ სოლიდურ მდგომარეობას შეინარჩუნებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების თანახმად, ეკონომიკური ზრდა მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ 5,1% იქნება, რაც კარგად აჭარბებს ამავე პერიოდში რეგიონისთვის პროგნოზირებულ 3%-ს[5].

რეგიონის ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელზე უკეთესი პროგნოზი უკავშირდება მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც უფრო დიდ, მდგრად და უფრო მეტად ინკლუზიურ ზრდას ასტიმულირებს. ხელისუფლებამ ფინანსური უსაფრთხოების ზრდის და კაპიტალის ბაზრების განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებები გაატარა, შემოიღო საპენსიო რეფორმა, რის შედეგადაც შეიქმნება შიდა დანაზოგები კერძო ინვესტიციების დასაფინანსებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს გარე დაფინანსების საჭიროებებს. ხსენებული რეფორმების გარდა, საქართველოს მთავრობამ შემდეგი სტრუქტურული რეფორმები დაიწყო:

- დეპოზიტების დაზღვევის სისტემა: ის კიდევ უფრო გაზრდის ნდობას საფინანსო სისტემისადმი, შეინარჩუნებს საბანკო სისტემის მდგრად განვითარებას, შეამცირებს დეპოზიტების ერთბაშად გადინების შესაძლებლობას და გაზრდის დანაზოგების ნორმებს, რაც გულისხმობს გასასესხებელ სახსრებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებს და უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას.
- კაპიტალის ბაზრების რეფორმა: დიდი პროგრესი იქნა მიღწეული საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში, რაც გულისხმობს კანონმდებლობის ევროგაერთიანების სტანდარტებთან ჰარმონიზებას. შემუშავდა საგადასახადო რეფორმები, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დაბეგვრას გულისხმობს. კაპიტალზე უკუგება დაბეგვრისგან გათავისუფლდა. ამასთან, წარმოებულების, რეპო და ფასიანი ქაღალდების დაკრედიტების დაბეგვრა გაუმჯობესდება. საპენსიო რეფორმაც კაპიტალის ბაზრების განვითარების გეგმის ნაწილია. საპენსიო ფონდი მსხვილ ინსტიტუციურ ინვესტორად იქცევა, რაც გაზრდის მოთხოვნას კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე.
- მცირე და საშუალო საწარმოების/ინოვაციების განვითარება: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის განვითარებას. ფონდ „Good Governance”-თან და კომპანია PwC-თან ერთად მთავრობამ განახორციელა პროექტი, რომელიც საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდაზეა ორიენტირებული. პროგრამა ასევე გულისხმობს ადგილობრივი და საერთაშორისო მეწარმეების დაკავშირებას.

[5]რეგიონის საშუალო მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: სომხეთს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, რუმინეთს, რუსეთს, თურქეთს და უკრაინას.

საბანკო სექტორის განვითარება

საქართველოს საბანკო სისტემამ, რომელსაც ზურგს მდგრადი ფინანსური და ინსტიტუციური გაზა უმაგრებს, ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და საუკეთესო შედეგების მქონე სექტორია. ბოლო ათწლეულში მან საშუალოდ 19%-იანი ზრდა შეინარჩუნა. 2018 წლის ბოლოს მისმა აქტივებმა მშპ-ის 96% შეადგინა.

საბანკო სექტორი კვლავ ჯანსაღი და მომგებიანია, მძლავრი კაპიტალიზაციით, ადეკვატური ლიკვიდობით და აქტივების კარგი ხარისხით. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ფარგლებში კაპიტალის და ლიკვიდობის შესახებ საბანკო რეგულაციების გაძლიერებას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) დაასრულა კომერციული ბანკების მთავარი ჩარჩოს შემუშავება გაზელი 3-ის სტანდარტების მიხედვით, შემოიღო რეგულაციები კორპორაციული მმართველობის შესახებ და ლევერიჯის კოეფიციენტი, გააძლიერა ლიკვიდობის მართვის და კაპიტალის ადეკვატურობის სისტემა. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, სებ-მა გამოაცხადა პასუხისმგებლიანი და მდგრადი დაკრედიტების პოლიტიკის განხორციელების შესახებ, რაც ზღუდავს სესხის მომსახურების და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტებს. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალი სესხის გაცემის ხარისხის შენარჩუნებას.

სექტორი კვლავ დაუცველი რჩება დოლარიზაციის მაღალი დონის მიმართ, რაც დაახლოებით 60%-ს შეადგენს. სამომხმარებლო დაკრედიტების და იპოთეკური სესხების მაღალმა ზრდამ გასულ წლებში ოჯახების ვალებით გადატვირთვა გამოიწვია, თუმცა ახალი მაკროპრუდენციული ღონისძიებები და კიდევ უფრო გამკაცრებული დედოლარიზაციის პოლიტიკა ამ სფეროში ზრდას მოთოკავს.

დედოლარიზაციის დონის შემცირება აძლიერებს მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმს (რომელიც ამცირებს გაცვლითი კურსის რყევებს), რითაც ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას. ეს ზოგადად ამცირებს უცხოური ვალუტის რისკს, რაც ეკონომიკას გარე შოკებისადმი მეტად მედეგს ხდის.

დაკრედიტების პენეტრაცია მშპ-ის 65%-ს შეადგენს, აქედან ბიზნესის წილი 36%-ია, საცალო სესხების - 29%. 2019 წელს ზრდის ტენდენცია გაგრძელდება, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით საცალო სფეროში და მეტად კონცენტრირდება მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციულ ბიზნესზე. ამის მიზეზი სებ-ის ახალი რეგულაციაა, რომლის მიხედვითაც საცალო დაფინანსებაზე სტანდარტები მკაცრდება. ეს დაუდასტურებელი, დაბალი შემოსავლების მქონე მსესხებლების დაკრედიტებას გაართულებს. საბოლოოდ ეს რეგულაცია სექტორში სესხის გაცემის სტანდარტების გაუმჯობესებას გამოიწვევს, გაზრდის სესხების გაცემის ხარისხს და მარჟებს დაბლა დასწევს.

სესხების ხარისხი, რომელსაც უმოქმედო სესხების კოეფიციენტი განსაზღვრავს, კლიენტთა სესხების უკეთეს მდგომარეობას აჩვენებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უმოქმედო სესხების წილი 2,58 პროცენტით დაეცა და სასესხო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. საზედამხედველო უმოქმედო სესხები 2018 წლის



ბოლოს სექტორის სესხების 5,5%-ს შეადგენდა (2016 წლის ბოლოს: 7,3%), სესხების გაუფასურების მთლიანი რეზერვები კი მათ 92%-ით ფარავდა.

ქართული ბანკების გადახდისუნარიანობის პოზიცია ადეკვატურია, სექტორის მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2018 წლის ბოლოს 18,9% იყო. მარეგულირებლის გამკაცრებული მოთხოვნები, რომლებიც ბაზელი 3-ის კაპიტალის მუფერებს მოიცავს, ბანკებს აიძულებს, შეასუსტონ კონცენტრაცია. მუფერები ითვალისწინებს თითოეული ბანკის სპეფიციკურ რისკებს, მათ შორის პოზიციების კონცენტრაციებს სექტორულ და კლიენტი ფიზიკური პირების დონეებზე, უცხოურ ვალუტის აქტივების კონცენტრაციის დონეს და კონტრაგენტებს. კაპიტალის მოთხოვნები მკაცრია. ამ პირობებში კი ზრდის მხარდაჭერის უნარი ძირითადად კაპიტალის გამომუშავების სიმძლავრეზე იქნება დამოკიდებული, სადაც მთავარი მომგებიანობა და აქტივების ხარისხი იქნება.

საბანკო სექტორის მომგებიანობა 2018 წელს სოლიდურ დონეზე შენარჩუნდა: კაპიტალზე საშუალო უკუგების კოეფიციენტმა (ROAE) 2018 წლის დეკემბრის ბოლოს 19,5%-ს მიაღწია, მიუხედავად დაძაბული კონკურენციისა, რასაც მხარს უჭერდა სესხების ზრდა, ზოგადად სტაბილური დაფინანსების ხარჯები და ზომიერი გაუფასურების ხარჯები. გაუფასურებამდელი მომგებიანობის შენარჩუნება მხარს დაუჭერს ბანკების ელასტიკურობას აქტივების ხარისხზე ზეწოლის შემთხვევაში.

საბანკო სისტემა სულ უფრო მეტად მოიხმარს თანამედროვე ტექნოლოგიას კლიენტებისთვის უფრო ამომწურავი და მოქნილი პროდუქტების მისაწოდებლად. ბაზარზე კონკურენცია ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე, საბარათე ბიზნესის განვითარებაზე და ა.შ. გადავიდა. ტენდენცია გრძელდება და მომავალ წლებში ამ სფეროში კონკურენცია უფრო გაძლიერდება.

რადგან სტაბილური მაკროეკონომიკური განვითარება საბანკო სისტემის ზრდას ასტიმულირებს, მომავალ წლებში ზრდის ტენდენცია კიდევ გაგრძელდება. მეორე მხრივ, საბანკო სისტემის ზრდის ტემპი სავარაუდოდ შემცირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გამო. თუმცა, 2019 წლის იანვრიდან ინიცირებული ახალი ცვლილებებით სექტორის ელასტიკურობა გაუმჯობესდება.

რეგულაციებში ეს ცვლილებები დოლარიზაციის უფრო დაბალი დონის პირობებში საბანკო სექტორის მდგრად ზრდას შეუწყობს ხელს. პოლიტიკა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება საცალო სეგმენტის ზრდაზე, რასაც საცალო სეგმენტიდან წარმოშობილი საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთების და საბაზრო რისკების შემცირება დააბალანსებს.

ბანკის და ჯგუფის მუშაობის შედეგები

- საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
- ბიზნესის ანგარიში
- ფინანსური მაჩვენებლები





ბანკის და ჯგუფის მუშაობის შედეგები

ბაზარზე პოზიციის გაძლიერება და წინსვლა

I2018 წელს ბაზისბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ზრდის მიმართულებით, წმინდა მოგებით მე-4 ადგილი მოიპოვა და ბაზარზე მყარად დაიმკვიდრა აქტივებით მე-6, ხოლო კაპიტალით მე-5 პოზიცია. მთლიანი საკრედიტო პორტფელის მიხედვით ბანკმა მე-7-დან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ამასთან, წმინდა მოგების მიხედვით, ბაზისბანკი ბაზარზე მე-4 ადგილს იკავებს. მთლიან საკრედიტო პორტფელს, რომელიც ბიზნესის ზრდის მთავარი ხელშემწყობია, მთლიან აქტივებში დამატებით 142 მილიონი ლარის წვლილი აქვს, რითაც სექტორში მთლიანი აქტივების და ვალდებულებების ზრდის მიხედვით ბანკი მესამე ადგილს იკავებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება - ევროპელი და აზიელი პარტნიორებისგან დამატებით 230 მილიონი ლარის სახსრების მოზიდვა

თავის დიდი ხნის პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან (როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი EBRD, BlueOrchard, ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდი და სხვა) თანამშრომლობის გაღრმავების და ხელშეკრულებების განახლების შედეგად, 2018 წელს ბანკმა 145 მილიონი ლარის სახსრები მოიზიდა. ამასთან ერთად, ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობის დაწყების შედეგად, ბანკმა კიდევ 85 მილიონი ლარის სახსრები მოიზიდა. ესენია: საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC, გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი (ResponsAbility), ფონდი „სიმწვანე ზრდისთვის“ (Finance-in-Motion) და ევროპის საფინანსო ასოციაცია (EFA). დაფინანსების წმინდა ზრდამ წლიდან წლამდე 66 მილიონი ლარი შეადგინა. 50 მილიონ ლარზე მეტი დამტკიცებული საკრედიტო ხაზებია, რომელთა ათვისებაც 2019 წელს მოხდება. ინვესტიციები ბანკს საშუალებას აძლევს, უფრო მეტი რესურსი დაუთმოს თავისი ბიზნესკლიენტების საჭიროებების დაკმაყოფილებას და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიებს შორის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების პოპულარიზაციაზე. უმსხვილეს გლობალურ განვითარების ინსტიტუტთან და მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრთან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობა მიზნად ისახავს ბანკის მიერ ვაჭრობის დაფინანსების გაფართოებას. ეს პარტნიორობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბოლო პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა, ბანკის სანდო იმიჯის კიდევ უფრო გამყარების თვალსაზრისით.

ახალი ბიზნესმიმართულებების და ოპერაციების დაწყება

ბაზისბანკმა დაზღვევის და ლიზინგის ახალი ბიზნესმიმართულებები აამუშავა, თავისი შვილობილი კომპანიების „ჰუალინგ დაზღვევის“ და BHL ლიზინგის“ მეშვეობით. ამით კი კლიენტებისთვის ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრის მიწოდება უზრუნველყო. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის შედარებით ახალი მოთამაშეა, „ჰუალინგ

დაზღვევამ“ 2018 წელს ცნობადობის და კლიენტთა ნდობის მოპოვება შეძლო და წელი 11 მილიონი ლარის მთლიანი აქტივებით და 1,4 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა.

გაყიდვების ქსელის ოპტიმიზაცია და განახლება

ბაზისბანკმა განაგრძო ფილიალების ქსელის გაუმჯობესება, დიზაინის დახვეწა და განახლება, კლიენტებისთის მაქსიმალური კომფორტის და მოსახერხებლობის უზრუნველსაყოფად. ფილიალების ქსელი გარემონტდა და განახლდა ფილიალების განვითარების და ბრენდინგის ახალი სტრატეგიის თანახმად. ბაზისბანკის ქსელის ოპტიმიზაციის და სერვისის კონცეფცია 2016 წელს შემუშავდა კლიენტთა საჭიროებებზე სწრაფი რეაგირების და კლიენტთა მზარდი მობილურობის პირობებში მათთვის პროდუქტების უფრო ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით.

ბაზისბანკმა კიდევ უფრო გააფართოვა თავის შეთავაზებები, მიზნობრივი პროდუქტების შემუშავებით და გაუმჯობესებული ციფრული არხების მეშვეობით. 2018 წელს ბანკის სტრატეგიის თანახმად, რაც მისი პროდუქტებისა და მომსახურების სიმარტივისა და მოქნილობის უზრუნველყოფას გულისხმობს, კიდევ უფრო დაიხვეწა დისტანციური მომსახურების არხები. ბანკმა აამუშავა ახალი დისტანციური მომსახურების პროდუქტები. ერთ-ერთი მათგანი იყო მობაილ დიჯიპასი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მობილური აპლიკაციის საშუალებით მიიღოს ერთჯერადი უსაფრთხოების კოდი და მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, დამოუკიდებლად განახორციელოს ტრანზაქციები. კიდევ უფრო გაუმჯობესდა ბაზისბანკის მობილური აპლიკაცია, სიმარტივის და გამოყენების სიიოლის თვალსაზრისით. გაგრძელდა მუშაობა ჩინელი კლიენტებისთვის მომზადებული ჩინურენოვანი აპლიკაციის დახვეწაზე. ეს მარტივი აპლიკაცია ჩინურენოვან მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მოხერხებულად მართონ საკუთარი ფინანსები თავიანთი მობილური ტელეფონების მეშვეობით, განახორციელონ სხვადასხვა ოპერაცია, მაგალითად, როგორიცაა ვალუტის კონვერტაცია, ფულადი გადარიცხვები, კომუნალური გადასახადების გადახდა და ისარგებლონ სხვა საბანკო მომსახურებით. აპლიკაცია მარტივი და იოლი გამოსაყენებელია. ეს სიახლე მომხმარებელს, რომლის მშობლიური ენაც ჩინურია, საშუალებას აძლევს, მართოს პირადი ანგარიში და სხვადასხვა საბანკო ტრანზაქცია საკუთარ ენაზე, ბანკში მისვლის საჭიროების გარეშე განახორციელოს.

ამასთან, 2018 წელს პირველად საქართველოს საბანკო სისტემაში ბაზისბანკმა მომხმარებელს შესთავაზა ინოვაციური „პირადი დილერის“ სერვისი, რომელიც კლიენტებს საშუალებას აძლევს, ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები დამოუკიდებლად და მოხერხებულად განახორციელონ. დროის დამზოგველი, სრულად ავტომატიზებული და მარტივი პროცესი ხაზინის დეპარტამენტის თანამშრომლებთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებას იძლევა. მომხმარებელს შეუძლია, მოითხოვოს ყველაზე ხელსაყრელი გაცვლითი კურსები, აქვს თავისუფლება, აირჩიოს თანხები და ვალუტები და მოქნილობა, ერთ ჯერზე განახორციელოს რამდენიმე ტრანზაქცია.

ახალი, შეღავათიანი პროექტების განხორციელება ეროვნულ ვალუტაში დაკრედიტების ხელშეწყობის, ევროსტანდარტების და ენერგოეფექტურობის წახალისების მიზნით

ბაზისბანკმა რამდენიმე პროექტი განახორციელა, რითაც მცირე და საშუალო კომპანიებს დაეხმარა ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებასა და ევროსტანდარტების დანერგვაში, შეთავაზა მცირე და საშუალო საწარმოთა მომსახურების ხელსაყრელი პირობები, ხელმისაწვდომი დაფინანსება შეღავათიანი პირობებით, საინვესტიციო წახალისება და სპეციალური საკრედიტო სქემები EBRD-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის დაჩქარების და ეროვნულ ვალუტაში საკრედიტო რესურსებზე წვდომის გაზრდის მიზნით, ბანკმა პარტნიორობა დაამყარა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან და საკრედიტო რესურსი ეროვნულ ვალუტაშიც ხელმისაწვდომი გახადა.

სააგენტომ Fitch დაადასტურა ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი B+ სტაბილური პერსპექტივით

დადასტურებული რეიტინგი ასახავს ბანკის ბოლო წლების მნიშვნელოვანი ზრდის ისტორიას, აქტივების ხარისხის სტაბილურობას, კარგ მომგებიანობას, მაღალ ოპერაციულ ეფექტიანობას და სოლიდურ კაპიტალიზაციას.

ბიზნესის ანგარიში

ჩვენი კომერციული დეპარტამენტი, ძლიერი შიდა ქსელის და ეკონომიკურად მნიშვნელოვან ყველა რეგიონში აქტიურობით, 5000-ზე მეტ მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიას ემსახურება. ბანკის ეფექტიანი მრავალარხიანი გაყიდვების ქსელი, სეგმენტებზე ფოკუსირება და ექსპერტიზა მას საშუალებას აძლევს, თავის მრავალფეროვანი პროდუქტებით და მომსახურებით მხარი დაუჭიროს ეკონომიკის ყველა სექტორში მოღვაწე მსხვილ, საშუალო, მცირე და მაღალშემოსავლიან კლიენტებს. ბანკი ამ კლიენტებს ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 22 ფილიალის საშუალებით ემსახურება, ასევე ინტერნეტით, მობილური და სატელეფონო მომსახურებით და სპეციალიზებული გაყიდვების ჯგუფების მეშვეობით.

ჩვენს ბიზნესკლიენტებს ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. მათი საჭიროებების პროდუქტებით და მომსახურებით უკეთ დასაკმაყოფილებლად, და მათთვის შესაბამისი დამატებული ღირებულების შესაქმნელად, ბანკმა ხუთი მთავარი ბიზნესმიმართულება ჩამოაყალიბა, შესაბამისი ქვეჯგუფებით, რაც ქვემოთ დეტალურადაა ახსნილი. ამან ბანკს საშუალება მისცა, ყველა ბიზნესმიმართულებით სრულად დაეკმაყოფილებინა კლიენტთა მოლოდინი. ამასთან, ამგვარმა სტრუქტურამ ბანკს პოზიციების, შემოსავლის წყაროების და გეოგრაფიის მიხედვით დივერსიფიკაციის და უფრო პრუდენციული და ფოკუსირებული ზრდის საშუალება მისცა. კომერციული დეპარტამენტის ხუთი ბიზნესმიმართულებაა: კორპორაციული განყოფილება, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განყოფილება, დოკუმენტური ბიზნესის და ფაქტორინგული ოპერაციების ჯგუფი, ჩინელ კლიენტთა მომსახურების და პროექტების განყოფილება და Unique ბანკინგის განყოფილება.

კორპორაციული განყოფილება დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონულ ჯგუფებს აერთიანებს, რომლებიც კორპორაციულ კლიენტებთან უშუალოდ მათი ბიზნესების სიახლოვეს მუშაობენ. ამის მსგავსად, მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილება SME ბანკირების დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონული ჯგუფებისგან შედგება. ისინიც უშუალოდ კლიენტებთან სიახლოვეს მუშაობენ და მათ ბიზნეს-საჭიროებებს ყოველდღიურად ემსახურებიან. SME განყოფილებაში ასევე შედის სპეციალიზებული აგრობიზნესჯგუფი. ამ ჯგუფის ბანკირები ბაზისბანკის აგროკლიენტების სიახლოვეს რეგიონულ ოფისებში აგრობიზნესის დაკრედიტების ზრდის მიმართულებით მუშაობენ, იზიდავენ ახალ აგროკლიენტებს და აუმჯობესებენ მომსახურების ხარისხს. აგრობიზნესის დაკრედიტების გაზრდის ძალისხმევის ფარგლებში, აგრობანკირები ბანკს დაეხმარნენ იმ კლიენტების სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენაში, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გაფართოებას ცდილობდნენ და ქალაქგარეთ, საბანკო მომსახურებისგან შედარებით მოშორებით ადგილებში გადაინაცვლეს.

პირადი ბანკირების ჯგუფის მეშვეობით, Unique ბანკინგის განყოფილება ბანკის მაღალშემოსავლიან კლიენტებს თითოეული VIP კლიენტის კონკრეტული საჭროებების დაკმაყოფილებით, პრემიუმ-კლასის მომსახურებას უწევს. ჩვენი VIP კლიენტები სარგებლობენ განსაკუთრებული ექსპერტიზით, პირადი ყურადღებით, პროდუქტების პერსონალიზაციით და ყველა ტიპის, ყოვლისმომცველი საბანკო მომსახურებით.

დოკუმენტური ბიზნესის და ფაქტორინგული ოპერაციების ჯგუფი ფაქტორინგული საქმიანობით და საერთაშორისო ვაჭრობით დაკავებულ კლიენტებს მოქნილ, მოსახერხებელ და რისკებისგან თავისუფალ მომსახურებას უწევენ და სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე დასმული ამოცანების შესასრულებლად დაფინანსების ალტერნატიულ საშუალებებს სთავაზობენ.

კომერციული დეპარტამენტის 2018 წლის კიდევ ერთი სიახლე ჩინელი კლიენტების მომსახურების და პროექტების განყოფილების შექმნა იყო, რომლის მიზანიც ბიზნესკლიენტების მომსახურება და ჩინელ პარტნიორებთან ახალი კავშირების და ბიზნესის შესაძლებლობების შექმნაში დახმარება იყო. ახალი განყოფილება კორპორაციულ და მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურების ფუნქციებს ჩინურ ბიზნესებთან აკავშირებს. ამასთან, დეპარტამენტი მხარს უჭერს საქართველოში მცხოვრებ და მომუშავე ჩინელ კლიენტებს, ასევე საქართველოს ბაზრით დაინტერესებულ ჩინელ ინვესტორებს, რაც გულისხმობს მათთვის ხარისხიანი, მათ საჭიროებებზე მორგებული, სრული საბანკო მომსახურების ჩინურ ენაზე გაწევას, მათთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად. განყოფილება მაღალპროფესიონალი, ჩინური ენის მცოდნე კადრებით დაკომპლექტდა, რომელთაც გადამზადება გაიარეს ჩინეთში.

2018 წელს კომერციული დეპარტამენტის მთავარი ფოკუსი ბიზნესმიმართულებების მიხედვით იყო:

- პროდუქტებისა და მომსახურების დივერსიფიკაცია
- რეგიონული დაფარვის გაფართოება
- მომსახურების სტანდარტების დახვეწა
- პროცესების ოპტიმიზაცია

2018 წელს ბიზნესის მომსახურების ძირითადი ინიციატივები იყო:

- რეგიონული, აგრობიზნესის და და Unique ბანკინგის ჯგუფების გაძლიერება, როგორც კადრებით, ისე არსებული კადრების ფოკუსირებული ტრენინგებით;
- ახალი სტრუქტურული ერთეულის: ჩინელი კლიენტების მომსახურებისა და პროექტების განყოფილების ჩამოყალიბება;
- ახალი პროექტის, კერძოდ „მობაილ ბანკი ჩინურად“ ამუშავება, რაც ჩინელ მომხმარებელს საშულებას აძლევს მობილური ტელეფონის აპლიკაციით ჩინურ ენაზე მართოს საკუთარი ფინანსები და განახორციელოს სხვადასხვა ყოველდღიური საბანკო ოპერაცია.
- დოკუმენტური ბიზნესის და ფაქტორინგული ოპერაციების ჯგუფის შემდგომი გაძლიერება კვალიფიციური კადრების დამატებით.
- მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილების გაძლიერება. მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში SME ბანკირებისთვის ჩატარდა ყოველმხრივი ტრენინგი.
- ბაზრის უკეთ ათვისების მიზნით დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში შერჩეულ იქნა SME ბანკირები.



ბიზნესის მომსახურება

ბიზნესის მომსახურება, რომელიც გულისხმობს კორპორაციულ და SME საქმიანობას, კვლავ რჩება ბანკის ყველაზე მნიშვნელოვან ბიზნესმიმართულებად. 2018 წელს ბაზისბანკი განიხილავდა იმ ინოვაციებს, რომლის საშუალებითაც ის უკეთ შეძლებდა სისტემების და პროცესების დახვეწას, შრომითი პროცესების ინტეგრაციას, სტრუქტურული კორექტირებების წახალისებას და ამით ბიზნესის მიმართულების ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდას.

კომერციული დეპარტამენტის სტრუქტურის მიმდინარე ტრანსფორმაციამ ჩვენი ძირითადი ბიზნესის დაკრედიტების ჯგუფების ხელახალი პოზიციონირების და წინა ხაზის სამუშაო ძალის გაფართოების გზით კარგი შედეგები მოიტანა.

ბიზნესის დაკრედიტებამ 695 მილიონი ლარის ზღვარს გადააბიჯა, რაც წინა წელთან შედარებით 13%-იან ზრდას წარმოადგენს და შესაბამის მაჩვენებელს 78 მილიონი ლარით აჭარბებს. პროდუქტების და სექტორების ფოკუსი ძირითადად ვაჭრობის, წარმოების, ტურიზმის, სამომხმარებლო საქონლის და მშენებლობის სექტორები იყო. ასეთი შედეგი კლიენტებისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ და მომსახურების მაღალმა სტანდარტებმა მოიტანა. ბიზნესის ზრდაზე ფოკუსის თანახმად, ბანკმა თავისი მომსახურების დაფარვა მნიშვნელოვნად გააფართოვა სტრატეგიულად შერჩეულ რეგიონებში. 2018 წელს განსაკუთრებით აქტიურობდა კორპორაციული ბანკირების დასავლეთის რეგიონული ჯგუფი. ახალი პროფესიონალი კადრების ძალისხმევის შედეგად, რეგიონულმა საკრედიტო პორტფელმა 200%-ზე მეტი ზრდა აჩვენა. დასავლეთის რეგიონში შეზღუდული ბაზრის და მაღალი კონკურენციის პირობებში, ეს საკმაოდ კარგი შედეგია.

2018 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულების წარმატებას განაპირობებდა ახალი კადრების დამატება და სამუშაო ძალის გაძლიერება ტრენინგების შედეგად. წლის პირველ კვარტალში ბაზისბანკმა განაახლა და გაზარდა მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების პროცედურები და ლიმიტები. შედეგად, SME პორტფელის საერთო ზრდა 30%-ით დაჩქარდა.

აგრომიმართულების განვითარება ბაზისბანკისთვის წლის განმავლობაში კვლავ პრიორიტეტად რჩებოდა. 2018 წელს ბაზისბანკი განაგრძობდა აგრობიზნესის დაფინანსებას, რაც ადეკვატურად აისახა პორტფელის ზრდაში.

2018 წლის განმავლობაში ბაზისბანკი აქტიურად იყო ჩაბმული სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებაში, რაც აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში ხორციელდება როგორც საგრანტო, ისე სუბსიდირებული პროგრამები. წლის განმავლობაში ბაზისბანკმა შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სექტორის განვითარებაში, მათ შორის გრანტის კომპონენტით აგროფერმერებისთვის, აგრობიზნესის თითქმის ყველა მიმართულებით.

2018 წელს გაგრძელდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ჟურნალის - „აგრობაზისის“ გამოცემა. გამრავალფეროვნდა ჟურნალის შინაარსობრივი ფორმატი. 2018 წლის ბოლო ნომერში განთავსდა ახალი

რუბრიკა, რომელიც ფერმერებს სახელწიფო პროექტების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას აწვდის.

ბაზისბანკმა თანამშრომლობა განაგრძო სხვადასხვა ადგილობრივ სპეციალიზებულ ორგანიზაციასთან, რომლებიც ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებას უწყობენ ხელს, ფერმერებს მცენარეთა დაცვის სხვადასხვა პროდუქტს, - სასუქს და აგროდანადგარებს აწვდიან (მაგ. ტრაქტორებს და არა მხოლოდ). ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ახალი საბანკო პროდუქტი, რომელიც ფერმერებს ზემოხსენებულ პროდუქტებზე უნიკალურ წვდომას აძლევს, თანაც მნიშვნელოვანი საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით.

2019 წელს ბანკი გააგრძელებს მუშაობას მისი ბიზნესგეგმების და ამოცანების შესრულებისთვის, შეინარჩუნებს არსებულ სტანდარტებს და კლიენტებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას გამოიყენებს.



UNIQUE ბანკინგი

Unique ბანკინგი შედარებით ახალი ბიზნესმიმართულებაა, რომელიც კომერციული დეპარტამენტის ნაწილია და 2017 წელს დაიწყო ფუნქციონირება. განყოფილება ბაზისბანკის პრემიუმ სეგმენტს ემსახურება. ჩვენი პრემიუმ VIP სეგმენტი მაღალშემოსავლიანი ადამიანებისა და ბიზნესის მფლობელებისგან შედგება, რომელთაც ცოტა თავისუფალი დრო და თავიანთი ყოველდღიური საბანკო ოპერაციების მართვისთვის კომპლექსური მოთხოვნები აქვთ და შესაბამისად, განსაკუთრებულ სერვისს საჭიროებენ.

ჩვენი Unique Banking-ის მთავარი მიზანია, VIP კლიენტების საბანკო გამოცდილება უფრო იოლი და კომფორტული გახადოს როგორც ბანკის შიგნით, ისე მის გარეთ, პერსონალიზებული მიდგომით და VIP კლიენტების ანგარიშების მართვით დაწყებული ინდივიდუალური მომსახურებით და სპეციალურად მორგებული საბანკო პროდუქტებით დამთავრებული.

Unique ბანკინგის განყოფილებაში ერთგული პროფესიონალები, კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერები მუშაობენ, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ თავიანთი პირადი VIP კლიენტების ყოველდღიურ ტრანზაქციებს და კლიენტებს სრული სპექტრის საბანკო პროდუქტებს და მომსახურებას აწვდიან.

კონკურენტული შედეგებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, ბანკმა შექმნა ინოვაციური მიდგომა დისტანციური მომსახურების და განსაკუთრებული აპლიკაციის, - Unique App. -ის სახით, რომლებიც VIP სეგმენტს პრემიუმ მომსახურებას და სრულ კომფორტს სთავაზობს.

Unique-ის მომხმარებლებისათვის შეიქმნა Unique Visa Infinite ბარათი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, ისარგებლონ პრესტიჟით, დროით და კომფორტით.

2018 წლის ბოლოსათვის მაღალშემოსავლიანი მომხმარებლების რაოდენობა 200-მდე გაიზარდა.

ბაზისბანკი განაგრძობს Unique-ის მომხმარებლებისათვის კიდევ უფრო გაუმჯობესებული სერვისების მიწოდებას და ეცდება, მათ ადეკვატური ინოვაციური პროდუქტები შესთავაზოს, რათა ფეხი აუწყოს VIP სეგმენტისთვის შექმნილ უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს.


UNIQUE
BANKING

საცალო ბიზნესი

საცალო ბიზნესის დეპარტამენტი მუშაობს იმისთვის, რომ კლიენტებს პროდუქტებისა და მომსახურების სრული სპექტრი გაყიდვების მრავალფეროვანი არხების და თანამედროვე ფილიალების ქსელის საშუალებით მიაწოდოს, ხარისხის უმაღლესი სტანდარტის დაცვით. საცალო საბანკო მომსახურების თანამშრომლები კლიენტებს მარტივ და გამჭვირვალე საბანკო პროდუქტებს სთავაზობენ, რითაც თავიანთი ფინანსური გეგმების შესრულებაში ეხმარებიან. დეპოზიტები, იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები, სახელფასო პროექტები და განვადება, ასევე საბარათე მომსახურება VISA, MasterCard და UnionPay სისტემებით კლიენტებს მარტივად, მოქნილად და გამჭვირვალედ მიეწოდება.

2018 წელი წარმატებული იყო საცალო ბიზნესისთვის, რაც ადეკვატურად აისახა მის ფინანსურ შედეგებზე. საცალო სესხები 2017 წელთან შედარებით 41%-ით გაიზარდა. საცალო სესხები მთლიანი სასესხო პორტფელის 24%-ს შეადგენს. საცალო გაყიდვები ძირითადად სახელფასო და დეველოპერული პროექტების ხარჯზე გაიზარდა. სასესხო პორტფელმა რეკორდული ზრდა აჩვენა: პორტფელი 64 მილიონი ლარით გაიზარდა და 221 მილიონ ლარს მიაღწია.

ბანკმა 2018 წელს განაგრძო ფილიალების ქსელის გაუმჯობესება. წლის განმავლობაში ბანკმა ხუთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სერვისცენტრი გაარემონტა: სამი რეგიონული და ორი ცენტრალური. გაყიდვის წერტილების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების ფარგლებში ბანკმა განაგრძო დაფარვის გაფართოებაზე ზრუნვა და ქსელს ბანკომატები (65) და POS ტერმინალები (162) მიამატა, რათა კლიენტებისთვის გაყიდვის წერტილები მაქსიმალურად მოსახერხებელი გაეხადა. არსებული ბრუნვის ოპტიმიზაციის და ქსელის გაფართოების შედეგად, ტერმინალების გამოყენების მაჩვენებელი გაორმაგდა. ბარათები ჩანაცვლდა უკონტაქტო მაღალი დონის ბარათებით და გაიხსნა ინტერნეტ შესყიდვებისთვის.

დისტანციურად შევსებული განაცხადების სრულყოფის შედეგად, დისტანციურად შემოსული განაცხადების დამტკიცების მაჩვენებელი გაიზარდა.

2019 წელს საცალო ბიზნესის დეპარტამენტი განაგრძობს აქტიურ მუშაობას მისი საქმიანობის ყველა ასპექტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ბანკი აპირებს დასავლეთ საქართველოს გულში, ქალაქ ქუთაისში და თბილისში, ნაძალადევის რაიონში ახალი სერვისცენტრების გახსნას.

იმისთვის, რათა საცალო ბიზნესის მუდმივი ზრდისთვის სრულ მზადყოფნაში იყოს, ბანკი აპირებს, კიდევ უფრო დახვეწოს ალტერნატიული გაყიდვები და არხები, ფრონტ ოფისის პოზიციებზე აიყვანოს ეფექტიანი სამუშაო ძალა და შექმნას ალტერნატიული არხების მართვის სამსახური. მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება აუცილებელია კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისა და კლიენტთა კმაყოფილებისა და ერთგულების გაზრდისთვის. მომავალი წლის პრიორიტეტი გაზრდილ დაკრედიტებასთან ერთად ახალი სახელფასო კლიენტების მოზიდვა იქნება, რადგან სახელფასო კლიენტების უფრო დიდი რაოდენობა საცალო ბიზნესის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.



ჩვენი გუნდი ადამიანური რესურსის მართვა

I2018 წელს ადამიანური რესურსის და ადმინისტრაციული დეპარტამენტი განაგრძობდა თანამშრომლებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას და მათთვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას. ბანკის ყველა თანამშრომელი, აღმასრულებელი პოზიციებიდან მოლარეების ჩათვლით, კეთილსინდისიერების უფრო მაღალი დონით უნდა გამოირჩეოდეს, ვიდრე სხვა სფეროებში დასაქმებული ადამიანები, რაც საბანკო სფეროს ადამიანური რესურსის მართვას გაცილებით მნიშვნელოვან ამოცანად აქცევს. ამის გათვალისწინებით, ბაზისბანკის ადამიანური რესურსის დეპარტამენტი დიდ ძალისხმევას ახმარს თანამშრომელთა მაღალი მოტივაციის შენარჩუნებას და თანამშრომელთა ეფექტიანი მუშაობით ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფას.

25-წლიანი მუშაობის მანძილზე ბაზისბანკმა დაასაქმა, დააწინაურა, ტრენინგი ჩაუტარა და მოტივაცია მისცა პროფესიონალთა მრავალრიცხოვან გუნდს. ბანკი ამაყობს მრავალწლიანი სტაჟის მქონე თანამშრომლებით, რომლებიც ბაზისბანკში 10-15 წელი უწყვეტად მუშაობდნენ. ქვეყნის ეკონომიკისთვის ყველაზე რთულ პერიოდშიც კი ბაზისბანკმა შეძლო თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის შენარჩუნება, სამუშაო ადგილების დაკარგვის გარეშე.
2018 წელს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილების, ხაზინის დეპარტამენტის და ბიზნესის დაკრედიტების თანამშრომლებისთვის გაიმართა ტრენინგი "გაყიდვები ურთიერთობით", რომელსაც წარუძღვა მოწვეული ტრენერი - დავით ჩიკვაიძე.

ადამიანური რესურსის დეპარტამენტი ბანკის მიზნებსა და პრიორიტეტებთან ჰარმონიაში მუშაობს. ბანკის ერთ-ერთი მიზანია გარემოს დაცვის ცნობადობის გაზრდა და სოციალური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ადამიანური რესურსის დეპარტამენტმა შეარჩია გარემოს და სოციალური რისკების მართვის ოფიცერი, რომლის სამუშაოც ამ საკითხებზე იქნება ორიენტირებული. ბიზნესის ოპერაციებში, სესხების გაცემებში და კლიენტთა დაფინანსების საკითხებში ჩართულმა თანამშრომლებმა, გარემოს და სოციალური რისკების მართვის ოფიცერმა და რისკების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში, რომელიც გარემოს და სოციალური რისკების ზოგად ინსტრუქციებს, გარემოს და სოციალური რისკების ტრანზაქციების შეფასებას და გარემოს და სოციალური რისკების პროცესების კლიენტის პერსპექტივიდან შეფასებას მიეძღვნა. ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტრენინგზე ისაუბრეს სახანძრო უსაფრთხოების, გარემოს და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკის ფორმალურ ინსტრუქციებზე.

2018 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა იყო. კვლევა ისეთ მნიშვნელოვან ოპერაციულ ასპექტებს მოიცავდა, როგორიცაა თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა და დიაგნოსტიკა, თანამშრომელთა საჭიროებების ანალიზი, მათი კმაყოფილების დონის გაზომვა. მისი საბოლოო მიზანი კომპანიისადმი თანამშრომელთა ერთგულების გაზრდა და კომპანიის მიზნებისა და ამოცანების თანამშრომელთა მიზნებსა და ამოცანებთან თანხვედრის მიღწევა იყო.

HR ანალიტიკა 2018 წელს ინიცირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო, რომელიც თანამშრომლებისთვის სამუშაოს შესრულების მთავარი ინდიკატორების (KPI) სისტემის დანერგვას გულისხმობდა. წლის განმავლობაში მოეწყო სხვადასხვა ვორქშოფი და გასვლითი ღონისძიება საშუალო რგოლის მენეჯმენტის, კომერციული დეპარტამენტის, მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილების და აგრობიზნესის განყოფილების მონაწილეობით. გაიმართა რთველი და ბანკის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად მოეწყო თანამშრომელთა ყოველწლიური კორპორაციული ღონისძიება.


HR Project 2019
Performance

სოციალური პასუხისმგებლობა

გაზისბანკის, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტის მიზანია, იყოს მთლიანად კლიენტის საჭიროებებზე მორგებული, სანიმუშო ბანკი, პროფესიული და ეთიკური გადაწყვეტილებებით, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის დაფინანსებას. ბანკი ახორციელებს საკუთარს და სპონსორობას უწევს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა პროექტებს. 2018 წლის განმავლობაში, გაზისბანკმა თავისი სასპონსორო, საქველმოქმედო და პატრონაჟის ღონისძიებები დაარსებიდან 25 წლის იუბილეს მიუძღვნა.

განათლების ხელშეწყობა

გაზისბანკის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკაში განათლების მხარდაჭერას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ბანკი თანამშრომლობს როგორც საშუალო სკოლებთან, ისე ქვეყნის ლიდერ უნივერსიტეტებთან. ბანკი სტუდენტებს უზრუნველყოფს სტიპენდიებით და ეხმარება სწავლის დაფინანსებაში, ასევე მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევებით მათ დაინტერესებას. გაზისბანკი ასევე აფინანსებს მოსწავლეთა და სტუდენტთა სხვადასხვა ტურნირს და კონკურსს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რითაც ასტიმულირებს მათ უნარს, წარმატებით გადაჭრან პრობლემები, წარადგინონ ჩატარებული კვლევების შედეგები და ოპონენტების წინაშე სამეცნიერო დისკუსიებში დაიცვან თავიანთი პოზიცია. ქართული სკოლების მოსწავლეები უკვე ათწლეულებია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამართულ სამეცნიერო კონკურსებსა და ოლიმპიადებში წამყვან ადგილებს ინარჩუნებენ.

სასპონსორო ღონისძიებები

წლის განმავლობაში გაზისბანკის სპონსორობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ფინანსური და კულტურული ღონისძიებები გაიმართა. ერთ-ერთი მათგანი იყო ევრაზიის რეგიონალური საბჭოს რიგით მესამე შეხვედრა. ღონისძიებას ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის 20–ზე მეტი ბანკისა და საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელი ესწრებოდა. შეხვედრის ფარგლებში „UnionPay International“-სა და გაზისბანკს შორის ბიზნესის გაფართოების შესახებ ურთიერთშეთანხმება გაფორმდა.

გაზისბანკი პირველი ბანკია ქართულ საბანკო სივრცეში, რომელიც მომხმარებელს UnionPay–ს პრემიუმ კლასის DIAMOND ბარათს სთავაზობს.

გაზისბანკის ხელშეწყობით საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც 65 ქვეყნის 250-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. შეხვედრაზე განიხილეს აქტუალური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე.



ბაზისბანკისა და EBRD–ის (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი) თანამშრომლობის ფარგლებში მორიგი წარმატებული პროექტი იყო ვაჭრობის დაფინანსების მე-7 ფორუმი, რომელშიც ბაზისბანკი ერთ-ერთი მთავარი სპონსორის რანგში მონაწილეობდა. მასში მსოფლიოს 40 ქვეყნიდან ჩამოსული 100-მდე ფინანსური ინსტიტუტის და ვაჭრობის დაფინანსების ორგანიზაციის 200-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ფორუმის მიზანი ვაჭრობის დაფინანსების სფეროში არსებული გამოწვევების, შესაძლებლობებისა და ინოვაციური პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება იყო.

2018 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ბაზისბანკის სპონსორობით, მიხეილ მესხის სტადიონზე ბრიტანელი მუსიკოსის, ჯეიმს ბლანტის კონცერტი გაიმართა. მომღერალი საქართველოს მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ეწვია და ქართველი მსმენელისთვის ბოლო პერიოდში დაწერილი სიმღერები შეასრულა (ბოლო ალბომიდან Afterlove).

ქველმოქმედება და პატრონაჟი

2018 წელს ბაზისბანკი განაგრძობდა საქველმოქმედო და პატრონაჟის ღონისძიებების განხორციელებას. ამ საქმიანობის ფარგლებში, ბანკმა დახმარება გაუწია სოციალური დახმარების ცენტრს, ახალგაზრდულ საფეხბურთო კლუბს, მესტიაში გამართულ სათხილამურო ტურნირს. ბაზისბანკი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებში ჩაერთო. წლის განმავლობაში ბანკმა სპონსორობა გაუწია საქველმოქმედო ღონისძიებას, რომელიც სიმსივნით დაავადებული ახალგაზრდა პაციენტებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრის ასაშენებლად გაიმართა და რომელშიც ბანკის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

ჯილდოები და პრიზები

ბაზისბანკი ამაყობს წლის განმავლობაში მიღებული ჯილდოებით და აღიარებით. უკვე ზედიზედ მეხუთე წელია, ბანკი სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი ხდება.

ბაზისბანკი მიზნესის ეროვნული დაჯილდოების ცერემონიაზე 30 საუკეთესო კომპანიას შორის საპატიო ადგილს იკავებს.

საქართველოს პასუხისმგებლიანი მიზნესის კონკურსში „Meliora 2018“ ბაზისბანკმა „შთამბეჭდავი ინიციატივებისათვის“ სოციალური პასუხისმგებლობის სპეციალური სერტიფიკატი მიიღო.

ფინანსური შედეგები

ჯგუფმა კაპიტალის და აქტივების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. ბიზნესის ფუნქციონირების ყველა დონეზე მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკის განხორციელებაზე, რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ინტეგრირებული ბიზნესმოდელის დანერგვაზე ბანკმა დამატებითი ძალისხმევა მიმართა, რაც საბოლოო ჯამში მისი საქმიანობის მოცულობის მდგრად ზრდაზე, ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, ბაზრის გაფართოებასა და უკეთეს კონკურენტულ პოზიციონირებაზე აისახა.

ჯგუფის ინტეგრირებული ბიზნესმოდელი სამ ძირითად სტრატეგიულ ბიზნესმიმართულებაზეა აგებული. ესენია: საბანკო საქმიანობა, დაზღვევა და ლიზინგი, რაც ფინანსური მომსახურების სრულ სპექტრს მოიცავს, კლიენტთა უფრო ფართო აუდიტორიაზეა მიმართული და მომხმარებლების მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. საქმიანობის სამივე მიმართულება ჯგუფის შიგნით შესაბამის ფუნქციებზეა გადანაწილებული. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩვენი რეგიონული ფილიალების მეშვეობით ფიზიკურ პირებს, მსხვილ კორპორაციებს და საშუალო ზომის საწარმოებს, ასევე სახელმწიფო კომპანიებს ფინანსური პროდუქტების და მომსახურების ფართო სპექტრს ვთავაზობთ.

ბანკი, როგორც ჯგუფის მშობელი კომპანია, შეიმუშავებს ბიზნესმიმართულებების მიზნობრივ მაჩვენებლებს, იწყებს ინიციატივებს და აყალიბებს ჯგუფის ბიზნეს-სტრატეგიას.

ბანკი ჯგუფის საქმიანობის წამყვანი ძალაა, თუმცა ჯგუფის შედეგები წარმოდგენილი და განხილულია ჯგუფის ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

2018 წელი ჯგუფისთვის განსაკუთრებული წელი იყო, გამორჩეული ფინანსური მაჩვენებლების და ძირითად მიმართულებებზე მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის თვალსაზრისით:

ჯგუფის მთავარი ფინანსური მაჩვენებლებია:

ძირითადი ინდიკატორები (მილიონი ლარი)	2018		2017	
	ბანკი	ჯგუფი	ბანკი	ჯგუფი
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	67.5	69.6	52.9	52.9
საოპერაციო შემოსავალი დარეზერვებამდე	42.0	43.7	33.7	33.6
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	41.1	42.8	31.7	31.6
წმინდა მოგება	**35.9**	**37.3**	**29.9**	**29.9**

მოგება	2018		2017	
	ბანკი	ჯგუფი	ბანკი	ჯგუფი
მოგება დარეზერვებამდე საშუალო კაპიტალთან	18.4%	19.1%	16.8%	16.8%
მოგება დარეზერვებამდე საშუალო აქტივებთან	3.3%	3.5%	3.2%	3.2%
დაბეგვრამდე უკუგება კაპიტალზე	18.0%	18.7%	15.8%	15.8%
საოპერაციო ხარჯები შემოსავლებთან	37.7%	37.2%	36.4%	36.5%
უკუგება კაპიტალზე (დაბეგვრის შემდეგ)	15.7%	16.3%	15.0%	14.9%
უკუგება აქტივებზე (დაბეგვრის შემდეგ)	2.9%	3.0%	2.8%	2.8%

წყარო: შიდა კალკულაციები

- 2018 წელს ჯგუფის მიერ გენერირებული მოგება დაბეგვრამდე 42,8 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 2017 წლის შედეგებთან შედარებით 35%-იანი ზრდის შედეგია. გაუმჯობესებულმა საოპერაციო მოგებამ დაბეგვრამდე და დარეზერვებამდე საშუალო კაპიტალზე უკუგება 19,1% და 18,7%-ზე დააფიქსირა. იგივე მაჩვენებელი 2017 წლის ბოლოს შეადგენდა 16,8% და 15,8%.
- წმინდა მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯგუფმა 25%-იანი მოგების ზრდა აჩვენა. საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტმა (ROAE) 16.3% მიაღწია (2017 წელს 14,9%).
- ჯგუფმა მომგებიანობის კოეფიციენტის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია, რისი საფუძველიც იყო: მაღალი ოპერაციული ეფექტიანობა, რომელიც საოპერაციო ხარჯის შემოსავლებთან ფარდობის კოეფიციენტში აისახა, - 2018 წლის ბოლოს 37,2% (2017: 36,5%); სტაბილური წმინდა მარჟები, რომლებიც 2018 წლის ბოლოს აქტივების 1,2 მილიარდ ლარამდე გენერირებამ გაამყარა, (2017: 1 მილიარდი ლარი) დაბალი რისკის ღირებულება, რაც ფინანსური აქტივების მაღალი ხარისხის შენარჩუნებით, კერძოდ კი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაბალ დონეზე შენარჩუნებით, იქნა მიღწეული.
- ოპერაციული მოგებიდან საშუალო აქტივებზე უკუგებამ 2018 წლის ბოლოს 3,5%-ს მიაღწია, რაც ოდნავ აღემატებოდა 2017 წლის მაჩვენებელს, 3,2%. საშუალო აქტივებზე უკუგების წმინდა მაჩვენებელმა 3% აჩვენა (2017 წელს 2 8% იყო).

ოპერაციულ დონეზე, ბანკმა და ჯგუფმა გააუმჯობესეს გაზარზე პოზიციონირება აქტივების მნიშვნელოვანი ზრდის, ასევე მთლიანი სასესხო პორტფელის და ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების ზრდის ხარჯზე.

- წელს გაზისბანკმა გაზარზე მყარად დაიმკვიდრა აქტივებით მე-6, ხოლო კაპიტალით მე-5 ადგილი, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის სიდიდით მე-7-დან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ბანკი სექტორის კონკურენტებთან მიმართებაში საბანკო აქტივების და ვალდებულებების მთლიანი ზრდის მიხედვით მესამე ადგილს იყოფს[6].
- ბანკის ამგვარმა ზრდამ ოპერაციული მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია და ბანკი სექტორში წმინდა მოგებით მეოთხე ადგილზე გადაიყვანა, საბანკო სექტორის წმინდა შემოსავლის აბსოლუტური ზრდით კი - მესამეზე.
- ბიზნესის ზრდის მთავარი მასტიმულირებელი მთლიანი სასესხო პორტფელი 142 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც მთლიანი აქტივების 204 მილიონი ლარით ზრდაში აისახა. ვალდებულებების და კაპიტალის მხარეს, ბანკმა განცალკევებულად 168 მილიონი ლარის და 35 მილიონი ლარის წმინდა ზრდა (შესაბამისად) აჩვენა IFRS-ის მიხედვით[7].
- 2018 წელს გაზისბანკმა თავის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 3,6%-ზე დააფიქსირა, მთლიანი ვალდებულებებით ის 3,5%-იან წილს იკავებდა, ხოლო მოგებით 3,8%-იან წილს (წილი მთლიანი საბანკო სექტორის აქტივებში 2018 წლის ბოლოს ნაჩვენებია სებ-ის მონაცემებით).
- გაზისბანკის განცალკევებული წლიური გენერირებული მოგება 35,9 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც საოპერაციო შედეგების 20% წლიური ზრდაა, მთლიანი საერთო შემოსავალმა კი 36,9 მილიონ ლარს მიაღწია (2017: 29,8 მილიონი ლარი).

შვილობილი კომპანიების შედეგები

ახალი ბიზნესმიმართულებების უპირველესი ამოცანა კლიენტთა მიზნობრივ ნიშზე წვდომის გაზრდა და ახალი ფინანსური პროდუქტების და სერვისების შეთავაზებით ჯგუფის საოპერაციო სიმძლავრეების სრულად

[6]წყარო: სებ-ის მონაცემები, შიდა კალკულაციები.

[7]ბანკის საბაზრო წილი და პოზიცია ნაჩვენებია სებ-ის მონაცემებით, რომელიც ოდნავ განსხვავდება IFRS-ით დათვლილი შედეგებისგან.

ამოქმედებაა. ბაზისბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ერთიან ინსტიტუტს ქმნიან, რომელიც კლიენტებს ფინანსურ მომსახურებას გაყიდვების გაერთიანებული არხის საშუალებით სთავაზობს. ჯგუფის ხედვაა, მომავალ წლებში კიდევ უფრო გააძლიეროს მისი სტრატეგიული ამოცანების განხორციელება: ერთი ფანჯრის პრინციპით მიზნობრივი კლიენტებისთვის პროდუქტების მიწოდება და ბრენდის, მისი ძლიერი მხარეების და სერვისების შესახებ ცნობადობის გაზრდა; მიზნობრივი პიარ კამპანიების ჩატარება, კლიენტებთან მიდგომის თანამედროვე მეთოდების და მომსახურების მექანიზმების გამოყენება; მომსახურების ინოვაციური გზების გამოყენება და რეგიონული დაფარვის გაფართოება.

ჰუალინგ დაზღვევა

ახალმა მიზნესმიმართულებამ - დაზღვევამ 2018 წლის ბოლოს ჯგუფის საბოლოო შედეგებში წვლილი 1.4 მილიონი ლარის წმინდა მოგებით შეიტანა. ჰუალინგ დაზღვევამ ოპერირება 2018 წელს დაიწყო და მომდევნო წლებში შემდგომი ზრდის საფუძვლის შექმნაც მოახერხა. მისი საწყისი კაპიტალი 4,3 მილიონი ლარი იყო. დაარსების დღიდან, კომპანიამ 10,7 მილიონი ლარის მთლიანი აქტივები შექმნა.

ჰუალინგ დაზღვევის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ბალანსის ძირითადი ანგარიშები - მილიონი ლარი	2018	2017
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6.4	4.3
სადაზღვევო აქტივები	4.2	-
მთლიანი აქტივები	**10.7**	**4.3**
სადაზღვევო ვალდებულებები	4.5	-
მთლიანი ვალდებულებები	**5.0**	-
მთლიანი კაპიტალი	**5.8**	**4.3**

მოგება/ზარალის უწყისის ძირითადი ელემენტები - მილიონი ლარი	2018	2017
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი*	2.2	
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	(0.3)	
საოპერაციო შემოსავალი დარეზერვებამდე	**1.9**	
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	1.7	
წმინდა მოგება	**1.4**	

*წმინდა სადაზღვევო შემოსავალი მოიცავს მთლიან ანაზღაურებულ პრემიას, გადამზღვევის წილს მთლიან ანაზღაურებულ პრემიაში, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვებში ცვლილებების გარდა.

ჰუალინგ დაზღვევამ წელი საკმაოდ მაღალი საოპერაციო მაჩვენებლებით დახურა. მთლიანმა ანაზღაურებულმა პრემიამ 5,4 მილიონი ლარი შეადგინა. ეს შედეგი ეკონომიკის წამყვან სექტორებში მოქმედი ძირითადი კლიენტებით იყო გამოწვეული, რომლებიც კომპანიამ ბაზისბანკის და ჰუალინგ ჯგუფისგან განცალკევებით მოიზიდა, ესენია: ავტოდილერები, მშენებლობა, ავიაცია, საბანკო სფერო, ვაჭრობა, დისტრიბუცია და ა.შ. კომპანიის მიზანია, 2019 წელს გააორმაგოს თავისი მოგება, ბრენდის ცნობადობის გაზრდით და გაყიდვების ციფრულ არხებზე მეტი ფოკუსირებით. სამიზნე სფეროებია: ტრანსპორტის MTPL დაზღვევა, CASCO, MPA დაზღვევა, მოგზაურობის და ქონების დაზღვევა და ა.შ. კომპანიის მიზანია, ყველაზე ინოვაციური და იოლი სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებით დაზღვევის ის მიმწოდებელი გახდეს, რომელსაც კლიენტები პირველ უპირატესობას მიანიჭებენ.

BHL ლიზინგი – ჯგუფის ახალი წევრი - BHL ლიზინგი 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. ახალი კომპანია კლიენტებს ფინანსური ლიზინგის მრავალფეროვანი პროდუქტებით უზრუნველყოფს. უახლოესი პერიოდი ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას და აქტიური ციფრული მარკეტინგის კამპანიას დაეთმობა, მასობრივი მომხმარებლის ყურადღების მიპყრობის მიზნით. ერთადერთი ფინანსური შედეგი განაღდებული კაპიტალის პირველი ტრანში - 2 მილიონი ლარია. ჯგუფი 2019 წელს ლიზინგის ბიზნესის გააქტიურებას გეგმავს. მისი სამიზნე მცირე და საშუალო ზომის კომპანიები (SME), რითაც კომპანია ქართული მცირე მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობათა პლატფორმას შექმნის. ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას და აქტიური ციფრული მარკეტინგის კამპანიას დაეთმობა, მასობრივი მომხმარებლის ყურადღების მიპყრობის მიზნით. ერთადერთი ფინანსური შედეგი განაღდებული კაპიტალის პირველი ტრანში - 2 მილიონი ლარია. ჯგუფი 2019 წელს ლიზინგის ბიზნესის გააქტიურებას გეგმავს. მისი სამიზნე მცირე და საშუალო ზომის კომპანიები (SME), რითაც კომპანია ქართული მცირე მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობათა პლატფორმას შექმნის.

ბაზის ესეთ მენეჯმენტ ჰოლდინგი – ჰოლდინგი ჯგუფის კიდევ ერთი წევრია და არსებობის 7 წელს ითვლის. ის ქონებას ფლობს ლიზინგის და რეალიზაციის მიზნით. საანგარიშო წლის ბოლოს ჰოლდინგმა 47 ათასი ლარის წმინდა ზარალი აჩვენა, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამო.

შემოკლებული ბანკის განცალკევებული და ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიში

მილიონი ლარი	2018		2017		ცვლილება (ჯგუფის) 2018	
	ბანკი	ჯგუფი	ბანკი	ჯგუფი	რაოდენობა	პროცენტი
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	55.2	55.7	46.0	46.0	9.7	21%
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	12.3	13.9	6.9	6.9	6.9	100%
მთლიანი წმინდა შემოსავალი	**67.5**	**69.6**	**52.9**	**52.9**	**16.6**	**31%**
ადმინისტრაციული ხარჯი	(25.5)	(25.9)	(19.3)	(19.3)	(6.5)	34%
საოპერაციო შემოსავალი დარეზერვებამდე	**42.0**	**43.7**	**33.7**	**33.6**	**10.1**	**30%**
სესხის სესაძლო გაუფასურების რეზერვი	(1.0)	(1.0)	(2.0)	(2.0)	1.0	N/M
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	**41.1**	**42.8**	**31.7**	**31.6**	**11.1**	**37%**
მოგების გადასახადი	(5.2)	(5.5)	(1.7)	(1.7)	(3.7)	N/M
წმინდა მოგება	**35.9**	**37.3**	**29.9**	**29.9**	**7.4**	**26%**

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და სტაბილური ზრდა 2018 წელს კიდევ უფრო გამყარდა. მთლიანმა წმინდა შემოსავლებმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად წმინდა საპროცენტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდით და ასევე არასაპროცენტო საქმიანობით იყო გამყარებული, 16 მილიონი ლარის წლიურ წმინდა ზრდას მიაღწია, რაც პროცენტულად 31% ზრდას შეადგენდა. შვილობილი კომპანიების არასაპროცენტო მოგებამ სულ 1,6 მილიონი ლარი შეადგინა.

წმინდა საპროცენტო შემოსავალი (NII) და წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)

მილიონი ლარი (თუ სხვანაირად არაა მითითებული)	2018	2017	2016	2018 ცვლილება მლნ. ლ.	2018 ცვლილება In %	2017 ცვლილება მლნ. ლ.	2017 ცვლილება In %
მთლიანი საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი	99	79	66	20	26%	13	19%
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	(44)	(33)	(25)	(11)	33%	(8)	30%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	55	46	41	9	20%	5	13%
საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები (საშუალო)[1]	1,108	918	608	189	21%	310	51%
საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებები (საშუალო)[2]	828	665	462	163	24%	203	44%
მთლიანი საპროცენტო შემოსავლიანობა[3]	8.9	8.6	10.8		0.4პ.პ.		-2.3პ.პ.
მთლიანი ხარჯიანობა[4]	5.3	4.9	5.4		0.3პ.პ.		-0.5პ.პ.
წმინდა საპროცენტო სპრედი[5]	3.7	3.7	5.4		0.1პ.პ.		-1.8პ.პ.
წმინდა საპროცენტო მარჟა[6]	5.0	5.0	6.7		0.0პ.პ.		-1.7პ.პ.

[1] პორტფელის საშუალო შემოსავლიანობა – საპროცენტო და მსგავსი შემოავლები სესხებიგან შეფარდებული პერიოდის საშუალოთვიურ პორტფელთან

[2] საშუალო დეპოზიტების პორტფელის შემოსავლიანობა – საშუალოთვიურ დეპოზიტებზე გადახდილი საპროცენტო ხარჯები შესაბამისი პერიოდის განმავლობაში

[3] მთლიანი საპროცენტო შემოსავლიანობა გულისხმობს პერიოდის განმავლობაში საშუალო პროცენტის მომტანი აქტივების პროცენტულ შემოსავალს

[4] მთლიანი საპროცენტო ხარჯიანობა გულისხმობს პერიოდის განმავლობაში ხარჯის მატარებელი საშუალო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯს

[5] წმინდა საპროცენტო სპრედი მთლიან საპროცენტო შემოსავლიანობასა და ხარჯიანობას შორის სხვაობაა.

[6] წმინდა საპროცენტო მარჯა - წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული შემოსავლის მომტან საშუალო აქტივებთან

წმინდა საპროცენტო შემოსავალი და წმინდა საპროცენტო მარჟა. მაღალხარისხიანი აქტივების ზრდამ 2018 წელს მაღალი საპროცენტო შემოსავლის მიღება განაპირობა. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 9,7 მილიონი ლარით გაიზარდა და 2018 წლის მთლიანი წმინდა შემოსავლების ზრდის 60% შეადგინა, რაც ძირითადად მთლიანი სასესხო პორტფელიდან მიღებული შემოსავლების 27%-იანი წლიური ზრდით იყო განპირობებული. პორტფელის ზრდას კი კორპორაციულ და მცირე და საშუალო ბიზნესკლიენტებზე გაცემული სესხები განაპირობებდა (ორივე მთლიანი სასესხო პორტფელის 75%-ზე მეტს შეადგენდა), საცალო პორტფელიდან მიღებულ მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებთან ერთად. საცალო პორტფელის საპროცენტო შემოსავალი 37%-ით გაიზარდა, 2018 წლის მნიშვნელოვანი ზრდის გამო, რაც წლიურ 41% შეადგენდა (საცალო სესხების წმინდა ზრდა 64 მილიონი ლარი)

მთლიან სასესხო პორტფელზე უკუგება უცვლელია, საშუალოდ წლიური 10,4%, ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ ნაკლები, კორპორაციული და მცირე და საშუალო კლიენტების მთლიან სასესხო პორტფელში შედარებით მაღალი კონცენტრაციის გამო: 75%, მაშინ, როცა ბაზრის საშუალო მაჩვენებელი 55% შეადგენს; ასევე, უზრუნველყოფილი პორტფელის საცალო საკრედიტებაში უფრო მაღალი წილის გამო: იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხები საცალო პორტფელის დაახლოებით 60% შეადგენს. ფასიანი ქაღალდების პორტფელში დაახლოებით 15% გენერირებულ აქტივებს უჭირავს, 8%-იანი უკუგების უნარით, რომელიც მთლიანი საპროცენტო შემოსავლის 12%-ს გამოიმუშავებს.

დაფინანსების ხარჯი 5,2% შეადგენდა, რაც ოდნავ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და ძირითადად აშშ დოლარზე გაზრდილ LIBOR-ს და ლარით დაფინანსებაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო ლარის რესურსზე მომატებულ საშუალო ხარჯებს ასახავს.

წმინდა საპროცენტო მარჟა შედარებით უცვლელი, თუმცა ზეწოლის ქვეშ იყო, რაც დაფინანსებაზე გაზრდილმა ხარჯებმა და დაბალშემოსავლიანი ლიკვიდური აქტივების უფრო მაღალმა წილმა განაპირობა. ეს კი მოხდა ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის ცვლილებების გამო, რაც მარეგულირებელმა დააწესა. სავალდებულო რეზერვების მოთხოვნის ცვლილებებმა გაზარდა ლიკვიდობის ხარჯები უცხოური ვალუტით დენომინირებულ რესურსებზე და ასევე გაზარდა ზეწოლა ლარის საპროცენტო განაკვეთებზე, რაც ლარიზაციის პოლიტიკით იყო გამოწვეული და პირდაპირი ზეგავლენა ჰქონდა წმინდა საპროცენტო მარჟაზე.

წმინდა საპროცენტო მარჟა მაინც დიდია, რაც წმინდა შემოსავლების მნიშვნელოვან წლიურ ზრდას უზრუნველყოფს. აქტივების ჯანსაღი ხარისხის და რისკის ხარჯის დაბალი კოეფიციენტის (0,12%, 2017 წელს იგივე მაჩვენებელი 0,3%-ს შეადგენდა) შენარჩუნების პარალელურად, საპროცენტო შემოსავალმა დარეზერვების შემდეგ 24%-იანი ზრდა აჩვენა, თანხობრივად კი წლის ბოლოს 55 მილიონი ლარი შეადგინა (2017: 44 მილიონი).

წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი. ეს მონაცემი მნიშვნელოვნად გაიზარდა და წინა წელთან შედარებით გაორმაგდა (6,9 მილიონი ლარის წმინდა ზრდა), რაც ოპერაციებიდან და გარანტიებიდან წმინდა საოპერაციო საკომისიო გადასახადების, ასევე TFP ხაზებიდან საკომისიო შემოსავლების მნიშვნელოვანი, 50%-ზე მეტი, ზრდით იყო გამოწვეული. წმინდა საოპერაციო შემოსავლების მიღებაში მნიშვნელოვანი წვლილი (30%) შეიტანა წმინდა სავალუტო მოგებამ. არასაპროცენტო შემოსავლის ზრდაში კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა, კლიენტებზე გაცემულმა დაზღვევამ არასაპროცენტო შემოსავალში 12%-იანი წვლილი შეიტანა. არასაოპერაციო შემოსავლის მიღებას ასევე ხელი შეუწყო გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ, 2.8 მილიონმა ლარმა.

საოპერაციო ხარჯები. ბაზრის გაფართოების საქმიანობა და უფრო მეტი მას-მომხმარებლის მოზიდვა დამატებით ადმინისტრაციულ და ოპერაციულ ხარჯებს მოითხოვს. ამ საქმიანობიდან მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის ბოლოს 25,9 მილიონ ლარს შეადგენდა (2017: 19.3 მილიონი), რამაც 34%-ანი წლიური ზრდა გამოიწვია. ადმინისტრაციული ხარჯების დაახლოებით 6,6 მილიონი ლარით ზრდა გამოიწვია ახალი პერსონალის დაქირავებამ, არსებული და ახალი თანამშრომლების ტრენინგმა, მარკეტინგულმა კამპანიებმა, ფილიალების ქსელის მართვასთან დაკავშირებულმა საოპერაციო ხარჯებმა, სხვადასხვა პროექტის მხარდასაჭერად კონსულტანტებისთვის გადახდილმა პროფესიულმა ჰონორარებმა და ა.შ. ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს მომდევნო წლებში კომპანიის შემდგომ ზრდას.

რისკის ღირებულება. მაღალხარისხიანი აქტივების ზრდამ მთლიან სასესხო პორტფელში უფრო მაღალი შემოსავალი და რისკის ღირებულების აქტივებზე ნაკლები ხარჯები (წლიური დარეზერვების ხარჯები შეფარდებული საშუალო მთლიან სესხებთან) გამოიწვია. 2018 წელს მთლიანმა წმინდა რეზერვებმა სესხებზე 1 მილიონი ლარი შეადგინა (2017: 1,7 მილიონი IAS 39-ით). საბოლოოდ, რისკის ღირებულების კოეფიციენტმა საშუალო სასესხო პორტფელზე 2018 წელს 0,11% შეადგინა (2017: 0,3%), დარეზერვებამდელი საოპერაციო მოგება პერიოდისთვის 2,2% (2017: 6%) მოიხმარა და ამით მხარი დაუჭირა ძირითად მომგებიანობას. მომგებიანი ზრდისთვის აუცილებელი იქნება აქტივების ხარისხის შენარჩუნება დაკრედიტების ზრდის შესაბამისად.

მოგების გადასახადის ხარჯები. 2018 წლის ბოლოს მოგების გადასახადის ხარჯი 5,5 მილიონ ლარს შეადგენდა (2017: 1,7 მილიონი). აქედან 1 მილიონი ლარის ხარჯი ეხებოდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარებას და ხელახალ გაზომვას, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საგადასახადო რეფორმის შედეგად. რეფორმა საქართველოს პარლამენტმა მანამდე მიიღო, ძალაში შესვლა კი 2018 წლისთვის გადაიდო. 2018 წლის და 2017 წლის ბოლოს შორის განსხვავება ასახავს გადავადებული საგადასახადო ვალდებულების შეფასების ცვლილებებს.

წლის წმინდა შედეგები. ჯგუფის წმინდა მოგებამ 37,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2017 წელთან შედარებით 25%-იან ზრდას წარმოადგენს. ჯგუფის მთლიანმა სრულმა შემოსავალმა, რომელიც მოიცავს გადაფასებული შენობების და სამართლიანი ღირებულებით პირდაპირ კაპიტალში რიცხული ფასიანი ქაღალდების ხელახლა შეფასების შედეგად მიღებულ მოგება/ზარალს, ჯამში 38,3 მილიონი ლარი შეადგინა.

ბანკის განცალკევებული და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მონაცემები (საბალანსო მუხლები)

მილიონი ლარი	2018		2017		წლიური ცვლილება 2018	
	ბანკი	ჯგუფი	ბანკი	ჯგუფი	რაოდენობა	In %
ფინანსური აქტივები	176	176	144	144	32	22%
მთლიანი სესხები	**916**	**916**	**774**	**774**	**142**	**18%**
მათშორის:						
ბიზნეს სესხები	695	695	617	617	78	13%
საცალო სესხები	221	221	157	157	64	41%
სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვი (LIP)	*(16)*	*(16)*	*(16)*	*(16)*		
სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვის კოეფ. (LIPR)	**1.7%**	**1.7%**	**2.1%**	**2.1%**		
წმინდა სესხები	901	901	758	758	143	19%
მთლიანი აქტივები	**1,436**	**1,436**	**1,236**	**1,232**	**204**	**17%**
მთლიანი დეპოზიტები	**734**	**734**	**682**	**678**	**50**	**7%**
მათ შორის:						
მიმდინარე ანგარიშები	376	376	386	381	(7)	(2%)
მოთხოვნამდე დეპოზიტები	358	358	296	296	57	19%
ვადიანი დეპოზიტები	346	346	270	270	76	28%
ნასესხები სახსრები	**1,188**	**1,188**	**1,023**	**1,018**	**168**	**17%**
მთლიანი ვალდებულებები	**248**	**248**	**214**	**213**	**37**	**17%**

2018 წელს გაზისბანკის ფინანსური პოზიცია გამყარდა. მისი საქმიანობის შედეგად გაზარზე განკის პოზიციონირება გაუმჯობესდა. გაზისბანკმა მთლიანი სასესხო პორტფელის მიხედვით სიდიდით მე-7 განკის პოზიციიდან მე-6-ზე გადაინაცვლა. ამასთან, განკი მყარად ინარჩუნებს გაზარზე მთლიანი აქტივებით მე-6 და სააქციო კაპიტალით მე-5 პოზიციებს.

მთლიანი აქტივები 2018 წლის ბოლოსთვის 17%-ით გაიზარდა. შედეგად, 2018 წლის დეკემბერში მთლიანი აქტივები 1,4 მილიარდ ლარს შეადგენდა. აქტივების წლიური ზრდა ძირითადად სასესხო და ფასიანი ქაღალდების პორტფელის ზრდით იყო გამოწვეული. სასესხო პორტფელის წმინდა ზრდამ აქტივების მთლიანი ზრდის 70% შეადგინა, ფასიანი ქაღალდებმა - 16%.

მთლიანი სასესხო პორტფელი 18%-ით გაიზარდა (142 მილიონი ლარით) და წლის ბოლოს კი 916 მილიონი ლარი შეადგინა. ტრადიციულად, განკი კრედიტებს უფრო მეტად გიზნეს-სეგმენტზე გასცემს, ვიდრე საცალო სეგმენტზე. გაზისბანკი გაზარზე გიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი ლიდერი განკია. მას ერთგულ კლიენტთა ძლიერი გაზა აქვს, რომელიც ინდუსტრიის ლიდერებთან და მცირე და საშუალო მეწარმეებთან - რეალური ეკონომიკის რეალურ მამოძრავებელ ძალასთან გრძელვადიანი თანამშრომლობით მოიპოვა. 2018 წლამდე მთლიან პორტფელში გიზნესსესხების წილი 80%-მდე იყო. 2018 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 75%-ს შეადგენდა. გიზნეს-სესხები 78 მილიონი ლარით, ანუ 13%-ით გაიზარდა წლის განმავლობაში, წლის ბოლოს კი 695 მილიონ ლარიანი პორტფელით დასრულდა. მთლიანი სასესხო პორტფელი საკმარისადაა დივერსიფიცირებული - განკი აქტიურად აფინანსებდა ტურიზმისა და სასტუმროების სექტორს, უძრავი ქონების მართვის და მშენებლობის, ვაჭრობის და მომსახურების სეგმენტებს. განკის რისკების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ინდუსტრიის კონცენტრაციის ლიმიტებს (მაქსიმალური პოზიცია მთლიანი სასესხო პორტფელის 15%), რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი სექტორული კონცენტრაცია დაბალ დონეზე ნარჩუნდება და ძირითადად სტაბილურია.

მთლიან პორტფელში საცალო სესხების წილი სტაბილური იყო და 2018 წლის ბოლოს გაზრდილი, 24%-იანი წილი დააფიქსირა (2017: 20%). 2018 წელს, განკმა უფრო მეტი საცალო სეგმენტის კლიენტის მოზიდვის მიმართულებით დამატებითი ძალისხმევა გაიღო. ამან თავის მხრივ ფართო აუდიტორიაზე გაზრდილი ცნობადობა გამოიწვია. საცალო სესხებმა საკმაოდ დიდი ზრდა აჩვენა, წლიურად 64 მილიონი ლარით (41%-ით) გაიზარდა და მთლიანი პორტფელის ზრდაში 45%-იანი წვლილი შეიტანა.

საცალო გიზნესში გაზისბანკის ძლიერება მომსახურების ხარისხს ეყრდნობა. გაზისბანკი ერთგულად მიჰყვება მიზანს, კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობა დაამყაროს, მათ მორგებული, ხარისხიანი პროდუქტები და მომსახურება შესთავაზოს. განკის მთავარი სტრატეგია გაზრის უფრო დიდი წილის მოპოვებაა. 2019 წელს, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახლადშემოღებული სტანდარტების გამო, რთული იქნება საცალო პორტფელში ამგვარი ზრდის შენარჩუნება. სირთულეების მიუხედავად, განკი მუშაობს მიწოდების არხების ინოვაციაზე, რათა სამომხმარებლო სესხებზეც ასეთი ტემპი შეინარჩუნოს, კონცენტრაციის კოეფიციენტები კიდევ უფრო გააუმჯობესოს და გაზარდოს განკის პორტფელის წმინდა მარჟა.

აქტივების ხარისხი და სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები. ბანკმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მთლიანი სასესხო პორტფელის და აქტივების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. სესხების გაუფასურების რეზერვის კოეფიციენტი 2018 წლის ბოლოსთვის 2,1%-დან 1,7%-მდე შემცირდა. ეს მთლიანი სასესხო პორტფელის უკეთეს კომპოზიციაზე მეტყველებს. ამასთან, უმოქმედო (მესამე ეტაპის) სესხების კოეფიციენტმა (დარეზერვების გარეშე) 2018 წელს პორტფელის 2,8% შეადგინა (2017: 4,3%).

სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები 2018 წლის ბოლოს 15,6 მილიონი ლარი იყო, რაც 2017 წლის ბოლოსთან შედარებით 0,7 მილიონი ლარით ნაკლებია. ამის მიზეზი 2017 წელთან შედარებით აქტივების გაუმჯობესებული ხარისხი და 2018 წლის 1 იანვრიდან IFRS9 სტანდარტებზე გადასვლის შედეგია (ცვლილებების წმინდა შედეგმა 0,9 მილიონი ლარი შეადგინა), რაც მთლიან სასესხო პორტფელში რეზერვების (IAS 39 შედარებით) შემცირებით დასრულდა.

ცვლილებები მთლიან ვალდებულებებში. ვალდებულებების ზრდა მნიშვნელოვანი იყო: წლიური 17%. ვალდებულებების მთლიანი ზრდის 45% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე (76 მილიონი ლარის წმინდა ზრდა 2017 წლის შედეგებთან შედარებით), 30% (50 მილიონი ლარი) კლიენტებისგან დაფინანსებაზე, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი შიდა ნასესხებ სახსრებზე მოდის. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების ინსტრუმენტით 29 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების პორტფელითაა უზრუნველყოფილი.

კლიენტთა დეპოზიტები. ბანკის მთავარი დაფინანსების გაზა კლიენტთა დეპოზიტებია, რომლებიც 727 მილიონ ლარს და მთლიანი დაფინანსების 60%-ს შეადგენს. წლიდან წლამდე დეპოზიტების პორტფელი 7%-ით გაიზარდა, ანუ თანხობრივად 50 მილიონი ლარით 2017 წლის ბოლო პერიოდთან შედარებით. ამგვარი ზრდის მთავარი ფაქტორი ფიზიკური პირების დეპოზიტების 30%-იანი ზრდა იყო. იურიდიული პირების და სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების დეპოზიტების მაჩვენებელი უცვლელი, 297 მილიონი და 164 მილიონი ლარი იყო. წლის ბოლოს, პორტფელის 63%-ს კორპორაციული დეპოზიტები შეადგენდა (2017 წელს 70%). აქედან 23% დაფინანსებული იყო სახელმწიფოსთან დაკავშირებული კომპანიებით (ანუ კაპიტალის 75%), 11% კი დაკავშირებული მხარეების დეპოზიტები იყო (21% 2017 წლის ბოლოს). მთავარი მიზეზი დაკავშირებული მხარეების - იურიდიული პირების ნაშთების დაგეგმილი ათვისება იყო, რომელიც დაგეგმილი პროექტების დასაფინანსებლად იყო მიმართული.

სხვა დაფინანსება. სხვა დაფინანსების ძირითადი წყარო 2018 წელს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული ვადიანი სესხები იყო, 346 მილიონი ლარი, და 100 მილიონი ლარი ბანკთაშორისი სესხები. ჯგუფმა ბაზარზე გაზრდილი აქტივობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან დამატებით მოზიდული სახსრებიდან დააფინანსა. ნასესხები სახსრები წლიურად 28%-ით გაიზარდა და დაფინანსების მხრიდან მთლიანი აქტივების ზრდის 37% შეადგინა.

2018 წლის განმავლობაში ბანკმა განაგრძო სტაბილური თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტებთან და დამატებით დაუკავშირდა რამდენიმე ახალ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს. ბანკის დიდი

ხნის პარტნიორებმა: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), გლუ ორჩარდმა, აზიის განვითარების ბანკმა (ADB), ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD), ურუმჩის ბანკმა, ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდმა და სხვებმა ბანკს დაახლოებით 180 მილიონი ლარის რესურსი გამოუყვეს. ბანკმა დაახლოებით 47 მილიონი ლარი მოიზიდა ახალი პარტნიორებისგან, როგორებიცაა გლობალური კლიმატის საპარტნიორო ფონდი (ResponsAbility), ფონდი „სიმწვანე ზრდისთვის“ (Finance-in-Motion) და ევროპის საფინანსო ასოციაცია (EFA).

ბაზისბანკი ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, კლიენტებს ეხმარება ენერგოეფექტური პრაქტიკის დამკვიდრებაში და თავიანთ საწარმოებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში. ევროპასთან (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება Deep and Comprehensive Free trade Agreement (DCFTA)) და ჩინეთთან არსებული სავაჭრო შეთანხმებები ადგილობრივი ბიზნესისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. თუმცა, ბაზრების გახსნა ადგილობრივ ფირმებს შორის კონკურენციას ამძაფრებს და დამატებით ძალისხმევას და შესაძლებლობების ასათვისებლად მნიშვნელოვან ფინანსებს მოითხოვს. სახსრებზე დამატებითი საჭიროების გათვალისწინებით, ბაზისბანკმა EBRD-სთან, ResponsAbility-სთან და სხვა დონორებთან ხელი მოაწერა ახალ პროექტებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.

მსხვილ ეკონომიკურ პარტნიორებთან, ჩინეთთან და ევროგაერთიანებასთან არსებული სავაჭრო შეთანხმებები ადგილობრივი კომპანიების განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ამასთან, მთავრობის მიერ ინიცირებული ხელსაყრელი და ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკა, საერთაშორისო დონორების მიერ შექმნილი წამახალისებელი გარემო (ახალი სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად), ხელსაყრელი მდებარეობა და სხვა იმედისმომცემი პირობები უკეთესი ბიზნესგარემოს შექმნის წინაპირობებია, რაც ბაზისბანკს ხელს შეუწყობს ზრდასა და დივერსიფიცირებული დაკრედიტების და ინვესტიციების შესაძლებლობების ათვისებაში.

დაფინანსება და ლიკვიდობა

2018 წელს ბანკმა სტაბილური დაფინანსება და მაღალი ლიკვიდობა ადგილობრივი კლიენტებისა და საერთაშორისო პარტნიორებისგან მოზიდული სახსრებით შეინარჩუნა. დაფინანსების სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია, მნიშვნელოვანი წილი მიმდინარე და მოთხოვნამდე კლიენტთა სახსრებზე მოდის, რაც ფასწარმოქმნის ზეწოლას ამცირებს. 2018 წელს ფულადი სახსრების მიმოქცევაში არსებული გარღვევების აღმოსაფხვრელად და ლიკვიდობის პოზიციის მხარდასაჭერად ბანკმა დაფინანსების გაზა ვადიანი ნასესხები სახსრებით გაზარდა.

მოზიდული სახსრები	2018	2017
სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობა	126%	114%
ლიკვიდური აქტივები მთლიან ვალდებულებებთან	40%	42%
ლიკვიდური აქტივები მთლიან აქტივებთან	33%	35%

2018 წლის ბოლოს ბანკმა ლიკვიდური აქტივების წილი მთლიან აქტივებში 33%-ის დონეზე შეინარჩუნა. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტმა 171% შეადგინა (124% 2017 წელს). ლიკვიდობის რეზერვი ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, მაღალლიკვიდურ აქტივებს, დავალიანების არმქონე აქტივებს, რომლებიც რეპოოპერაციებისთვისაა განკუთვნილი და ბანკებისგან აღებულ ვალდებულებების ხაზებს მოიცავს. მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით ბანკი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს ბაზელი 3-ის სტანდარტის მიხედვით ინარჩუნებს, რომლითაც ბანკს მოეთხოვება 100%-იანი ლიკვიდობის გადაფარვა 30 დღიანი მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობისთვის. ლიკვიდური აქტივების მოცულობა ჩვენი ყოველდღიური ლიკვიდობის სტრეს-ტესტის შედეგების მიხედვით დგება, როგორც აგრეგირებულ, ისე ცალკეული ვალუტების დონეზე. 2018 წლის ბოლოს ბანკის ლიკვიდობის პოზიცია 30 დღის ფულადი სახსრების გადინებისთვის ასეთი იყო:

ლიკვიდობის მოთხოვნა (მლნ. ლარი)	2018	2017
მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები	385	364
მთლიანი შემოდინება	9	7
მთლიანი გადინება	234	264
წმინდა გადინება	225	257
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR, %)	171%	142%

კაპიტალის ადეკვატურობა და საზედამხედველო ნორმების შესრულება

ბანკის კაპიტალიზაცია კვლავ ძლიერია: 2018 წლის ბოლოს ის 18,1%-ს შეადგენდა, 2017 წლის ბოლოს - 19%-ს. კაპიტალის მოთხოვნა იანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის“ მიხედვით, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრიდან შევიდა ძალაში. რეგულაციის პრინციპები კაპიტალის იმ ბაზას ეყრდნობა, რომელიც დააწესა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა ბაზელი 3 სერიით, და 2013 წლის 26 ივნისს დამტკიცებული ევროგაერთიანების 575/2013 დირექტივებითა და რეგულაციებით. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები ორი პილარით განისაზღვრება: 1-ლი პილარი ადგენს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს; მე-2 პილარი - საზედამხედველო განხილვის პროცესს, კაპიტალის ბუფერის მოთხოვნის წესს კომერციული ბანკებისთვის.

მარეგულირებელი ბაზის 1-ლი პილარი ადგენს რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს, რომელიც მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო და საოპერაციო რისკებს.

საკრედიტო რისკის პოზიციების გაანგარიშების შესახებ არსებული წესის თანახმად, ბანკი სტანდარტიზებულ მიდგომას იყენებს. საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნები იანგარიშება საბაზისო ინდიკატორის მიდგომით და 15%-ს ანაწილებს წინა სამი წლის მანძილზე წმინდა საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლიდან მიღებულ საშუალო მთლიან შემოსავალზე.

1-ლი პილარის ჩარჩო მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს შემდეგნაირად ადგენს:
- პირველი საფეხურის ჩვეულებრივი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი 4,5%
- პირველი საფეხურის კაპიტალის კოეფიციენტი 6%
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები 2018 და 2017 წლების ბოლოს:

მლნ. ლარი	2018	2017
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1,125.1	903.9
მათ შორის:		
საბალანსო ელემენტები	1,032.5	849.8
გარესაბალანსო ელემენტები	92.6	54.1
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1.7	0.7
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	101.0	75.6
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**1,227.8**	**980.3**

1-ლი პილარით განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად, ბანკს მოეთხოვება შემდეგი კომპონენტებისგან შემდგარი მოთხოვნების შესრულება:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება, როგორც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5% და განსაზღვრულია სტრესის შემთხვევაში ზარალის დაფარვას;
- კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი - ბაზელი 3-ის ფარგლებში შეიქმნა და ერთ-ერთი მთავარი მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტია. მისი მიზანია კრედიტის ისეთი ზრდის შეზღუდვა, რომელიც სისტემური რისკების დაგროვებას იწვევს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მთელი რიგი ფაქტორების ანალიზი, მათ შორის სესხების მშპ-სთან ფარდობის კოეფიციენტი და გრძელვადიანი ტრენდიდან გადახვევის ინდიკატორები; დაკრედიტების ტრენდები, ქვეყნის მაკროფინანსური გარემოს სხვა ინდიკატორები და მახასიათებლები და ა.შ. 2018 და 2017 წლის ბოლო კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 0%-ის დონეზე დაადგინა.
- სისტემურობის ბუფერები - ამ ბუფერებს ადგენენ ცალკე თითოეული კომერციული ბანკისთვის, რომელიც სისტემურად მნიშვნელოვან ბანკად მიიჩნევა. ის ბაზისბანკისთვის რელევანტური არ არის და 2018 და 2017 წლებში 0%-ზე დაადგენეს.

მე-2 პილარი ეხება საზედამხედველო განხილვის და შეფასების პროცესს, რომლის დროსაც საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ბანკების მიერ განხორციელებულ სისტემატიზაციას, სტრატეგიებს, პროცესებს და მექანიზმებს და აფასებს ამ ღონისძიებების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლებიც ამ ფინანსური ინსტიტუტის წინაშე შეიძლება იდგეს. 1-ლი პილარით განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად, ბანკებს კიდევ უნდა ჰქონდეთ კაპიტალის ბუფერები იმ რისკებისთვის, რომლებიც 1-ლი პილარით არაა გათვალისწინებული. (მათ შორის საბაზრო რისკები, რომლებიც 1-ელ პილარში არ შედის, კონცენტრაციის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, ლიკვიდობა, სტრატეგია, რეპუტაცია და ა.შ.)


- არაჰეჯირებული ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელიც სახელის და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებს მოიცავს;
- წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი, რომელიც წესდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრირებული სტრეს-ტესტების მიხედვით;
- წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც წესდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზოგადი რისკების შეფასების პროგრამის და ბანკის შიდა კაპიტალის შეფასების მიხედვით.

კაპიტალის ადეკვატურობა

მლნ. ლარი	2018	2017
ძირითადი პირველადი კაპიტალი	207.9	175.6
მეორადი კაპიტალი	14.1	11.4
სულ საზედამხედველო კაპიტალი	222.0	187.0
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, RWA	1,227.8	980.3
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	18.1%	19.1%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	16.9%	17.9%



რისკის პროფილი და რისკების მართვის სისტემა



რისკის პროფილი და რისკების მართვის სისტემა

რისკების მართვის სისტემა


ჯგუფის სტრატეგია მისი მიზნესმოდელის დივერსიფიცირებაზე, ოპერაციული სიმძლავრეების ამოქმედებით ბაზარზე განვითარებასა და კონკურენტული პოზიციის გამყარებაზეა ორიენტირებული. ჩვენი სტრატეგიული ღონისძიებების მიზანია ბაზრის უფრო დიდი წილის ათვისება და ამით ბანკის ბაზარზე უფრო ძლიერ მოთამაშედ გადაქცევა, რომელსაც კლიენტთა ძლიერი ბაზა და კაპიტალის ჯანსაღი სტრუქტურა უმაგრებს ზურგს.

რადგან ბანკის საქმიანობის ნებისმიერ დროს კაპიტალის ადეკვატური დონის უზრუნველყოფა სავალდებულოა, ამიტომ რისკის სტრატეგიის შემუშავება და კაპიტალის ადეკვატურობის დაგეგმვა (რაც ზოგად სტრატეგიულ დაგეგმვაში შედის) ფინანსური ინსტიტუტების მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჯგუფის რისკების სტრატეგია მისი მიზნეს-სტრატეგიიდან გამომდინარეობს და ჯგუფის რისკის აპეტიტს, სტრატეგიულ და კაპიტალის გეგმებს ეფუძნება. მისი მიზანი რისკების, კაპიტალის და შედეგების მიზნობრივი მაჩვენებლების თანხვედრაა. რისკების სტრატეგიას სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს. მასში ცვლილებების შეტანა აუცილებელია ბანკის სტრატეგიის განახლებისას ნებისმიერ დროს, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ინსტიტუტისთვის.

რისკების და კაპიტალის მართვა პრინციპების, ორგანიზაციული სტრუქტურების და შეფასების და მონიტორინგის პროცესების სისტემის საშუალებით ხდება და თანხვედრაშია განყოფილებების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან. კონტროლის ერთიანი სისტემა, ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები, მკაფიოდ დელეგირებული უფლებამოსილებების დონეები და ყოვლისმომცველი ანგარიშგება ჯგუფის რისკის მართვის ძირითადი კომპონენტებია.

მენეჯმენტის ანგარიშგების სისტემა იმგვარადაა აწყობილი, რომ რისკების მართვის ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. რისკების მართვის პროცესები ხელს უწყობს რისკების სტრატეგიის განხორციელებას ბანკის ყოველდღიურ პროცესებში. ამგვარად, რისკების მართვა გამჭვირვალობის შექმნის და რისკების შემცირების მუდმივი პროცესი ხდება. თავისი ამოცანების შესრულებისას, რისკების მართვა ხუთ ცალკეულ პროცესად იყოფა: გამოვლენა, შეფასება, კონტროლი, ანგარიშგება და მართვა. საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ყველა მატერიალური ტიპის რისკი, ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკები: მათ შორის საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები, ოპერაციული, ლიკვიდობის, საზედამხედველო და რეპუტაციული რისკები რისკების მართვის შესაბამისი პროცესების მეშვეობით იმართება. რისკის და კაპიტალის მოთხოვნის რაოდენობრივი გამოსახვის მოდელირების და შეფასების მიდგომები ყველა მატერიალური რისკის ტიპზე ვრცელდება.



ჯგუფი აწესებს რისკის აღების და რისკების მართვის პრინციპებს, რაც აისახება წესებსა და პოლიტიკაში და თანმიმდევრულად გამოიყენება ორგანიზაციის მასშტაბით. ეს ძირითადი პრინციპებია:

- პრუდენციული რისკების მიღება რისკების ყოვლისმომცველი შეფასებით და კონტროლის გარემოთი;
- მონიტორინგის და ანგარიშგების ადეკვატური და ეფექტიანი სისტემა;
- რისკების სათანადო რაოდენობრივი გამოსახვა შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკის ზომის და კომპლექსურობის გათვალისწინებით;
- ყველა არსებული საზედამხედველო მოთხოვნის და ინსტრუქციის შემუშავება და შესრულება, საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- რისკების ეფექტიანი მმართველობის განხორციელება რისკების კონტროლის შესაბამისი სტრუქტურის არსებობის მეშვეობით, რომელიც ბიზნეს-საქმიანობისგან დამოუკიდებელია, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.
- რისკების მართვის პრინციპების დაცვაზე დაკვირვება ახალი საქმიანობის და ბიზნესმიმართულებების დაწყების ან პროდუქტების ექსპლუატაციაში გაშვების დროს.

რისკების მართვა

ჯგუფმა შეიმუშავა რისკების მართვის სისტემა, რომლის მიზანია სტაბილური და სანდო ფინანსური ინსტიტუტის იმიჯის შექმნა. რისკების მართვის მთავარი მოვალეობები დირექტორთა საბჭოს ფუნქციებშია გაწერილი და შემდეგ უფროს რისკების მენეჯერებსა და განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ უფროს რისკების მართვის კომიტეტებზეა დელეგირებული. ჯგუფის მასშტაბით რეგულარულად ტარდება რისკების ჯვარედინი ანალიზი და შემოწმება, რათა დარწმუნდნენ, რომ არსებობს რისკების მართვის ჯანსაღი პრაქტიკა და რისკების ერთიანი ცნობადობა.

ფინანსური ბაზრების ცვალებადობის და მაკროეკონომიკური მდგომარეობის არამდგრადობის ფონზე, რისკების მართვის ფუნქცია უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.


რისკების მართვის სტრუქტურა ბაზისბანკში

სტრატეგიულ დონეზე, რისკების მართვის ამოცანები, რომლებსაც მხარს უჭერს რისკების მართვის სტრუქტურა, არის:

- ჯგუფის რისკის აპეტიტის და კაპიტალის გეგმის მიხედვით ბანკის სტრატეგიის შემუშავება;
- რისკების რეაგირების გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია მიზნესთან მაქსიმალური მიახლოების გზით;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მიზნესის ზრდის გეგმებს სათანადოდ მხარს უჭერს რისკების ეფექტიანი ინფრასტრუქტურა;
- რისკების პროფილის იმგვარად მართვა, რომ მისი ფინანსური სიჯანსაღის შენარჩუნება შესაძლებელი იყოს მიზნესისთვის უაღრესად არასახარბიელო პირობების დადგომისას.

ბანკის რისკების მართვის მძლავრი და ჯანსაღი სისტემა მოიცავს:

- სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე: დამოუკიდებელ აუდიტის კომიტეტს, რომელიც პირდაპირ საბჭოს ექვემდებარება და აწვდის მიუკერძოებელ ინფორმაციას არსებული პოლიტიკის და პროცედურების ადეკვატურობის შესახებ, ჯგუფის რისკის სტრატეგიის დაცვის, რისკის აპეტიტის, საზედამხედველო ნორმების დაცვის და სხვა შიდა და გარე რეგულაციების შესახებ;
- დირექტორთა საბჭოს დონეზე, ბანკმა ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული და რისკის პროფილის კომიტეტები საკრედიტო, რისკების მართვის, აქტივების და ვალდებულებების მართვის, რათა დაიცვას რისკების მართვის პრაქტიკა და უზრუნველყოს რისკების მართვის და გადაწყვეტილებების მიღების ჯანსაღი პრაქტიკის არსებობა;
- რისკების მართვის ანალიტიკური და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები;
- ფინანსური და მენეჯმენტის ანგარიშგების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს საზედამხედველო მოთხოვნას და დირექტორთა საბჭოს საჭიროებებს.
- იმ სხვადასხვა ტიპის რისკის მიკვლევა და კლასიფიკაცია, რომლებიც ჯგუფის წინაშე პოტენციურად დგას;
- პოლიტიკა, პროცედურები და ინსტრუქციები, რომლებიც განაგებს ორგანიზაციის შიგნით რისკების მართვას.


სამეთვალყურეო საბჭო
აუდიტის კომიტეტი
შიდა აუდიტი
აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო
რისკების დირექტორი აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წევრი
აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს დონეზე არსებული კომიტეტები
საკრედიტო კომიტეტი
ALCO (აქტივებისა და ვალდებულებების) კომიტეტი
რისკების მართვის კომიტეტი
დეპარტამენტი
რისკების მართვის დეპარტამენტი
განყოფილება
საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება
საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება
ზედამხედველობისა და შეფასების განყოფილება
ფინანსური მონიტორინგის განყოფილება
პრობლებური აქტივების მართვის განყოფილება
ერთეული
შესაბამისობის ჯგუფი
კორპორატიული საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი
საცალო საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი
კოლექტორების ჯგუფი
იურიდიული აღსრულების ჯგუფი
შემფასებელთა ჯგუფი
მომხმარებელთა მომსახურების მართვისა და ხარისხის კონტროლის ჯგუფი
რიკების ანალიზის, პერმანენტული კონტროლისა და მეთოდოლოგიის ჯგუფი

რისკების მართვის სტრუქტურა ბანკში უზრუნველყოფს მოვალეობების განცალკევებას ბანკის ყველა დონის პერსონალზე, უფროსი მენეჯმენტით დაწყებული, მართვის ერთეულებით და ფრონტ ოფისის პერსონალით დამთავრებული.
სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რისკების მართვის ჯანსაღი გაგება აქვთ და ესმით მისი მნიშვნელობა ბანკის და ჯგუფის მდგრადი და სტრატეგიული განვითარებისთვის.
სამეთვალყურეო საბჭო „ქმნის ამინდს“, ამკვიდრებს და იცავს მაღალი ეთიკის და პასუხისმგებლობის კულტურას. საბჭო ამტკიცებს და აკონტროლებს ბანკის სტრატეგიის განხორციელებას და მის ბიუჯეტს, ამტკიცებს რისკების ცალკეულ სტრატეგიებს, რითაც ადგენს რისკების მართვისადმი ზოგად მიდგომას.

აუდიტის კომიტეტი კონტროლის დამოუკიდებელი ფუნქციაა, რომელიც რეგულარულად იხილავს შიდა კონტროლებს და პროცესებს; იხილავს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას, აფასებს მის ობიექტურობას და სისწორეს; ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას; ამტკიცებს ან საბჭოს რეკომენდაციას უწევს ფინანსური აღრიცხვის პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებით; ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობას, განსაკუთრებით შიდა კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობას. აუდიტის კომიტეტი საბჭოს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშგებას რისკების ძირითადი პორტფელების და რისკების სტრატეგიის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს მხარს უჭერს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში; მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის მიერ კანონის მოთხოვნების, წესების და შიდა პოლიტიკის შესრულებას.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე კანონის და წევრების კომპეტენციის და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულების შესაბამისად და საქმიანობას ბანკის მთავარი მიზნების და ამოცანების შესაბამისად ახორციელებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ეფექტიანი მიზნესორგანიზაციის დაარსებაზე და უზრუნველყოფს მოვალეობების სათანადო განცალკევებას და სუბორდინაციას; მიზნესს ანიჭებს სტრუქტურას, რომელიც ითვალისწინებს რისკის ფაქტორს; უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურების არსებობას, მათ შორის ყველა პოლიტიკის დოკუმენტის და პროცედურის საბოლოო დამტკიცებას (სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენამდე), მათ განხორციელებამდე.

მენეჯმენტის ზედამხედველობის და კონტროლის კულტურა გულისხმობს დირექტორთა საბჭოს ჩვეულებრივ საქმიანობაში შიდა კონტროლის მთავარი კომპონენტების შეტანას. დირექტორთა საბჭოს კონტროლის ფუნქციაში

შედის შედეგების განხილვა და პროგრესის მიმართვა სტრატეგიული მიზნებისკენ, საქმიანობის კონტროლი განყოფილებების და დეპარტამენტების დონეებზე, ბანკის სტრატეგიის და რისკის და კაპიტალის ლიმიტების რეგულარული განხილვა და პოზიციის და კაპიტალის ლიმიტების შესრულების უზრუნველყოფა; შეუსრულებლობის შემთხვევებზე რეაგირება, რათა შესაბამისი დონის მენეჯმენტი ინფორმირებული იყოს ამ ტრანზაქციის ან სიტუაციის შესახებ და დამკვიდრდეს ანგარიშვალდებულების პრაქტიკა; გარკვეულ ლიმიტებზე ზემოთ განხორციელებულ ტრანზაქციებზე დამტკიცების და ავტორიზაციის მოთხოვნა; შიდა კონტროლის სისტემების შეფასების განხილვა; აუდიტორების და საზედამხედველო ორგანოების მიერ შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეებთან დაკავშირებით გამოთქმულ წუხილსა და რეკომენდაციებზე სწრაფი რეაგირება.

შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა მნიშვნელოვანი რისკების აღმოჩენას და მუდმივ შეფასებას მოითხოვს. ამ პროცესმა უნდა მოიცვას ბანკების მიერ აღებული ყველა რისკი და ბანკის შიგნით ყველა დონეზე უნდა მუშაობდეს. ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ეხება საკრედიტო, საოპერაციო და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას, ბანკს საშუალებას აძლევს, რისკები შიდა დონეზე გაზომოს, გააერთიანოს და განაცხადოს, ასევე ეს ინფორმაცია გამოიყენოს საზედამხედველო მიზნებისთვის. ასევე, ბანკის შიდა მეთოდოლოგიასა და სახელმძღვანელოებში აღწერილია პროცესები კრედიტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და კრედიტის გაცემიდან, ფასწარმოქმნიდან და დამტკიცებიდან დაწყებული, პორტფელის მართვით და კაპიტალის ადეკვატურობით დამთავრებული.

რისკების ზოგადი ზედამხედველობის და მართვის უზრუნველსაყოფად დირექტორთა საბჭო ბანკის შიგნით ქმნის კომიტეტებს და ფუნქციურ ერთეულებს.

რისკების მართვის კომიტეტი მეთვალყურეობას უწევს ბანკის რისკის პროფილს, აფასებს ძირითადი რისკების ადეკვატურობის მოთხოვნებს, მათ შორის რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს; ბანკის შიგნით მსჯელობს და ათანხმებს რისკის პროფილის და რისკების სტრატეგიის ქმედებებს; იხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებელ ყველა პოლიტიკის და სხვა დოკუმენტს მათ საბჭოში წარდგენამდე; შიდა აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს ბანკის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტიანობას; იხილავს შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული რისკების მართვის ტესტების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; პერიოდულად იხილავს არსებულ ლიმიტების სისტემას.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) იხილავს არსებულ და სამომავლო ლიკვიდობის პოზიციებს და

მონიტორინგს უწევს ალტერნატიული დაფინანსების წყაროებს; იხილავს ვადიანობის/ხელახალი ფასწარმოქმნის გრაფიკს, რა დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დიდი ოდენობით აქტივების ვადიანობის გადანაწილებას და ვადადამდგარ ვალდებულებებს; შეიმუშავებს დეპოზიტების, სესხების და ინვესტიციების ფასწარმოქმნის და ვადიანობის გადანაწილების პარამეტრებს; შეიმუშავებს იმ ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთების და ტრენდების ცვლილებებს, დეპოზიტებს და სასესხო პროდუქტებს, მათთან დაკავშირებულ საბაზრო/საბანკო რეგულაციებს და ა.შ. დამოუკიდებლად იხილავს ALM მოდელ(ებ)ის და პროცედურების კომპონენტების, წინასწარი გაანგარიშებების და შედეგების დადასტურებას და მართებულობას; ამტკიცებს კონტრაგენტის რისკის ლიმიტის სტრუქტურას.

საკრედიტო კომიტეტი მოქმედებს ბანკის ინტერესებით, შიდა პოლიტიკის და პროცედურების თანახმად; აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და მათ მიერ კრედიტის დაფარვის უნარს; იხილავს სასესხო განაცხადებს და იღებს მათზე გადაწყვეტილებებს კომიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; იხილავს ამოღების პრაქტიკას დაკრედიტების სტანდარტების და ამოღების გაუმჯობესების მიზნით.

რისკების მართვის დირექტორი დირექტორთა საბჭოს წევრი და უმაღლესი დონის ხელმძღვანელი პირია, და პასუხისმგებელია რისკების საერთო მართვაზე საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული რისკების სფეროებში. ის ხელმძღვანელობს, უძღვება აყალიბებს ხედვას და მიმართულებას აძლევს „საწარმოს რისკის მართვას“ (ERM) და შეიმუშავებს მენეჯმენტის პოლიტიკის გაზას, მათ შორის ბანკის საერთო რისკის აპეტიტს. მის პასუხისმგებლობებში შედის: რისკების ყოვლისმომცველი კონტროლი და რისკების გაზომვის მეთოდების შემუშავების გაგრძელება; რისკების რაოდენობრივი გამოსახვა და რისკების ლიმიტის დადგენა, რისკების აღრიცხვის სისტემის შექმნა, საბჭოსთვის და მთავარი დაინტერესებული მხარეებისთვის რისკის პროფილის მკაფიო ხედვის წარდგენა. მას პირდაპირი იოლი წვდომა აქვს სამეთვალყურეო საბჭოზე, სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ბანკის რისკის პროფილის, განსაზღვრული რისკის აპეტიტის დაცვის, და იმ მნიშვნელოვანი შიდა და გარე მოვლენების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ბანკის რისკებზე.

რისკების მართვის დეპარტამენტი აფასებს საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს, რომლებიც სხვადასხვა ტრანზაქციას ან ოპერაციას უკავშირდება და ადგენს წინადადებებს სტრუქტურაში, პროცედურებსა და დებულებებში საჭირო ცვლილებების შესახებ; მართავს და აფასებს საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს; შეიმუშავებს ICAAP-ის (კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი) და GRAPE-ის (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) გაზას, რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციით; შეიმუშავებს და შემოიღებს რისკების შემცირების მეთოდებს, რომლებიც კონკრეტულად საკრედიტო რისკების მართვას უკავშირდება; აფასებს ბანკის მიერ დაკრედიტების მხრივ გაწეულ მუშაობას და ადარებს გასულ პერიოდებს; იხილავს ყველა პოლიტიკას და პროცედურას დირექტორთა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე.

რისკის აპეტიტი და ტევადობა/ რისკის ძირითადი პარამეტრები

რისკის აპეტიტი რისკის ის ოდენობაა, რომლის მისაღებადაც ორგანიზაცია მზადაა, ან რომლიც წინაშეც დადგება ნებისმიერ დროს. ცხადია, რომ ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი რისკის ნულამდე შემცირება შეუძლებელია, თუმცა, ხარჯების და სარგებელის სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, ბანკმა უნდა შეიმუშაოს მისი რისკების ტოლერანტობის ბაზა.

თითოეული მატერიალური ტიპის რისკის მართვა ბანკის რისკის ჩარჩოთია განსაზღვრული. ბაზისბანკის მიზანია მისი გრძელვადიანი რეიტინგის B+ სტაბილიზება და გაუმჯობესება და პორტფელის და რისკის შეგნებული მონიტორინგის ბიზნეს სტრატეგიასთან ჰარმონიზება. სარეიტინგო სააგენტომ FITCH 2018 წელს ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი B+ დაადასტურა, რაშიც ბანკის ჯერჯერობით გონივრული აქტივების ხარისხი და სოლიდური კაპიტალის ბუფერი აისახა.

ბაზისბანკის რისკის აპეტიტი დაწესდა, როგორც ლიმიტების სისტემა, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს, მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს შესაბამისი რისკ-ფაქტორების პოზიციას. ლიმიტების სისტემა ითვალისწინებს ICAAP-ის პროცესების შედეგად გამოვლენილ ყველა შესაბამის რისკის ტიპს.

ლიმიტებს განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო. ისინი უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიულ დაგეგმვას და გარე მოთხოვნებს (კანონის მოთხოვნებს კაპიტალისა და ლიკვიდობის შესახებ; ჯგუფის დონის/მფლობელის მოთხოვნებს). ბანკი რისკების შეფასებას სისტემურად ახორციელებს, სტრესტესტების და ICAAP პროცედურის საშუალებით. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და ლიკვიდობის პოზიცია რეგულარული ბენჩმარკის ანალიზის ფარგლებში, უფრო მკაცრი სტრესტესტების პირობებში ფასდება.

რისკის ძირითადი ტიპები/გამოვლენა და შეფასება

ჯგუფი ერთგულად ასრულებს მიზანს, ჰქონდეს რისკების მართვის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს, ეფექტიანად გამოავლინოს, გაზომოს, მონიტორინგს დაუქვემდებაროს და გააკონტროლოს ყველა რისკის პოზიცია. ჯგუფი ცდილობს, თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან მცდარ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, შეიმუშაოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემები და მისმა შიდა პოლიტიკამ და პროცედურებმა უზრუნველყოს რისკის ინფორმირებულობით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველდღიურ ბიზნეს-საქმიანობაში, რითაც მოახდენს პოტენციური რისკების მიტიგაციას. ბანკის დონეზე, ჯგუფი აკონტროლებს რისკის შემდეგ პოზიციებს:

საკრედიტო რისკი. ბანკის საკრედიტო სტრატეგიაა დივერსიფიცირებული და მომგებიანი სასესხო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება.
საკრედიტო რისკი, ცხადია, ბანკების და მათი საზედამხედველო ორგანოებისთვის რისკების ყველაზე

მნიშვნელოვანი ტიპია. ბანკში საკრედიტო რისკის მართვა რამდენიმე ქმედებას გულისხმობს, რომლებიც მის ყოველდღიურ საქმიანობაშია ჩართული:

რისკების მართვის სათანადო გარემოს შექმნა. საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტი და საკრედიტო სახელმძღვანელო შეეხება მიზნობრივ ბაზრებს, პორტფელის მიქსს, საფასო და არასაფასო პირობებს, ლიმიტების სტრუქტურას, დამამტკიცებელ ორგანოებს და გამონაკლისების დამუშავებას და მათზე ანგარიშის მომზადებას. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა მოიცავს ლიმიტების სისტემას, რომელიც ბანკის მიერ დადგენილია კონცენტრაციის რისკების, პოზიციის რისკის, სექტორის პოზიციის და ა.შ. კონტროლისთვის.

კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესი. ბაზისბანკში ეს გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების გათვალისწინებას კრედიტის გაცემის დროს. საკრედიტო პოზიციიდან და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს კრედიტის მიზნობრიობა, გადახდის წყაროები, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, უზრუნველყოფა და მისი სენსიტიურობა ეკონომიკაში და ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისადმი, მსესხებლის დაფარვების ისტორია და მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ისტორიული ფინანსური ტრენდები და ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები. საკრედიტო ანალიზის დროს, ყურადღება ექცევა მსესხებლის ბიზნეს-ექსპერტიზას, მსესხებლის ეკონომიკის სექტორს და სექტორში მის პოზიციას. ეს ელემენტები ქულების მინიჭების მოდელების შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც საცალო და კორპორაციული ბიზნესმიმართულებებისთვის შემუშავდა. ქულები სესხის დამტკიცების პროცესში ძირითადად ფასწარმოქმნის მიზნით გამოიყენება. კორპორაციული და საცალო დაკრედიტების დეპარტამენტები (რისკების მართვის ჯგუფის დაქვემდებარებაში) მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; თითოეული სესხის ფასწარმოქმნა კორექტირდება რისკის ფაქტორის, კლიენტის მინიჭებული ქულის და პროდუქტის რისკიანობის გათვალისწინებით.

სათანადო საკრედიტო ადმინისტრირების, გაზომვის და მონიტორინგის პროცესების შენარჩუნება. ეს მოიცავს ცალკეული მსესხებლების მდგომარეობასთან დაკავშირებული რიგი ძირითადი საკითხების რეგულარულ მონიტორინგს. ეს საკითხებია მსესხებლის ან შემხვედრი მხარის არსებული ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოვენანტების შესრულება, უზრუნველყოფის გადაფარვა, და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვების ვადაგადაცილებები. ის ასევე მოიცავს მთლიან სასესხო პორტფელში პოზიციის წილის მონიტორინგს მსესხებელთა კონკრეტული ტიპების გამო, რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ კონცენტრაციას ადგილი აქვს, როცა ერთ შემხვედრ მხარეზე, ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე, ან ეკონომიკის კონკრეტულ სფეროზე ან სექტორზე გაცემულია პირდაპირი ან არაპირდაპირი სესხების დიდი ოდენობა.

რეზერვების შეფასება. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგია IFRS9 სტანდარტის მიხედვით. ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელი ზარალისთვის გამოყოფს რეზერვებს IFRS9 სტანდარტის მიხედვით. დანაკარგების რეზერვები, რომლებიც იქმნება აქტივების და სხვა პირობითი ვალდებულებებისთვის, საკმარისი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელში არსებული ყველა მოსალოდნელი ზარალის დასაფარად. რისკის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც დანაკარგების რეზერვების გაანგარიშებისას გაითვალისწინება, არის: ა) შემხვედრი მხარის მხრიდან დეფოლტის და კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა; ბ) შემხვედრი მხარის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი დანაკარგები და რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში. საპროგნოზო ინფორმაცია მოცემულია „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების“ დოკუმენტში. ახალი მეთოდოლოგია საპროგნოზო ინფორმაციის შეტანის საშუალებას იძლევა, რომლის მიღებაც რაიმე ძალისხმევის ან არასათანადო ხარჯის გაწევის გარეშე შეიძლება და ამით ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს, უფრო ზუსტად შეაფასონ სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები. IFRS9-ის ახალი მიდგომა ECL შეფასების დროს ითვალისწინებს წარსულის მოვლენებს, მიმდინარე პირობებს და მომავლის ეკონომიკური პირობების პროგნოზებს. თავის შიდა დარეზერვების მოდელებში ბანკი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მაკროეკონომიკურ პროგნოზებს.

ბაზისბანკმა დანერგა IFRS9, რაშიც ჩართული იყვნენ ბანკის ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტები და „დელოიტ და ტუშის“ ექსპერტები. გრძელდებოდა კონკრეტული პროცესების და მიზნესკონტროლების განხორციელება, მათ შორის, ECL შეფასების პროცესის მხარდასაჭერად, შეიცვალა არსებული და დამკვიდრდა ახალი მიზნესპროცესები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) კალკულაციის პროცესის მართვას ერთობლივად ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების გუნდები. კონკრეტული პროცესების და მიზნესკონტროლების განხორციელება სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავდა ECL შეფასების პროცესის მხარდასაჭერად არსებულის შეცვლას და ახალი მიზნესპროცესების დამკვიდრებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ECL გაანგარიშების პროცესის მართვა განაწილებულია ფინანსური ანგარიშგების და რისკების ფუნქციებს შორის. ყველა გამოყენებული პარამეტრის შემოწმება და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა. ბანკმა 2018 წლის 1 იანვარს ამოქმედებული ახალი დარეზერვების მეთოდებით გაკეთებული 2018 ფინანსური წლის პროგნოზების უკუტესტირება განახორციელა.

ახალი სტანდარტების დანერგვამ უმნიშვნელო პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა IFRS კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თანხით 237 ათასი, გადასახადების შემდგომი გავლენა კი 202 ათას ლარს შეადგენდა.

პორტფელის ხარისხზე შესაბამისი ანგარიშგების შენარჩუნება. პორტფელის ხარისხი და დაკრედიტების ლიმიტები, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკით გაისაზღვრება, მუდმივად კონტროლდება საკრედიტო რისკების მენეჯმენტის მიერ და ბანკის მენეჯმენტს მასზე ინფორმაცია წარედგინება პორტფელის ანგარიშგების სახით. პორტფელის შესახებ ანგარიში შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება პორტფელი რეიტინგის კლასებზე, დაყოვნებულ თანხებზე, სექტორების მიხედვით პოზიციებზე და HHI (ჰერშმან ჰირფენდალის კონცენტრაციის ინდექსი) ინდექსზე, PD (დეფოლტის ალბათობა) დინამიკაზე, LGD (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) რიცხვებზე და ა.შ.

- ნარჩენი რისკი. უზრუნველყოფის ნარჩენი რისკის შესამცირებლად, უზრუნველყოფის გადაფარვის კალკულაციისას დაკრედიტების პროცესში და პორტფელის მართვისას ბანკი იყენებს დისკონტებს საბაზრო ღირებულებაზე/უზრუნველყოფის ღირებულებაზე. იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად (სულ მცირე წელიწადში ერთხელ) იხილავს უზრუნველყოფის ხელშეკრულების შაბლონს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები ახალი რეგულაციების მიხედვით ან უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მიღებული გამოცდილების შესაბამისად. უზრუნველყოფის მინიმალური გადაფარვა (არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური ოდენობა) დისკონტირებული ღირებულებების გამოყენებით საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით ცალკეულ მომხმარებელთა ტიპებისთვის განისაზღვრება.
- სტრესტესტირება. ბანკი რეგულარულად ახორციელებს სტრესტესტირებას არასახარბიელო მაკროეკონომიკური მოვლენების, ან აგრეგირების სხვადასხვა დონეზე ბანკის კონკრეტული მოვლენების საზედამხედველო კაპიტალის ბუფერებზე ზეგავლენის მონიტორინგისთვის. სტრესტესტები სხვა მოვლენებთან ერთად ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის ისეთ მოვლენებს, როგორიცაა რეცესია, ვალუტის კურსის მერყეობის შედეგები, დასაქმების დონის შემცირება; ასევე ტარდება სექტორისთვის დამახასიათებელი სტრესტესტები, გათვალისწინებულია საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე დიდი პოზიციის დეფოლტი. საზედამხედველო სტრესტესტის შედეგებიდან გამომდინარე ფინანსური ზარალისთვის 2018 წელს რამე დამატებითი რეზერვი არ შექმნილა.

ლიკვიდობის რისკი. ბანკი ლიკვიდობას მართავს ბაზელი 3 ის ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგიის და სხვა შიდა შეფასების მოდელების მიხედვით, რომლებიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით შემუშავდა, ხოლო ლიკვიდობის რისკებს მართავს ALM (Asset and Liability Management აქტივ-პასივების მართვა) პოლიტიკის და ლიკვიდობის მართვის შიდა პოლიტიკის თანახმად, რომელშიც მოცემულია ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიკვიდობასთან დაკავშირებული ლიმიტების სისტემა. (კუმულატიური ვადიანობის შეუსაბამობის ლიმიტი, LCR Liquidity Cover Ratio ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, NSFR Net Stable Funding Ratio წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი).

ლიკვიდობის მართვის პროცესი შემდეგი ნაბიჯებისგან შედგება: ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენა და ხელახალი შეფასება ბანკის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურიდან და ბაზრის ზოგადი პირობებიდან გამომდინარე; ლიკვიდობის რისკის შესაბამისი ლიმიტების შემუშავება და კონტროლი; დაფინანსების სტრუქტურასა და შეუსაბამობის მოცულობაზე, დაფინანსების მოპოვების უნარზე და ა.შ. მუშაობა; ლიკვიდობის და ფინანსური სახსრების მართვის პრინციპების შემუშავება და მონიტორინგი; ლიკვიდობის პროგნოზირება ნორმალურ სამუშაო პირობებში და სტრესული სიტუაციის ქვეშ; გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გეგმის შემუშავება, რაც გულისხმობს გადაუდებელი სიტუაციების დროს ლიკვიდობის დანაკლისის შევსების სტრატეგიების შემუშავებას.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკის ყველაზე გავრცელებული გამომწვევი მიზეზები საპროცენტო განაკვეთების და უცხოური ვალუტის კურსის რისკებია. საზღვარგარეთიდან დაფინანსების მოპოვება ვალუტის თვალსაზრისით შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზი ხდება. დაფინანსებასთან შესაბამისობის მიზნით სესხების უცხოურ ვალუტაში შეთავაზება, ან ჰეჯირების შესაძლებლობების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა სვოპები და ფორვარდები, უცხოური ვალუტის რისკის ჰეჯირების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია.

საბაზრო რისკის კონტროლის მიზანი უფროსი მენეჯმენტის მიერ ამ ღონისძიების მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ საპროცენტო განაკვეთის და უცხოური ვალუტის რისკის გრძელვადიანი და ყოველდღიური მართვის პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატურია და რომ ამ რისკების მართვის და კონტროლისთვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. საბაზრო რისკის ეფექტიანი კონტროლი მოითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს რისკის მიღების შესაბამისი ლიმიტები, ჰქონდეს საპროცენტო განაკვეთის რისკის დაწვრილებითი ანგარიშგება და მენეჯმენტის მიერ განხილვის პროცესი, ასევე ეფექტიანი შიდა კონტროლი, დააწესოს შესაბამისი ლიმიტები რისკის აღებაზე, შექმნას რისკის და შედეგების, ვალუტის ღია პოზიციის, გადაფასების ვადიანობის გეპის გაზომვის ადეკვატური სტანდარტები და სისტემები.

საოპერაციო რისკი. საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც არაადეკვატური შიდა პოლიტიკის, სისტემის და კონტროლის ჩავარდნების, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან მენეჯმენტის მარცხის, ასევე სტიქიური უბედურებების მიზეზით გამოწვეული ფინანსური ზარალის რისკი. ბანკში ოპერაციული რისკების მართვა სამ დონეზე ხორციელდება: სტრუქტურული ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, ოპერაციული რისკების მართვის დონეზე და შიდა აუდიტის დონეზე. ოპერაციული რისკების ეფექტიანი გაზომვის და მართვის მიზნით, ერთი მხრივ იქმნება ოპერაციული რისკის, როგორც ბანკის უსაფრთხოებასა და სიჯანსაღესთან დაკავშირებული რისკის განცალკევებული კატეგორიის შიდა ანგარიშგება, ხოლო მეორე მხრივ ოპერაციულად დამოუკიდებელი, შესაბამისად გატრენინგებული და კომპეტენტური თანამშრომლების მიერ ეფექტურად ტარდება ყოვლის-

მომცველი შიდა აუდიტი.

ბანკის ოპერაციული რისკების პოლიტიკა ითვალისწინებს ოპერაციული რისკის გამოვლენის, გაზომვის და მართვის ამომწურავ სისტემას. პოლიტიკა განსაზღვრავს, თუ რა პრინციპით უნდა იქნას ოპერაციული რისკები გამოვლენილი, შეფასებული, მონიტორინგს და კონტროლს დაქვემდებარებული ან შემცირებული. განისაზღვრება შემოწმებების სისტემა, რომლის შედეგადაც ვლინდება ოპერაციული რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მზადდება გაუთვალისწინებელი სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რათა ბანკმა შეძლოს მუშაობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ბიზნესის მკვეთრი ხელისშეშლის შემთხვევაში დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

ICAAP სისტემის საშუალებით ბანკი ასევე აფასებს სხვა რისკებს, რომლის წინაშეც ბანკი შეიძლება დადგეს. ზოგიერთი მათგანი განხილულია ქვემოთ.

ბიზნესის რისკი ნიშნავს მოგებისა და კაპიტალის შემცირების მიმდინარე ან მომავალ რისკს, რომელიც გამოწვეულია ბიზნესგარემოს ცვლილებებით და არასახარბიელო ბიზნეს-გადაწყვეტილებებით, ან ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენების შეუმჩნევლობით, გადაწყვეტილებების არაადეკვატური შესრულებით, ან კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებით.

საზედამხედველო რისკი: საბანკო სექტორი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშაა. ზედამხედველობის გარემო მუდმივად ვითარდება, რაც არაპროგნოზირებადია. ამიტომ, ბანკი საზედამხედველო რისკის წინაშე დგას, ეს რისკი მარეგულირებლის მოთხოვნების შეუსრულებლობას გულისხმობს. კაპიტალის ადეკვატურობის სავალდებულო კოეფიციენტებთან ერთად, მარეგულირებელი ორგანო (საქართველოს ეროვნული ბანკი) აწესებს ლიმიტებს დაკრედიტებაზე და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებზე, მათ შორის დაკრედიტების, ლიკვიდობის და ინვესტიციების კოეფიციენტებზე. ბანკი ვალდებულია, დაიცვას მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და მოამზადოს რეგულარული პერიოდული ანგარიშები.

ბანკი ასევე რეგულირდება შესაბამისი საგადასახადო კოდექსით და საქართველოს სხვა კანონებით, რომელთა მოთხოვნებიც ბანკს ეხება მისი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე. ბანკზე ასევე ვრცელდება დამატებითი საზედამხედველო მოთხოვნები, მათ შორის: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკით, ქრთამის, კორუფციის და გადასახადებისთვის თავის არიდების ხელშეწყობის საწინააღმდეგო პოლიტიკით, ანონიმური მხილების პოლიტიკით და პირად მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით.

ბანკი, თავისი კონტროლის გაერთიანებული სისტემის ფარგლებში, ყურადღებით აფასებს თითოეული საკანონმდებლო და საზედამხედველო ცვლილების შედეგს, რაც რისკების ფორმალური გამოვლენის და შეფასების პროცესის შემადგენელი ნაწილია. მას აქვს დადგენილი სისტემები და პროცესები, რომლებიც საზედამხედველო მოთხოვნების სრულყოფილ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ამ პროცესებზე პასუხისმგებელი არიან რისკების დეპარტამენტის კომპლაენსის ფუნქციური ერთეულების თანამშრომლები.
ოპერაციული რისკების დეპარტამენტი აანალიზებს კლიენტების საჩივრებს და ოპერაციული რისკების შემთხვევების მონაცემთა ბაზებს, რითაც გამოავლენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაძლო დარღვევებს. მას ცვლილებები შეაქვს ოპერაციულ პრაქტიკაში, რითაც აუმჯობესებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას და თავიდან იცილებს სწრაფად მზარდი ავტომატიზაციის პირობებში პერსონალური ინფორმაციის გაჟონვას.

მეორე მხრივ, ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი ქმნის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (FMS) მიერ დაკისრებული რეგულაციების შესრულების ოპერაციულ ბაზას, რითაც აფართოებს მარეგულირებლის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობებს. დეპარტამენტის მთავარი ამოცანა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაა.

ქვეყნის რისკი ნიშნავს იმ შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია (ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენით, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ხდება. მოვლენა შეიძლება გააკონტროლის ქვეყნის მთავრობამ, მაგრამ არა კრედიტის გამცემმა/ინვესტორმა. ბანკმა შექმნა ქვეყნის რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რითაც შექმნა ლიმიტების სისტემა, რათა გაიზომოს, თუ რამდენად დგას ბანკი ქვეყნის რისკის წინაშე, ქვეყნების საგარეო რეიტინგებზე დაყრდნობით. measure its exposure to country risk based on the external rating of the countries.
მმართველობის, სისტემების და კონტროლის რისკები: კორპორაციული მმართველობის სტრუქტურის, შიდა მთავარი რისკების მმართველობის სისტემების და კონტროლის ფუნქციების შეფასება.

რეპუტაციული რისკი შეიძლება გამოწვეულ იქნას სფეროს მომსახურების სტანდარტების შეუსრულებლობით, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების და სამართლიანი საბაზრო პრაქტიკის ნაკლებობით, მომსახურების დაბალი ან გაუარესებული ხარისხით, არაგონივრულად მაღალი ხარჯებით, მომსახურების ისეთი სტილით, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ვითარებას ან კლიენტის მოლოდინს, არასათანადო ბიზნეს-ქცევით ან უფლებამოსილების მქონე პირთა არაკეთილ-განწყობილი აზრით ან ქმედებებით.


კორპორაციული მმართველობა





კორპორაციული მმართველობა

კორპორაციული მმართველობა



ბიზნესის პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე მართვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნების და განმტკიცების მიზნით ბაზისბანკის და ჯგუფის მთავარ სამოქმედო პრინციპად რჩება. ჯგუფმა კორპორაციული მმართველობის მძლავრი სისტემა შექმნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს და ქვეყნის კანონმდებლობას ეფუძნება და აქციონერებს, ზედამხედველობას და მენეჯმენტს შორის როლების და პასუხისმგებლობების ეფექტიან განაწილებას და მკაფიო გამიჯვნას უზრუნველყოფს.

ბაზისბანკის კორპორაციული მმართველობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი აქციონერებს, ზედამხედველობას და დირექტორთა საბჭოს შორის როლების და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნაა.

აქციონერი თავის უფლებებს და მოვალეობებს საერთო კრების საშუალებით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს. საერთო კრება ამტკიცებს ბანკის წესდებას, იღებს გადაწყვეტილებებს აქციების გამოშვებაზე, მოგების განაწილებასა და გამოყენებაზე, ბანკის კაპიტალში ცვლილებებზე; სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაზე და მისი წევრების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო საბჭო) არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ბაზისბანკის საქმიანობას და თავის ფუნქციებს სამეთვალყურეო საბჭოს კრების და საბჭოს დონის კომიტეტების საშუალებით ასრულებს.

საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს დირექტორთა საბჭოსთან, ზედამხედველობს და კონსულტაციას უწევს მნიშვნელოვან საკითხებზე და პირდაპირაა ჩართული ძირეული გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს საკვანძო ფუნქციებს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს იმგვარ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: ბანკის ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და ზოგადად, იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით; ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა და მენეჯმენტის მიერ სტრატეგიული ამოცანების შესრულების მონიტორინგი; იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფი ასრულებს საზედამხედველო და მარეგულირებლის ყველა მოთხოვნას; დირექტორთა საბჭოსთან და დირექტორის მოადგილესთან (რისკები და ინფორმაციული ტექნოლოგიები) ერთად ბანკის რისკის აპეტიტის განსაზღვრა. საბჭო ასევე ზედამხედველობს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს

კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას და დირექტორთა საბჭოს მუშაობის შეფასებას წარმართავს გრძელვადიანი თანმიმდევრული გეგმის მიხედვით. საბჭო პასუხისმგებელია დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ზედამხედველობაზე და ჯგუფის შიგნით კანონის და მარეგულირებელი ბაზის მოთხოვნების შესაბამისი ეფექტიანი პროცედურების და პოლიტიკის არსებობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრების შერჩევის წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ბანკის წესდებით და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპეტენციის და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულებით. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის კორპორაციულ მმართველობაზე. ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდეთ ფართო სპექტრის უნარები და გამოცდილება, რომ საბჭოში იყვნენ დამოუკიდებელი წევრები და დაცული იყოს აზრთა დაბალანსებური პლურალიზმი. სხვა სიტყვებით, საბჭო დაკომპლექტებული უნდა იყოს სხვადასხვა უნარის, გამოცდილების და ექსპერტიზის მქონე წევრებით.

2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული კომერციული ბანკების ახალი კორპორაციული მმართველობის კოდექსის თანახმად, ბაზისბანკმა დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე ქმედება, რათა დაეკმაყოფილებინა ახალი საზედამხედველო მოთხოვნა და თავის საქმიანობაში აესახა ახალი საუკეთესო პრაქტიკა, მათ შორის: სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების დანიშვნა, ანონიმური მხილების სისტემის დანერგვა და ა.შ.

2018 წელს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულების მიზნით ბანკის მმართველობის და მენეჯმენტის შემადგენლობაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, დავით ცაავამ და ლი ხვეიმ, რომლებიც ასევე იყვნენ დირექტორთა საბჭოს წევრები, გამოიწვიეს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან. მათ ნაცვლად საბჭოს დაემატნენ ახალი წევრები: ზაზა რობაქიძე და მია მი.

იმავე კანონის სხვა მოთხოვნის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოში უნდა იყოს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი

წევრი, რომლებიც ასევე შეადგენენ კომერციული ბანკის აუდიტის კომიტეტის უმრავლესობას. სამეთვალყურეო საბჭოში ხუთი წევრია, აქედან ორი დამოუკიდებელი წევრია. წევრები აირჩია აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: ჯან ძუნი - აღმასრულებელი თავმჯდომარე, ჟუ ნინგ, თავმჯდომარის მოადგილე, დამოუკიდებელი წევრი, მი ზაიქი - თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა რობაქიძე - წევრი (დამოუკიდებელი წევრი), მია მი - საბჭოს წევრი.

საბჭოს წევრების განსხვავებული გამოცდილება, კვალიფიკაცია და უნარები საშუალებას იძლევა, ესათუის საკითხი სიღრმისეულად და სხვადასხვა პერსპექტივიდან იქნას განხილული და გადაწყვეტილების მიღების დროს დაცული იყოს ბალანსი. თავისი ფუნქციების შესრულებისას, საბჭო ითვალისწინებს ბანკის, მისი მეანაბრეების, აქციონერების და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.



ჯან ძუნი
აღმასრულებელი თავმჯდომარე

ჯან ძუნი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელია. 2010 წლიდან დღემდე სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის მოადგილეა ფინანსებისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულებით. 1998 წლიდან 2010 წლამდე ჯან ძუნი იყო ურუმჩის კომერციული ბანკის გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ასისტენტი და ადამიანური რესურსის მართვის დირექტორი. 1992 წლიდან 1997 წლამდე ის იყო ურუმჩის საკრედიტო კავშირის დირექტორის მოადგილე. მრავალი წლის განმავლობაში ჟანგ ჯუნს მაღალი თანამდებობები ეკავა ჩინეთის სახალხო ბანკის ურუმჩის ფილიალში, ურუმჩის კომერციულ ბანკში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. მას კომერციული ბანკების და ოპერაციების მართვის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის კომერციული ბანკების სტრატეგიული განვითარების ნათელი და ღრმა ხედვა აქვს.



ჟუ ნინგ
თავმჯდომარის მოადგილე

ჟუ ნინგს აშშ-ის ფუქუას ბიზნეს სკოლაში მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, ინჟინრის დიპლომი აშშ-ის ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და კიდევ ერთი ინჟინრის დიპლომი ჩინეთის მეცნიერების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში. 2005 წლიდან დღემდე არის კომპანია „ტუჰონგ ინტერნეშენელის“ მმართველი დირექტორი. მას ფინანსური კონსულტაციის პროექტები განხორციელებული აქვს: ურუმჩის კომერციულ ბანკში, დეიანგის ბანკში, იანტაი ბანკში, ჰანგ სენგ ბანკში, ვინგ ლუნგ ბანკში, სიამენ ბანკში, ჰონგ კონგ ფუმონ ბანკში და ტიანშანის ბანკში. ჟუ ნინგს ჩინური და უცხოური მცირე და საშუალო ბანკების სტრატეგიის და ბიზნესის განვითარების ღრმა ცოდნა აქვს.



მი ზაიქი
თავმჯდომარის მოადგილე

მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო. 2011 წლიდან დღემდე მი ზაიქი სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო.



მია მი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მია მის აშშ-ის ქ. ლოს ანჯელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი აქვს მიღებული. ის ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის საერთაშორისო განვითარების მიმართულების დირექტორია. მია მი ჰუალინგის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ხელმძღვანელის ასისტენტად მუშაობის დროს ორ მნიშვნელოვან სფეროს კურირებდა: 2012 წელს ბაზისბანკში წილის შეძენას და 2011-2015 წლებში სამშენებლო მასალების ყოველწლიური გამოფენის ორგანიზებას, სადაც ცენტრალური აზიის ბიზნესპარტნიორები ხვდებოდნენ ერთმანეთს. 2015-2017 წლებში მია მის ბაზისბანკის საკვანძო დეპარტამენტებში სხვადასხვა პოზიცია ეკავა. ის პასუხისმგებელი იყო საკრედიტო პორტფელის ანალიზზე, ჩინელ კორპორაციულ და საცალო კლიენტებთან კომუნიკაციასა და ბანკის აქციონერებთან ურთიერთობაზე, აწყობდა მასშტაბურ კორპორაციულ ღონისძიებებს და ადამიანური რესურსის დეპარტამენტს ეხმარებოდა თანამშრომლების შერჩევაში.



ზაზა რობაქიძე
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ეკონომიკის მაგისტრის ხარისხთან ერთად ზაზა როზაქიძეს საბანკო სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, რომელიც 24 წელზე მეტს ითვლის. 2012 წლიდან დღემდე ბაზისბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა, 2018 წლიდან კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კარიერა საქართველოს ეროვნულ ბანკში დაიწყო. მრავალი წლის განმავლობაში მას ცენტრალური ბანკის ზედამხედველობის სფეროში სხვადასხვა პოზიცია ეკავა, ეკონომისტიდან დაწყებული, ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელით დამთავრებული.

სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები

საბჭო თავის ფუნქციებს ახორციელებს როგორც საბჭოს სხდომების, ისე მის დონეზე არსებული კომიტეტების: აუდიტის კომიტეტის და რისკების მართვის კომიტეტის მეშვეობით. ეს უკანასკნელი 2019 წლის დასაწყისში დაარსდება.

აუდიტის კომიტეტი. საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს და აუდიტს, შესაბამისობას და კომპენსაციას ახორციელებს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით, რომელსაც საბჭო აარსებს. კომიტეტი საბჭოს წევრებითაა დაკომპლექტებული. ის ზედამხედველობს საზედამხედველო ფუნქციების შესრულებას და ამზადებს ობიექტურ ინფორმაციას ფინანსური, რისკების და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობის, სამუშაოს შედეგების და დაწესებულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. საბჭოს აუდიტის კომიტეტი მრავალი წელია ფუნქციონირებს და საბჭოს მხარს უჭერს ბანკის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შენარჩუნებაში.

გასული წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტის სხდომა ხუთჯერ ჩატარდა. სხვა ფუნქციებთან ერთად, კომიტეტი პასუხისმგებელი იყო:

- ბანკის შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა; ამ ამოცანის ფარგლებში, შიდა აუდიტის მასშტაბის და ფარგლების დაწესება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ დირექტორთა საბჭო დგამს აუცილებელ ნაბიჯებს კონტროლის გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად, კანონმდებლობის შეუსრულებლობის და სხვა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;
- რისკების მართვის სისტემის და შიდა კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ბანკის წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური და არაფინანსური ანგარიშების განხილვა, აუდიტორებთან ერთად აუდირებული ანგარიშების, აუდიტის წინა და აუდიტის შემდგომი პროცესების, მთავარი საკითხების და დასკვნების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადება;
- ყველა შიდა დოკუმენტაციის, შიდა პროცესების და კონტროლის ფუნქციის განხილვა, ფინანსური ანგარიშგების პროცესის და მონაცემთა უტყუარობის შემოწმების პროცესის მონიტორინგი და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაში შევიდა ანონიმური მხილების (ე.წ. Whistle-blowing) სისტემის ფუნქციონირება. ამ სისტემის მეშვეობით აუდიტის კომიტეტი და სამეთვალყურეო საბჭო უკეთ იქნებიან ინფორმირებული როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისგან, და შეეძლებათ შესაძლო

არაეთიკური ან უკანონო ქმედებების კონტროლი.

აუდიტის კომიტეტში წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრი, აქედან ორი წევრი დამოუკიდებელია. ამჟამად აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაა: ზაზა რობაქიძე - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მი ზაიქი - საბჭოს წევრი და ჟუ ნინგ - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დამოუკიდებელი წევრი.

რისკების მართვის კომიტეტი. ამჟამად, საბჭოს მიერ რისკების მართვის ზედამხედველობის ფუნქცია სრულდება აუდიტის კომიტეტის მეშვეობით. რისკების მართვის გააქტიურების და კონტროლის ფუნქციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საბჭომ გადაწყვიტა, დაეარსებინა საბჭოს დონეზე მოქმედი რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტის ფუნქციები ტრანსფორმირდება აუდიტის კომიტეტისგან და ცალკე ჩამოყალიბდება. რისკების მართვის კომიტეტში წარმოდგენილი იქნება საბჭოს სამი წევრი, საიდანაც ორი წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი. რისკების მართვის კომიტეტის მეშვეობით, სამეთვალყურეო საბჭო ჩაერთვება და ზედამხედველობას გაუწევს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: რისკების მართვის კულტურა და მისი განხორციელება ბანკში, ეფექტიანი რისკების მართვის ჩარჩოს, სტრატეგიისა და პოლიტიკის არსებობა და დირექტორთა საბჭოს მხრიდან მათი შესრულების კონტროლი; კაპიტალის და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების/რისკის სხვა ტიპების (როგორიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები) შესაბამისობა ბანკის რისკის აპეტიტთან; გამოვლენილი მატერიალური რისკების და სისუსტეების ეფექტიანად გადაწყვეტა და აღმოფხვრა და ა.შ.

2019 წელს დაგეგმილი სიახლეები. 2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო „კორპორაციული მმართველობის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“ („კორპორაციული მმართველობის კოდექსი“). მანამდე, ბაზისბანკი იყო 2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსის“ ხელმომწერი, რომელიც ბაზელი 3-ის მოთხოვნებზე იყო აგებული.

საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მმართველობის კოდექსით დაწესებული ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილების და ახალი საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2019 წელს ჯგუფი აპირებს:

- სამეთვალყურეო საბჭოს დონის რისკების მართვის კომიტეტის შექმნას;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის თვითშეფასების და შეფასების პროცედურების და სისტემის შემუშავებას;
- რისკების მართვის პოლიტიკის განხილვას და აუცილებლობის შემთხვევაში განახლებას, რათა რისკების მართვის ბაზა შეესაბამებოდეს მიმდინარე გამოწვევებს და რეგულირების სფეროში მომხდარ ცვლილებებს;

- უფროსი მენეჯმენტის და მატერიალური რისკის ამღები თანამშრომლების ანაზღაურების პრინციპების ხელახალი რეგულირების მიზნით, ახალი პოლიტიკის/პროცედურების შემუშავებას; კორპორაციული მმართველობის და კორპორაციული ეთიკის რეგულაციებში ცვლილებების შეტანას, სამეთვალყურეო საბჭოს დონის რისკების მართვის კომიტეტის მოვალეობების და საქმიანობის დაწესებას; ბანკის რისკების მართვის გაზაში გარემოს და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკის მოთხოვნების შეტანას და ა.შ.
- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრების მხარდაჭერას თავიანთი ამოცანების შესასრულებლად საჭირო ტრენინგსა და შემდგომი განათლების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;
- შესაბამისობის პოლიტიკის, პროგრამის და სახელმძღვანელოს მომზადებას და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობას.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს უპირველესი ფუნქცია ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანი წარმართვა, ბანკის და ჯგუფის უწყვეტი ზრდის და განვითარების უზრუნველყოფა და გაზარზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ამოცანების მიხედვით მდგრადი პოზიციონირებაა. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს და ადგენს მათ ფუნქციებს, საბჭოს სტრუქტურას და მისი როლის შესაბამისობას შესაბამისი კანონის და კომპეტენციის და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულების მოთხოვნებთან. ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება, სხდომები, გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს რეგულაციით, რომელიც დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ.

დირექტორატი აცნობიერებს კარგი კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის კულტურის მნიშვნელობას და საკუთარ როლს ამ პროცესებში. დირექტორატი ხელმძღვანელობს ბანკის ოპერაციებს და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ბანკის ამოცანების მიხედვით და მოქმედი კანონების/ინსტრუქციების და შიდა რეგულაციების შესაბამისად წარმართვაზე. დირექტორთა საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მას სისტემატურად, სულ მცირე კვარტალში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ყველა იმ შესაბამის საკითხზე, რომლებიც ეხება სტრატეგიას, დაგეგმილ ბიზნეს-პოლიტიკას, დაგეგმვას, ბიზნესის განვითარებას, რისკების მდგომარეობას, რისკების მართვას, პერსონალის განვითარებას, რეპუტაციასა და შესაბამისობას.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბიზნესის ამოცანების შესრულებაზე ჯგუფის სტრატეგიის თანახმად, ბანკის კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის უზრუნველყოფაზე და იმაზე, რომ ბანკის მასშტაბით ხდება მენეჯმენტის პოლიტიკის და პროცედურების კომუნიკაცია და განხორციელება და მათ აქვთ უფლებამოსილებით და რესურსებით სათანადო მხარდაჭერა. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მუშაობს მისი შიდა და გარე რეგულაციებით განსაზღვრულ პროცესებსა და პროცედურებთან, განაწილებულ რესურსებთან, დაგეგმვასთან, მართვასთან, ფინანსური და რისკების პოზიციების აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან შესაბამისობაში, და რომ სათანადოდ ასრულებს მენეჯმენტის და კონტროლის ფუნქციებს.

ბაზისბანკის დირექტორთა საბჭო შედგება გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეებისგან, რომლებიც თავიანთ შესაბამის მიმართულებებს კურირებენ.


BASISBANK




დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

დირექტორთა საბჭოს წევრი 2008 წლიდან. 2015-2018: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხს.

დავით ცაავას საბანკო სექტორში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2010 წელს დავით ცაავა გენერალური დირექტორის პოზიციაზე დააწინაურეს. 2015 წელს დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

2017 წლის დეკემბრიდან სს „BHL ლიზინგის“ და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.



ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით

დირექტორთა საბჭოს წევრი 2008 წლიდან. ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხს. ლია ასლანიკაშვილს საბანკო სექტორში მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ხაზინის და ანგარიშსწორების დეპარტამენტებს. 2017 წლის დეკემბრიდან სს „BHL ლიზინგის“ გენერალური დირექტორი და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილეა.



ლი ხვეი
გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით

2012-2018: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ლი ხვეის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბუღალტრის და საკრედიტო ოფიცრის პოზიციებზე. აქვს მუშაობის და მართვის მდიდარი გამოცდილება და კარგად იცნობს საბანკო ბიზნესს. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო. ლი ხვეი ბაზისბანკის დირექტორთა საბჭოს 2015 წელს შემოუერთდა. ის მსხვილი სესხების დამტკიცებას უწევს ზედამხედველობას.



დავით კაკაბაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით

დირექტორთა საბჭოს წევრი 2008 წლიდან. ფლობს კავკასიის ბიზნესსკოლის ფინანსების მაგისტრის ხარისხს. საბანკო სფეროში 15 წელია მუშაობს და რისკების მართვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. 2017 წლის დეკემბრიდან დავით კაკაბაძე სს „BHL ლიზინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორია.



ლევან გარდაფხაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით

დირექტორთა საბჭოს წევრი 2008 წლიდან. ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნესის მართვაში. ლევან გარდაფხაძეს 16 წლიანი საბანკო გამოცდილება აქვს. მას პლასტიკური ბარათების და სავალუტო დეპარტამენტებში სხვადასხვა პოზიცია ეკავა. 2017 წლის დეკემბრიდან ლევან გარდაფხაძე სს „BHL ლიზინგის“ და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილეა.

ინტერესთა კონფლიქტი

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და კონტროლის ფუნქციები მკაცრად აკონტროლებენ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წყაროებს, მათ შორის შემდეგი მექანიზმებით: ბანკი აღრიცხავს დაკავშირებულ მხარეებს და აწესებს კონტროლს დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებულ ტრანზაქციებზე. პერიოდულად, არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო განაახლებს მის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას. ამასთან, ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ითვალისწინებს ზედამხედველის მითითებებს კონტროლის მძლავრი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები აუცილებელი წესით ექვემდებარება ბანკის დირექტორთა საბჭოს/სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვასა და დამტკიცებას (თანხების შესაბამისად). ამასთან, ბანკი მტკიცედ იცავს ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა დამოუკიდებლობის და თანაბრობის, ანუ „გაშლილი მკლავის“ (ე.წ. arm's length principle) პრინციპს და უზრუნველყოფს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ამ პრინციპთან შესაბამისობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშები





ბაზისბანკი
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

BASISBANK
Hualing Group Member

ბაზისბანკის ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები 2
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები 5
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები 8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებები

1 შესავალი 8
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 9
3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს 31
5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა 33
6 ახალი ბუღალტრული განცხადებები 37
7 ფული და ფულის ეკვივალენტები 39
8 სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში 40
9 მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ 41
10 ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში 41
11 ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში 44
12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები 44
13 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS--ით (მხოლოდ შედარებადი მაჩვენებლებისთვის) 57
14 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები (*მხოლოდ შედარებადი მაჩვენებლებისთვის)* 57
15 საინვესტიციო ქონება 58
16 სადაზღვევო კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები 59
17 სხვა აქტივები 62
18 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები 63
19 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები) 64
20 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ 64
21 კლიენტთა ანგარიშები 66
22 სხვა ნასესხები სახსრები 67
23 სადაზღვევო ვალდებულებები და სხვა ფინანსური ვალდებულებები 67
24 სხვა ვალდებულებები 68
25 სააქციო კაპიტალი 69
26 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა 69
27 კაპიტალის თითოეულ კომპონენტში აღიარებული სხვა სრული შემოსავალი 71
28 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები 72
29 საკომისიო შემოსავლები და ხარჯები 72
30 სხვა საოპერაციო შემოსავალი 72
31 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 73
32 მოგების გადასახადები 73
33 დივიდენდები 76
34 ვალის რეკონსილაცია 76
35 ფინანსური რისკების მართვა 76
36 კაპიტალის მართვა 96
37 პირობითი ვალდებულებები 97
38 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა 102
39 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება 102

40 ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით..... 105
41 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის..... 106
42 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა..... 109
43 აბრევიატურები..... 114

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ბაზისბანკის აქციონერებს და მენეჯმენტს

ჩვენი დასკვნა

ჩვენი დასკვნით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშები“) ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს სს „ბაზისბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

რას ჩაუტარდა აუდიტი

ფინანსური ანგარიშები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

დამოუკიდებლობა

პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ როგორც ჯგუფის, ისე ბანკისგან. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული ეთიკური მოვალეობები.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არა ფინანსურ ანგარიშებს და აუდიტორის დასკვნას), რომელიც უნდა მოგვეწოდოს ამ აუდიტის დასკვნის ხელმოწერის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით არ ვრცელდება მენეჯმენტის ანგარიშზე.

ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს, როცა მოგვეწოდება, და მისი გაცნობის დროს განვიხილოთ, ხომ არ არსებობს რაიმე

არსებითი უზუსტობა მენეჯმენტის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშებს შორის ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის ის სხვაგვარად არსებითად არაზუსტი.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა შესაბამის საზედამხედველო ნორმატიულ აქტებს მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები და ვიმსჯელოთ იმაზე, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ მენეჯმენტის ანგარიშის გაცნობის შემდეგ დავასკვნით, რომ მასში რაიმე არსებითი უზუსტობაა, ჩვენ მოგვეთხოვება, ამ საკითხის შესახებ ვაცნობოთ მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს. ჩვენ ასევე გამოვცემთ განახლებულ ანგარიშს, სადაც აღვნიშნავთ, რომ ან ზემოხსენებულთან დაკავშირებით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს, ან, ჯგუფის და მისი გარემოებების შესახებ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, აღვწერთ ჩვენს მიერ მენეჯმენტის ანგარიშში აღმოჩენილ არსებით უზუსტობებს. ჩვენს განახლებულ ანგარიშში ასევე მოცემული იქნება ჩვენი მოსაზრებები წინა პარაგრაფში ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; ასევე, ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს ჯგუფის და ბანკის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები ჯგუფის და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ მთლიანად ფინანსურ ანგარიშებში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე

შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.

- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა ჯგუფის და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის და ბანკის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორ ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება. თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.
- ვიღებთ საკმარის ადეკვატურ აუდიტის მტკიცებულებას ჯგუფის ბიზნესერთეულების ან ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენს დასკვნაზე პასუხს ვაგებთ მხოლოდ ჩვენ.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

შპს „ფრაის ვოტერჰაუს კუპერსი საქართველოს“ სახელით და მისთვის,

ლაშა ჯანელიძე (ხელმოწერა) (Reg.#SARAS-A-562091)

21 მარტი, 2019
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	განმარტება	31 დეკემბერი 2018 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2018 კონსოლიდირ	31 დეკემბერი 2017 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2017 კონსოლიდირ
აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	130,272	132,500	139,577	139,577
სავალდ. რეზ. საქ.ერ. ბანკში	8	170,443	170,443	130,824	130,824
მოთხოვნები სხვა ბანკ. მიმართ	9	-	-	15,094	15,094
ინვესტიციები სავალო ფას. ქაღ.	10	175,690	175,690	-	-
ინვესტიციები საემისიო ფას. ქაღ.	11	63	63	-	-
ინვესტიციები შვილ. კომპ.	41	10,096	-	8,097	-
კლიენტებზე გაც. სესხები და ავანს.	12	900,803	900,803	757,874	757,874
სარეალიზ. საინვესტ. ფას. ქაღ.	13	-	-	63	63
ამორტ.ღირ. აღრიც. ობლიგაციები	14	-	-	143,903	143,903
საინვესტიციო ქონება	15	1,037	1,572	400	1,078
მოგების გად. მიმდ. ავანსი	32	-	5	183	217
დაზღვ. და სხვა ფინ. აქტივები	16	809	5,066	1,429	1,429
სხვა აქტივები	17	15,031	17,449	14,019	16,857
არამატერიალური აქტივები	18	1,364	1,382	861	861
შენობა-ნაგ. და მოწყობ.	18	26,421	26,457	21,888	21,894
სარეალიზ. გრძელვად. აქტივები	19	4,016	4,360	1,928	1,928
მთლიანი აქტივები		**1,436,045**	**1,435,790**	**1,236,140**	**1,231,599**
ვალდებულებები					
ვალდებულ. სხვა ბანკ. მიმართ	20	100,196	100,196	59,982	59,982
კლიენტთა ანგარიშები	21	734,262	727,421	682,318	677,820
სხვა ნასესხები სახსრები	22	345,782	345,782	270,280	270,280
დაზღვევა და სხვა ფინ. ვალდ.	23	1,822	6,353	7,674	7,674
მოგ.გადას.მიმდ.ვალდებულება	32	1,374	1,647	-	-
გადავადებული მოგ.გად.ვალდ.	32	1,664	1,671	152	152
ვალდ.და ხარჯ. რეზერვები	37	374	374	346	346
სხვა ვალდებულებები	24	2,410	2,812	1,854	1,854
მთლიანი ვალდებულებები		**1,187,884**	**1,186,256**	**1,022,606**	**1,018,108**
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	25	16,057	16,057	16,057	16,057
საემისიო შემოსავალი		74,923	74,923	74,923	74,923
გაუნაწილებელი მოგება		146,558	147,931	113,316	113,273
წილობრ.ინსტრ.გადახდის რეზერვი	26	1,339	1,339	851	851
შენობა-ნაგ. გადაფას.რეზ.		9,284	9,284	8,233	8,233
სარეალიზ. ფას. ქაღ.გადაფას. რეზ.				154	154
მთლიანი კაპიტალი		**248,161**	**249,534**	**213,534**	**213,491**
მთლიანი ვალდებულ. და კაპიტალი		**1,436,045**	**1,435,790**	**1,236,140**	**1,231,599**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2019 წლის 21 მარტს.

დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები

ათასი ლარი	განმარტება	31 დეკემბერი 2018 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2018 კონსოლიდ	31 დეკემბერი 2017 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2017 კონსოლიდ
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	28	98,708	98,803	78,628	78,628
საპროცენტო და მსგავსი ხარჯი	28	(43,509)	(43,085)	(32,641)	(32,622)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმინდა მარჟა		**55,199**	**55,718**	**45,987**	**46,006**
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(966)	(966)	(1,976)	(1,976)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმინდა მარჟა საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		**54,233**	**54,752**	**44,011**	**44,030**
საკომისიო შემოსავალი	29	6,695	6,630	5,007	4,973
საკომისიო ხარჯი	29	(2,490)	(2,490)	(2,238)	(2,238)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		-	1,883	-	-
წმ. დამდგარი სადაზღ.ზარალები		-	(281)	-	-
მოგებას გამოკლებული ფინ. წარმოებულებით გამოწვ. დანაკ.		-	-	(184)	(184)
მოგებას გამოკლ. უცხ. ვალუტ. ვაჭრ.გამოწვ. დანაკარგები		4,467	4,467	4,114	4,114
უცხ. ვალუტ. გადაანგარიშ. მოგებას გამოკლ. დანაკარგები		(283)	(283)	(229)	(229)
კრედიტთან დაკავშ. ვალდებულ. რეზერვი		206	206	(198)	(198)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	30	3,712	3,739	676	696
ადმინისტრ. და სხვა საოპ.ხარჯები	31	(25,470)	(25,858)	(19,278)	(19,333)
მოგება დაბეგვრამდე		**41,070**	**42,765**	**31,681**	**31,631**
მოგების გადასახადის ხარჯი	32	(5,195)	(5,473)	(1,742)	(1,742)
წლის მოგება		**35,875**	**37,292**	**29,939**	**29,889**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):					
მუხლები, რომლებიც შეიძლება საბოლოოდ გადაკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:					
სარეალიზაციო ინვესტიციები: - წლის განმავლობაში წარ. მოგებას გამოკლებული დანაკარგები	13	-	-	(85)	(85)
მუხლები, რომლებიც არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:					
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასება	18	1,052	1,052	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		**1,052**	**1,052**	**(85)**	**(85)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**36,927**	**38,344**	**29,854**	**29,804**

ათასი ლარი	განმარტება	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	წილობრ.ინსტრ. გადახდ. რეზერვი	AFS ფას.ქაღ. გადაფას.რეზერვი	შენობა-ნაგ. გადაფას.რეზ.	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**388**	**239**	**8,233**	**85,929**	**185,769**
წლის მოგება		-	-	-	-	-	29,889	29,889
სხვა სრული შემოსავალი	27	-	-	-	(85)	-	-	(85)
2017 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	(85)	-	29,889	29,804
წილობრ.ინსტრ.გადახ.დარიცხვები	26	-	-	463	-	-	-	463
დეკლარირ.დივიდენდები	33	-	-	-	-	-	(2,545)	(2,545)
ბალანსი 2017წ 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**851**	**154**	**8,233**	**113,273**	**213,491**
IFRS 9-ზე გადასვლა:								
- მოსალ.საკრედ.დანაკ.ხელახალი შეფ. დაბეგვრის გამოკლ.	5	-	-	-	-	-	202	202
– სხვა ეფექტები	5				(154)		154	-
ხელახლა განცხ.ბალანსი 1 იანვარი 2018		**16,057**	**74,923**	**851**	-	**8,233**	**113,629**	**213,693**
წლის მოგება		-	-	-	-	-	37,292	37,292
სხვა სრული შემოსავალი	27	-	-	-	-	1,052	-	1,052
2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	-	-	1,052	37,292	38,344
წილ.ინსტრ.გადახდ.დარიცხვები	26	-	-	488	-	-	-	488
დეკლარირ.დივიდ.	33	-	-	-	-	-	(2,989)	(2,989)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,339**	**-**	**9,284**	**147,931**	**249,534**

ათასი ლარი	განმარტება	საქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	წილობრ.ინსტრ. გადახდის რეზ.	AFS ფას. ქაღ.გადაფას.რეზ.	შენობა-ნაგ. გადაფას. რეზ.	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**388**	**239**	**8,233**	**85,924**	**185,764**
წლის მოგება		-	-	-	-	-	29,939	29,939
სხვა სრული შემოსავალი	27	-	-	-	(85)	-	-	(85)
2017 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	(85)	-	29,939	29,854
წილობრ.ინსტრ.გადახ.დარიცხვები	26	-	-	463	-	-	-	463
დეკლარირ.დივიდენდები	33	-	-	-	-	-	(2,545)	(2,545)
ბალანსი 2017წ 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**851**	**154**	**8,233**	**113,316**	**213,534**
IFRS 9-ზე გადასვლა:								
- მოსალ.საკრედ.დანაკ.ხელახალი შეფ. დაბეგვრის გამოკლ.	5	-	-	-	-	-	202	202
– სხვა ეფექტები	5				(154)		154	-
ხელახლა განცხ.ბალანსი 1 იანვარი 2018		**16,057**	**74,923**	**851**	-	**8,233**	**113,672**	**213,736**
წლის მოგება		-	-	-	-	-	35,875	35,875
სხვა სრული შემოსავალი	27	-	-	-	-	1,052	-	1,052
2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	-	-	1,052	35,875	36,927
წილ.ინსტრ.გადახდ.დარიცხვები	26	-	-	488	-	-	-	488
დეკლარირ.დივიდ.	33	-	-	-	-	-	(2,989)	(2,989)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,339**	**-**	**9,284**	**146,558**	**248,161**

ათასი ლარი	განმარტ	31 დეკემბერი 2018 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2018 კონსოლიდ	31 დეკემბერი 2017 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2017 კონსოლიდ
ფულადი ნაკ. მოძრ.საოპერაც.საქმ.					
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		93,462	93,557	74,545	74,545
გადახდილი პროცენტი		(42,129)	(41,705)	(33,527)	(33,508)
მიღებული საკომისიოები		6,695	6,630	5,007	4,973
გადახდილი საკომისიოები		(2,490)	(2,490)	(2,238)	(2,238)
ანგარიშსწ.ფინ.წარმოებულებიდან		-		(184)	(184)
უცხ.ვალ.ვაჭრობიდან მიღ. შემოს.		4,467	4,467	4,287	4,287
სხვა მიღ.საოპერაც.შემოსავალი		3,712	5,341	676	696
დასაკუთრ.ქონებ.რეალიზაც.მიღ.შემოს.		6,543	6,543	1,614	1,614
გადახდილი თანამშრომ.ხარჯ.		(13,818)	(14,144)	(11,013)	(11,014)
გადახდ.ადმინისტრ. და სხვა საოპერაც. ხარჯები		(8,963)	(9,044)	(7,046)	(7,114)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,343)	(2,343)	(3,705)	(3,675)
ფულადი ნაკად. მოძრ. საოპერაც. საქმ. საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულ. ცვლილებებამდე		**45,136**	**46,812**	**28,416**	**28,382**
წმინდა (ზრდა)/შემცირება:-					
- მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ		(20,780)	(20,779)	(35,398)	(35,394)
- კლიენტებზე გაც. სესხები და ავანსები		(134,031)	(134,375)	(187,244)	(187,167)
- სხვა ფინანსური აქტივები		(26,374)	(30,631)	(13,079)	(13,080)
- სხვა აქტივები		(843)	(422)	(1,733)	(1,775)
წმინდა ზრდა/(შემცირება):					
- ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		18,003	18,003	5,876	5,874
- კლიენტთა ანგარიშები		40,110	37,767	118,240	113,929
- სხვა ფინანსური ვალდებულებები		(6,003)	(1,472)	5,481	5,481
- სხვა ვალდებულებები		19,827	20,258	(46)	(46)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(64,955)**	**(64,839)**	**(79,487)**	**(83,796)**
ფულადი ნაკ. მოძრ. საინვესტიციო საქმიანობიდან					
ფულის ინექცია შვილობილ კომპანიაში		(2,000)	-	(4,300)	-
შენობა-ნაგ.და მოწყობ.შესყიდვა	18	(5,164)	(5,195)	(2,034)	(2,039)
საინვესტიც.ქონ. შესყიდვა	15	(637)	(494)	-	-
საინვესტ.ქონ.რეალიზ.მიღ.შემოს.		-	-	65	79
არამატერიალ.აქტივების შესყიდვა	18	(742)	(760)	(490)	(490)
არამატ.აქტ.რეალიზ.მიღ.შემოს.	18	15	33	43	43
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(8,528)**	**(6,416)**	**(6,716)**	**(2,407)**
ფულ.ნაკ.მოძრ.ფინანს.საქმიანობიდან					
სხვა ნასესხ.სახსრ.მიღ.შემოს.	34	262,622	262,622	678,868	678,868
სხვა ნასესხ.სახს.დაფარვები	34	(195,944)	(195,944)	(530,118)	(530,118)
გადახდილი დივიდენდები	33	(2,989)	(2,989)	(2,545)	(2,545)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		**63,689**	**63,689**	**146,205**	**146,205**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		**489**	**489**	**5,889**	**5,889**

ათასი ლარი	განმარტ	31 დეკემბერი 2018 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2018 კონსოლიდ	31 დეკემბერი 2017 ბანკის ინდივიდ	31 დეკემბერი 2017 კონსოლიდ
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(9,305)**	**(7,077)**	**65,891**	**65,891**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**139,577**	**139,577**	**73,686**	**73,686**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	**130,272**	**132,500**	**139,577**	**139,577**

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სს "ბაზისბანკისა" და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში "ჯგუფი").

ბანკი დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. სარეგისტრაციო ორგანო: მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო. სარეგისტრაციო ნომერი: 4/5-44, საიდენტიფიკაციო კოდი 203841833. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით და დაარსებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი პირი იყო ბ-ნი მი ენჰუა.

	წილები პროცენტულად 2018 წლის 31 დეკ მდგ	
აქციონერები	**2018**	**2017**
Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd	92.305%	92.305%
ბ-ნი მი ზაიქი	6.969%	6.969%
სხვა მცირე აქციონერები	0.726%	0.726%

ძირითადი საქმიანობა: ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციების განხორციელება საქართველოში. ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") მიერ გაცემული სრული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს 1993 წლიდან.

ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სქემის მონაწილეა. სქემა შემოღებულ იქნა 2017 წლის 17 მაისს მიღებული „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის" შესახებ საქართველოს კანონით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის, ანუ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესების დადგომისას, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო იძლევა გარანტიას ფიზიკური პირების დეპოზიტების 100%-იან ანაზღაურებაზე, თითო პიზიკურ პირზე 5 000 ლარამდე თანხით.

ბანკს საქართველოში 22 (2017: 22) ფილიალი აქვს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს 463 თანამშრომელი ჰყავდა (2017: 399).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზირი №1.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ათასი ქართული ლარით ("ლარი"), სხვაგვარად მითითებულის გარდა.

შვილობილი საწარმოები: წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდეგ მთავარ შვილობილ საწარმოს:

			წილი % 31 დეკ.მდგ.	
სახელწოდება	**რეგისტრაციის ქვეყანა**	**მთავარი საქმიანობა**	**2018**	**2017**
შპს ბაზის ესეთ მენეჯმენტი ჰოლდინგი	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
სს ჰუალინგ დაზღვევა	საქართველო	დაზღვევა	100%	100%
სს BHL ლიზინგი	საქართველო	ლიზინგი	100%	100%

შპს ჰოლდინგი Basis Asset Management **"ბაზის ესეთ მენეჯმენტ" .** კომპანია დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 404417984. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქონების ფლობა ლიზინგით გასაცემად.

სს Hualing Insurance **"ჰუალინგ დაზღვევა"**. ჰუალინგ დაზღვევა დაარსდა 2017 წლის დეკემბერში და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით, და

შექმნილია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია არის სს "ბაზისბანკი", დაფუძნებული საქართველოში.

კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა არის სადაზღვევო ბიზნეს-ოპერაციების წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წლის 27 დეკემბრიდან კომპანიაზე გასცა სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები.

სს BHL Leasing **"ბი-ეიჩ-ელ ლიზინგი"**. კომპანია დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირაციის გამცემი ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტოფიკაციო კოდი 406233534. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ბანკმა დააარსა ლიზინგის შვილობილი კომპანია 2018 წლის დეკემბერში, რათა მომხმარებელს შესთავაზოს ფინანსური ლიზინგის შემდეგი პროდუქტები:

- სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი
- ძირითადი საშუალებების ლიზინგი (მოწყობილობა, დანადგარები, ტექნიკა და ა.შ.)
- შეღავათიანი აგროლიზინგი (APMA)
- ლიზინგი „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში
- გაყიდვები და უკულიზინგი

აბრევიატურები. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული აბრევიატურების ლექსიკონი მოცემულია განმარტება 43-ში.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილების საგანია, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ სირთულეებთან ერთად სირთულეებს უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაში მოცემულია მენეჯმენტის შეფასებები ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნესგარემოს გავლენის შესახებ. მომავალში ბიზნესგარემო შეიძლება განსხვავებული იყოს მენეჯმენტის შეფასებისგან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მიზნებისთვის ჯგუფი იყენებს დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, მათ შორის მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს. ისევე, როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზი და მისი ასრულების ალბათობა გაურკვევლობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომ, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. განმარტება 35-ში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებში.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით და შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (FVTPL) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) აღებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ქვემოთ ახსნილია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის

ცვლილებებისა, რომლებიც მოითხოვა 2018 წლის 1 იანვრიდან IFRS 9 და IFRS 15-ზე გადასვლამ, ეს პოლიტიკა განუხრელად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. იხ. განმარტება 5 და 35.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები. შვილობილი საწარმოები ის საინვესტიციო ობიექტებია, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (ა) აქვს უფლებამოსილება, წარმართოს საინვესტიციო ობიექტების ის შესაბამისი საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მოგებაზე; (ბ) ამ ობიექტებში მისი მონაწილეობიდან გამომდინარე, აქვს პოზიცია ან უფლება მათ ცვლად მოგებაზე და (გ) აქვს უნარი, გამოიყენოს მისი, როგორც ინვესტორის უფლებამოსილება, ზეგავლენა მოახდინოს ამ ობიექტების მოგების მოცულობაზე. ძირითადი უფლებების, მათ შორის, პოტენციური ხმის უფლებების, არსებობა და ეფექტი მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე. იმისათვის, რომ უფლება ძირითადი იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების გამოყენების პრაქტიკული უნარი ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს ინვესტიციის ობიექტზე უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ობიექტის ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება აქვს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების სიდიდეს ხმის უფლებების მქონე სხვა პირების ავუარების სიდიდესა და დისპერსიასთან მიმართებაში, რითაც ადგენს, აქვს თუ არა ფაქტობრივი უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, მაგ., უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის ობიექტის საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებასთან, ან რომლებიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, ჯგუფს ხელს არ უშლის ინვესტიციის ობიექტის კონტროლში. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლება იმ დღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე, და დეკონსოლიდირდება კონტროლის შეწყვეტის დღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის თვითღირებულების მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვის მიზნით. საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები იანგარიშება სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღის მდგომარეობით, მიუხედავად არასაკონტროლო წილის მოცულობისა.

ჯგუფი ანგარიშობს იმ არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე მფლობელის წილს და მის მფლობელს ანიჭებს წმინდა აქტივების პროპორციულ წილს ლიკვიდაციის შემთხვევაში ტრანზაქციის მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილით.

შეძენილი საწარმოსთვის გადაცემული ანაზღაურება იანგარიშება გადაცემული აქტივების, გამოშვებული ინსტრუმენტების და გაწეული ან მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების ხარჯები. წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებისას გაწეული ტრანზაქციის ხარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან; სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისას გაწეული ტრანზაქციის ხარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან; შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა სხვა ტრანზაქციის ხარჯი აღიარდება ხარჯებში.

კომპანიათაშორის ტრანზაქციები, ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების ნაშთები და არარეალიზებული მოგება გამოირიცხება; ასევე გამოირიცხება არარეალიზებული დანაკარგები, თუ ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ჯგუფის პოლიტიკის შესაბამის, ერთიან სააღრიცხვო პროცედურებს.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ შვილობილ კომპანიაში გაკეთებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურდა, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა ინვესტიციის

საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება იანგარიშება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულების უმაღლეს სიდიდეს გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღდგენილიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებული იყო ინვესტიციის თანხის ასანაზღაურებლად, გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების მომენტიდან.

სადაზღვევო კონტრაქტები. სადაზღვევო კონტრაქტებად განისაზღვრება კონტრაქტები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს კონტრაქტის დასაწყისში ან კონტრაქტები, სადაც კონტრაქტის ძალაში შესვლისას არსებობს კომერციული არსის სცენარი, სადაც სადაზღვევო რისკის დონე შეძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ზეგავლენის მასშტაბზე. იმის შემდეგ, რაც კონტრაქტი კლასიფიცირებულია, როგორც სადაზღვევო კონტრაქტი, ის დარჩება სადაზღვევო კონრტაქტად მისი მოქმედების ბოლომდე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად მცირდება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, და თუ ყველა უფლებები და მოვალეობები არ იქნება შეწყვეტილი ან ვადაგასული.

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების აღიარება ხდება სადაზღვევო პოლისის საფუძველზე და შეფასება ხორციელდება პირველადი ღირებულებით. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურების კუთხით, როდესაც გარემოებები ან მოვლენები მიუთითებენ იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება, გაუფასურების ზარალი კი აისახება მოგება-ზარალის შემადგენლობაში.

არასაკონტროლო წილების ყიდვა-გაყიდვა. ჯგუფი იყენებს ეკონომიკური ერთეულის მოდელს არასაკონტროლო წილების მფლობელების გარიგებების აღრიცხვისთვის. არასაკონტროლო წილების ნებისმიერი სხვაობა შესყიდული და საბალანსო ღირებულების შორის აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქცია უშუალოდ კალიტალის შემადგენლობაში. ჯგუფი სცნობს გაყიდული არასაკონტროლო წილების და საბალანსო ღირებულების შორის სხვაობას როგორც კაპიტალის ტრანზაქციას კაპიტალის ცვლილების ანგარიშში.

შვილობილი საწარმოების გაყიდვა. როცა ამა თუ იმ ობიექტზე ჯგუფის კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა წყდება, ამ ობიექტში დარჩენილი წილი ხელახლა იანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საბალანსო ღირებულებაში მომხდარი ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება, შემდგომში აღრიცხული, როგორც ასოცირებული კომპანია, ერთობლივი საწარმო ან ფინანსური აქტივი. გარდა ამისა, ამ ობიექტთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა პირდაპირ გაყიდა შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აღდგება მოგებაში ან ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის

ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში. ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm's length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. 39-ე განმარტება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს,

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. აქტივებისათვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებით ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებას განიცდის საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ, ის იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AC-ს მიხედვით და სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება FVOCI-ს მიხედვით, რაც იწვევს მომენტალურ სააღრიცხვო დანაკარგებს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე,

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) ჯგუფის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (11) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები- კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს ჯგუფს აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები (“ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით”), ან (11) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები , ასევე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები (“აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (11) მოდელი არ არის გამოყენებული , მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც “სხვა” ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) ჯგუფის მიერ განხორციელებული ყველა არსებული შესაბამისი აქტივობის მტკიცებულების საფუძველზე, რათა მიაღწიოს პორტფელისათვის დასახულ მიზანს, რომელიც გააჩნია შეფასების მომენტისათვის. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, ბოლო გამოცდილებას, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდებოდა და იმართებოდა რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია. მიმართეთ კრიტიკული მოსაზრებების განმარტება 4-ს, რომელიც გამოიყენება ჯგუფის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისას მისი ფინანსური აქტივებისათვის.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, ჯგუფი აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას. როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხ. განმარტებაში 0. =

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისათვის (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები). ჯგუფი წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. ჯგუფი აფასებს ECL-ს და აღიარებს კრედიტების დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

AC-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში ცალკე აღიარდება, როგორც ვალდებულება. FVOCI-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ცვლილებები ამორტიზებულ ღირებულებაში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები, აღიარებულია მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები კი აღიარებულია OCI-ში, როგორც მოგებას გამოკლებული დანაკარგები სავალო ინსტრუმენტებზე FVOCI-ით.

ჯგუფი გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ ჯგუფი თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის, გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL“). იმისთვის, თუ როგორ ადგენს ჯგუფი, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება 35. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის ჯგუფისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში 35. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, (“POCI აქტივები”), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება 35 გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

გამონაკლისის სახით, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორიცაა საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ სესხის და აუთვისებელი ვალდებულების კომპონენტს, ჯგუფი არსებობის მოსალოდნელი მთლიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრისთვის გამარტივებულ მეთოდს იყენებს. ფინანსური გარანტიების და საკრედიტო ვალდებულებებისთვის, ECL-ის რეზერვი „ვალდებულებების და ხარჯების რეზერვების“ დოკუმენტში განცხადდება, როგორც ვალდებულება.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, შემდეგი მაჩვენებლები გამოიყენება: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება და ჩამოწერის დღეს უზრუნველყოფის არარსებობა. ბანკი ასევე ჩამოწერს სესხებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა გაყიდულია აუქციონზე, ან დასაკუთრებულია. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, როცა ჩამოწერის მომენტისთვის ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი არ არსებობს. ექსპერტული რეკომენდაციის მიხედვით, ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როცა ჯგუფი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ. ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია მნიშვნელოვანია თუ არა, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან მოგება საკუთარ კაპიტალზე), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ორი ან მეტი ფინანსური აქტივის აგრეგირება ერთ ფინანსურ აქტივად ან ფინანსური აქტივების სხვა ტიპის კონსოლიდაცია, ფინანსური აქტივები, რომელსაც არ აქვს წინასწარგანსაზღვრული ფულადი ნაკადები, ერთმანეთს ჩაანაცვლებს გრაფიკით ან პირიქით, როცა ფულად ნაკადებზე უფლებები თავდაპირველ კონტრაგენტებს შორის ამოიწურება იმის გამო, რომ თავდაპირველ დებიტორს ჩაანაცვლებს ახალი (თუ ორივე დებიტორი საერთო კონტროლის ქვეშ არაა), ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკთან, ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როცა მსესხებელი არ არის ფინანსური სიძნელეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, ჯგუფი თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული

აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ჯგუფსა და ჯგუფის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება. თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები. დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები მოიცავს გამოუშვებელი პრემიების რეზერვებს, ზარალების რეზერვებს და ვადაგაუსვლელ რისკს, ასევე გადამზღვევი კომპანიებისთვის გადასახდელ თანხებს. გამოუშვებელი პრემიების რეზერვი აღიარდება, როცა ფორმდება ხელშეკრულებები და პრემიები აღირიცხება, და მოგება-ზარალში ცხადდება, როგორც სადაზღვევო შემოსავალი ხელშეკრულების პირობით. ზარალების რეზერვები მოიცავს განცხადებულ ზარალებზე გაკეთებულ რეზერვების, გაწეულ, მაგრამ არა განცხადებულ ზარალებზე გაკეთებულ რეზერვებს, ზარალების დამუშავების ხარჯების რეზერვებს. განცხადებულ ზარალებზე გაკეთებული რეზერვები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასებით. ზარალების დამუშავების ხარჯების და გაწეული, მაგრამ განუსაზღვრელი ზარალების განსაზღვრისას გამოიყენება აქტუარული მეთოდები. თითოეულ საანგარიშგებო დღეს, გამოუშვებელი პრემიის საბალანსო ღირებულება ანგარიშდება აქტიურ პოლისებზე დაზღვევის პერიოდის და პოლიცის ვადის გასვლამდე დარჩენილი დროის მიხედვით. ჯგუფი ვადაგაუსვლელ რისკებს აფასებს ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიული ეფექტიანობის მიხედვით, რითაც საზღვრავს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას.

გამოუშვებელი პრემიის რეზერვს, ზარალების რეზერვებს და მოსალოდნელ ზარალებს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში პრემიის დანაკლისის რეზერვის შექმნით.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადამზღვევ კომპანიებზე გადასახდელი თანხები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და ანგარიშდება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები“ როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება, რადგან: 1) ისინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ინკასაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში ასახული ჩეკების გადახდები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფულისა და ფულის ეკვივალენტების ტრანსფერებს, მათ შორის, ჯგუფის კონტრაგენტების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან დაკრედიტებულ და ჯგუფის მიერ ფლობილ თანხებს, მაგ., სესხის საპროცენტო შემოსავლებს ან სესხის ძირითად თანხას, რომლის ამოღება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან, ან პროცენტის დაფარვას ან სესხის გაცემებს, რომლებიც დაკრედიტდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ფულს და ფულის ეკვივალენტებს კლიენტის პერსპექტივიდან.

ფულადი სახსრები სებ-ში. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ, ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, როცა: 1) მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში გაკეთებულ ინვესტიციებს აკლასიფიცირებს, როგორც AC-ით, FVOCI-ით ან FVTPL-ით აღრიცხულს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია AC-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და როცა ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ ისინი თვითნებურად არ არის FVTPL დანიშნულების, სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია FVOCI-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაცია და გაყიდვაა, როცა ასეთი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ არ არის FVTPL დანიშნულების. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდით პროგნოზირებული გაუფასურების რეზერვი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება აღიარდება OCI-ში. როცა სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარება წყდება, ადრე OCI-ში აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი OCI-დან გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება FVTPL-ით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს AC-ის ან FVOCI-ის კრიტერიუმებს. ჯგუფს ასევე შეუძლია ინვესტიციებს სავალო ფასიან ქაღალდებში FVTPL დანიშნულება მიანიჭოს თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ალტერნატივის არჩევა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუღალტრულ შეუსაბამობას იმ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის,

რომლებიც აღიარდება ან ანგარიშდება სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძვლებით.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც შეესაბამება წილის დეფინიციას ემიტენტის პერსპექტივიდან, ანუ ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ნაღდი ფულის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას და ეს ემიტენტის წმინდა აქტივებში ნარჩენი ინტერესის დასტურია, ჯგუფის მიერ მიიჩნევა წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციად. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ითვლება FVTPL-ით, გარდა შემთხვევებისა, როცა თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი წილობრივ ინვესტიციებს FVOCI დანიშნულებას ანიჭებს. ჯგუფის პოლიტიკაა, წილობრივ ინვესტიციებს FVOCI დანიშნულება მიანიჭოს, როცა ამ ინვესტიციებს სტრატეგიული დანიშნულება აქვს და არა მხოლოდ საინვესტიციო მოგების მიღების მიზნითაა აღრიცხული. როცა არჩევანი FVOCI-ის სასარგებლოდ კეთდება, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარდება OCI-ით და საბოლოოდ არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, მათ შორის არც გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი ამობრუნება, თუ ასეთი არის, არ ითვლება სამართლიან ღირებულებაში სხვა ცვლილებებისგან განცალკევებით. დივიდენდები კვლავ აღიარდება მოგება-ზარალში, როცა დგინდება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა შემთხვევებისა, როცა ისინი ინვესტიციის ამოღებას წარმოადგენს და არა ამ ინვესტიციიდან მოგებას.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ჩაიწერება, როცა ჯგუფი გასცემს ფულს კლიენტისგან მისაღები სესხის შესასყიდად ან წარმოშობისთვის. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი კლიენტებზე გაცემულ სესხებს და ავანსებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: 1) AC - სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და სესხები, რომლებსაც თვითნებურად არ მიენიჭება FVTPL დანიშნულება, და 2) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს SPPI ტესტს ან სხვა AC ან FVOCI კრიტერიუმებს ითვლება FVTPL-ით.

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება საპროგნოზო ECL მოდელების მიხედვით. განმარტება 35 შეიცავს ინფორმაციას ECL გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემების, ვარაუდების და პროგნოზების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებსაც ჯგუფი მიიღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. თავდაპირველად აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შეიტანება კატეგორიაში „შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა“, „სხვა ფინანსური აქტივები,“ „საინვესტიციო ქონება“ ან „სასაქონლო-მატერიალური მარაგები“ სხვა აქტივებში, გააჩნია მათ ბუნებას და ჯგუფის მიზანს ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ისინი წინასწარ ითვლება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება უმცირესი ღირებულებით, ანუ წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. სარეალიზაციო ან გრძელვადიან აქტივებთან და გასხვისების ჯგუფებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკას ჯგუფი იყენებს დასაკუთრებულ უზრუნველყოფაზე, როცა ამგვარი კლასიფიკაციისთვის შესაბამისი პირობები დაცულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი გასცემს ვალდებულებებს სესხებზე. ეს ვალდებულებები გამოუთხოვადი ან გამოთხოვადია მხოლოდ მატერიალურ უარყოფით ცვლილებასთან მიმართებაში. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც როგორც წესი დასტურდება მიღებული საკომისიოებით. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის პერიოდში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუ არის იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ დაკრედიტების ხელშეკრულებას დადებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას წარმოშობიდან მოკლე ვადაში; ამგვარი სასესხო ვალდებულების საკომისიოები გადავადდება და შეიტანება სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ითვლება 1) თავდაპირველი აღიარების თანხის დარჩენილი

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაამორტიზებული ბალანსით, პლუს 2) ზარალის რეზერვის თანხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით, თუ ვალდებულება ითვალისწინებს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ქვემოთ, რა შემთხვევაშიც დათვლა ხდება ამ ორი თანხიდან უმაღლესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც მოიცავს როგორც სესხს ისე აუთვისებელ ვალდებულებას და როცა ჯგუფს არ შეუძლია ცალკე განსხვავოს აუთვისებელი ვალდებულების და სესხის კომპონენტის ECL, აუთვისებელი ვალდებულების ECL აღიარდება სესხზე ზარალის რეზერვთან ერთად. რამდენადაც კომბინირებული ECL-ები აჭარბებს სესხის ბრუტო საბალანსო ღირებულებას, ისინი აღიარებულია ვალდებულებად.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები მოითხოვს, რომ ჯგუფმა სპეციალური გადახდები გააკეთოს, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ გაწეული ზარალი, რომელიც გამოიწვია კონკრეტული დებიტორის მიერ ვადადამდგარი ვალდებულების გაუსტუმრებლობამ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების თანახმად. ფინანსური გარანტირები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რისი დასტურიცაა მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) გარანტირებული პოზიციის ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი ზარალის მეთოდით და 2) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას. ამასთან, ECL ზარალის რეზერვი აღიარდება იმ მისაღები საკომისიოებისთვის, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღიარებულია, როგორც აქტივი.

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებს კომპენსაციას იმ შემთხვევებში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით არაფინანსური ეფექტიანობის რისკი გადაეცემა საკრედიტო რისკთან ერთად. ეფექტიანობის გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ადასტურებს მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას და 2) თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონტრაქტზე ანგარიშსწორებისთვის საჭირო დანახარჯის საუკეთესო წინასწარი შეფასება, დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით. როცა ჯგუფს კონტრაქტით მინიჭებული აქვს უფლება, ეფექტიანობის გარანტიის კონტრაქტების ანგარიშსწორებისთვის გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ეს თანხები გარანტიის მიმღებისთვის ზარალის ანაზღაურების გადაცემისას აღიარდება, როგორც აქტივი. ეს საკომისიოები აღიარდება მოგება-ზარალის „საკომისიო შემოსავლების“ კატეგორიაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს გაქირავებიდან შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელიც ჯგუფის მიერ არ არის დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს აქტივებს მშენებლობის პროცესში, რომელიც მომავალში გამოიყენება საინვესტიციო ქონებად.

საინვესტიციო ქონება განცხადებულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა. თუ არსებობს იმის მინიშნება, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი წინასწარ აფასებს იმ თანხას, რომელსაც რეალიზაციიდან ამოიღებს, როგორც უმაღლესს ამ სიდიდეებიდან: გამოყენების ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება იწერება ანაზღაურებადი ღირებულების სიდიდით, წლის მოგება-ზარალში გატარებით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ აქტივის ამოღებადი თანხის დასადგენად გაკეთებული წინასწარი შეფასებები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქირიდან მიღებული შემოსავალი წლის მოგება-ზარალში იწერება სხვა საოპერაციო შემოსავლის

კატეგორიაში.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა განცხადდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა, გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც განცხადებულია გადაფასებული თანხებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

საკმაო რეგულარულობით, შენობები გადაფასებას ექვემდებარება, რათა ზუსტად იყოს ცნობილი, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც დადგინდებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებისას. საბალანსო ღირებულების ზრდა, რომელსაც გადაფასებისას აქვს ადგილი, კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში და ზრდის გადაფასების ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც აოფსეტებს იმავე აქტივის წინა ზრდებს, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს ადრე აღიარებულ გადაფასების ნამეტს კაპიტალში; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება წლის მოგება-ზარალში. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასების რეზერვი, რომელიც კაპიტალშია შეტანილი, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში, როცა გადაფასების ნამეტი რეალიზდება აქტივის აქტიური მოხმარებიდან გამოსვლის ან გასხვისებისას. თუ არ არსებობს სამართლიანი ღირებულების ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულება, მაშინ სამართლიანი ღირებულება წინასწარ ფასდება შემოსავლის მიდგომის გამოყენებით. მენეჯმენტმა განაახლა მიწის და შენობების საბალანსო ღირებულება, რომელიც დაითვალა საანგარიშო პერიოდის ბოლოდ გადაფასების მოდელის გამოყენებით, ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულებით და კმაყოფილია, რომ განახლებული სამართლიანი ღირებულების დასაბუთებისთვის საკმარისი საბაზრო მტკიცებულება არსებობს.

მცირე შეკეთებების ხარჯები და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები მათი გაწევისას ტარდება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის დიდი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზაციას გადის, გამოცვლილი ნაწილი კი აღირიცხება, როგორც აქტიური მოხმარებიდან გამოსული.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გაუფასურების რამე ნიშნები. თუ არის, მენეჯმენტი წინასწარ აფასებს ამოსაღები თანხის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება, როგორ აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლეს მაჩვენებელს გამოკლებული გასაყიდი ხარჯები და ღირებულების გამოყენებული სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოსაღებ თანხამდე და წლის მოგება-ზარალში აღიარდება გაუფასურების ზარალი იმ ოდენობით, რომ აჭარბებდეს კაპიტალში აღიარებულ გადაფასების ნამეტს. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ დაფიქსირდება ცვლილებები ღირებულების გამოყენებული სიდიდის ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ხარჯების პროგნოზირებისთვის გამოყენებულ მაჩვენლებლებში.

გასხვისებისას მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც დადგინდება შემოსული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება წლის მოგება-ზარალში (სხვა ოპერაციულ შემოსავალში ან ხარჯებში).

ცვეთა. ცვეთა არ ვრცელდება მიწასა და მშენებლობაზე. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიის სხვა მუხლებზე ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით და მათი თვითღირებულება ან გადაფასებული თანხები მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე ნაწილდება მათ ნარჩენ ღირებულებაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა	5

კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით	
ავტოტრანსპორტი	1 და 7 წლამდე
სხვა	5
	10

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საპროგნოზო თანხა, რომელსაც ჯგუფი აქტივის რეალიზაციიდან ამჟამად მიიღებდა, გამოკლებული გასხვისების შესაძლო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ასაკიანია და იმ მდგომარეობაშია, რომ მოსალოდნელია, სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო პერიოდი ჰქონდეს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა განიხილება და თუ საჭიროა კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისას და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანისას. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ კი არსებობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოპოვების ალბათობა. რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს. გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება სწორხაზოვან საფუძველზე მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან ჯგუფისთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.
სხვა ხელშეკრულებებში შეტანილი იჯარები გამოცალკევებულია, თუ (ა) გარიგების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და (ბ) გარიგება ითვალისწინებს აქტივით სარგებლობის უფლების გადაცემას. საოპერაციო იჯარის ფარგლებში აქტივის იჯარით გაცემისას, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები თანხების აღიარება ხდება საიჯარო შემოსავლის სახით, სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გადაცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკებს და სარგებელს მოიჯარეს, და იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება დასაწყისში (იჯარის ვადის დაწყებისთანავე) თავდაპირველად დაწესებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის ხელშეკრულების ადრინდელი თარიღი და მხარეების მიერ კონტრაქტის ძირითადო დებულებების მიღების თარიღი).

მთლიანი მისაღები შემოსავლებისა და დღევანდელი ღირებულების სხვაობა წარმოადგენს არაგამომუშავებულ ფინანსურ შემოსავალს. აღნიშნული შემოსავალი ექვემდებარება აღიარებას იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა ინვესტიციების (დაბეგვრამდე) მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოგების მუდმივ პერიოდულ ნორმას. დამატებითი ხარჯები, დაკავშირებული იჯარის ორგანიზებასთან და მოლაპარაკების ჩატარებასთან, შედის ფინანსური იჯარის დებიტორული დავლიანების პირველად შეფასებაში და ამცირებს იჯარის პერიოდში აღიარებულ მოგების თანხას. იჯარის ფინანსური მოგება აისახება სხვა საოპერაციო მოგებათა შემადგენლობაში წლიური მოგება-ზარალის ნაწილში.

საკრედიტო დანაკარგების რეზერვის აღიარება ხორციელდება საერთო ECL(მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) მოდელის შესაბამისად. ECL-ი დგინდება იგივე მეთოდით. რაც სესხებისათვის და ავანსებისათვის, რომლების შეფასება ხდება AC (ამორტიზირებული ღირებულების) -ში და აღირიცხება სარეზერვო ანგარიშით დებიტორული დავალიანების სუფთა საბალანსო ღირებულების ჩამოწერისათვის მოყვანილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ღირებულებაში, ფინანსური იჯარით გათვალისწინებული დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთით. სამომავლო სავარაუდო ფყლადი ნაკადები ასახვა ფულად ნაკადებს, რომლებიც ჩნდება აქტივების შეძენა-გაყიდვების შედეგად, რომლებიც ექვემდებარება იჯარას.

სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები), რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს როგორც არაბრუნვად ისე ბრუნვად აქტივებს, კლასიფიცირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში როგორც "გასაყიდად არსებული არაბრუნვადი აქტივები", თუკი მათი საბალანსო ღირებულება იქნება დაფარული ძირითადად გაყიდვის ტრანსაქციის მეშვეობით, მათ შორის აქტივებილ მფლობელ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის ჩათვლით, 12 თვის განმავლობაში საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. აქტივები ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, თუ კი ყველა მომდევნო პირობა დაკმაყოფილებულია: (ა) აქტივები ხელმისაწვდომია მყისიერი გაყიდვისთვის ახლანდელ პირობებში; (ბ) ჯგუფის მენეჯმენტის ამტკიცებს და ინიციირებს მყიდველის მოპოვების აქტიურ პროგრამას;(გ) აქტივები აქტიურად იყიდება გონივრულ ფასში; (დ) გაყიდვა მოსალოდნელია ერთ წლის განმავლობაში: და € ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გაყიდვების გეგმაში იქნება შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები ან, რომ გეგმა იქნება გაუქმებული. არაბრუნვადი აქტივები და განკარგვის ჯგუფები, კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის მიმდინარე პერიოდისათვის არ არის რეკლასიფიცირებული ან ხელმეორედ წარმოდგენილი ფინნასური მდგომარეობის შედარებით ანგარიშში მიმდინარე პერიოდის კლასიფიკაციის ამსახველად.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი გასხვისების ჯგუფები მთლიანობაში ანგარიშდება მათი უმცირესი საბალანსო ღირებულებით და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებით.

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ. სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებები იწერება, როცა ფული ან სხვა აქტივები გაიცემა ჯგუფზე კონტრაგენტი ბანკების მხრიდან. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი შეისყიდის მის საკუთარ ვალს, ვალდებულება მოიხსნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეიტანება ვალის ადრეული გაუქმებით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

კლიენტთა ანგარიშები. კლიენტთა ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების არაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხება AC-ით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო ხელშეკრულებების, საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსების, ფორვარდული გარიგებების, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების სვოპების და სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონების ჩათვლით, სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

ჯგუფი ახდენს კონტრაგენტ ბანკებთან არსებული სესხების ოფსეტირებას ვალუტების უერთიერთგაცვლის მიზნით. იურიდიული თვალსაზრისით განცალკევებული ასეთი სესხები აგრეგირდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სვოპი), სადაც 1) სესხები გაიცემა ერთდროულად, 2) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, 3) არის ერთი და იგივე რისკის ქვეშ და 4) არ არსებობს ასეთი ტრანზაქციების ცალკე სტრუქტურირების ბიზნეს-საფუძველი.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია აქტივების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითი რიცხვია, და ვალდებულების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითი რიცხვია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შეიტანება წლის მოგება-ზარალში (მოგებას გამოკლებული დანაკარგები წარმოებულებზე). ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია იმ კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ძალაშია, ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ტრანზაქციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის, ან ამოსაღებია მათგან, მიმდინარე და წინა პერიოდების დაბეგვრად მოგებასთან ან დანაკარგებთან დაკავშირებით. დაბეგვრადი მოგება ან ზარალი ეყრდნობა წინასწარ შეფასებებს, თუ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ავტორიზებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოებში გაგზავნამდე. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ჩაიწერება ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღირიცხება საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებების გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროებითი განსხვავებებისთვის ისეთ ტრანზაქციებში, რომელიც არ არის ბიზნესის კომბინაცია, თუ ტრანზაქცია, როცა თავდაპირველად აღირიცხება, არ ახდენს გავლენას არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები ითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება იმ პერიოდში, როცა დროებითი განსხვავებები ამობრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადასატანების უტილიზაცია მოხდება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განეტოვდება მხოლოდ ჯგუფის ცალკეული კომპანიების შიგნით.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გაქვითვადი დროებითი განსხვავებების და საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლიდანაც მოხდება გაქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება შესყიდვისშემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და სხვა შესყიდვისშემდგომ ცვლილებებზე შვილობილი კომპანიების რეზერვებში, როცა ჯგუფი აკონტროლებს შვილობილი კომპანიის დივიდენდების პოლიტიკას და როცა არის ალბათობა, რომ პროგნოზირებად მომავალში განსხვავება არ ამობრუნდება დივიდენდების სახით ან სხვაგვარად.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. ისინი დაირიცხება, როცა ჯგუფს აქვს წარსულის მოვლენებით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, როცა არის

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ალბათობა, რომ ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის სახით არსებული რესურსების გადინება და როცა შეიძლება ვალდებულების სანდო ოდენობის განსაზღვრა.

საქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში,

როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები იწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა ისინი დეკლარირდება. ბანკის კანონით მოთხოვნილი სააღრიცხვო დოკუმენტები წარმოადგენს მოგების განაწილების და სხვა ასიგნებების საფუძველს.

საპროცენტო მოგების და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. ჯგუფის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას მისი წარმოშობიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი სასესხო ვალდებულებების FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების დანიშნულებას არ ანიჭებს.

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც წარმოშობილი ან შესყიდული საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობას (მათ შორის თავდაპირველად მოსალოდნელ საკრედიტო რისკების დანაკარგებს) სამართლიან ღირებულებაზე თავდაპირველი აღიარებისას (როგორც წესი, წარმოდგენილია შესასყიდი ფასით). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია საკრედიტო რისკის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში წრფივი მეთოდით მომსახურების გაწევის პარალელურად, როცა კლიენტი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღებულ სარგებელს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს ანგარიშის წარმოების პერიოდულ საკომისიოებს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოებს და ა.შ. ცვლადი საკომისიოები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი ამობრუნება არ მოხდება.

სხვა საკომისო შემოსავალი აღიარდება ისეთ დროს, როცა ჯგუფი დააკმაყოფილებს ეფექტიანობის ვალდებულებას, როგორც წესი, მიმდინარე ტრანზაქციის შესრულების შემდეგ. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს იმ მომსახურების ტრანზაქციის ფასს, რომელიც აშკარად ეფექტიანობის მოვალეობის შესრულებას წარმოადგენს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს კლიენტის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ორგანიზების საკომისიოს, საგადახდო ტრანზაქციების დამუშავების საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საკომისიოს, ინკასაციის ან ნაღდი ფულის განაწილების საკომისიოს, ასევე მესამე მხარესთან მოლაპარაკებით ან ამ

მოლაპარაკებაში მონაწილეობით გამოწვეულ საკომისიოს, მაგალითად სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შესახებ, ან ბიზნესის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ. სესხების სინდიცირების საკომისიოები აღიარდება შემოსავლად, როცა სინდიკაცია დასრულდება და ჯგუფი თავისთვის არ იტოვებს სესხის არცერთ ნაწილს, ან იტოვებს ნაწილს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც სხვა წევრებისთვისაა განსაზღვრული.

წმინდა სადაზღვევო შემოსავლები. წმინდა გამოშვებული სადაზღვევო პრემიები აღიარდება პოლისის გაცემისას და და მიიღება პროპორციულად შესაბამისი პოლისის ვადის პერიოდში. გამოშვებული პრემიები ასახავს პერიოდის განმავლობაში დაწყებულ საქმეს და გამორიცხავს გაყიდვებიდან წარმოშობილ გადასახადებს ან მოსაკრებლებს.

გამოუშვებელი პრემიების რეზერვები. მოზიდული პრემიების ის პროპორცია, რომელიც მომდევნო პერიოდებს მიეწერება, გადავადდება, როგორც გამოუშვებელი პრემია. გამოუშვებელი პრემიის რეზერვის ცვლილება მოგება-ზარალში გადაიტანება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც შემოსავალი აღიარდება რისკის პერიოდში, ან ანუიტეტებისთვის მოსალოდნელი სარგებლის გადახდის მიხედვით.

წმინდა სადაზღვევო ზარალები. სადაზღვევი ზარალები, რომლებიც დადგა, მოიცავს პერიოდში მომხდარ ზარალით გამოწვეულ დანაკარგებს, სულერთია, განცხადებულია თუ არა, მათ შორის, მათი მოგვარების ხარჯებს და სხვა ამოღებას და წინა პერიოდების აუნაზღაურებელი ზარალების კორექტირებას. ზარალების მოგვარების ხარჯებში შედის შიდა და გარე ხარჯები, რომლებიც გაიწევა ზარალებზე მოლაპარაკებების და მათ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ოჯახის ექიმების ხელფასები. შიდა ხარჯებში შედის ზარალების დეპარტამენტის ყველა პირდაპირი ხარჯი და ზარალების ფუნქციასთან უშუალოდ დაკავშირებული ზოგადადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი.

უცხოური ვალუტის გაყიდვა და ყიდვა და ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფი ყიდის და ყიდულობს ვალუტებს. ტრანზაქციები სრულდება ჯგუფის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით, რომლებიც განსხვავდება კონკრეტული დღის ოფიციალური სპოტ კურსებისგან. ოფიციალურ განაკვეთებსა და ჯგუფის განაკვეთებს შორის განსხვავებები აღიარებულია, როგორც შემოსავლებს გამოკლებული უცხოური ვალუტის ვაჭრობით გამოწვეული დანაკარგები დროის იმ მონაკვეთში, როცა კონკრეტული ეფექტიანობის ვალდებულება კმაყოფილდება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ბიზნესერთეულის ფუნქციური ვალუტა არის იმ უშუალო ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს ბიზნესერთეული მოღვაწეობს. ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციური ვალუტა, ასევე ჯგუფის საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. (“GEL”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში გადაანგარიშდება სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში სებ-ის წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშებით გამოწვეული სავალუტო მოგება და დანაკარგები აღიარდება წლის მოგება-ზარალში (როგორც უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების მოგებას გამოკლებული დანაკარგები). წლის ბოლოს არსებული კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფულადი მუხლები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, მათ შორის წილობრივი ინვესტიციები, გადაანგარიშდება იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაშია სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები არაფულად მუხლებზე, რომელიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, იწერება, როგორც მათი სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი.

ჯგუფის ბიზნესერთეულებს შორის სესხები და მასთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან დანაკარგები გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოური ვალუტის ნაშთების გადაანგარიშებისას გამოყენებული მთავარი გაცვლითი კურსი იყო USD 1 = GEL 2.6766 (2017: USD 1 = GEL 2.5922), EUR 1 = GEL 3.0701 (2017: EUR 1 = GEL 3.1044).

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და დაკავშირებული დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა. წილობრივი ინსტრუმენტებით შედგენილი საკომპენსაციო გეგმის თანახმად, ჯგუფი იღებს მომსახურებებს მენეჯმენტისგან, როგორც ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებას. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურებების სამართლიანი ღირებულება აღიარდება ხარჯად. ხარჯად გასაწერი მთლიანი თანხა განისაზღვრება გრანტად გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც გამორიცხავს არასაბაზრო სერვისის და ეფექტიანობის მინიჭების (უფლების გადაცემის) პირობების გავლენას. არასაბაზრო მინიჭების პირობები შეტანილია მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში. ხარჯად გაწერილი მთლიანი თანხა აღიარდება მინიჭების პერიოდში; ეს ის პერიოდია, როცა აქციებზე უფლების გადაცემის ყველა კონკრეტული პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო უწყისის თითოეულ თარიღზე ჯგუფი გადასინჯავს თავის წინასწარ შეფასებებს არასაბაზრო პირობებით მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ის აღიარებს თავდაპირველი პროგნოზების გადასინჯვის ზეგავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგებაზე ან ზარალზე, რასაც კაპიტალში შესაბამისი კორექტირება მოჰყვება. კაპიტალის ზრდა დარიცხულ აქციებზე, წილობრივი ანგარიშსწორების სქემებიდან გამომდინარე, აღირიცხება აქციებით ანგარიშსწორების რეზერვის კატეგორიაში. აქციებზე უფლების გადაცემის პირობების დაკმაყოფილებისას, აქციებით ანგარიშსწორების რეზერვი (რომელიც გადაცემულ აქციებს მიეწერება) გადაიტანება სააქციო კაპიტალში და საემისიო შემოსავალში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პრეზენტაცია ლიკვიდობის მიხედვით. ჯგუფს არ გააჩნია მკაფიოდ გამოვლენილი ოპერაციული ციკლი და შესაბამისად მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე არ წარადგენს. ნაცვლად ამისა, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ლიკვიდობის რიგითობით. ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი მოსალოდნელი ვადიანობის მიხედვით იხ. განმარტება 35-ში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმ თანხებზე, რომელთა ამოღებაც ან ანგარიშსწორებაც მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტ თვემდე და მის შემდეგ, იმ მუხლებზე, რომელიც არ არის გაანალიზებული განმარტება 35-ში.

	31 დეკ 2018			31 დეკ 2017		
	ამოსაღები ან საანგარიშწ. თანხები			ამოსაღები ან საანგარიშწ. თანხები		
ათასი ლარი	12 თვის განმავლ. საანგ. პერიოდ. შემდ.	საანგ. პერიოდ. გასვლ. 12 თვის შემდ.	სულ	12 თვის განმავლ. საანგ. პერიოდ. შემდ.	საანგ. პერიოდ. გასვლ. 12 თვის შემდ.	სულ
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალ.	132,500	-	132,500	139,577	-	139,577
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	170,443	-	170,443	130,824	-	130,824
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	-	15,094	-	15,094
ინვესტ. სავალო ფას. ქაღ.-ში	85,727	89,963	175,690	-	-	-
ინვესტ. წილობრივ ფას. ქაღ.-ში	-	63	63	-	-	-
სესხები და ავანსები კლიენტებზე	305,268	595,535	900,803	325,386	432,488	757,874
სარეალიზ. საინვესტ. ფასიანი ქაღლ.	-	-	-	-	63	63
ობლიგაციები ამორტ. ღირ.-ით	-	-	-	96,172	47,731	143,903
საინვესტიციო ქონება	-	1,572	1,572	-	1,078	1,078
მოგების გადასახადის მიმდინარე ავანსი	5	-	5	217	-	217
სხვა ფინანსური აქტივები	4,932	134	5,066	1,407	22	1,429
სხვა აქტივები	1,339	16,110	17,449	367	16,490	16,857
არამატერიალური აქტივები	-	1,382	1,382	-	861	861
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	-	26,457	26,457	-	21,894	21,894
სარეალიზ. გრძელვად. აქტივები	4,249	111	4,360	1,928	-	1,928
მთლიანი აქტივები	**704,463**	**731,327**	**1,435,790**	**710,972**	**520,627**	**1,231,599**
ვალდებულებები						
ვალდ. სხვა ბანკ. მიმართ	100,196	-	100,196	59,982	-	59,982
კლიენტების ანგარიშები	665,093	62,328	727,421	631,911	45,909	677,820
სხვა ნასესხები სახსრები	194,943	150,839	345,782	206,091	64,189	270,280
სხვა ფინ. ვალდებულებები	6,353	-	6,353	7,674	-	7,674
საშემოსავლოს მიმდ. ვალდებ.	1,647	-	1,647	-	-	-
გადავადებული საშემოსავლოს ვალდებულება	-	1,671	1,671	-	152	152
ვალდ. რეზერ. და ხარჯები	374	-	374	346	-	346
სხვა ვალდებულებები	2,812	-	2,812	1,854	-	1,854
მთლიანი ვალდებულებები	**971,418**	**214,838**	**1,186,256**	**907,858**	**110,250**	**1,018,108**

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. წინასწარი შეფასებები და მოსაზრებები მუდმივ განხილვას გადის და ითვალისწინებს მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის იმ მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც იმ გარემოებებში გონივრულად მიიჩნევა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, მენეჯმენტი ასევე აყალიბებს მოსაზრებებს, გარდა საპროგნოზო შეფასებებისა. ქვემოთ იხილავთ იმ მოსაზრებებს, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე, ასევე იმ პროგნოზებს, რომელთაც მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა შეუძლია:

ECL შეფასება. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება 35-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. ჯგუფი რეგულარულად გადასინჯავს და ამტკიცებს მოდელებს და მათში გამოყენებულ კომპონენტებს, რათა შეამციროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებსა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის განსხვავება.

ECL-ის გაზომვისთვის ჯგუფმა დამხმარე საპროგნოზო ინფორმაცია გამოიყენა, კერძოდ, მაკროეკონომიკის პროგნოზირების მოდელი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) აქვეყნებს. ამ სცენარის მოდელებია: საბაზისო სცენარი, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები. სებ-ის რეკომენდაციით, ჯგუფი 50% წონას ანიჭებს საბაზისო სცენარს, და 25-25%-ს ოპტიმისტურს და პესიმისტურს. ECL-ის დონესთან და მათთვის მინიჭებულ წონებთან კორელაციაში მყოფი ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

		მინიჭებული წონა	პროგნოზი პერიოდისთვის		
ცვლადი	სცენარი		2019	2020	2021
სამოხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია	საბაზისო	50%	2.90%	3.00%	3.00%
	ოპტიმისტური	25%	3.40%	3.20%	3.00%
	პესიმისტური	25%	4.50%	4.00%	3.00%
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი	საბაზისო	50%	5.00%	5.00%	5.00%
	ოპტიმისტური	25%	6.00%	5.50%	5.00%
	პესიმისტური	25%	2.00%	2.50%	3.50%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის განაკვეთი NEER (2010=100)	საბაზისო	50%	125.45	125.45	125.45
	ოპტიმისტური	25%	132.99	136.98	136.98
	პესიმისტური	25%	116.65	110.82	113.06
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარში (2017=100)	საბაზისო	50%	102.90	103.00	103.00
	ოპტიმისტური	25%	103.40	103.20	103.00
	პესიმისტური	25%	95.00	100.00	105.00
სახელმწიფო რისკის პრემია,%	საბაზისო	50%	2.60	2.60	2.60
	ოპტიმისტური	25%	2.60	2.60	2.60
	პესიმისტური	25%	4.10	3.60	2.60

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვარს პროგნოზები და მინიჭებული წონები იყო შემდეგი:

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	პროგნოზი პერიოდისთვის 2018	2019	2020
სამომხმ. ფას. ინდ. ინფლაცია	საბაზისო	50%	3.50%	3.00%	3.00%
	ოპტიმისტური	25%	2.50%	2.50%	2.70%
	პესიმისტური	25%	4.50%	4.30%	3.80%
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი	საბაზისო	50%	4.50%	4.80%	5.00%
	ოპტიმისტური	25%	5.50%	6.00%	5.70%
	პესიმისტური	25%	3.00%	2.00%	3.00%
ნომინ. ეფექტ. გაცვლ. კურსი, NEER (2010=100)	საბაზისო	50%	107.00	108.00	109.00
	ოპტიმისტური	25%	110.00	112.00	113.00
	პესიმისტური	25%	101.00	98.00	99.00
უმტ. ქონ. ფასების ინდექსი ლარში (2017=100)	საბაზისო	50%	103.50	106.60	109.80
	ოპტიმისტური	25%	101.40	103.60	107.70
	პესიმისტური	25%	104.90	109.80	112.00
სახელმწიფო რისკის პრემია, %	საბაზისო	50%	2.60	2.60	2.60
	ოპტიმისტური	25%	2.00	2.00	2.00
	პესიმისტური	25%	3.50	4.00	4.00

საბაზისო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ვარაუდებში წონის ცვლილება 10%-ით პესიმისტურის მხარეს, ECL-ის 63 ათასი ლარით ზრდას გამოიწვევდა 2018 წლის 31 დეკემბერს (2018 წლის 1 იანვარს: 17 ათასი ლარით)

შესაბამისი ცვლილება პესიმისტურისკენ კი ECL-ს 34 ათასი ლარით შეამცირებდა 2018 წლის 31 დეკემბერს (2018 წლის 1 იანვარს: 17 ათასით)

დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10% ზრდა 2018 წლის 31 დეკემბერს მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 394 ათასი ლარით გაზრდიდა 2018 წლის 31 დეკემბერს (2018 წლის 1 იანვარს: 448 ათასი ლარით)

2018 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10%-იანი შემცირება მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 418 ათასი ლარით შეამცირებდა (2018 წლის 1 იანვარს: 471 ათასი ლარით)

LGD პროგნოზის 10% ზრდა ან შემცირება 2018 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 565 ათასი ლარით ზრდით ან შემცირებით დასრულდებოდა (2018 წლის 1 იანვარს: 310 ათასით ზრდა ან შემცირება)

LGD ქვედა ზღვარს ბანკი იყენებს LGD ღირებულების წინასწარი შეფასებისთვის. LGD ქვედა ზღვარის 10%-იანი ზრდა ან კლება 2018 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 300 ათასი ლარით ზრდით ან კლებით დასრულდებოდა (2018 წლის 1 იანვარს: 330 ათასი ლარით ზრდა ან კლება).

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ საანგარიშო პერიოდის ბოლოს მომხდარი დეფოლტის რისკს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის ზრდის ქცევით მაჩვენებლებს ვადაგადაცილებამდე გამოავლენს და შესაბამის საპროგნოზო ინფორმაციას

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის შეფასებაში შეიტანს, ან ცალკეული ინსტრუმენტის, ან პორტფელის დონეზე. იხ.

განმარტება 35.

ECL რომ კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხსა და ავანსზე იზომებოდეს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ით, (ანუ, ამჟამად 1 და 2 ეტაპებს მიკუთვნებულებივ, 12-თვიანი ECL-ით), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 1,577 ათასი ლარით მეტი იქნებოდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 1 იანვარს: 832 ათასი ლარით მეტი).

ფინანსური აქტივების მოდიფიკაცია. როცა ფინანსური აქტივები განიცდის მოდიფიკაციას ხელშეკრულების მიხედვით (ანუ მათზე ხელახალი მოლაპარაკების შედეგად), ჯგუფი აფასებს, ეს მოდიფიკაცია არსებითია თუ არა და დასრულდება თუ არა თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტით და ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულებით აღიარებით. ეს შეფასება ძირითადად ემყარება ხარისხობრივ ფაქტორებს, რაც შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაშია აღწერილი და მოსაზრებების ჩამოყალიბებას მოითხოვს. კერძოდ, ჯგუფი მოსაზრებებს აყალიბებს იმის გადაწყვეტისას, უნდა შეწყდეს თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ხელახლა მოლაპარაკებული სესხების აღიარება და უნდა მოხდეს თუ არა ახალი აღიარებული სესხების მიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მათი თავდაპირველი აღიარებისას. აღიარების შეწყვეტის მსჯელობა დამოუკიდებელია იმაზე, იცვლება თუ არა რისკები და სარგებელი, ანუ მოსალოდნელი (და არა სახელშეკრულებო) ფულადი ნაკადების მოძრაობის ცვალებადობა, ამგვარი მოდიფიკაციების შედეგად. მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ რისკები და სარგებელი არ იცვლება ამგვარი სესხების მოდიფიცირების შედეგად და შესაბამისად, ძირითადად ყველა ამგვარი მოდიფიკაციისას, არც სესხების აღიარება წყდებოდა და არც მათი ამოღება ხდებოდა სარედიტო რისკით გაუფასურებულის ეტაპიდან.

ჩამოწერის პოლიტიკა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. მოსაზრებების ჩამოყალიბება ესაჭიროება იმ ფულადი ნაკადების მოძრაობის დადგენას, რისთვისაც ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, მენეჯმენტმა შემდეგი მაჩვენებლები გაითვალისწინა: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება, ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცედურების არსებობა, ჩატარებული ამოღების ღონისძიებების არსებობა, რის შედეგადაც უზრუნველყოფა აღარ არსებობს.

5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა

IFRS 9 "ფინანსური ინსტრუმენტების" შემუშავება. ჯგუფმა მიიღო IFRS 9, „ფინანსური ინსტრუმენტები," 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა აირჩია, ხელახლა არ განეცხადებინა შედარებითი რიცხვები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება სტანდარტის პირველად გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ საწყის გაუნაწილებელ

მოგებაში აღიარა. შესაბამისად, IFRS 7-ის: *ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება,* გადამუშავებული მოთხოვნები მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე იქნა მისადაგებული. შედარებითი პერიოდის გამჟღავნებები იმეორებს წინა წელს გაკეთებულ გამჟღავნებებს.

მიმდინარე პერიოდზე მისადაგებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა განმარტება 3-შია აღწერილი. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შედარებით ინფორმაციას მიესადაგება, გამჟღავნებულია განმარტება 42-ში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ათანხმებს ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებებს, როგორც ბანკმა და ჯგუფმა ადრე გაზომა IAS 39-ით, და 2018 წლის 1 იანვარს მიღებული IFRS 9-ით დადგენილ ახალ თანხებს. IAS 39-ის ჯგუფის დაწესებულებებზე, ბანკის გარდა, ცალკე გავლენა არსებითი არ ყოფილა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ აღიარებულა.

ათასი ლარი	გაზომვის კატეგორია IAS 39	გაზომვის კატეგორია IFRS 9	საბ. ღირ IAS 39 - 31 დეკ. 2017	IFRS 9-ის ეფექტ ხელახლა გაზომ ECL	საბ. ღირ. IFRS 9 - 1 იანვ. 2018
ფული და ფულის ეკვივალ.	L&R	AC	**139,577**	**(114)**	**139,463**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში			**130,824**	-	**130,824**
ინვესტ. სავალო ფას. ქაღ.					
- საქ. მთავრ. სახაზ. ობლ.	L&R	AC	87,747	(169)	87,578
- საქ. მთავრ. სახაზ. ფას. ქაღლ.	L&R	AC	56,156	(89)	56,067
მთლიანი ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში			**143,903**	**(258)**	**143,645**
ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში					
- **კორპორაციების აქციები**	**AFS**	**FVOCI**	**63**	**-**	**63**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ					
- განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადიანობით	L&R	AC	**15,094**	**(48)**	**15,046**
სესხები და ავანსები კლიენტებზე					
- *სესხები კორპორაციულ კლიენტებზე*					
- სტანდარტული დაკრედიტება	L&R	AC	**603,917**	**647**	**604,564**
- *სესხები ფიზ. პირებზე*					
- იპოთეკური სესხები	L&R	AC	99,763	409	100,172
- სამომხმარებლო სესხები	L&R	AC	49,204	(136)	49,068
- საკრედიტო ბარათები	L&R	AC	4,990	(28)	4,962
მთლიანი სესხები და ავანსები კლიენტებზე			**757,874**	**892**	**758,766**
სხვა ფინანსური აქტივები					
- სხვა ფინანსური აქტივები	L&R	AC	**1,429**	-	**1,429**
მთლიანი ფინანსური აქტივები			**1,188,764**	**472**	**1,189,236**

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვის და ECL მოდელით გაანგარიშებული ფინანსური გარანტიების ზრდა 235 000 ლარია.

5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა (გაგრძელება)

ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულის და ფულის ეკვივალენტების ყველა კლასი, როგორც განმარტება 0-შია მოცემული, სესხების და მისაღები შემოსავლების (L&R) კატეგორიიდან IAS 39-ის მიხედვით გადაკლასიფიცირდა AC კატეგორიაში, IFRS 9-ის მიხედვით სტანდარტის ამოქმედების დღის მდგომარეობით. ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ზარალის რეზერვი 114 ათასი შეადგენდა.

ბ) მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

სხვა ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების ყველა კლასი IAS 39-ის მიხედვით L&R კატეგორიიდან გადაკლასიფიცირდა AC კატეგორიაში IFRS 9-ის მიხედვით.

გ) *ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში*

გადაკლასიფიცირება ძველი კატეგორიებიდან გაზომვაში ცვლილებების გარეშე. ჯგუფის მიდგომით, სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტირების მიზანი არის ინვესტიციებიდან შემოსავლის მიღება პერიოდული ფულადი ნაკადების სახით. სავალო ინსტრუმენტების კატეგორია „სესხები და მისაღები შემოსავლები“ გადაკლასიფიცირდა ახალ AC კატეგორიად IFRS 9-ის მიხედვით, ისე რომ მათ გაზომვაში ცვლილება არ მომხდარა.

დ) *ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში*

ჯგუფმა არჩია, არასარეალიზაციო ფასიანი ქაღალდების პორტფელში არსებული ზოგიერთი სტრატეგიული ინვესტიციისთვის საბოლოოდ მიენიჭებინა FVOCI, როგორც ეს IFRS 9-ითაა ნებადართული. ეს ფასიანი ქაღალდები ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც AFS. ასეთი ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღარ იქნება გადაკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გაუფასურდება ან მათ განკარგავენ.

IFRS 9 არ ითვალისწინებს გამონაკლისს არაკოტირებულ წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების თვითღირებულებით აღრიცხვაზე. IFRS 9-ზე გადასვლის შემდეგ ჯგუფმა ხელახლა შეაფასა ყველა ასეთი ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით და FVOCI მიანიჭა. FVOCI ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენს, ამიტომ ჯგუფმა IFRS 9-ზე გადასვლის შემდეგ მისი ხელახლა გაზომვის ეფექტი არ ასახა.

ე) კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ბანკმა კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები SPPI კრიტერიუმებით შეაფასა. The SPPI ტესტი (შეფასება იმისა, ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოადგენს თუ არა ძირის თანხის და პროცენტის დაფარვებს) SPPI ტესტს დაქვემდებარებულ ფაქტებს და გარემოებებს ითვალისწინებს თითოეული ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღის მდგომარეობით. ბანკის მიერ გაცემული ყველა სესხი, რომელიც 2018 წლის 1 იანვარს დაუფარავი იყო, აკმაყოფილებდა SPPI ტესტს და გაიზომა AC-ით.

გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბერს და საკრედიტო ზარალის რეზერვის 2018 წლის 1 იანვარს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია გაუფასურების წინა პერიოდის საბოლოო რეზერვის, რომელიც გაიზომა დამდგარი ზარალის მოდელით IAS 39-ის მიხედვით, და ახალი საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკონსილაცია, რომელიც გაიზომა მოსალოდნელი ზარალის მოდელით IFRS 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	რეზერვი IAS 39-ის მიხედვით ან IAS 37 31 დეკ 2017	ეფექტი ხელახლა გაზომვა დამდგარიდან მოსალოდნელ ზარალზე	საკრედიტო ზარალის რეზერვი IFRS 9-ით 1 იანვ. 2018
გაზომვის კატეგორია: სესხები და მისაღები შემოსავლები			
- ფული და ფულის ეკვივალენტები	-	114	114
- მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	48	48
- ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	-	258	258
- სესხები და ავანსები კლიენტებზე	16,377	(892)	15,485
ფინანსური გარანტიები და საკრედიტო ბაზები	168	235	403

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება AC-თ აღირიცხებოდა. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და გაზომვაში ცვლილებები არ მომხდარა.

5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა (გაგრძელება)

ცხრილში გაანალიზებულია IFRS 9-ზე გადასვლის გავლენა, გადასახადების გამოკლებით, რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	საკუთრების კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გადახდები აქციებზე	AFS ფას. ქაღალდ გადაფას რეზერვი	შენობა-ნაგ. გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით IFRS 9-ზე გადასვლამდე	**16,057**	**74,923**	**851**	**154**	**8,233**	**113,273**	**213,491**
სავალო ფასიანი ქაღალდების ECL-ის აღიარება IFRS 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	-	-	-	-	202	202
სხვა ეფექტები	-	-	-	(154)	-	154	-
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (IFRS 9-ის მიხედვით)	**16,057**	**74,923**	**851**	**-**	**8,233**	**113,629**	**213,693**

ცვლილებები IFRS 9-ში - „წინასწარი შენატანის მუხლები ნეგატიური კომპენსაციით“ (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები ჯგუფმა ადრე დანერგა და პირველად 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. ცვლილებები ჯგუფს საშუალებას აძლევს, ამორტიზებული ღირებულებით გაზომოს ის გარკვეული სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთა წინასწარ გადახდაც ამორტიზებული ღირებულებაზე ნაკლებით თანხითაა შესაძლებელი, მაგალითად, სამართლიანი ღირებულებით, ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს გონივრულ კომპენსაციას, რომელსაც მსესხებელს უხდიან და რომელიც უდრის ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას. ამასთან, სტანდარტს დასკვნის საფუძვლების ნაწილში ემატება ტექსტი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს IFRS 9- ის არსებულ რეკომენდაციას, რომ ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი გარკვეული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაცია ან კონვერტაცია, რასაც შედეგად არ მოჰყვება აღიარების შეწყვეტა, მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება, როგორც მოგება, ან ზარალი.

შესაბამისად, ჯგუფი ვერ შეძლებს სესხის არსებობის დარჩენილი პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადახედვას, რათა თავიდან იქნას აცილებული სესხის მოდიფიცირებისას მისი გავლენა მოგებაზე ან ზარალზე. ეს განმარტება არ ახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე, რომლებიც 2018 წლის 1 იანვარს ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხა.

IFRS 15, შემოსავალი კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან (გამოქვეყნებულია 2014 წლის 28 მაისს და ძალაში შედის 2018 წლის 1-ლ იანვარს). IFRS 15-ის ცვლილებები „შემოსავალი კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან“ (გამოქვეყნებულია 2016 წლის 12 აპრილს და ძალაში შედის 2018 წლის 1-ლ იანვარს). ჯგუფი გადავიდა სტანდარტზე IFRS 15, „შემოსავალი კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან“, რომლის გამოყენების პირველი დღე 2018 წლის 1 იანვარი იყო. ახალი სტანდარტი გამოყენებული იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მეთოდით, მისი კუმულაციური ეფექტი კი აღიარებული იქნა 2018 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელ მოგებაში. ახალი სტანდარტით შემოღებულ იქნა ძირითადი პრინციპი, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იქნას, როდესაც პროდუქტი ან მომსახურება გადაეცემა დამკვეთს ტრანზაქციის ფასად. ნებისმიერი კომპლექსური (ჯგუფური) პროდუქტი ან მომსახურება, რომლებიც გამოკვეთილია, ექვემდებარება ცალცალკე აღიარებას; ნებისმიერი ფასდაკლება ან დათმობა საკონტრაქტო ღირებულებაზე გამოყოფილი უნდა ქნას ცალკე ელემენტებად. როდესაც ეს ანაზღაურება რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხა უნდა იქნას აღიარებული, თუ ისინი არ არის ამობრუნების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტის სარგებლის მოხმარება ხდება. სტანდარტს ჯგუფზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფში ძალაში შევიდა შემდეგი გადამუშავებული სტანდარტები. მათ ჯგუფზე რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია.

IFRS 2-ის ცვლილება წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა“ (გამოიცა 2016 წლის 20 ივნისს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან).

IFRS 4-ის ცვლილება „IFRS 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება IFRS 4-ის სადაზღვევო კონტრაქტებზე“ (გამოიცა 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შევიდა, მიდგომიდან გამომდინარე, 2018 წლის 1 იანვრიდან, იმ კომპანიებისთვის, რომელთაც არჩიეს დროებითი გამონაკლისის არჩევანის გამოყენება, ან როცა კომპანია პირველად იყენებს IFRS 9-ს იმ კომპანიებზე, რომლებმაც არჩიეს შეერთების მიდგომა)

5. ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა (გაგრძელება)

IFRS სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესების 2014-2016 წლების ციკლი - IFRS 1-ის და IAS 28-ის ცვლილებები (გამოიცა 2016 წლის 8 დეკემბერის და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან).
IFRIC 22 "სავალუტო ოპერაციები და ავანსის ანაზღაურება" (გამოიცა 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან).
IAS 40-ის ცვლილება "საინვესტიციო ქონების გადაცემა" (გამოიცა 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან).

6 ახალი ზუღალტრული განცხადებები

IFRS 16 "ლიზინგი" (გამოქვეყნებულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან) ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა სალიზინგო ურთიერთობაში მოიჯარე თავიდან იღებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დასაწყისში და თუ საიჯარო გადახდები ხორციელდება გარკვეული პერიოდით, აგრეთვე იღებენ დაფინანსებას. შესაბამისად IFRS 16 გამორიცხავს ლიზინგის, როგორც საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს IAS 17 და ამის ნაცვლად შემოიღებს ერთი მოიჯარის აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტი ვადიანობით, თუ შესაბამისი აქტივი დაბალი ღირებულების არ არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაცია საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთისგან განცალკევებით საშემოსავლო დეკლარაციაში. IFRS 16 არსებითად აყალიბებს მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნებს IAS 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე საიჯარო ქონებას კვლავ საოპერაციო იჯარის ან ფინანსური ლიზინგის სახით აკლასიფიცირებს და განაგრძობს მათ სხვადასხვანაირად აღრიცხვას. ჯგუფის გადაწყვეტილებით, ის სტანდარტს მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მეთოდით გამოიყენებს, შედარებების ხელახალი განცხადების გარეშე. 2019 წლის 1 იანვარს ჯგუფმა აღიარა 2,541 ლარის ღირებულების აქტივის გამოყენების უფლება შესაბამის სალიზინგო ვალდებულებაზე. საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებების შეთანხმება, რომელიც განმარტება 37-შია გამჟღავნებული, ასეთია:

ათასი ლარი	31 დეკ 2018 / 1 იანვ 2019
მთლიანი სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები შეუცვლელი საოპერაციო საიჯარო ქონებაზე (განმარტება 37)	327
- სამომავლო სალიზინგო გადახდები, რომელთა გადახდის ვადაც დგება და რომლებზეც ვრცელდება ვადის გახანგრძლივების არჩევანი და როცა არსებობს გონივრული ზუსტი ვარაუდი, რომ ეს არჩევანი განხორციელდება.	2,602
- მომდინარე ღირებულებაზე დისკონტის ეფექტი	(388)
მთლიანი სალიზინგო ვალდებულება	**2,541**

IFRIC 23 “გაურკვევლობა მოგების გადასახადის მეთოდების ინტერპრეტაციისას (გამოქვეყნებულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან)

IAS 12 აზუსტებს, თუ როგორ აღირიცხება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი, მაგრამ არა იმას, თუ როგორ უნდა აისახოს ამ გაურკვევლობის ეფექტი. ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული აღიარების და გაზომვის მოთხოვნები IAS 12-ში, როცა მოგების გადასახადის ასახვასთან დაკავშირებით გაურკვევლობა არსებობს.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო შემთხვევა განცალკევებულად განიხილოს, თუ სხვა გაურკვეველ საგადასახადო ინტერპრეტაციებთან ერთობლიობაში იქედან გამომდინარე, თუ რომელი მიდგომაა უკეთესი გაურკვევლობის გადასაწყვეტად. კომპანიამ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლების შემოწმების უფლებაც აქვს, ექვემდებარება შემოწმებას და სრულად იქნება ინფორმირებული ყველა შესაბამის საკითხზე აღნიშნული შემოწმებისას. თუკი კომპანია დაუშვებს, რომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო ინტერპრეტაციას, მაშინ ამგვარი გაურკვევლობის გავლენა აისახება შესაბამისი დაბეგვრადი მოგების ან ზარალის განსაზღვრაში, გადასახადის საფუძვლებში, გამოუყენებელ საგადასახადო დანაკარგებში, გამოუყენებელ საგადასახადო შეღავათებში ან საგადასახადო განაკვეთებში. ამის დადგენისას გამოიყენება ან ყველაზე მოსალოდნელი თანხა ან მოსალოდნელი ღირებულება, იმის მიხედვით, თუ, კომპანიის გადაწყვეტილებით, რომელი მეთოდი უკეთ უზრუნველყოფს გაურკვევლობის მოგვარების პროგნოზირებას. კომპანია ასახავს ფაქტების და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილების გავლენას ან ახალი ინფორმაციის გავლენას ინტერპრეტაციით მოთხოვნილ მოსაზრებებსა და შეფასებებზე, და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებებად განიხილავს. ფაქტების და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილებების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ გადაწყვეტილების ან

6 ახალი ბუღალტრული განცხადებები (გაგრძელება)

შეფასების გადასინჯვა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: საგადასახადო ორგანოს შემოწმებები ან ქმედებები, საგადასახადო ორგანოების წესების ცვლილები ან საგადასახადო ორგანოს შემოწმების უფლების ვადის ამოწურვა ან საგადასახადო ინტერპრეტაციის პრინციპის გადასინჯვა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანოს მხრიდან საგადასახადო ინტერპრეტაციაზე თანხმობის ან შეუთანხმებლობის არქონით, ცალკე, შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტების, გარემოებების თუ ახალი ინფორმაციის ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ მოსაზრებაზე და შეფასებაზე. ამჟამად კომპანია აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRS 17 "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოქვეყნებულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის 2021 წლის 1-ლი იანვრიდან). IFRS 17 ანაცვლებს ***IFRS*** 4-ს, რომელმაც კომპანიებს მიანიჭა იმის გადაწყვეტის თავისუფლება, რომ სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით ეწარმოებინათ. ამის შედეგად ინვესტორებისათვის რთული იყო სხვა მონაცემებით იდენტური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 სტანდარტი ერთ პრინციპზეა აგებული და დაზღვევის ყველა ტიპის კონტრაქტს აღრიცხავს, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებს, რომლებსაც დამზღვევი ფლობს. სტანდარტი მოითხოვს კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (ა) მომავალი ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით დაკორექტირებული მიმდინარე ღირებულება, (გამომუშავებული ფულადი ნაკადების) რომელიც მოიცავს გამომუშავებულ ფულადი ნაკადების შესრულებაზე სრულ არსებულ ინფორმაციას საბაზრო ინფორმაციის შესაბამისად; დამატებული (თუ კი ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება წარმოადგენს აქტივს) (ბ) თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტების ჯგუფის გამოუმუშავებელ მოგებას (კონტრაქტის მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან იმ პერიოდისთვის, რომლის დროსაც ისინი გასცემენ სადაზღვევო კომპენსაციას და თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდა წამგებიანი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი აპირებს ამ სტანდარტის გამოყენებას სადაზღვევო კონტრაქტებზე და ეფექტიანობის გარანტიებზე, რომლებსაც ის გასცემს. ამჟამად ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

IFRS-ების 2015-2017 წლების ციკლის წლიური გაუმჯობესებები - ცვლილებები IFRS 3,11, IAS 12 და IAS 23-ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან) მცირემასშტაბიანი ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. IFRS 3 განმარტავდა, რომ შემსყიდველმა ხელახლა უნდა გაზომოს მისი არსებული ინტერესი ერთობლივ ოპერაციაში, როცა ის ბიზნესის საკონტროლო პაკეტს იძენს. ამის საპირისპიროდ,

IFRS 11 ახლა ცალსახად აცხადებს, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა გაზომოს მისი არსებული ინტერესი, როცა იგი ერთობლივ ოპერაციაში ერთობლივ საკონტროლო პაკეტს იძენს, მსგავსად მოთხოვნისა, როცა პარტნიორი ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. გადამუშავებული IAS 12 განმარტავს, რომ კომპანია აღიარებს საშემოსავლო გადასახადს, რაც წარმოიშობა დივიდენდის შედეგად, როცა მას აღიარებული აქვს ის ტრანზაქციები და მოვლენები, რომელთა შედეგიც იყო განაწილებადი მოგების მიღება, ანუ, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა გასაგებია, რომ ეს მოთხოვნა ყველა გარემოებაზე ვრცელდება, როცა წილად კლასიფიცირებული გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგების განაწილებაა, და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთები აქვს. გადამუშავებულ IAS 23-ში მოცემულია დეტალური ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ როცა ნასესხები სახსრები მიიღება კონკრეტულად დაფინანსებისთვის, კონკრეტული აქტივი აკლდება კაპიტალიზაციისთვის გამოსადეგ საერთო ნასესხები სახსრების ხარჯებს მხოლოდ მანამდე, სანამ კონკრეტული აქტივი ძირითადად არ დასრულდება. ამჟამად ჯგუფი აფასებს ამ ცვლილებების შედეგს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური სისტემის ცვლილებები (გამოიცა 2018 წლის 29 მარტს და ძალაში შევა2020 1ლის 1 იანვრიდან). გადამუშავებული კონცეპტუალური სისტემა მოიცავს გაზომვის შესახებ ახალ თავს, ფინანსური ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგების ინსტრუქციას, გაუმჯობესებულ დეფინიციებს და ინსტრუქციას, განსაკუთრებით ვალდებულების დეფინიციას და განმარტებებს მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ, როგორიცაა ლიდერობის როლი, პრუდენცია და ფინანსური ანგარიშგების გაურკვევლობის გაზომვა.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებზე, ან არ ვრცელდება ჯგუფზე ან ბანკზე.

მატერიალურობის განმარტება - ცვლილებები IAS 1 და IAS 8-ში . (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვრიდან) . ცვლილებები განმარტავს მატერიალურის რაობას და თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული და გახდეს დეფინიციების ინსტრუქციების ნაწილი, რომელიც აქამდე IFRS-ში შედიოდა. ამასთან, დეფინიციის თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ მატერიალურის დეფინიცია ერთნაირია მთელი IFRS სტანდარტების მასშტაბით. ინფორმაცია მატერიალურია (არსებითია) იმ შემთხვევაში, არის იმის გონივრული მოლოდინი, რომ მისმა გამოტოვებამ, არასწორმა განცხადებამ ან გაბუნდოვანებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლები იღებენ ამ ფინანსური ანგარიშებისავე საფუძველზე, იმ ანგარიშების, რომლებიც ანგარიშის წარმდგენი კონკრეტული კომპანიის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას შეიცავს. ამჟამად ჯგუფი აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი ლარი	2018	2017
ნაღდი ფული	32,099	30,341
ფულადი სახსრები სებ-ში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა)	31,812	27,903
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	68,699	81,333
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(110)	-
მთლიანი ფული და ფულის ეკვივალენტები	**132,500**	**139,577**

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები ბანკის ცალკე ფინანსური ანგარიშის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 130,272 ლარს (2017: 139,577, ათასი ლარი)

ცხრილში ნაჩვენებია ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის საკრედიტო რისკების შეფასების სისტემა იხ. განმარტება 35-ში.

ათასი ლარი	ფულადი სახსრები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვებისა	საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	ს უ ლ
- ძალიან კარგი	31,750	63,528	95,278
- კარგი	-	8	8
- დამაკმაყოფილებელი	-	2,946	2,946
- სპეც. მონიტორინგს დაქვემდებარებული		59	59
- რეიტინგის არმქონე		2,109	2,109
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ, გარდა ნაღდი ფულისა	**31,750**	**68,650**	**100,400**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ორი განთავსება ჰქონდა რეიტინგის არმქონე ორ ქართულ ბანკში, საერთო თანხით 2,109 ათასი ლარი.

ECL შეფასების მიზნისთვის, ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები პირველ ეტაპში შედის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ ნაშთების ECL 110 ათასი ლარია (2018 წლის 1 იანვარს: 114 ათასი ლარი) ECL მიდგომის შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში.

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 2017 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა:

ათასი ლარი	ფულადი სახსრები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	განთავსებები სხვა ბანკებში	სულ
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული				
- სებ	27,903	-	-	27,903
- A- დან A+ რეიტინგის მქონე	-	60,200	-	60,200
- A- ზე დაბალი რეიტინგის მქონე	-	20,975		20,975
- რეიტინგის არმქონე	-	158	-	158
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ, გარდა ნაღდი ფულისა	**27,903**	**81,333**	**-**	**109,236**

ამ ცხრილში საკრედიტო რეიტინგები Fitch-ის რეიტინგებს ეფუძნება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ერთი განთავსება ჰქონდა რეიტინგის არმქონე ერთ ქართულ ბანკში მთლიანი თანხით 98 ათასი ლარი, ერთი რეიტინგის არმქონე ევროპის თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის OECD ბანკში მთლიანი თანხით 59 ათასი ლარი.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ერთი კონტრაგენტი ბანკი ჰყავდა (2017: ერთი ბანკი), რომელთანაც განთავსებული მთლიანი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი კაპიტალის 10%-ს აღემატებოდა. ამ ნაშთების მთლიანი აგრეგირებული თანხა 60,925 ათასი ლარი იყო (2017: 44,387 ათასი) ან ფულის და ფულის ეკვივალენტების 46% (2017: 32%).

ფულის და ფულის ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი გამჟღავნებულია განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტება 41-ში. ფულადი სახსრები სებ-ში (გარდა სავალდებულო რეზერვების დეპოზიტებისა) სებ-ში რიცხული ის ნაშთებია, რომლებიც ანგარიშსწორების საქმიანობას უკავშირდება და წლის ბოლოს მზად იყო გამოსატანად.

8 სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სებ-ში დეპონირებულ თანხებს. რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვება საპროცენტო სავალდებულო რეზერვის შენარჩუნება სებ-ში, რომლის ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია და რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ამ ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების სიდიდეზე.

2018 წელს საკრედიტო სააგენტომ Fitch Ratings დაადასტურა საქართველოს მოკლევადიანი სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგი "B" და გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი "BB-". ECL მეთოდის მიზნებისთვის, სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი ნაშთები პირველი ეტაპის ქვეშ ექცევა. ამ ნაშთების ECL უმნიშვნელო თანხაა, ამიტომ ჯგუფმა კატეგორიისთვის „ფულადი სახსრები სებ-ში" საკრედიტო ზარალის რეზერვი არ აღიარა. ECL გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში.

9 მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

ათასი ლარი	2018	2017
განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი საწყისი ვადიანობით	-	15,094
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
სულ მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	**-**	**15,094**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ერთ კონტრაგენტ ბანკთან ჰქონდა განთავსება, ეს იყო ქართული ბანკი „კრედო". ამ ნაშთების ECL 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნული იყო (2018 წლის 1 იანვარს: 48 ათასი ლარი). ECL გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში.

„სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების" კატეგორიაში რიცხული თანხების თითოეული კლასის საპროგნოზო სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 39-ში. „სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების" საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტება 41-ში.

10 ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში

ათასი ლარი	2018
სავალო ფასიანი ქაღალდები AC-ით	175,690
მთლიანი ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	**175,690**

10 ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზომვის კატეგორიების და კლასების მიხედვით:

ათასი ლარი	სავალო ვალდებულებები AC-ით	სულ
საქ. მთავრობის სახაზინო ობლიგაციები	106,314	106,314
საქ. მთავრობის სახაზინო ვალდებულებები	66,969	66,969
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	2,732	2,732
მთლიანი ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბრუტო საბალანსო ღირებულება)	176,015	176,015
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(325)	(325)
მთლიანი ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (საბალანსო ღირებულება)	**175,690**	**175,690**

ა) ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში AC-ით

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სავალო ფასიანი ქაღალდების ანალიზი AC-ით საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის კატეგორიებით და თანხებს აჩვენებს ECL-ის სამი ეტაპის მიხედვით. ჯგუფის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის შესახებ, ასევე ECL-ის სისტემით შეფასების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში. იმავე განმარტებაში ასევე იხილეთ დეფოლტის და SICR-ის დეფინიცია, რადგან ისინი ვრცელდება

სავალო ფასიან ქაღალდებზე AC-ით. AC-ით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქვემოთ მოცემული) ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ
საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციები		
- კარგი	106,314	106,314
ბრუტო საბალანსო ღირებულება	106,314	106,314
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(205)	(205)
საბალანსო ღირებულება	**106,109**	**106,109**
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები		
- კარგი	66,969	66,969
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**66,969**	**66,969**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(119)	(119)
საბალანსო ღირებულება	**66,850**	**66,850**
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები		
- კარგი	2,732	2,732
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**2,732**	**2,732**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1)	(1)
საბალანსო ღირებულება	**2,731**	**2,731**

სავალო ფასიანი ქაღალდები AC-ით არ არის უზრუნველყოფილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, AC-ით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები საბალანსო

10 ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში (გაგრძელება)

ღირებულებით 40,427 ათასი ლარი, მესამე მხარეების ანგარიშებზე იყო ფლეჯირებული, სხვა ბანკებში ვადიანი განთავსებების სანაცვლოდ. იხ. განმარტებები 20 და 22. კონტრაგენტს უფლება არ აქვს ინვესტიციები გადაყიდოს ან ხელახლა ფლეჯირება მოახდინოს.

ცხრილში ახსნილია AC-ით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო ზარალის რეზერვის და ბრუტო საბალანსო ღირებულების ცვლილებები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს შორის პერიოდში:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		ბრუტო საბალანსო ღირებულება	
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ
საქ. მთავრობის სახაზინო ობლიგაციები				
2018 წლის 1 იანვარს	**(169)**	**(169)**	**87,748**	**87,748**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე				
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	(113)	(113)	58,004	58,004
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი	77	77	(39,566)	(39,566)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	-	-	128	128

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		ბრუტო საბალანსო ღირებულება	
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ
ათასი ლარი				
მთლიანი ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე	**(36)**	**(36)**	**18,566**	**18,566**
2018 წლის 31დეკემბერს	**(205)**	**(205)**	**106,314**	**106,314**

ცვლილებები საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რეზერვში და ბრუტო ამორტიზებულ ღირებულებაში AC-ით შემდეგი იყო:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		ბრუტო საბალანსო ღირებულება	
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ
ათასი ლარი				
საქ. მთავრობის სახაზინო ვალდებულებები				
2018 წლის 1 იანვარს	**(89)**	**(89)**	**56,156**	**56,156**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:				
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	(119)	(119)	86,692	86,692
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი	89	89	(80,841)	(80,841)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში			4,962	4,962
მთლიანი ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე	**(30)**	**(30)**	**10,813**	**10,813**
2018 წლის 31 დეკემბერს	**(119)**	**(119)**	**66,969**	**66,969**

10 ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში (გაგრძელება)

AC-ით აღრიცხული სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატების საკრედიტო ზარალის რეზერვის და ბრუტო ამორტიზებული ღირებულების ცვლილებები იყო შემდეგი:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		ბრუტო საბალანსო ღირებულება	
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ	Stage 1 (12-თვიანი ECL)	სულ
ათასი ლარი				
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები				
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-	-
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:				
ტრანსფერები:				
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	(1)	(1)	6,834	6,834
პერიოდში დარიცხვაშეწყვეტილი	-	-	(4,177)	(4,177)
ცვლილებები დარიცხულ საპროცენტო განაკვეთში	-	-	75	75
მთლიანი ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**(1)**	**(1)**	**2,732**	**2,732**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1)	(1)	**2,732**	**2,732**

11 ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში

ათასი ლარი	2018
საემისიო ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით	63
მთლიანი ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში	**63**

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზომვის კატეგორიების და კლასების მიხედვით:

ათასი ლარი	საემისიო ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით	სულ
კორპორაციების აქციები	63	63
მთლიანი ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		

ა) ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში FVOCI-ით

2018 წლის 1 იანვარს ჯგუფმა ინვესტიციებს საემისიო ფასიანი ქაღალდების დანიშნულება მისცა, FVOCI-ით, რაც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული. 2017 წელს ეს ინვესტიციები AFS-ად იყო კლასიფიცირებული. იხ. განმარტება 13. FVOCI ფუნქციის მინიჭება მოხდა იმიტომ, რომ ეს ინვესტიციები სტრატეგიული მიზნებისთვისაა განკუთვნილი და არა იმ შეხედულებით, რომ მათი საბოლოო რეალიზაციიდან მიიღება მოგება, და მოკლე ან საშუალოვადიან მომავალში გეგმაში არ არის ამ ინვესტიციების გასხვისება.

ათასი ლარი	სამართლიანი ღირებულება 31 დეკ 2018
საქართველოს საფონდო ბირჟა	6
გაერთიანებული საკლირინგო ცენტრი	57
მთლიანი ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში FVOCI	63

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით მოიცავს საემისიო ფასიან ქაღალდებს 63 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, რომლებიც საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული არაა. ადგილობრივი ფინანსური ბაზრების ხასიათიდან გამომდინარე, ამ ინვესტიციების მიმდინარე საბაზრო ღირებულების მოპოვება არ არის შესაძლებელი. ამ ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება წინასწარ განისაზღვრება ინვესტიციის ობიექტის საოპერაციო ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით. იხ. განმარტება 39.

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ათასი ლარი	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ბრუტო საბალანსო ღირებულებას AC-ით	916,451	774,251
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(15,648)	(16,377)
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ბრუტო საბალანსო ღირებულება სულ	900,803	757,874
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	**900,803**	**757,874**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გამოავლინა, რომ კლიენტებზე გაცემული სესხების

და ავანსების პორტფელის 100% აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნებს AC კლასიფიკაციისთვის IFRS 9-ის მიხედვით.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ბრუტო საბალანსო ღირებულება და საკრედიტო ზარალის რეზერვი AC-ით კლასების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	31 დეკ 2018			31 დეკ 2017		
ათასი ლარი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	საკრედიტო ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება	ბრუტო საბალანსო ღირებულ	სესხების გაუფასურ.რეზერვი	საბალ. ღირებულ
სესხები იურიდიულ პირებზე	**694,896**	**(10,977)**	**683,918**	**616,832**	**(12,915)**	**603,917**
სტანდარტული დაკრედიტება	694,896	(10,977)	683,918	616,832	(12,915)	603,917
სესხები ფიზ. პირებზე	**221,555**	**(4,670)**	**216,885**	**157,419**	**(3,462)**	**153,957**
იპოთეკური სესხები	137,685	(2,705)	134,980	102,197	(2,434)	99,763
სამომხმარებლო სესხები	79,004	(1,758)	77,246	50,142	(937)	49,204
საკრედიტო ბარათები	4,866	(207)	4,659	5,080	(91)	4,990
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით	**916,451**	**(15,647)**	**900,803**	**774,251**	**(16,377)**	**757,874**

ქვემოთ მოცემულია უფრო დეტალური განმარტება იურიდიულ პირებზე გაცემული სტანდარტული სესხების კლასებზე:

მსხვილ კომერციულ ბიზნესერთეულებზე სტანდარტული პირობებით გაცემული სესხები, ძირითადად სამუშაო კაპიტალის და საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად; და

მცირე და საშუალო ბიზნესზე (SME) გაცემული სესხები - მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე გაცემული სესხების შემთხვევები, რომლებსაც ჯგუფი განსაზღვრავს, როგორც ერთ კლიენტზე 1 მილიონ აშშ დოლარამდე თანხით გაცემულ სესხებს.

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კლიენტებზე გაცემული ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების და ავანსების საკრედიტო ზარალის რეზერვის და ბრუტო საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალანსო ღირებ.			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-ისთვის)	Stage 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ. რისკ. გაუფას.)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს. მთლ. პერ. ECL SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს. მთლ. პერ. ECL საკრ. რისკ. გაუფას.)	სულ
სტანდარტული დაკრედიტება								
2018 წლის 1 იანვრის მდგ	**1,796**	**363**	**10,109**	**12,268**	**514,783**	**61,996**	**40,053**	**616,832**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	(70)	130	-	60	(27,549)	27,549	-	-
- საკრედიტო რისკით გაუფას-ზე (1-ლი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	(33)	(30)	1,131	1,068	(8,881)	(817)	9,698	-
- 12-თვიანი ECL-დან (მე-2 და მე-3 ეტაპიდან 1 ეტაპზე)	18	(26)	(2)	(10)	6,309	(6,286)	(23)	-

ათასი ლარი	საკრედიტო ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალანსო ღირებ.			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-ისთვის)	Stage 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ. რისკ. გაუფას.)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს. მთლ. პერ. ECL SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს. მთლ. პერ. ECL საკრ. რისკ. გაუფას.)	სულ
არს.მთლ.პერ-ზე (მე-3 ეტაპის საკრ. რისკ. გაუფას-დან მე-2 ეტაპზე)	-	1	(26)	(25)	-	251	(251)	-
ახალი წარმოშ. ან შესყ.	1,307	-	-	1,307	447,514	-	-	447,514
გადახდები	(1,016)	(120)	(3,104)	(4,240)	(345,531)	(24,861)	(20,400)	(390,792)
სხვა ცვლილებები	67	(17)	485	535	3,433	655	132	4,220
მთლ.ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**273**	**(62)**	**(1,516)**	**(1,305)**	**75,295**	**(3,509)**	**(10,844)**	**60,942**
ცვლილებები, რომლებმაც არ იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ჩამოწერები	-	-	(209)	(209)	-	-	(209)	(209)
უცხ. ვალ. და სხვა ცვლილებები	20	7	196	223	15,643	1,140	549	17,332
31 დეკ 2018	**2,089**	**308**	**8,580**	**10,977**	**605,721**	**59,627**	**29,549**	**694,897**

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ათასი ლარი	საკრედიტო ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას.)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას)	სულ
იპოთეკური სესხები	**277**	**604**	**1,145**	**2,026**	**66,051**	**30,490**	**5,656**	**102,197**
2018 წლის 1 იანვ								
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	(62)	387	-	325	(23,853)	23,853	-	-
- საკრ. რისკით გაუფას-ზე (1 და 2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	(121)	(27)	1,374	1,226	(3,055)	(1,673)	4,728	-
- 12-თვიანი ECL-დან (2 და 3 ეტაპიდან 1 ეტაპზე)	15	(71)	(100)	(156)	4,378	(3,929)	(449)	-
არს.მთლ.პერ-ზე (მე-3 ეტაპის საკრ. რისკ. გაუფას-დან 2 ეტაპზე)	-	5	(128)	(123)	-	587	(587)	-
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	110	-	-	110	74,559	-	-	74,559
გადახდები	(88)	(214)	(424)	(726)	(27,978)	(11,816)	(2,430)	(42,224)
სხვა ცვლილებ.	82	(51)	68	99	183	57	23	263
მთლ.ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**(64)**	**29**	**790**	**755**	**24,234**	**7,079**	**1,285**	**32,598**
ცვლილებები, რომლებმაც არ იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ჩამოწერები	-	-	(109)	(109)	-	-	(109)	(109)
უცხ. ვალ. და სხვა ცვლილებები	4	7	21	32	2,500	411	88	2,999
	217	**640**	**1,847**	**2,704**	**92,785**	**37,980**	**6,920**	**137,685**
31 დეკ 2018								

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ათასი ლარი	საკრედ. ზარ. რეზ. ეტაპი1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არ.მთ.პერ. ECL SICR-თვის)	ეტაპი 3 (არს.მთ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფუ)	Total	ბრუტო საბალ. ღირ. ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არ.მთ.პერ. ECL SICR-თვის)	ეტაპი 3 (არს.მთ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას)	სულ
სამომხ.სესხ.								
2018 წ 1 იანვ	**332**	**25**	**717**	**1,074**	**45,709**	**1,786**	**2,647**	**50,142**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
-არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	(89)	130	-	41	(10,964)	10,964	-	-
- საკრ. რისკით გაუფას-ზე (1 და 2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	(282)	(59)	1,287	946	(3,074)	(431)	3,505	-
- 12-თვიანი ECL-დან (2 და 3 ეტაპიდან 1 ეტაპზე)	-	(1)	(2)	(3)	110	(66)	(44)	-
არს.მთლ.პერ-ზე (მე-3 ეტაპის საკრ. რისკ. გაუფას-დან 2 ეტაპზე)	-	1	(19)	(18)	-	125	(125)	-
ახალი წარმომობილი ან შესყიდული	414	-	-	414	69,005	-	-	69,005
გადახდები	(199)	(11)	(384)	(594)	(37,554)	(917)	(1,593)	(40,064)
არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	221	66	71	358	6	55	14	75
მთ. ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**65**	**126**	**953**	**1,144**	**17,529**	**9,730**	**1,757**	**29,016**
ცვლილებები, რომლებმაც არ იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ჩამოწერები	-	-	(464)	(464)	-	-	(464)	(464)
უცხ. ვალ. და სხვა ცვლილებ.	1	-	4	5	274	16	20	310
31 დეკ 2018	**398**	**151**	**1,210**	**1,759**	**63,512**	**11,532**	**3,960**	**79,004**

8-111 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ათასი ლარი	საკრედ. ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალ. ღირ.			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთ.პერ. ECL SICR-სთვის)	Stage 3 (არს.მთ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას.)	სულ	Stage 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთ.პერ. ECL SICR-თვის)	ეტაპი 3 (არს.მთ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას)	სულ
საკრედიტო ბარათები								
2018 წლის 1 იანვ	**-**	**47**	**71**	**118**	**-**	**4,879**	**201**	**5,080**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- საკრ.რისკ.გაუფას-დან (1 და 2 ეტაპიდან 3-ზე)	-	-	328	328	-	(384)	384	-
გადახდები*	-	(22)	(33)	(55)	-	(2,199)	(92)	(2,291)
სხვა ცვლილებები*	-	15	58	73	-	2,327	1	2,328
მთ. ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**-**	**(7)**	**353**	**346**	**-**	**(256)**	**293**	**37**
ცვლილებები, რომლებმაც არ იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ჩამოწერები	-	-	(257)	(257)	-	-	(257)	(257)
უცხ. ვალ. და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	-	6	-	6
31 დეკ 2018	**-**	**40**	**167**	**207**	**-**	**4,629**	**237**	**4,866**

*საკრედიტო ბარათების პოზიციებზე პერიოდის წმინდა შემცირება ნაჩვენებია „გადახდების“ კატეგორიაში, ხოლო წმინდა ზრდა - „სხვა ცვლილებების“ კატეგორიაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ცვლილებები მოიცავს მსესხებლებისგან საკრედიტო ხაზების გამოყენებას შესაბამისი ეტაპის სესხებისთვის. სესხების გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2017 წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	სესხები კორპორატ	იპოთეკ სესხ	სამომხმ. სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
სესხის გაუფასურების რეზერვი 1 იანვ 2017	**10,170**	**3,470**	**975**	**207**	**14,822**
(ამოღება)/გაუფას. რეზერვ.წლის განმავლ*	2,853	(1,045)	422	260	2,490
წლის განმავლ.ჩამოწ.თანხები, როგორც უიმედო	(168)	-	(390)	(377)	(935)
სესხების გაუფასურების რეზერვი 31 დეკ 2017	**12,855**	**2,425**	**1,007**	**90**	**16,377**

*2017 წლის განმავლობაში გაუფასურების რეზერვი განსხვავდება წლის მოგება-ზარალში ნაჩვენები თანხისგან, 514 ათასი ლარის გამო, რაც წარმოადგენს უკვე ჩამოწერილი უიმედო თანხების ამოღებას. ამოღებული თანხა წლის მოგება-ზარალში პირდაპირ დაკრედიტდა რეზერვების კატეგორიაში.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების საკრედიტო ზარალის რეზერვზე, რომელიც შესაბამისი პერიოდისთვისაა აღიარებული, სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. ECL გაზომვა ახსნილია განმარტება 35-ში. ქვემოთ აღწერილია ცხრილში მოცემული მთავარი ცვლილებები:

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

- 1,2 და 3 ეტაპს შორის ტრანსფერები მოხდა იმის გამო, რომ პერიოდის განმავლობაში ნაშთების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა (ან შემცირდა) ან ისინი საკრედიტო რისკით გაუფასურდა, ასევე მოხდა ტრანსფერები „მაღლა“ ან „დაბლა“ 12-თვიან და არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ს შორის;
- პერიოდში აღიარებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დამატებითი რეზერვები და გაცემები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა აღიარებაც შეწყდა პერიოდის განმავლობაში;
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება და სხვა ცვლილებები; და
- აქტივებთან დაკავშირებული რეზერვების ჩამოწერა, რომელიც მოხდა პერიოდის განმავლობაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების საკრედიტო რისკების პოზიციის ანალიზს AC-ით, რომელზეც აღიარებულია ECL რეზერვი. კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების საბალანსო ღირებულება ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკების პოზიციას ამ სესხებზე.

კორპორაციულ კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL for SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრედ.რისკ.გაუფას)	სულ
სტანდარტული დაკრედიტება				
- ძალიან კარგი	58,718	-	-	58,718
- კარგი	547,001	-	-	547,001
- დამაკმაყოფილებელი	-	57,456	-	57,456
- სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული	-	2,171	-	2,171
- დეფოლტი	-	-	29,549	29,549
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**605,719**	**59,627**	**29,549**	**694,895**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,088)	(309)	(8,581)	(10,978)
საბალანსო ღირებულება	**603,632**	**59,318**	**20,968**	**683,918**

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე გაცემული, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საკრედიტო

ხარისხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
იპოთეკური სესხები				
- ძალიან კარგი	1,743	-	-	1,743
- კარგი	91,041	-	-	91,041
- დამაკმაყოფილებელი	-	36,812	-	36,812
- სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული	-	1,169	-	1,169
- დეფოლტი	-	-	6,920	6,920
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**92,784**	**37,981**	**6,920**	**137,685**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(218)	(640)	(1,847)	(2,705)
საბალანსო ღირებულება	**92,566**	**37,341**	**5,073**	**134,980**
სამომხმარებლო სესხები				
- ძალიან კარგი	4,437	-	-	4,437
- კარგი	59,075	-	-	59,075
- დამაკმაყოფილებელი	-	10,827	-	10,827
- სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული	-	705	-	705
- დეფოლტი	-	-	3,960	3,960
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**63,512**	**11,532**	**3,960**	**79,004**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(398)	(151)	(1,209)	(1,758)
საბალანსო ღირებულება	**63,114**	**11,381**	**2,751**	**77,246**
სკრედიტო ბარათები				
- დამაკმაყოფილებელი	-	4,629	-	4,629
- დეფოლტი	-	-	237	237
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**-**	**4,629**	**237**	**4,866**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	(40)	(167)	(207)
საბალანსო ღირებულება	**-**	**4,589**	**70**	**4,659**

ზემოთ მოყვანილ ცხრილში გამოყენებული საკრედიტო რისკების შეფასების სისტემის აღწერა იხ. განმარტება 35-ში.

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

სესხების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი ლარი	კორპ. სესხები	იპოთეკური სესხები	სამომხმ. სესხები	საკრედიტო ბარათ.	სულ
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული					
- მსხვილი მსესხებლები ორ წელზე მეტი საკრ.ისტორიით	175,002	-	-	-	175,002
- ახალი მსხვილი მსესხებლები	269,182	-	-	-	269,182
- სესხები სამუალო ზომის ბიზნეს ერთეულებზე	59,836	-	-	-	59,836
- სესხები მცირე ბიზნეს ერთეულებზე	866	4	3	134	1,007
- სესხები 100 000 ლარის ზემოთ საკრედიტო ლიმიტის მქონე ფიზ. პირებზე	69,241	49,420	3,499	361	122,521
- სესხები 100 000 ლარის დაბლა საკრედიტო ლიმიტის მქონე ფიზ. პირებზე	11,630	44,248	42,271	4,382	102,531
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული სულ	**585,757**	**93,672**	**45,773**	**4,877**	**730,079**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული					
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2,626	1,879	1,295	1	5,801
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	-	126	-	-	126
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	**2,626**	**2,005**	**1,295**	**1**	**5,927**
ცალკე გაუფასურებულად განსაზღვრ. სესხები (ბრუტო)					
- არა ვადაგადაცილებული	11,476	2,521	693	53	14,743
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	58	704	49	55	866
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	4,979	1,037	489	58	6,563
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	1,356	775	534	35	2,700
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	6,937	692	273	-	7,902
- 360 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	3,644	791	1,036	-	5,471
მთლიანი გაუფასურებული სესხები (ბრუტო)	28,450	6,520	3,074	201	38,245
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	**(12,916)**	**(2,434)**	**(937)**	**(90)**	**(16,377)**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	**603,917**	**99,763**	**49,205**	**4,989**	**757,874**

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ეკონომიკის სექტორების რისკების კონცენტრაცია კლიენტთა სასესხო პორტფელში ასეთია:

	2018		2017	
ათასი ლარი	**თანხა**	**%**	**თანხა**	**%**
ფიზიკური პირები	221,555	25%	157,419	21%
სასტუმროები და რესტორნები	86,990	10%	73,456	9%
ვაჭრობა	85,697	10%	50,658	7%
უძრავი ქონების მართვა	82,680	9%	63,889	8%
მომსახურება	71,358	8%	75,993	10%
ფინანსური ინსტიტუტები	63,182	7%	43,593	6%
ჯანდაცვა	61,635	7%	55,784	7%
წარმოება	46,560	5%	56,430	7%
სოფლის მეურნეობა	45,185	5%	38,468	5%
მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება	40,709	4%	24,040	3%
ენერგეტიკა	31,022	3%	52,598	7%
უძრავი ქონების განვითარება	22,069	2%	48,960	6%
ტელეკომუნიკაციები	13,424	1%	-	0%
ღვინის წარმოება	12,183	1%	18,128	2%
სხვა	32,202	4%	14,835	2%
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ AC-ით	**916,451**	**100%**	**774,251**	**100%**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს მსესხებელთა 10 ჯგუფი ჰყავდა (2017: 12) მსესხებელი) სესხების საერთო თანხით, რომელიც ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს აღემატებოდა. ამ სესხების მთლიანი აგრეგირებული რაოდენობა 195,258,ათასი ლარი იყო (2017: 234,440,ათასი ლარი) ან მთლიანი სასესხო პორტფელის 21% (2017: 30%).

ჯგუფის პოლიტიკა უზრუნველყოფის მიღებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში დიდად არ შეცვლილა და წინა პერიოდიდან მოყოლებული ჯგუფის მფლობელობაში მყოფი უზრუნველყოფის საერთო ხარისხი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. სესხების სანაცვლოდ მფლობელობაში მყოფი უზრუნველყოფა ამორტიზებული ღირებულებით 2018 წლის 31 დეკემბერს არის:

ათასი ლარი	**სტანდარტული დაკრედიტება**	**იპოთეკური სესხები**	**სამომხმარებლო სესხები**	**საკრედიტო ბარათები**	**სულ**
სესხები უზრუნველყოფით:					
- უძრავი ქონების	509,888	135,800	31,972	11	677,671
- ფულადი დეპოზიტების	76,432	153	4,338	-	80,923
- ტრანსპორტის და აღჭურვილობის	19,238	42	241	-	19,521
- სხვა აქტივების	29,252	268	4	20	29,544
სულ	634,810	136,263	36,555	31	807,659
პოზიციები უზრუნველყოფის გარეშე	60,086	1,423	42,449	4,834	108,792
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი საბალანსო ღირებულება AC-ით (თანხა, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო რისკის პოზიციას სესხების თითოეული კლასისთვის AC-ით)	**694,896**	**137,686**	**79,004**	**4,865**	**916,451**

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე გაცემული ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	კორპ სესხები	იპოთეკური სესხები	სამომხმარებლო სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
სესხები უზრუნველყოფით:					
- უძრავი ქონების	454,484	98,880	18,003	152	571,519
- ფულადი დეპოზიტების	95,203	114	1,229	-	96,546
- ტრანსპორტის და აღჭურვილობის	8,529	-	325	-	8,854
- სხვა აქტივების	26,253	1,483	-	20	27,756
სულ	584,469	100,477	19,557	172	704,675
პოზიციები უზრუნველყოფის გარეშე	32,363	1,720	30,585	4,908	69,576
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი საბალანსო ღირებულება AC-ით (თანხა, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო რისკის პოზიციას სესხების თითოეული კლასისთვის AC-ით)	**616,832**	**102,197**	**50,142**	**5,080**	**774,251**

სესხების საბალანსო ღირებულება ჩაიწერა უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით შემდეგი რიგისობით: ფულადი დეპოზიტი, უძრავი ქონება, ტრანსპორტი და აღჭურვილობა, სხვა აქტივები. სხვა აქტივები ძირითადად მოიცავს ფასიან ქაღალდებს და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს. იმ იპოთეკური სესხების ნაწილი, რომელიც გაიცა დაუსრულებელი მშენებლობის სტატუსის მქონე უძრავი ქონების შესაძენად, არაა უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით მანამ, სანამ სამშენებლო კომპანია არ დაასრულებს იურიდიული რეგისტრაციის პროცედურებს. ამ პროცედურების დასრულებამდე, სესხები უზრუნველყოფილია სამშენებლო კომპანიის გარანტიით. სარეგისტრაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, უზრუნველყოფა ჩანაცვლდება უძრავი ქონებით.

მესამე მხარისგან მიღებული გარანტიები, აგრეგირებული თანხით 27,432, ათასი ლარი (2017: 152 ათასი ლარი) ზემოთ მოყვანილ ცხრილში არ აისახა.

ზემოთ მოყვანილი გამჟღავნება წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს მათი შესაბამისი უზრუნველყოფის საბალანსო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების უმცირესი სიდიდით; სესხის ნებისმიერი თანხა, რომელიც უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას აჭარბებს, გამჟღავნებულია უზრუნველყოფის არმქონე პოზიციების გრაფაში.

იმას, თუ რამდენად ამცირებს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა გაფართოებები, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს უზრუნველყოფის ღირებულების ცალკე ჩვენება, ა) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა გაფართოებები უდრის ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები) და ბ) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა გაფართოებები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები“). საკრედიტო რისკით გაუფასურებულ აქტივებზე უზრუნველყოფის გავლენა 2018 წლის 31 დეკემბერს იყო:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		**არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები**	
ათასი ლარი	აქტივების საბალანსო ღირ	უზრუნვ. ღირ.	აქტივ საბალანსო ღირებ	უზრუნვ. ღირ.
საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები:				
სესხები კორპორატიულ კლიენტებზე AC-ით				
სტანდარტული დაკრედიტება	29,037	90,588	512	332
სესხები ფიზიკურ პირებზე AC-ით				
	6,781	17,583	139	27
იპოთეკური სესხები				
სამომხმარებლო სესხები	2,939	13,467	1,021	16
საკრედიტო ბარათები	11	17	226	-

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ყველა სესხისთვის, სულერთია გაუფასურებულია თუ არა, შემდეგი სახით:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
ათასი ლარი	აქტ. საბალ.ღირ	უზრუნვ.ღირ.	აქტ.საბალ.ღირ.	უზრუნვ.ღირ.I
სესხები კორპორატიულ კლიენტებზე				
სტანდარტული დაკრედიტება	531,979	1,389,931	85,507	52,926
სესხები ფიზიკურ პირებზე				
იპოთეკური სესხები	97,975	286,999	3,498	1,996
სამომხმარებლო სესხები	19,355	97,161	30,857	272
საკრედიტო ბარათები	173	865	4,908	-

ჯგუფი უზრუნველყოფის შეფასებას სესხის გაცემის დროს იღებს. ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს იმ სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული უძრავი ქონების გადაფასებას, რომლებიც 100 უმსხვილესი მსესხებლის სიაში შედის საანგარიშო პერიოდისთვის არსებული საბალანსო ღირებულებების მიხედვით. 100 უმსხვილესი მსესხებლის ჯგუფების გარდა, სესხებზე საბალანსო ღირებულებით 100 ათასი ლარზე ზემოთ ჯგუფი მოითხოვს ფლეჯირებული უძრავი ქონების უზრუნველყოფის ხელახალ შეფასებას, თუ ამავე უზრუნველყოფით გაიცემა ახალი სესხი ან გაცემული ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში, თუ ბოლო შეფასება 1 წელზე დიდი ხნის წინ გაკეთდა. ბანკმა შეაფასა ECL-ის შეფასება ძველი შეფასებების შესაძლო გავლენა და აღმოჩნდა, რომ 2018 წლისთვის ეფექტი არ იყო არსებითი. სადაც არის იმის ნიშნები, რომ სესხის საბალანსო ღირებულებამ შეიძლება გადააჭარბოს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას, მენეჯმენტი თავის გადაწყვეტილებით იღებს შესაბამისი ქონების უზრუნველყოფად გამოყენების შეფასებას. ამ გამჟღავნებაში მოცემული უზრუნველყოფის ღირებულებები უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებებია.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების თითოეული კლასის საპროგნოზო სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 39-ში. კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების საპროცენტო განაკვეთების ანალისი მოცემულია განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განმარტება 41-ში.

12 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების დაუფარავი სახელშეკრულებო თანხები, რომლებიც ჩამოწერილია, მაგრამ მათზე ამოღების ღონისძიებები მაინც ვრცელდება, 2018 წლის 31 დეკემბერს იყო:

ათასი ლარი	**31 დეკ 2018**
სესხები იურიდიულ პირებზე	
სტანდარტული დაკრედიტება	826
სესხები ფიზიკურ პირებზე	
იპოთეკური სესხები	118
სამომხმარებლო სესხები	1,676
სულ	**2,620**

13 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS-ით (მხოლოდ შედარებადი მაჩვენებლებისთვის)

ათასი ლარი	2017
კორპორაციების აქციები (არაკოტირებული)	63
მთლიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS-ით	**63**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS-ით გულისხმობს 63 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების საემისიო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც საფონდო ბირჟაზე არაა დარეგისტრირებული. მენეჯმენტმა ვერ შეძლო, სანდოდ შეეფასებინა AFS ფასიან ქაღალდებში ჯგუფის ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება. ინვესტიციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 63 ათასი ლარის თვითღირებულებით.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 35-ში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლებიც სარეალიზაციოდაა განკუთვნილი, მოცემულია განმარტება 41-ში.

14 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები (მხოლოდ შედარებადი მაჩვენებლებისთვის)

ათასი ლარი	2017
საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციები	87,747
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები	56,156
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები სულ	**143,903**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ყველა ობლიგაციას საქართველოს მთავრობა უშვებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები საბალანსო ღირებულებით 39, 416 ათასი ლარი, მესამე მხარეებზე იყო ფლეჯირებული, სხვა ბანკების ვადიანი განთავსებების და სხვა ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. იხ. განმარტებები 20 და 22. კონტრაგენტს არ აქვს ამ ინვესტიციების გადაყიდვის ან ხელახალი ფლეჯირების უფლება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების ცვლილებები იყო:

ათასი ლარი	განმარტება	2017
ბრუტო თანხა 1 იანვარს		**128,441**
დამატებები		79,460
გადაკლასიფიცირებული შემოსავალი უკუგამოსყიდვის უფლებით		
გამოსყიდვა		(66,984)
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა		10,334
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		(7,348)
ბრუტო თანხა 31 დეკემბერს		**143,903**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები გაუფასურებული არ იყო.

L&R სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულებების გამჟღავნება იხ. განმარტება 39-ში. სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განმარტება 41-ში.

15 საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი		2018	2017
საინვესტიციო ქონება 1 იანვარს		1,078	1,283
ცვეთა		(14)	(14)
გასხვისება		(400)	(191)
ტრანსფერები სხვა აქტივებიდან		1,117	-
ტრანსფერები სარეალიზაციოდ განკუთვნილის კატეგორიაში	30	(209)	-
საინვესტიციო ქონება 31 დეკემბერს		**1,572**	**1,078**

2018 წლის 31 დეკემბერს, უშუალოდ ბანკს 1,037 ათასი ლარის საინვესტიციო ქონება ჰქონდა (2017: 400 ათასი).

ბანკის საინვესტიციო ქონების ცალკე ანგარიში შემდეგია:

ათასი ლარი	2018	2017
საინვესტიციო ქონება 1 იანვარს	400	591
გასხვისება	(400)	(191)
ტრანსფერები სხვა აქტივებიდან	1,037	-
საინვესტიციო ქონება 31 დეკემბერს	**1,037**	**400**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება იყო 3,972 ათასი ლარი (2017: 1,636 ათასი ლარი). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უშუალოდ ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 3,011 ათასი ლარი იყო (2017: 430)

ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა დამოუკიდებელმა შემფასებელმა Kushman & Wakefield, რომელსაც აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია აქვს. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, თითოეული ქონებისთვის გამოვლინდა სამი შედარებადი საბაზრო მონაცემი. რადგან შედარებადი მონაცემები რამდენადმე განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, შედარებადი მონაცემების კოტირებული ფასები კიდევ დაკორექტირდა მათი განსხვავებული ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისაწვდომობის, ასაკის და ვაჭრებთან მოლაპარაკებების შედეგად მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით. ამგვარად დადგენილი შედარებითი ფასები კვადრატულ მეტრზე შემდეგ გამრავლდა შეფასებული ქონების ფართზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება. საინვესტიციო ქონებიდან გამომდინარე შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტებებში 30 და 31.

16 დაზღვევის კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით			
საკრედიტო ბარათის მომსახურებიდან და ფულადი გადარიცხვებიდან მისაღები შემოსავლები		438	1,061
დაბლოკილი თანხა		134	130
სხვა მისაღებ შემოსავლებზე დარიცხული პროცენტი		89	48
ფინანსური იჯარა		89	-
წინასწარი შენატანები სერვისებზე		80	205
სხვა მისაღები შემოსავლები		172	92
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი		(130)	(107)
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით სულ		**872**	**1,429**
მისაღები შემოსავლები დაზღვევიდან		2,098	-
გადაზღვევის აქტივები		2,096	-
დაზღვევის კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები სულ		**5,066**	**1,429**

დაბლოკილი თანხა წარმოადგენს საბარათე გადახდების სისტემის Union Pay (UPI) ანგარიშზე რიცხულ ნაშთს. ჯგუფს უფლება არ აქვს ეს სახსრები საქმიანობის დაფინანსების მიზნებისთვის გამოიყენოს.

16 დაზღვევის კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს AC-ით რიცხული დაზღვევის კონტრაქტების და სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის პოზიციების ანალიზს. დაზღვევის კონტრაქტების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება AC-ით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე აჩვენებს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე:

ათასი ლარი	**ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)**	**სულ**
საკრედიტო ზარათის მომსახურებიდან და ფულადი გადარიცხვებიდან მიღებული შემოსავალი		
- ძალიან კარგი	144	144
-კარგი	295	295
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**439**	**439**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(87)	(87)
საბალანსო ღირებულება	**352**	**352**
დაბლოკილი თანხა		
- ძალიან კარგი	134	134
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**134**	**134**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**134**	**134**
სხვა მისაღებ შემოსავლებზე დარიცხული პროცენტი		
- კარგი	89	89
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**89**	**89**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**89**	**89**
ფინანსური იჯარა		
- კარგი	89	89
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**89**	**89**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**89**	**89**

16 დაზღვევის კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	სულ
წინასწარი შენატანი მომსახურებისთვის		
- კარგი	80	80
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**80**	**80**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**80**	**80**
სხვა მისაღები შემოსავლები		
- კარგი	172	172
ბრუტო საბალანსო ღირებულება	172	172
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(43)	(43)
საბალანსო ღირებულება	**129**	**129**
მისაღები შემოსავლები დაზღვევიდან		
- კარგი	2,098	2,098
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**2,098**	**2,098**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**2,098**	**2,098**
გადაზღვევის აქტივები		
- კარგი	**2,096**	**2,096**
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**2,096**	**2,096**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება	**2,096**	**2,096**

16 დაზღვევის კონტრაქტები და სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ცხრილში ნაჩვენებია სხვა ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულების და საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები გამარტივებული ECL მოდელით, წლიური პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე:

ათასი ლარი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	საკრედიტო ზარალის რეზერვი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1,429	-	1,429
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	4,684	(130)	4,554
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივები	(930)	-	(930)
საკრედიტო ზარალის რეზერვის მთლიანი ხარჯი პერიოდისთვის		(130)	(130)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ცვლილება	13	-	13
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**5,196**	**(130)**	**5,066**

ECL გაანგარიშების მიზნისთვის, სხვა ფინანსური აქტივების ნაშთები 2 ეტაპშია ასახული. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ ნაშთების ECL 130 ათას ლარს შეადგენს (ნული 2018 წლის 1 იანვარს). ECL გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 35-ში.

სხვა ფინანსური აქტივების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 39-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთებზე ინფორმაცია მოცემულია განმარტება 41-ში.

17 სხვა აქტივები

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
დასაკუთრებული უზრუნველყოფა		13,916	13,293
აქტივების დასაკუთრების წინასწარი შენატანი		1,261	1,553
გადახდილი და დაკავებული გადასახადები		922	882
სასამართლო ხარჯების წინასწარ გადახდა		711	589
წინასწარი შენატანი სერვისებზე		626	518
სხვა		13	22
სხვა აქტივები სულ		**17,449**	**16,857**

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს უძრავი ქონების აქტივებს, რომელსაც ჯგუფი იღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. პროგნოზირებად მომავალში ჯგუფი ამ აქტივების გასხვისებას აპირებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უშუალოდ ბანკის დასაკუთრებული აქტივების ღირებულება 12,057 ათასი ლარი იყო (2017: 11,012)

18 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	განმარტება	შენობა-ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა სულ	კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები	სულ
შეფასების ღირებულება 2017 წლის 1		19,237	8,661	27,898	1,140	29,038
აკუმულირებული ამორტიზაცია		384	6,466	6,850	608	7,458
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს		**18,853**	**2,195**	**21,048**	**532**	**21,580**
დამატებები		494	1,545	2,039	490	2,529
გასხვისებები		-	-	-	(43)	(43)
ამორტიზაცია						
ამორტიზაციის ხარჯი	31	386	808	1,194	161	1,355
გასხვისებები		-	-	-	(43)	(43)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს		**18,961**	**2,932**	**21,893**	**861**	**22,754**
ღირებულება ან შეფასება 2017 წლის 31 დეკემბერს		19,731	10,207	29,938	1,587	31,525
აკუმულირებული ამორტიზაცია		770	7,274	8,044	726	8,770
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს		**18,961**	**2,933**	**21,894**	**861**	**22,755**
დამატებები		1,922	3,273	5,195	760	5,955
ტრანსფერები		(214)	-	(214)	-	(214)
გასხვისებები		-	-	-	(33)	(33)
აკუმულირებული ამორტიზაციის განულება ქონების გადაფასებისას		(1,141)	-	(1,141)	-	(1,141)
გადაფასება		1,052	-	1,052	-	1,052
ამორტიზაცია						
ამორტიზაციის ხარჯი	31	375	1,095	1,470	239	1,709
გასხვისებები		-	-	-	(33)	(33)
აკუმულირებული ამორტიზაციის განულება ქონების გადაფასებისას	26	(1,141)	-	(1,141)	-	(1,141)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს		21,346	5,111	26,457	1,382	27,839
ღირებულება ან შეფასება 2018 წლის 31 დეკემბერს		21,350	13,480	34,830	2,314	37,144
აკუმულირებული ამორტიზაცია		4	8,369	8,373	932	9,305
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს		**21,346**	**5,111**	**26,457**	**1,382**	**27,839**

8-111 გვერდებზე მოცემული განმარტებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

18 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

შენობა-ნაგებობები 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით იქნა შეფასებული. შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა ფირმამ, შპს „Georgian Valuation Company“, რომელსაც აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია აქვს და რომელსაც მსგავსი ადგილმდებარეობის და კატეგორიის მქონე აქტივების ახლო წარსულში შეფასების გამოცდილება აქვს.

ის მონაცემი, რომლის მიმართაც შენობა-ნაგებობების საპროგნოზო სამართლიანი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, კვადრატული მეტრის ფასია: რაც უფრო მაღალია ფასი კვადრატულ მეტრზე, მით მეტია სამართლიანი ღირებულება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 12, 903 ათასი ლარი (2017: 11,265 ათასი ლარი), ეს აქტივები, რომ აღრიცხულიყო თვითღირებულებას გამოკლებული ამორტიზაციით. ეს თანხა შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულებასთან შემდეგნაირად თანხმდება:

ათასი ლარი	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში გადაფასების თანხით განცხადებული შენობა-ნაგებობები	21,350	18,961
კაპიტალში განცხადებული გადაფასების რეზერვი, გადასახადის გამოკლებით	9,284	8,233
ღირებულების მიხედვით და გადაფასების თანხით აღრიცხულ აკუმულირებულ ამორტიზაციებს შორის განსხვავება, რომელიც ჯერ არ გადატანილა გაუნაწილებელ მოგებაში	(837)	(537)
შენობა-ნაგებობები ღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია	**12,903**	**11,265**

19 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები)

სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ანუ გასხვისების ჯგუფების) მთავარი კლასებია:

ათასი ლარი	2018	2017
სარეალიზაციოდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით:	1,928	-
გასხვისებები	(485)	-
ტრანსფერები PPE-დან	414	-
ტრანსფერები სხვა აქტივებიდან	2,299	1,928
ტრანსფერები საინვესტიციო ქონებიდან	204	-
სარეალიზაციოდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები სულ (ან გასხვისების ჯგუფები)	**4,360**	**1,928**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით, გაყიდვის შესახებ შეთანხმებები სარეალიზაციოდ განკუთვნილ გრძელვადიან აქტივებზე ხელმოწერილია. ამ აქტივებზე დაფარვები გრაფიკის მიხედვით ხორციელდება. საბოლოო გადახდამდე, რისკი და სარგებელი ჯგუფზე რჩება, ხოლო შესაბამის აქტივთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები მყიდველს გადაეცემა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების ყველა პირობა იქნება დაკმაყოფილებული. 4,249 999 ლარის საბოლოო გადახდა 2019 წლის ბოლოსთვისაა გაწერილი, 111 ათასი ლარის გადახდა კი 2021 წლამდე მოხდება.

უშუალოდ ბანკის სარეალიზაციოდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,016 ათას ლარს შეადგენს (2017: 1,928 ათასი ლარი).

20 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ათასი ლარი	2018	2017
სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	1	1
სხვა ბანკების მოკლევადიანი განთავსებები	50,155	29,963
სებ-ის მოკლევადიანი განთავსებები	50,040	30,018
მთლიანი ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	**100,196**	**59,982**

20 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ (გაგრძელება)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფმა სავალო ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით ფლეჯირება გააკეთა 29, 841 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, იპოთეკური სესხები კი საბალანსო ღირებულებით 27,309 ათასი ლარი სებ-ის მოკლევადიანი სესხის უზრუნველყოფად გამოიყენა. (2017: სავალო ფასიანი ქაღალდები 39,416 ათასი ლარი და იპოთეკური სესხები 29,677 ათასი ლარი სებ-ის მოკლევადიანი სესხების ფლეჯირებისთვის)

სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულებების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 39-ში. სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი იხ. განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 41-ში.

21 კლიენტთა ანგარიშები

ათასი ლარი	2018	2017
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	128,789	151,595
- ვადიანი დეპოზიტები	35,137	13,638
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	135,716	136,032
- ვადიანი დეპოზიტები	161,995	171,321
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	109,751	93,866
- ვადიანი ანაბრები	156,033	111,368
კლიენტთა ანგარიშები სულ	**727,421**	**677,820**

კატეგორია „სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები“ არ გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ბიზნესებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ცალკე ანგარიშში ნაჩვენები კლიენტების ანგარიშების ნაშთები 734,262 ათას ლარს შეადგენს (2017: 682,318 ათასი ლარი)

ეკონომიკური სექტორის კონცენტრაცია კლიენტების ანგარიშებში ასეთია:

	2018		2017	
ათასი ლარი	**თანხა**	**%**	**თანხა**	**%**
ფიზიკური პირები	265,784	37%	205,233	30%
მშენებლობა	96,789	13%	54,944	8%
მომსახურება	80,062	11%	58,565	9%
ტრანსპორტი ან კომუნიკაცია	67,413	9%	67,695	10%
ფინანსური ინსტიტუტები	64,190	9%	51,296	8%
სახელმწიფო დეპოზიტები	55,690	8%	29,245	4%
წარმოება	30,212	4%	77,674	11%
ვაჭრობა	28,780	4%	30,898	5%
განათლება	20,808	3%	21,635	3%
ენერგეტიკა	678	0%	62,598	9%
სხვა	17,015	2%	18,037	3%
კლიენტთა ანგარიშები სულ	**727,421**	**100%**	**677,820**	**100%**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ორი კლიენტი ჰყავდა (2017: ხუთი კლიენტი), რომელთა ნაშთებიც მთლიანი კაპიტალის 10%-ს აღემატებოდა. ამ კლიენტების ნაშთები სულ 97, 333 ათას ლარს (2017: 199,693 ათასი ლარი), ან მთლიანი კლიენტთა ანგარიშების 13.4% (2017: 29.5%) შეადგენდა.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 39-ში. კლიენტთა ანგარიშების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტება 41-ში.

22 სხვა ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2018	2017
სხვა ნასესხები სახსრები AC-ით		
სესხები Blue Orchard-დან	81,003	52,913
სესხები ჩინეთის განვითარების ბანკიდან (“CDB”)	48,018	51,513
სესხები შავი ზღვის ვაჭრობის და განვითარების ბანკიდან (“BSTDB”)	44,029	41,904
სესხები ურუმჩის სითი კომერციული ბანკიდან	43,509	47,496
სესხები ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან (“EBRD”)	40,505	48,808
სესხები საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (“IFC”)	26,693	-
სესხები ფონდიდან „სიმწვანე ზრდისთვის“ (Finance-in-Motion)	26,491	-
სესხები გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდიდან (responsAbility)	13,407	-
სესხები „კომერცბანკიდან“	10,267	6,851
სესხები შპს EFA ფინანსური ინსტიტუტების სავალო ფონდიდან PTE. (“EFA”)	6,445	-
სესხები ბანკიდან „BANCA POPOLARE DI SONDRIO SCPA“	5,415	7,882
სესხები ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდიდან (OFID)	-	12,903
სხვა	-	10
სხვა ნასესხები სახსრები სულ AC-ით	**345,782**	**270,280**
სხვა ნასესხები სახსრები სულ	**345,782**	**270,280**

სხვა ნასესხები სახსრების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების შესახებ იხ. განმარტება 39. სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი იხ. განმარტება 35-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 41-ში.

23 სადაზღვევო ვალდებულებები და სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
სხვა ფინანსური ვალდებულებები AC-ით			
სერვისებისთვის გადასახდელი		762	586
ანაზღაურების ოპერაციები		576	6,473
სხვა დარიცხული ვალდებულებები		389	134
გადასახდელები სადებეტო და საკრედიტო ბარათებზე		95	481
სხვა ფინანსური ვალდებულებები სულ AC-ით		**1,822**	**7,674**
გამოუშვებელი პრემია და ზარალების რეზერვები		2,351	-
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები		2,180	-
მთლიანი სადაზღვევო ვალდებულებები		**4,531**	
სადაზღვევო ვალ:დებულებები და სხვა ფინანსური ვალდებულებები სულ		**6,353**	**7,674**

ანაზღაურების ოპერაციების ფინანსური ვალდებულება გულისხმობს იმ თანხებს, რომლებიც ბანკის კლიენტებმა გადარიცხეს თავიანთი კლიენტთა ანგარიშებიდან სხვა კომერციულ ბანკებში, და რომელთა ანაზღაურებაც პერიოდის ბოლოს მოხდა. ეს თანხები გამოაკლდა კლიენტთა ანგარიშებს და შეტანილი იქნა სხვა ფინანსურ ვალდებულებებში.

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 2,180 ათასი ლარი გულისხმობს რეზერვებს ზარალებზე, რომლებიც მოხდა, მაგრამ არ განცხადებულა, თანხით 135 ათასი ლარი.

23 სადაზღვევო ვალდებულებები და სხვა ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ცვლილება წლის განმავლობაში ასეთია:

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
გამოუმუშავებელი პრემია და ზარალების რეზერვები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		-	-
ბრუტო პრემია წლის განმავლობაში		5,442	-
გამომუშავებული პრემია წლის განმავლობაში		(3,091)	-
გამოუმუშავებელი პრემია და ზარალების რეზერვები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**2,351**	**-**

სადაზღვევო პოლისებით გათვალისწინებული რისკები, როგორც წესი, 12 თვეზე ვრცელდება. სადაზღვევო კონტრაქტებში ზარალების რეზერვები (რომლებიც შედგება პოლისების მფლობელების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვებისგან და დამდგარი, მაგრამ ანგარიშგებაში ჯერ არ ასახული ზარალებისგან) კეთდება იმ ზარალების ხარჯის დასაფარად, რომლებიც დადგა და წინასწარ ფასდება ცნობილი ფაქტების მიხედვით საანგარიშგებო თარიღისთვის.

რეზერვები ყოველთვიურად იხვეწება, რაც რეგულარული, მიმდინარე პროცესის ნაწილია, რადგან ზარალების გამოცდილება ვითარდება. გარკვეული ზარალები ანაზღაურდება, სხვები განცხადდება. დაუფარავი ზარალების რეზერვები არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებით.

კომპანია მის ვადაგაუსვლელ რისკებს იხილავს ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიული ეფექტიანობის მიხედვით, რითაც განსაზღვრავს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას.

სხვა ფინანსური ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 39-ში.

24 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებებში შედის:

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
თანამშრომელთა ბენეფიტების დარიცხული ხარჯები		1,773	1,254
გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		27	-
მიღებული ავანსები		767	260
სხვა		245	340
სხვა ვალდებულებები სულ		**2,812**	**1,854**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები 2,410 00 ლარის ტოლია (2017: 1,854 ათასი ლარი)

25 სააქციო კაპიტალი

ათასი ლარი აქციების რაოდენობის გარდა	გამოშვებული აქციების რაოდენობა ათასებში	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო შემოსავალი	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,057	16,057	74,923	90,980
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,057	16,057	74,923	90,980
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,057	16,057	74,923	90,980

ჩვეულებრივი აქციების მთლიანი ავტორიზებული რაოდენობა 16,137 ათასი -ია (2017: 16,097 ათასი აქცია), ნომინალური ღირებულებით 1 აქცია 1 ლარი (2017: 1 აქცია 1 ლარი). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია მთლიანადაა გადახდილი.

გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაა 16,137,ათასი აქცია (2017: 16, 097 ათასი აქცია). ყველა გამოშვებული აქცია სრულადაა გადახდილი. ზემოთ მოცემულ ცხრილში არ შედის მენეჯმენტზე გრანტით გაცემული 80 ათასი (2017: 40) აქცია, რომელიც ჯერ არ არის მინიჭებული. თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს. საემისიო შემოსავალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ზემოთ მიღებულ ნამეტ შემოსავალს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბანკი მოგებას ანაწილებს დივიდენდების სახით ან რიცხავს რეზერვებში საქართველოს სააღრიცხვო წესების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშების თანახმად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განაწილებისთვის ხელმისაწვდომი წლიური მოგება საქართველოს სააღრიცხვო სტანდარტების მიხედვით 35, 230 ათას ლარს შეადგენს (2017: 19,588 ათასი ლარი). ბანკის გაუნაწილებელი რეზერვები საქართველოს სააღრიცხვო წესებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 82, 129, ათას ლარს შეადგენს (2017: 65,530,ათასი ლარი).

26 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა

2015 წლის აპრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის 2015-2016 წლების ახალი საბონუსე სქემა და უმაღლესი მენეჯმენტის წევრებზე გრანტით გასცა 71,ათასი ახალი აქცია, შესაბამისი მომსახურების პირობებით. აქციებს აქვს დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნია ხმის უფლება და არც გაყიდვის ან მესამე პირისთვის გადაცემის უფლება მომსახურების პირობების შესრულებამდე.

სქემის თანახმად, ყოველწლიურად, ეფექტიანობის წინასწარგანსაზღვრული პირობების თანახმად, სქემის მონაწილეებს გადაეცემა აქციების გარკვეული რაოდენობა. გადასაცემი აქციების მთლიანი რაოდენობა დამოკიდებულია გუნდის მიზნების შესრულებაზე და თითოეული აქციის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფის აქციების გადაცემის წინა წლისთვის მომზადებული, IFRS-ით აუდირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მიხედვით. გუნდის მიზნები ძირითადად უკავშირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ზრდის და მომგებიანობის მაჩვენებლების შესრულებას და გარკვეული საზედამხედველო კოეფიციენტების და კოვენანტების დაცვას. გადაცემულ აქციებს მოჰყვება მომსახურების პირობები. ამ პირობების შესრულებამდე, აქციებს აქვს დივიდენდების უფლება, მაგრამ არა ხმის უფლება და ისინი ვერ გაიყიდება და ვერ გადაეცემა მესამე მხარეს. მომსახურების პირობები გულისხმობს სქემის მონაწილის დასაქმების უწყვეტობას, სანამ მათი სრული უფლებების თანდათანობით გადაცემა არ დასრულდება.

2015 წლის აქციებზე მფლობელებს უფლება გადაეცათ 2016 წლის ივლისში. ამ აქციებს სწორედ მაშინ მოეხსნა უფლებების გადაცემისშემდგომი ყველა შეზღუდვა. 2016 წლის ტრანში გაიცა 2017 წლის 27 ივლისს. ამ აქციებს გადაცემისშემდგომ შეზღუდვები მოჰყვება. უფლებაგადაცემული აქციების 50%-ს ეს შეზღუდვა მოეხსნება 2019 წლის ივლისში (შეზღუდვის პირველი პერიოდის დასასრული), 2022 წლის 1 ივლისს (შეზღუდვის მეორე პერიოდის დასასრული) კი გადაცემისშემდგომი შეზღუდვები მთლიანად მოიხსნება (ვადა გაუვა).

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის ახალი საბონუსე სქემა 2017-2021 წლებისთვის და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს 169,ათასი ახალი აქცია გადასცა, შესაბამისი მომსახურების პირობებით.

26 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა (გაგრძელება)

გადაცემის თარიღად ჯგუფი 2017 წლის 27 მარტს თვლის. თითოეული აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღეს 12.55 ლარით განისაზღვრა. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბანკის მფლობელებს შორის აქციების შეძენის ტრანზაქციებისთვის დადგენილი ერთი აქციის ფასის მიხედვით.

ახალი სქემის მიხედვით, მენეჯმენტის აქციებზე იგივე შეზღუდვები გავრცელდება. მათი მიღებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში (შეზღუდვის პერიოდი) დირექტორებს არ შეეძლებათ ამ აქციების გაყიდვა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, დირექტორებს შეეძლებათ მენეჯმენტის აქციების ნახევრის გაყიდვა. დირექტორების მფლობელობაში მყოფი ყველა მენეჯმენტის აქციის გასხვისება შესაძლებელი იქნება მხოლოდ დირექტორების თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ.

სქემის მთლიანი ხარჯი 2018 წლისთვის 488 ათასი ლარით განისაზღვრა (2017: 463 ათასი ლარი).

სქემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ათასი ლარი აქციების რაოდენობის გარდა	**2018**	**2017**
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის დასაწყისში	**213,000**	**44,000**
გადაცემული აქციების რაოდენობა	-	169,000
ეფექტიანობის პირობების მიხედვით მისანიჭებელი აქციების საპროგნოზო რაოდენობის ცვლილება	5,000	-
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის ბოლოს	**218,000**	**213,000**
თითო აქციის ღირებულება გადაცემის დღის მდგომარეობით (ლარში)	12.55	12.55
წილობრივ ინსტრუმენტებზე გაწეული ხარჯი	488	463
წლის განმავლობაში თანამშრომლების ხარჯად აღიარებული ხარჯი	**488**	**463**

წილობრივი გადახდის სქემებში წილობრივი ანგარიშსწორების ნაწილში თანამშრომელთა ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მინიჭების პერიოდის განმავლობაში და შესაბამისი გატარება კეთდება წილობრივი გადახდის რეზერვზე კაპიტალში. კაპიტალში შეტანილი წილობრივი გადახდის რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,339 ლარს შეადგენდა (851 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერს)

27 კაპიტალის თითოეულ კომპონენტში აღიარებული სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრული შემოსავლის მუხლობრივი ანალიზი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	განმარტება	AFS ფასიანი ქაღალდების გადაფას. რეზ.	შენობა-ნაგებობების გადაფას. რეზ.	სულ
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი				
სარეალიზაციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:				
- მოგებას გამოკლებული ზარალი გასხვისებიდან ან გაუფასურებიდან ასახული მოგება-ზარალში		(85)		(85)
სხვა სრული ზარალი სულ		**(85)**		**(85)**
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი				
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასება			1,052	1,052
სხვა სრული შემოსავალი სულ			**1,052**	**1,052**

28 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით	84,739	66,559
სავალო ფასიანი ქაღალდები AC-ით	12,129	10,334
სებ-ში რიცხული სხვა ბანკებისგან მისაღები შემოსავლების სავალდებულო ნაშთები	1,935	1,735
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**98,803**	**78,628**
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**98,803**	**78,628**
პროცენტი და სხვა მსგავსი ხარჯები		
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	9,622	10,129
ფიზიკური პირების ვადიანი ანაბრები	7,407	5,300
მიმდინარე/საანგარიშსწორების ანგარიშები	4,371	4,431
ბანკებისგან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები	15,433	9,076
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	6,252	3,686
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**43,085**	**32,622**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**55,718**	**46,006**

29 საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
საკომისიო შემოსავალი		
საკომისიო შემოსავალი, რომელიც არ უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს FVTPL-ით:		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	2,098	1,584
- გაცემულ გარანტიებთან დაკავშირებული საკომისიოები	1,656	1,119
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	1,524	1,312
- ტრანზაქციები ნაღდი ფულით	650	595
- დისტანციური საბანკო მომსახურების საკომისიოები	232	149
- სხვა	470	214
საკომისიო შემოსავალი სულ	**6,630**	**4,973**
საკომისიო ხარჯი		
საკომისიო ხარჯი, რომელიც არ უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს FVTPL-ით:		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	1,709	1,328
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	491	426
- საკრედიტო ხაზების საკომისიოები	-	92
- ინკასაციის და ტრანზაქციების საკომისიოები	129	148
- გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები	17	96
- სხვა	144	148
მთლიანი საკომისიო ხარჯი	2,490	2,238
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**4,140**	**2,735**

30 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათასი ლარი	განმარტება	2018	2017
მოგებას გამოკლებული დასაკუთრებული ქონების რეალიზაციის ზარალი		2,857	517

დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ამობრუნება	660	-
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან	165	171
ჯარიმები და საურავები	13	8
სხვა	44	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი სულ	**3,739**	**696**

31 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	**განმარტება**	**2018**	**2017**
თანამშრომელთა კომპენსაცია		15,150	11,014
პროფესიული სერვისები		2,233	1,176
ცვეთა და ამორტიზაცია	22	1,726	1,369
რეკლამირება და მარკეტინგი		1,254	994
საოპერაციო ოჯახის ხარჯი		1,110	1,008
საკომუნიკაციო და საინფორმაციო სერვისები		719	695
უსაფრთხოება		628	623
მოვლა და შეკეთება		553	441
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		302	270
სასამართლო ავანსების და სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება		291	183
დაზღვევა		289	204
საოფისე ინვენტარი		260	206
მოგზაურობა და ტრენინგი		70	99
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება		-	116
სხვა		1,273	935
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები სულ		**25,858**	**19,333**

თანამშრომელთა ხარჯებში შეტანილია 488 ათასი ლარი (2017: 463 ათასი ლარი), რომელიც ჯგუფის პერსონალისთვის უშუალოდ აქციონერების მხრიდან გადახდილ წილობრივ ანაზღაურებას.

საინვესტიციო ქონების (რომელიც გაქირავებიდან შემოსავალს გამოიმუშავებს) პირდაპირი საოპერაციო ხარჯები 25 ათას ლარს შეადგენდა (2017: 19 ათასი ლარი) და კომუნალური და თანამშრომელთა ხარჯებისგან შედგებოდა. იმ საინვესტიციო ქონების პირდაპირი საოპერაციო ხარჯები, რომლებიც გაქირავებიდან შემოსავალს არ გამოიმუშავებს, 1 ათას ლარს შეადგენდა (2017: 1 ათასი ლარი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიული სერვისების საკომისიო მოიცავს 463 ათას ლარს აუდიტისთვის და აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სხვა პროფესიული სერვისებისთვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (2017: 226 ათასი ლარი). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკთან დაკავშირებული საკომისიოები შეადგენს 431 ათას ლარს (2017: 226 ათასი ლარი).

32 მოგების გადასახადები

ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები (ბენეფიტი)

წლის მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადის ხარჯი შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	**2018**	**2017**
მიმდინარე გადასახადი	(3,991)	(2,390)
გადავადებული გადასახადი	(1,482)	648
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(5,473)	(1,742)

ბ) საგადასახადო ხარჯსა და მოგება-ზარალს შორის რეკონსილაცია, გამრავლებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე

ჯგუფის 2018 წლის მოგების უმეტეს წილზე ვრცელდება მოგების გადასახადი განაკვეთით 15% (2017: 15%) შვილობილი კომპანიების მოგების უმეტეს წილზე ვრცელდება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი (2017: 15%). ქვემოთ მოცემულია დაბეგვრის მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯს შორის რეკონსილაცია.

ათასი ლარი	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	**42,766**	**31,633**
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონის მიხედვით (2018: 15%; 2017: 15%)	(6,415)	(4,745)
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც არაა გაქვითვადი ან შეფასებადი საგადასახადო მიზნებისთვის:		
- მოგება, რომელიც გათავისუფლებულია დაბეგვრისგან (მთავრობის/სებ-ის ფასიანი ქაღალდები და დეპოზიტები)	2,065	1,695
- მოგების მუხლები, რომლებიც მოგება-ზარალში არ არის აღიარებული, მაგრამ საგადასახადო თვალსაზრისით ექვემდებარება დაბეგვრას	(91)	(38)
- არაგაქვითვადი ხარჯები	(8)	(23)
- საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ეფექტი	(1,024)	1,369
წლის მოგების გადასახადის ხარჯი/(კრედიტი)	**(5,473)**	**(1,742)**

ჯგუფმა არ ჩაწერა შვილობილ კომპანიებში ინვესტიციებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებების - 7 ათასი ლარის გადავადებული გადასახადის ვალდებულება (2017: ნული), რადგან ჯგუფს შეუძლია აკონტროლოს ამ დროებითი განსხვავებების ამობრუნების დრო და არ აპირებს პროგნოზირებად მომავალში ამ ამობრუნების გაკეთებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილება შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკების და სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის უქმდება პერიოდის მოგების გადასახადი (დივიდენდის ან სხვა ფორმით განაწილებამდე).

2018 წლის 30 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ამ ცვლილებების გადავადება 2023 წლის 1 იანვრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები ხელახლა ითვლება იმ რაოდენობებისთვის, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის დეკემბრამდე პერიოდში.

32 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გ) გადავადებული გადასახადები დროებითი განსხვავების ტიპების მიხედვით

IFRS-სა და საკანონმდებლო საგადასახადო რეგულირებას შორის განსხვავებები იწვევს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას (ფინანსური ანგარიშგების მიზნისთვის) და მათ საგადასახადო ბაზას შორის დროებითი განსხვავებების გაჩენას. ქვემოთ მოცემულია ამ დროებითი განსხვავებების ცვლილების საგადასახადო ეფექტი.

ათასი ლარი	1 იანვარი 2018	მოგებაში ან ზარალში დაკრედიტებული/დარიცხული	დაკრედიტებული/დარიცხული პირდაპირ კაპიტალში	31 დეკ 2018
გამოქვითვადი /(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი				
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	(14)	(373)	-	(387)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სესხებზე	(799)	(923)	(134)	(1,856)
გარანტიების გაუფასურების რეზერვი	(20)	(92)	(13)	(125)
ბანკთაშორისი რეზერვი	-	(8)	24	16
ფასიანი ქაღალდების ამორტიზაციის რეზერვი	-	10	39	49
დარიცხვები	250	(49)	49	250
სხვა	373	(62)	-	311
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	58	13	-	71
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(152)**	**(1,484)**	**(35)**	**(1,671)**

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურის და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, სხვადასხვა ჯგუფის კომპანიების საგადასახადო დანაკარგები და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ დაოფსეტდეს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით და სხვა ჯგუფის კომპანიების დაბეგვრადი მოგებით და, შესაბამისად, გადასახადები შეიძლება დაირიცხოს კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალის შემთხვევაშიც კი. ამიტომ, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ოფსეტდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთსა და იმავე დაბეგვრად ერთეულს და საგადასახადო ორგანოს უკავშირდება.

ათასი ლარი	1 იანვარი 2017	დაკრედიტებული/დარიცხული პირდაპირ მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2017
გამოქვითვადი/დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი			
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა:	(246)	232	(14)
სესხის გაუფასურების რეზერვი	(1,176)	378	(798)
გარანტიის გაუფასურების რეზერვი	(63)	43	(20)
დარიცხვები	179	71	250
სხვა	457	(85)	372
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	49	9	58
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(800)**	**648**	**(152)**

33 დივიდენდები

ათასი ლარი	2018 ჩვეულებრივი	2017 ჩვეულებრივი
1 იანვარს გადასახდელი დივიდენდები	-	-
წლის განმავლობაში დეკლარირებული დივიდენდები	2,989	2,545
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(2,989)	(2,545)
31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დივიდენდები	**-**	**-**
წლის განმავლობაში დეკლარირებული დივიდენდები თითოეულ აქციაზე	**0.19**	**0.16**

ყველა დივიდენდი დეკლარირებული და გადახდილია ლარით.

34 ვალის რეკონსილაცია

ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილება წარმოდგენილი პერიოდების მიხედვით. ამ ვალდებულებების მუხლები ის მუხლებია, რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში „დაფინანსების საქმიანობის“ კატეგორიაშია ასახული.

ათასი ლარი	ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან ნასესხები სახსრები	სულ
ვალი 2017 წლის 1 იანვარს	**121,530**	**121,530**
ფულადი ნაკადების მოძრაობა	150,444	150,444
სავალუტო კორექტირებები	(2,507)	(2,507)
სხვა არაფულადი ცვლილებები	813	813
ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს	**270,280**	**270,280**
ვალი 2018 წლის 1 იანვარს	**270,280**	**270,280**
ფულადი ნაკადების მოძრაობა	66,678	66,678
სავალუტო კორექტირება	7,637	7,637
სხვა არაფულადი ცვლილებები	1,187	1,187
ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს	**345,782**	**345,782**

35 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში ფინანსური რისკების მართვის ფუნქცია ვრცელდება ფინანსურ რისკებზე, ოპერაციულ რისკებსა და იურიდიულ რისკებზე. ჯგუფი, ფინანსურ შედეგებზე, მის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და რეპუტაციაზე რისკების ზეგავლენის შემცირების მიზნით მართავს რისკების გამოვლენას, შეფასებას და შემსუბუქებას (მიტიგაციას)ს, შიდა მმართველობის პროცესების, რისკების მართვის მექანიზმების და პროცესების საშუალებით.

რისკების მართვის პასუხისმგებლობა ჯგუფის შიგნით ყველა დონეზე ვრცელდება, სამეთვალყურეო საბჭოდან და დირექტორთა საბჭოდან დაწყებული (აღმასრულებელი მენეჯმენტი) თითოეული ფუნქციური ერთეულის მენეჯერით და რისკების ოფიცრით დამთავრებული. რისკების მართვის ფუნქცია რისკების მართვის შემდეგ ფუნქციურ ერთეულებზეა განაწილებული: სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, რისკების მართვის კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO), რისკების მართვის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ზედამხედველობის ზოგადი პასუხისმგებლობა. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო, აფასებს ბანკის რისკის პროფილს და ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ადეკვატურობასა და

ეფექტიანობას, რითაც აწესებს რისკების მართვის ზოგად მიდგომას და პრინციპებს. საბჭო ასევე ამტკიცებს ცალკეულ რისკების სტრატეგიებს, ადგენს ბანკის რისკის აპეტიტს და რისკების კონტროლის სისტემას.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს რისკის ძირითად ტიპების განსაზღვრებას, მენეჯმენტს აკისრებს კონკრეტულ რისკებზე პასუხისმგებლობას და აწესებს მოთხოვნებს შიდა კონტროლის სისტემებზე. რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების მიზანია ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვა, რისკების შესაბამისი ლიმიტების და კონტროლის დაწესება და რისკის დონეების და ლიმიტების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულ გადამუშავებას გადის ბაზრის პირობის ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ცვლილებების და ახალი საუკეთესო პრაქტიკის ასახვის მიზნით.

დირექტორთა საბჭო თითოეული ბიზნესმიმართულებისთვის განსაზღვრავს ყველა დამახასიათებელი რისკის მართვის შესაბამის პროცედურებს. ამ დროს მისი ამოცანაა ბიზნესის იმგვარი სტრუქტურირება, რომ ასახოს რისკები, უზრუნველყოს მოვალეობათა ადეკვატური გამიჯვნა და ადეკვატური პროცედურების არსებობა, განსაზღვროს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა ოპერაციული მოვალეობები. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების შემსუბუქების ღონისძიებათა მონიტორინგსა და განხორციელებაზე, ასევე ჯგუფის მუშაობის რისკების დადგენილი პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის უპირველესი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის პოზიცია ამ ლიმიტების ფარგლებშია. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების მთავარი ამოცანაა შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ოპერაციული და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

საკრედიტო რისკი, იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის საშუალებით როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე. გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფი საკრედიტო კომიტეტების იერარქიას აწესებს, პოზიციის ტიპიდან და სიდიდიდან გამომდინარე.

ბაზრის და ლიკვიდობის რისკებს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, ხაზინის დეპარტამენტთან და რისკების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით. ხაზინის დეპარტამენტი ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს ახორციელებს ოპერაციულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების გზით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

ბანკი ადგენს რისკების აღების და მართვის პრინციპებს, რომლებიც შიდა წესებსა და პოლიტიკის დოკუმენტებშია ასახული და მთელ ორგანიზაციაში თანმიმდევრულად გამოიყენება. ეს ზოგადი პრინციპებია:

- პრუდენციული რისკების აღება რისკების ყოვლისმომცველი შეფასებით და კონტროლის გარემოში;
- მონიტორინგის და ანგარიშგების ადეკვატური და ეფექტიანი სისტემა;
- რისკების სათანადო რაოდენობრივი გამოსახვა სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკის ზომის და კომპლექსურობის შესაბამისად;

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- მარეგულირებლის ყველა მოქმედი მოთხოვნის და ინსტრუქციის მიღება და შესრულება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;

- რისკების ეფექტიანი მმართველობის განხორციელება რისკების კონტროლის სათანადო იერარქიის შენარჩუნებით, რომელიც, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, დამოუკიდებელია ბიზნეს-საქმიანობისგან;
- რისკების მართვის მოსაზრებათა დაცვა ახალი საქმიანობის, ბიზნესმიმართულების ან პროდუქტების ექსპლუატაციაში გაშვებისას.

როგორც გარე, ისე შიდა რისკის ფაქტორების გამოვლენა და მართვა მთელი ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების რუკის შემუშავებას. ასეთი რუკები რისკის ფაქტორების ფართო სპექტრის გამოვლენის საშუალებას იძლევა და კომფორტის იმ დონის განსაზღვრის საფუძველია, რომელსაც რისკების შემსუბუქების არსებული პროცედურები იძლევა.

საკრედიტო რისკი. ჯგუფის წინაშე დგას საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს.

საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივების და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებში. საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე, კრედიტის გაცემის ვალდებულებებზე, აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე და იმპორტ-ექსპორტის აკრედიტივებზე თავად ვალდებულების ტოლია.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია. ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას.

რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

ლიმიტები. ჯგუფი მისი საკრედიტო რისკის დონეს ასტრუქტურირებს ერთ მსესხებელთან, ან მსესხებელთა ჯგუფთან და გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან მიმართებაში მიღებული რისკის სიდიდეზე ლიმიტების დაწესებით. ლიმიტებს საკრედიტო რისკის დონეზე პროდუქტებისა და დარგის მიხედვით რეგულარულად ამტკიცებს მენეჯმენტი. ამგვარი რისკები მუდმივად განახლებად მონიტორინგს ექვემდებარება და მათი გადახედვა წელიწადში ერთხელ, ან უფრო ხშირად ხდება.

ჯგუფმა რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი შექმნა, რომლებიც მსესხებელ ფიზიკურ პირებზე საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე არიან პასუხისმგებელი:

- ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 300 ათას აშშ დოლარზე ზემოთ. დამტკიცება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება, ან საჭიროებისას ტარდება კომისიის სხდომა. კომისია ასევე პასუხისმგებელია შედარებით დაბალი დონის საკრედიტო კომიტეტებისთვის მითითებების მიცემაზე.

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- შედარებით დაბალი დონის საკრედიტო კომიტეტები იხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 100-300 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში. დამტკიცება ხდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ან საჭიროების შემთხვევაში ტარდება კომიტეტის სხდომა.

- სასესხო განაცხადები 100 ათას აშშ დოლარამდე თანხით მტკიცდება საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ. გამონაკლისს წარმოადგენს საცალო სესხები თანხით 20 ათას დოლარამდე, რომლებსაც საცალო დაკრედიტების ჯგუფი ამტკიცებს.

საკრედიტო განაცხადები, რომლებიც შესაბამისი კლიენტთან ურთიერთობის მენეჯერებისგან შემოდის, საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს. საკრედიტო რისკის პოზიცია, ასევე ნაწილობრივ იმართება უზრუნველყოფის და კორპორაციული და პირადი გარანტიების მიღებით. საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს. ეს ანგარიშები კლიენტის ბიზნესის და ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურირებულ ანალიზს ეფუძნება. იმ კლიენტთან რაიმე სახის ურთიერთქმედების ფაქტი, რომლის გადახდისუნარიანობაც უარესდება, მოეხსენება რისკების კომიტეტს, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს და განიხილება მათ მიერ.

საკრედიტო რისკების კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის გაზომვის და საკრედიტო რისკის სიდიდის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მიზნით, ჯგუფი იურიდიული პირებისთვის იყენებს შიდა სარეიტინგო სისტემას, ან საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ დადგენილ რისკების კლასიფიკაციას, ბანკთაშორისი პოზიციებისთვის, ფასიანი ქაღალდებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის.

შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოყვანილი ბანკის შიგნით დადგენილი მთავარი შკალის მიხედვით, სადაც საკრედიტო რისკის კონკრეტული კატეგორიას შეესაბამება დეფოლტის ალბათობის კონკრეტული დიაპაზონი, როგორც ამ ცხრილზეა ნაჩვენები:

მთავარი შკალა საკრედიტო რისკის კატეგორია	კორპორაციული შიდა რეიტინგი	საერთაშორისო სააგენტოების შესაბამისი საერთ. რეიტინგები (Fitch)	დეფოლტის ალბათობის ინტერვალის შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით (Fitch)
ძალიან კარგი	1 – 2	AAA to BB+	0,01% - 0,5%
კარგი	3 – 4	BB to B+	0,51% - 3%
დამაკმაყოფილებელი	5 – 6	B, B-	3% - 10%
სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული	7 – 8	CCC+ to CC-	10% - 99,9%
დეფოლტი	9	C, D-I, D-II	100%

თითოეული სესხისთვის ხდება საკრედიტო რისკის კატეგორიის განსაზღვრა გადახდისუნარიანობის შესაბამისად, საკრედიტო რისკის კატეგორიის განმსაზღვრელ მთავარ შკალაზე.

ძალიან კარგი - კრედიტის მაღალი ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;

კარგი - კრედიტის ადეკვატური ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;

დამაკმაყოფილებელი - კრედიტის ზომიერი ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;

სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული - კრედიტი, რომელიც უფრო ყურადღებით მონიტორინგს და გამოსასწორებელ ქმედებას მოითხოვს

დეფოლტი - კრედიტი, რომელზეც მოხდა დეფოლტი.

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

მიდგომა, რომელსაც ჯგუფი იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გასაზომად იყენებს, ექსპერტულ რეკომენდაციაზე დაყრდნობით შემუშავებული შიდა მოდელია, რომელიც მსესხებელს საკრედიტო რეიტინგს ანიჭებს სხვადასხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების

მიხედვით. რეიტინგების მინიჭება ხდება საკრედიტო რისკის ოფიცრების მიერ, რომელსაც შემდეგ საკრედიტო რისკის კომიტეტის წევრები იხილავენ სესხის დამტკიცების პროცესში.

ის პოზიციები, რომელთაც შიდა რეიტინგი არ აქვს მინიჭებული, საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიცირდება, სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის გამოყენებით, ესენია: ვადაგადაცილების დღეები, რესტრუქტურიზაცია, უზრუნველყოფის არსებობა.

საკრედიტო რისკის კატეგორია	სესხის ხარისხის კრიტერიუმები
ძალიან კარგი	ვადაგადაცილება არ არის; მთლიანად დაფარულია დეპოზიტის, ძვირფასი ლითონის ან მთავრობის გარანტიით.
კარგი	ვადაგადაცილება არ აღემატება 31 დღეს ბოლო 12 თვის განმავლობაში;
დამაკმაყოფილებელი	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატება 31-60 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31 დღეზე ნაკლებია.
სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 61-90 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31-90 დღეა.
დეფოლტი	სესხმა ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადა რესტრუქტურიზაცია ან ბოლო 12 თვის განმავლობაში მინიმალური ვადაგადაცილება 90 დღეა.

საერთაშორისო რეიტინგები მხარეებს ისეთი დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიენიჭება, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. რეიტინგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. ეს რეიტინგები და დეფოლტის ალბათობის შესაბამისი დიაპაზონი შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ვრცელდება: ბანკთაშორისი განთავსებები, სახელმწიფო დაწესებულებებზე და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებზე გაცემული სესხები და ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდები (სახელმწიფოს, კორპორაციების ფასიანი ქაღალდები, მუნიციპალური ობლიგაციები, ევრობონდები და შესყიდული სავალო ვალდებულებები).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL ფულადი ნაკადების სამომავლო დანაკლისის დისკონტირებული ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი შეფასებაა. (ანუ, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, იმ რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს და შეწონილია ამ დანაკარგების მოხდენის ალბათობით). ECL მიდგომა მიუკერძოებელია და განისაზღვრება ყველა შესაძლო შედეგის დიაპაზონის შეფასებით. ECL შეფასების მიდგომისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს, ესენია: დეფოლტის ალბათობა (PD), პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტის განაკვეთი.

EAD მეთოდი პოზიციას აფასებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის თარიღით და ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვას და დამტკიცებული ლიმიტებიდან მოსალოდნელ გატანებს. EAD სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) გამოყენებით. CCF არის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს დამტკიცებული ლიმიტების საბალანსო პოზიციად გარდაქმნის ალბათობას განსაზღვრულ პერიოდში. მონაცემთა შეზღუდულობის გამო, ჯგუფი თვლის, რომ CCF არის 100%. დეფოლტის ალბათობა PD დეფოლტის შესაძლებლობის წინასწარი შეფასებაა, რომელიც

დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს. LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის უზრუნველყოფის რეალიზიციიდან მისაღებ, შორის განსხვავებას. როგორც წესი, ის გამოისახება EAD-ის პროცენტის სახით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს

გამოითვლება მოსალოდნელი დანაკარგების მიმდინარე ღირებულება, რომლის დროსაც დისკონტის განაკვეთის როლში გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) ან მისი მიახლოებითი შეფასება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელირება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. *ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდი* უდრის სავალო ინსტრუმენტების ვადიანობამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს. ამჟამად ბანკი არ ახდენს ECL-ის კორექტირებას მოსალოდნელი წინასწარი დაფარვების მიხედვით, მაგრამ მის ზეგავლენას არაარსებითად არის შეფასებული. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის არსებობის რული პერიოდი ის სახელშეკრულებო პერიოდია, რომლის განმავლობაშიც დაწესებულებას აქვს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება კრედიტის გაცემაზე. არსებობის მთელი პერიოდის პოზიციის განსაზღვრისთვის, ჯგუფი გამონაკლისის სახით, იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფიზიკურ პირებზე გაცემულ ბარათებთან მიმართებაში. ამ ინსტრუმენტებისთვის მაქსიმალურ არსებობის მთელ პერიოდად აღებულია 5 წელი (მაქსიმალური ნებადართული ვადიანობა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტებისთვის), ECL კი ყოველთვის იზომება არსებობის მთელ პერიოდში მოსალოდნელი დანაკარგების მიხედვით.

მენეჯმენტი ახდენს *არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის* მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. *12 თვის ECL* არის არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოეშობა დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს, ან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდი, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასებული ECL-ი, დროის პერიოდის შეფასებებია და არა მთელი ციკლის, რაც, როგოც წესი, საზედამხედველო მიზნებისთვის გამოიყენება. ეს შეფასებები ითვალისწინებს *საპროგნოზო ინფორმაციას,* ანუ ECL-ი ასახავს საკრედიტო რისკზე ზეგავლენის მქონე მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობის მიხედვით შეწონილ განვთიარებას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვის მიზნებისთვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმს:

- 90 დღიზე მეტი ვადაგადაცილება
- პრობლემური რესტრუქტურიზაცია (პოზიცია არის გადახდისუუნარო)
- გადახდისუუნარობა, რაც კონტრაგენტის შიდა რეიტინგით გამოიხატება.

თუ კონტრაგენტის დონეზე დამატებითი ინფომაცია არაა ხელმისაწვდომი, როგორც წესი, მხოლოდ >90 დღის ვადაგადაცილება და პრობლემური რესტრუქტურიზაცია მიიჩნევა საცალო მსესხებლების დეფოლტის ინდიკატორებად.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერუმების გარდა, ჯგუფი დეფოლტად ჩათვლის, ანუ მესამე სტადიას მიანიჭებს სესხს/სესხებს, სადაც შესაძლებელია, შემდეგ შემთხვევებში:

- გარანტიის გამოთხოვა
- ნაწილობრივი ჩამოწერა
- კონკრეტული პორტფელებს ან სეგმენტებს, გლობალური მაკროენომიკური ცვლილებების შემთხვევაში, რომლებსაც ნეგატიური ზეგავლენა ექნება აღნიშნულ სეგმენტებზე;

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გარდა, მნიშვნელოვნების ზღვარს ზემოთ მყოფ კონტრაგენტთა ინდივიდუალური შეფასების შემთხვევაში, კონტრატენტის გადახდისუუნაროდ აღიარებისთვის, ბანკი აანალიზებს მთელ რიგ ხარისხობრივ ფაქტორებს. ქვემოთ ჩამოთვლილი სია არ არის ამომწურავი:

- მსესხების მუდმივი შემოსავლის წყაროები აღარ იარსებებს ბაზრის გაქრობის გამო, რაც მსესხებლის გაყიდვების შემცირებას გამოიწვევს.
- სხვა კრედიტორებისთვის გადახდების შეფერხებები;
- მსესხებლის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვა ზარალით;
- მნიშვნელოვანი ხელშეკრულების (კლიენტის ან მიმწოდებლის) შეწყვეტა, რომელიც შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროა ან წარსულში გაკეთებული შესყიდვები;
- ხელშეკრულების ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების (კოვენანტების) დარღვევა;
- სასამართლო საქმის დაწყება, რომელმაც ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი გადინება შეიძლება გამოიწვიოს;
- არის იმის ალბათობა, რომ მსესხებელი გაკოტრდება ან სხვა ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის;
- სექტორის კრიზისი, თუ კონტრაგენტს სუსტი პოზიცია აქვს მოცემულ სექტორში. ის მქონე კონტრაგენტთან ერთად ოპერირებს.

ინსტრუმენტი დეფოლტის აღარმქონედ (ანუ გაჯანსაღებულად) ითვლება, როცა ზედიზედ თორმეტი თვის განმავლობაში აღარ აკმაყოფილებს დეფოლტის არცერთ კრიტერიუმს. ეს თორმეტ თვიანი პერიოდი ექსპერტული დასკვნით განისაზღვრა, იმ ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მდგომარეობაში დაბრუნების ალბათობას გაჯანსაღების შემდეგ, გაჯანსაღების სხვადასხვა შესაძლო დეფინიციების გამოყენებით.

იმის შეფასება, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება ინდივიდუალურად თითოეული სესხისთვის. კორპორაციებზე გაცემული სესხებისთვის, ბანკთაშორისი სესხებისთვის და სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის AC (ამორტიზებული ღირებულება)-ით, ან FVOCI (სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით)-ით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) ფასდება ინდივიდუალურად ქვემოთ მოყვანილი მიზეზების მონიტორინგის საშუალებით. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის SICR ფასდება პორტფელის მიხედვით, მაგრამ საბოლოოდ SICR ცალკეულ სესხს ენიჭება და არა მსესხებლის ყველა სესხს. ბანკის რისკების მართვის დეპარტამენტი პერიოდულად მონიტორინგს უწევს SICR-ის გამოვლენის კრიტერიუმებს და განიხილავს მათ შესაბამისობას და სათანადოობას.საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ უპირობოდ აქვს ადგილი, როცა ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტადაა ვადაგადაცილებული.

ჯგუფი იყენებს დაბალი საკრედიტო რისკის ფინანსური აქტივების დეფინიციას. ბანკი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ აქტივებს გარე რეიტინგით, რომელიც შეესაბამება „საინვესტიციო“კატეგორიის (მაგალითად AAA-დან BBB-ის ჩათვლით Standard & Poor's-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით ან Moody's-ის შესაბამისად) საანგარიშო თარიღის მდგომარეობით დაბალი საკრედიტო რისკი აქვს. ჯგუფი საანგარიშო თარიღის მდგომარეობით არ იყენებს დაბალი რისკის შეფასების გამონაკლისს.

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგ ერთ ან მეტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ან საყრდენ.

ბანკთაშორისი ოპერაციებისა და ბონდებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30- ზე მეტი დღით;

- ზემოთ მოცემული სარეიტინგო შკალით მინიჭებული აქვს „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულის“ შესაბამისი რისკის საერთაშორისო რეიტინგი.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების და კორპორაციული კლიენტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არაა გადახდისუუნარო)
- შიდა რეიტინგის ცვლილება, რომელიც „ძალიან კარგის“ ან „კარგის“ კატეგორიიდან „დამაკმაყოფილებლის“ ან „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულისკენ“ ჩამოსვლის შესაბამისია;

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არ არის გადახდისუუნარო)
- არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის მნიშვნელოვანი ზრდა/12 თვის დეფოლტის ალბათობის მნიშვნელოვანი ზრდა საცალო პორტფელში.

ECL-ის ის დონე, რომელიც ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული, იმაზეა დამოკიდებული, მსესხებლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს მოდელი გულისხმობს ბანკის აქტივების კლასიფიკაციას სამ ეტაპად.. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული და რომლის საკრედიტო რისკიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვი, რომელიც 12 თვის ECL-ებზეა აგებული(ეტაპი 1). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგინდა SICR, ფინანსური ინსტრუმენტი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე, მაგრამ ის ჯერ არ არის აღიარებული საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ის მესამე ეტაპზე გადადის და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. აქტივის მესამე ეტაპზე კლასიფიკაციის შედეგი ისაა, რომ ბანკი წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას ბრუტო საბალანსო ღირებულების საფუძველზე და საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისას აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებას არიცხავს, ECL-ის გამოკლებით.

თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ SICR კრიტერიუმები აღარ კმაყოფილდება, ინსტრუმენტი ისევ პირველ ეტაპზე გადადის. თუ პოზიცია მეორე ეტაპზე გადავიდა ხარისხობრივი ინდიკატორის საფუძველზე, ჯგუფი აკვირდება, კიდევ არსებობს ეს ინდიკატორი თუ შეიცვალა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პორტფელებს, რომლებიც მეორე ეტაპს მიეკუთვნება საყურადღებო სიის სტატუსის გამო. ამ პორტფელებს რეგულარული, სულ მცირე ყოველწლიური მონიტორინგი უტარდება, რომლის დროსაც გათვალისწინებული ECL შეფასებების ბოლო მოვლენები.

POCI ტიპის ფინანსური აქტივებისთვის ECL ყოველთვის იზომება არსებობის მთელი პერიოდისთვის. ამიტომ, ჯგუფი აღიარებს მხოლოდ არსებობის მთელი პერიოდისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების კუმულატიურ ცვლილებებს.

ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: უნიკალური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხებს, ცალკეულ მნიშვნელოვან სესხებს, ანუ 2 მილიონ ლარზე ზემოთ ცალკეულ პოზიციებს. ეს ზღვარი დაწესდა ექსპერტული გადაწყვეტილებით და გათვალისწინებული იქნა ბანკის პორტფელის მიმდინარე სტრუქტურა. მისი გადახედვა მხოლოდ პორტფელის მოცულობის და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ჯგუფი პორტფელის მიხედვით აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: საცალო სესხებს და კორპორაციულ მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემულ სესხებს, როცა პოზიცია მნიშვნელოვნების ზღვარს ქვემოთაა. ამ მიდგომის თანახმად, სესხების ჯგუფები კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ჰომოგენურ ქვესეგმენტებადაა დაჯგუფებული, მაგალითად პროდუქტების ტიპების, დანაკარგების

ისტორიული მონაცემების, ადგილმდებარეობის, საქმიანობის სექტორების, სესხის ვალუტის და ა.შ.

ბანკთაშორისი სესხების, ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების და სახელმწიფო დაწესებულებებზე გაცემული სესხების შეფასებებს ჯგუფი ახდებს საერთაშორისო რეიტინგების საფუძველზე.

ECL ინდივიდუალური შეფასება ხდება საკრედიტო დანაკარგების პროგნოზების სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეწონით თითოეული შედეგის ალბათობებით.. ჯგუფი თითოეული შეფასებული სესხისთვის სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს განსაზღვრავს, რომელთაგან ერთი სრულ საკრედიტო ზარალს იწვევს, თუმცა ასეთი ზარალის ალბათობა მეტად მცირე შეიძლება იყოს. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად საკრედიტო რისკების და პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტების გამოცდილი თანამშრომლების ექსპერტულ დასკვნას ეფუძნება, საკრედიტო ექსპერტების მხარდაჭერით, რომლებიც მსესხებლის შესახებ ინფორმაციის პირველადი წყარო არიან. ექსპერტული დასკვნა რეგულარულ ტესტირებას გადის წინასწარ შეფასებასა და ფაქტობრივ დანაკარგებს შორის განსხვავების შესამცირებლად.

როცა შეფასება პორტფელის მიხედვით ტარდება, ჯგუფი განსაზღვრავს პოზიციების ეტაპებს და კოლექტიურად ადგენს დანაკარგების რეზერვს. ჯგუფი პოზიციებს აანალიზებს სეგმენტების მიხედვით, რომლებიც საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლების მიხედვით დგინდება, ისე რომ ჯგუფის შიგნით პოზიციებს ჰომოგენური ან მსგავსი რისკები აქვს. ის ძირითადი საერთო საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც მხედველობაში მიიღება, შემდეგია: კლიენტის ტიპი (საბითუმო თუ საცალო), პროდუქტის ტიპი, თავდაპირველი აღიარების თარიღი, ვადიანობამდე დარჩენილი დრო და ა.შ. სხვადასხვა სეგმენტი ასევე ასახავს განსხვავებებს საკრედიტო რისკების ისეთ პარამეტრებში, როგორებიცაა დეფოლტის ალბათობა და LGD (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში). აქტივების ჰომოგენურ ჯგუფებად დაჯგუფების სათანადოობას პერიოდულად აკვირდება და განიხილავს რისკების მართვის დეპარტამენტი.

ზოგადად ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული პარამენტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკების პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული ინდივიდუალური პოზიციის ან კოლექტიური სეგმენტის არსებობის მთელი პერიოდისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდებაერთმანეთზე.. ამგვარად ხდება ECL-ის გამოთვლა თითოეული სამომავლო პერიოდისთვის. შემდეგ ის დისკონტირდება საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და ჯამდება. ECL-ის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტური განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი შეფასებაა.

საკრედიტო რისკების პარამეტრების გაანგარიშების ძირითადი პრინციპები. EADგანისაზღვრება მსესხებლის მიერ 12 თვიანი ან არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო დაფარვების საფუძველზე შედგენილი მოსალოდნელი გადახდის პროფილის მიხედვით. ყოველთვიური გრაფიკის არმქონე ინსტრუმენტებზე გადახდის პერიოდულობის შესახებ არსებული არასაკმარისი მონაცემების გამო, მთელი კორპორატიული/მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელისთვის პირობითი 30-დღიანი გრაფიკი იქნა გამოყენებული. ამ გამარტივების გავლენა არაარსებითად ჩაითვალა. ამჟამად ჯგუფი ECL შეფასებაში არ ითვალისწინებს ადრეული დაფარვის ან

35 საკრედიტო რისკების მართვა (გაგრძელება)

რეფინანსირების ფაქტორებს (გავლენა უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული). მუდმივად განახლებად პროდუქტებზე, როგორიცაა ოვერდრაფტები და საკრედიტო ბარათები, EAD პროგნოზი იღებს მიმდინარე ათვისებულ ნაშთს და რომელსაც მიუყენებს „კრედიტის კონვერსიის ფაქტორს“, რომელიც დეფოლტის დროისათვის დარჩენილი ლიმიტის სიდიდის მოსალოდნელ ათვისებას შეესაბამება.. CCF 100%-ად ითვლება საცალო და კორპორაციული საკრედიტო ბარათების და ოვერდრაფტებისთვის. CCF-ისგან განსხვავებით, რომელიც საკრედიტო ბარათების და ოვერდრაფტებისთვის გამოიყენება, „სარგებლიანობის კოეფიციენტი“ იანგარიშება და განახლდება თითო საანგარიშო პერიოდისთვის

დამტკიცებული მაგრამ აუთვისებელი ლიმიტებისთვის კორპორაციულ და მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებისთვის. სარგებლიანობის კოეფიციენტი არის დარჩენილი ლიმიტის სიდიდის მოსალოდნელი შემცირება იმ დროისთვის, როცა კონტრაგენტი დეფოლტშია და იანგარიშება წარსული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ანუ ისტორიული მონაცემების საფუძველზე კორპორაციულ და მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებზე დეფოლტის დროს არსებული დარჩენილი აუთვისებელი ლიმიტით.

ECL-ების გაანგარიშებისას ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება ეფუძნება ყველაზე ახალი ისტორიული დეფოლტის მონაცემებს და კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით, სადაც შესაძლებელია. არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის იმ სავარაუდო ალბათობას, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში ხდება და ინსტრუმენტის არსებობის პერიოდის 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ჯამია. ჯგუფი არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის გაანგარიშებისთვის სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს იყენებს სეგმენტიდან და პროდუქტის ტიპიდან გამომდინარე, მაგალითად 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესსესხების მიგრაციის მატრიცაზეა აგებული. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მრუდს ქმნის საცალო სესხების დეფოლტზე ისტორიული მონაცემების მიხედვით.

LGD წარმოადგენს გადეფოლტებულ პოზიციაზე მიღებული ზარალის მოსალოდნელ სიდიდეს. ჯგუფი ამჟამად LGD-ის გასაზომად იყენებს მიდგომას, რომელიც სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ:

- LGD-ის გაანგარიშება პორტფელის მიხედვით, ამოღების სტატისტიკაზე დაყრდნობით; LGD1 - ამოღება მხოლოდ კლიენტის მიერ ფულის გადახდის შედეგად
- LGD-ის გაანგარიშება უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით. LGD2 - მოსალოდნელი ამოღება სპეციფიკური უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიხედვით, სადაც გაითვალისწინება: უზრუნველყოფის საპროგნოზო ღირებულება, ურზრუნველყოფის გაყიდვისას რეალუზებული ისტორიული დისკონტები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე მოქმედი სხვა ფაქტორები, ფულიდა სხვალიკვიდური ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფა;
- საბოლოო LGD =LGD1*LGD2

ჯგუფის ასეთი მიდგომის ლოგიკა იმ დაკვირვებას ემყარება, რომ დეფოლტის შემდეგაც კი, გადეფოლტებული პოზიციის გარკვეული ნაწილი მსესხებლის მიერ განხორციელებული ფულადი გადახდის შედეგად იფარება, უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე. შესაბამისად, უზრუნველყოფის რეალიზაციით იფარება დარჩენილი გადეფოლტებული ვალდებულება, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მსესხებელი გადახდის ყველა საშუალებას ამოწურავს. LGD კოლექტიურად იანგარიშება კორპორაციული/მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების პორტფელის და საცალო ჰომოგენური პორტფელების დარჩენილი ნაწილის ამოღების ბოლო სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ჯგუფი საბოლოო შეფასებულ LGD-ს მიუყენებს LGD-ს მინიმალურ ზღვარს. ამ ექსპერტული კორექტირების ლოგიკური დასაბუთება არის დაკვირვება, რომ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლების მოდელირება ვერ ხერხდება ყველაზე პესიმისტურ სცენარშიც კი, რომლებიც საბოლოო ჯამში შეიძლება დასრულდეს საკრედიტო ზარალით უზრუნველყოფის კარგი კოეფიციენტის მქონე სესხებისთვისაც კი. შესაბამისად ჯგუფი იყენებს LGD მინიმალურ ზღვარს, როგორც მენეჯმენტის ექსპერტულ კორექტირებას LGD მოდელზე. ეს ზღვარი ექვემდებარება მუდმივ ბექ-ტესტს და

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

მონიტორინგს. ჯგუფი აქვეყნებს ECL სენსიტიურობას LGD მინიმალური ზღვრის მიმართ ამ დოკუმენტის მე-4 თავში.

ECL-ის გაანგარიშება ფინანსური გარანტიების და სასესხო ვალდებულებებისთვის. ამ ინსტრუმენტებისთვის ECL გაანგარიშება მოიცავს იმავე ეტაპებს, რაზეც ზემოთ საბალანსო პოციზიებზე ვისაუბრეთ, განსხვავდება მხოლოდ EAD გაანგარიშება. EAD კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) და ვალდებულების სიდიდის პროდუქტია (ExOff). CCF კორპორაციული კლიენტების აუთვისებელ

საკრედიტო ხაზებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ საკრედიტო ბარათებზე და ფინანსურ გარანტიებზე განისაზღვრება დეფოლტის დროს არსებული წარსული პოზიციების სტატისტიკური ანალიზის შედეგად. CCF ოვერდრაფტებისთვის განისაზღვრება 100%-ით, რადგან კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ლიმიტების გამოყენება.

საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით გაანგარიშების პრინციპები. გარკვეულ პოზიციებს აქვს საერთაშორისო საკრედიტო რისკის რეიტინგები. ისინი საკრედიტო რისკების პარამეტრების, დეფოლტის ალბათობის (PD) და LGD-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, შესაბამისი სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული დეფოლტის და ამოღების სტატისტიკის მიხედვით. ეს მიდგომა გამოიყენება სამთავრობო და ბანკთაშორისი პოზიციებისთვის.

ECL მოდელებში გამოყენებული საპროგნოზო ინფორმაცია. SICR-ის და ECL-ის გაანგარიშებისას,, ორივე შემთხვევაში გამოიყენება დამატებით საპროგნოზო ინფორმაცია. ეკონომიკური ცვლადების („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“, „ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარი“ და „პესიმისტური ეკონომიკური სცენარი“) პროგნოზები ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მოვლენების საუკეთესო წინასწარ შეფასებას მოიცავს. ჯგუფმა განსაზღვრა ის ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც საკრედიტო რისკთან და შესაბამისად ECL-თანაა ურთიერთკავშირში. დეფოლტის ალბათობაზე შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა დადგინდა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგად, რომლის მიზანია დადგინდეს, ისტორიულად რა გავლენა ჰქონდა ამ ცვლადების ცვლილებებს დეფოლტის სიდიდეზე. საბოლოო დეფოლტის ალბათობის (PD) მოდელები კორექტირდება შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა დეფოლტის სიდიდეზე (ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსები საცალო დეფოლტის ალბათობის მოდელებისთვის და სახელმწიფო რისკის პრემია კორპორაციული დეფოლტის ალბათობის მოდელებისთვის). ჯგუფმა მაკროეკონომიკური ცვლადები LGD-ის ფორმულაში შეიტანა, განსაკუთრებით LGD2 ფორმულებში: უძრავი ქონების ფასების ინდექსის მიხედვით კორექტირება გაუკეთდა უზრუნველყოფის ღირებულებას. ამჟამად EAD-ს მაკროეკონომიკური კორექტირება არ უკეთდება, ზეგავლენა კი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

ამჟამად ჯგუფი მაკროეკონომიკური კორექტირებისთვის გაუფასურების მოდელში მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სცენარებს იყენებს. საბოლოო მოდელში სცენარის წონები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციით გათვალისწინებული წონების მიხედვით: 50% საბაზისო სცენარისთვის, 25-25 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისთვის.

ისევე, როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის დროს, ამ სცენარების დადგომის ალბათობა მაღალი ხარისხითის გაურკვევლობით ხასიათდება, ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

ჯგუფი რეგულარულად აკეთებს თავისი მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვას და კორექტირებას, რათა პროგნოზებსა და კრედიტის ფაქტობრივ ზარალს შორის განსხვავება შემცირდეს. ამგვარი უკუტესტირება სულ მცირე წელიწადში ერთხელ ხორციელდება.

ECL გაანგარიშების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირებთან დისკუსიის შემდეგ ხდება მოდელების და დაშვებების შემდგომი დახვეწა..

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებისგან ა) ვალუტაზე, ბ) საპროცენტო განაკვეთებზე და გ) კაპიტალის პროდუქტებზე. ყველა მათგანი დგას ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებების წინაშე. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს ამ ლიმიტების გარეთ დანაკარგების პრევენციას, ბაზრის სიტუაციის უფრო მკვეთრი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის შემთხვევაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად როგორც ერთდღიან, ისე დღის შიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის.

ღია სავალუტო პოზიციამ შეიძლება მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვიოს, გააჩნია ვალუტის კურსებს შორის განსხვავების სიდიდეს და კურსის ცვლილებას. სავალუტო რისკთან მიმართებაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად ერთდღიან და დღის შიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის. ზოგადი ღია პოზიციის ლიმიტები დაწინდება რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რადგან ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის შემოსავლებზე, კაპიტალზე, ლიკვიდობაზე და გადახდისუნარიანობაზე.

ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად ანგარიშობენ და ინარჩუნებენ. დარღვევის შემთხვევაში ბანკმა უნდა გადადგას ნაბიჯები დაბალანსებისკენ და პარამეტრი დამტკიცებული ლიმიტის ქვეშ უნდა მოაქციოს. ზოგადი ღია სავალუტო პოზიციები არის კონსოლიდირებული საბალანსო და გარებალანსური პოზიცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტში უნდა ჯდებოდეს, რაც საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს შეადგენს.

ALCO (აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი) ადგენს დღის შიგა და ერთდღიანი ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტებს აგრეგირებული და ინდივიდუალური ვალუტებისთვის, რომლის შიგნითაც ბანკს შეუძლია იმუშაოს. პერიოდულად ALCO განაახლებს ხოლმე ამ ლიმიტებს, ბაზრის პირობებზე რეაგირების მიზნით. ბანკის შიდა ლიმიტები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი. მიმდინარე ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს უდრის. ბანკი სავალუტო რისკებს ICAAP სისტემის მიხედვით აკვირდება, 99% სანდოობის დონის შესაბამისი VaR-ით, (VaR შეფასება რისკის გათვალისწინებით) 10 დღიანი დაყოვნების პერიოდით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რისკის გათვალისწინებით შეფასების (VaR) სიდიდემ 462 ათასი ლარი (2017: 180 ათასი ლარი) შეადგინა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის წინაშე მდგარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2018 წლის 31 დეკ			2017 წლის 31 დეკ		
ათასი ლარი	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ.	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსურაქტივები	ფულადი ფინ ვალდებულ	წმინდა პოზიცია
ლარი	552,719	350,163	202,556	390,796	218,908	171,888
აშშ დოლარი	740,437	738,333	2,104	731,642	730,751	891
ევრო	90,872	90,777	95	65,693	65,509	184
სხვა	537	479	58	632	586	46
სულ	1,384,565	1,179,752	204,813	1,188,763	1,015,754	173,009

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვაჩვენებს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები აქციებში და არაფულად აქტივებში არ იწვევს რამე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსების გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი, რომელიც საანგარიშო პერიოდის

ბოლოს მოხდა, ჯგუფის შესაბამისი შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციურ ვალუტასთან მიმართებაში, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკ გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	2017 წლის 31 დეკ გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2017: 20%-ით გამყარება)	421	178
აშშ დოლარის 20%-ით ვარდნა (2017: 20%-ით ვარდნა)	(421)	(178)
ევროს 20%-ით გამყარება (2017: 20%-ით გამყარება)	19	37
ევროს 20%-ით ვარდნა (2017: 20%-ით ვარდნა)	(19)	(37)

პოზიცია გაანგარიშებული იქნა მხოლოდ იმ ფულად ნაშთებზე, რომლებიც ჯგუფის შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებშია დენომინირებული. ჯგუფის სავალუტო რისკის პოზიცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ ასახავს წლის განმავლობაში არსებულ ტიპურ პოზიციას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა ვალუტის კურსების გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი წლის განმავლობაში არსებული სავალუტო რისკის საშუალო პოზიციით, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას:

ათასი ლარი	საშუალო პოზიცია 2018წ განმავლობაში გავლენა მოგება-ზარალზე	საშუალო პოზიცია 2017წ განმავლობაში გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით(2017: 20%-ით გამყარება)	112	34
აშშ დოლარის ვარდნა 20%-ით (2017: 20%-ით ვარდნა)	(112)	(34)
ევროს გამყარება 20%-ით (2017: 20%-ით გამყარება)	(2)	(1)
ევროს ვარდნა 20%-ით (2017: 20%-ით ვარდნა)	2	1

საპროცენტო განაკვეთების რისკი. ჯგუფი მხედველობაში იღებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების რყევების ზეგავლენას მის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე. ამგვარი ცვლილებების შედეგად, საპროცენტო განაკვეთების მარჟები შეიძლება გაიზარდოს, ასევე შეიძლება შემცირდეს ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში დანაკარგები გამოიწვიოს. მენეჯმენტი ყოველდღიურად აკვირდება და ლიმიტებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების რისკის პოზიცია. ცხრილი აჩვენებს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებულ ოდენობებს საბალანსო ღირებულებით, რომლებიც დაჯგუფებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთებისა და საკონტრაქტო ვადიანობების მიხედვით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არასაპროცენტო	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი						
მთლიანი ფინანსური აქტივები	362,888	286,756	147,546	450,318	137,057	1,384,565
მთლ. ფინ. ვალდებ.	355,355	195,723	209,969	194,720	220,518	1,176,285
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2018 წლის 31 დეკ. მდგომ.	**7,533**	**91,033**	**(62,423)**	**255,598**	**(83,461)**	**208,280**
2017 წლის 31 დეკემბერი						

მთლ. ფინანს. აქტივები	306,156	172,509	192,159	382,545	135,395	1,188,764
მთლ. ფინ. ვალდებ.	353,803	311,399	136,949	31,548	182,057	1,015,756
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2017 წლის 31 დეკ. მდგომ.	**(47,647)**	**(138,890)**	**55,210**	**350,997**	**(46,662)**	**173,008**

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების უმეტესობა აშშ დოლარითაა წარმოდგენილი, კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ნაწილი და ნასესხები სახსრები მცურავი საპროცენტო განაკვეთების პრინციპით აღირიცხება. 2018 წლის განმავლობაში საშუალო პოზიციისთვის, იმ პირობით, თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი იქნებოდა (2017: 200 საბაზისო პუნქტით დაბლა) ლარით დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლიან აქტივებსა და ვალდებულებებზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 1,068 ათასი ლარით ნაკლები (2017: 1,042 ათასი ლარით ნაკლები), რისი მიზეზიც 2,246 ათასი ლარის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე ნაკლები საპროცენტო შემოსავალი იქნებოდა, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების კლებას მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებიდან 1,178 ათასი ლარით (2017: ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე 1,665 ათასი ლარით ნაკლები საპროცენტო შემოსავლის შედეგად, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების კლებას მცურავი კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე 623 ათასი ლარით); თუ საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით დაბალი იქნებოდა, (2017: 100 საბაზისო პუნქტით დაბალი) უცხოური ვალუტით დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლიან აქტივებსა და ვალდებულებებზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 153 ათასი ლარით ნაკლები (2017: 145 ათასი ლარით ნაკლები), ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე 642 ათასი ლარის აქტივებზე ნაკლები საპროცენტო შემოსავლის გამო, რაც აჭარბებს მცურავი კურსის მქონე 448 ათასი ლარის ნასესხები სახსრებიდან შემოსავლის ზრდას (2017: ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე ნაკლები საპროცენტო შემოსავლის გამო).

თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი იქნებოდა (2017: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი) ლარით დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლიან აქტივებზე და ვალდებულებებზე ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას, მოგება 1,068 ათასი ლარით მეტი იქნებოდა (2017: 1,042 ათასი ლარით მაღალი), ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე 2,246 ათასი ლარით მეტი საპროცენტო შემოსავლის გამო, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯის ზრდას მცურავი კურსის მქონე 1,178 ათასი ლარის ნასესხებ სახსრებზე (2017: ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე 1,665 ათასი ლარის აქტივებზე უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავლის გამო, რაც 632 ათასი ლარით აჭარბებს მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებით გამოწვეული საპროცენტო ხარჯების ზრდას). თუ საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით მაღალი იქნებოდა, (2017: 100 საბაზისო პუნქტით მაღლა) უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 153 ათასი ლარით მეტი (2017: 327 ათასი ლარით ნაკლები), ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე 642 ათასი ლარის აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გაიზრდებოდა, მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებიდან შემოსავალი

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კი 448 ათასი ლარით შემცირდებოდა (2017: ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე 471 ათასი ლარის ვალდებულებებზე გარდილი ხარჯების გამო, რაც აჭარბებს მცურავი კურსის მქონე 145 ათასი ლარის სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის კლებას).

ჯგუფი აკვირდება მისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს საპროცენტო განაკვეთებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მთავარი მენეჯმენტის მიერ განხილული ანგარიშების მიხედვითაა შედგენილი. ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენს შემოსავალს ვადიანობიდან, საანგარიშო თარიღისთვის არსებული ბაზრის კვოტების მიხედვით:

	2018			2017		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები						
ფული და ფულის ექვივ.	0.2%	1.0%	-	2%	1.0%	-
ფულადი სახსრები სებ-ში		0.8%	-0.6%	-	1.0%	-0.6%
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ				4.0%	-	-
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	-	-	-			
სესხები და ავანსები კლიენტებზე	8% 11.7%	- 8.7%	- 6.2%	- 11.8%	- 8.7%	- 7.1%
ობლიგაციები ამორტიზებული ღირებულებით	-	-	-	8.0%	-	-
ვალდებულებები						
სხვა ბანკების წინაშე არსებული ვალდებულებები	7.1%	5.3%	1.6%	7.4%		
კლიენტების ანგარიშები	7.3%	3.5%	1.6%	7.0%	- 3.1%	- 1.9%
- მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშები	7.0%	3.4%	1.3%	7.3%	3.4%	0.9%
- ვადიანი ანაბრები	7.7%	3.6%	1.7%	6.5%	3.0%	2.0%
სხვა ნასესხები სახსრები	12.4%	6.0%	3.4%	-	5.0%	3.8%

ზემოთ მოყვანილ ცხრილში „-“ ნიშანი ნიშნავს, რომ ჯგუფს შესაბამის ვალუტაში არ აქვს აქტივები და ვალდებულებები.

ჯგუფის წინაშე დგას წინასწარ დაფარვის რისკი, რადგან ის ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მქონე სესხებს გასცემს, მათ შორის იპოთეკურ სესხებს, რაც მსესხებელს უფლებას აძლევს, ადრე დაფაროს სესხი. ჯგუფის მიმდინარე წლის მოგებაზე და მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე წინასწარ დაფარვის სიდიდის ცვლილებები არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან ეს სესხები ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, წინასწარ დაფარვის უფლება კი უდრის ან უახლოვდება კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ამორტიზებულ ღირებულებას (2017: არსებითი ზეგავლენა არ ყოფილა).

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა რეგულირდება ბანკის აქტივების და ვალდებულებების მართვის (ALM) პოლიტიკით. რისკების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს საპროცენტო მგრძნობელობის გეპის ანგარიშს გადაფასების პერიოდების მიხედვით. ამ ანგარიშის გამოყენებით ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენას ბანკის მოგებაზე. ანგარიშში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთების სტრესის სიდიდე (რომელიც საბაზისო პუნქტებით გამოიხატება), რომელსაც რისკების მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს შესაბამის ვალუტებზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების რყევების მიხედვით. ბანკის მოგებაზე დასაშვები შესაძლო გავლენის ლიმიტი განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალის 1%-მდე ოდენობით.

გეოგრაფიული რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

(OECD ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია)

ათასი ლარი	საქართველო	ჩინეთი	OECD	არა-OECD	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივ.	68,843	8	1,056	62,593	132,500
ფულადი სახსრები სებ-ში	170,443	-	-	-	170,443
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	175,690	-	-	-	175,690
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	63	-	-	-	63
სესხები და ავანსები კლიენტებზე	900,803	-	-	-	900,803
სხვა ფინანსური აქტივები	5,066	-	-	-	5,066
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,320,908	8	1,056	62,593	1,384,565
ფინანსური ვალდებულებები					
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	100,196	-	-	-	100,196
კლიენტთა ანგარიშები	647,067	80,354	-	-	727,421
სხვა ნასესხები სახსრები	-	91,527	247,810	6,445	345,782

სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,353	-	-	-	6,353
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	753,616	171,881	247,810	6,445	1,179,752
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	567,292	(171,873)	(246,754)	56,148	204,813
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	154,212	2,414	-	-	156,626

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები ზოგადად იმ ქვეყანას ეხება, რომელშიც კონტრაგენტი მდებარეობს. ნაშთები კონტრაგენტებთან, რომელიც იმ კომპანიებისთვისაა გადასახდელი, ან მათგან მისაღები, რომლებსაც საბოლოო ჯამში ჩინეთში განლაგებული ბიზნესერთეულები აკონტროლებს, გაერთიანებულია სათაურში „ჩინეთი“. ფული და ფულის ეკვივალენტები მოცემულია იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	საქართველო	**ჩინეთი**	**OECD**	**არა-OECD**	**სულ**
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალ.	61,121	1	78,448	7	139,577
ფულადი სახსრები სებ-ში	130,824				130,824
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	15,094				15,094
სესხები და ავანსები კლიენტებზე	757,874				757,874
გასაყიდი საინვესტიციო ფას. ქაღ.	63				63
საინვ. ფას. ქაღ. ვადის ბოლომდე ფლობით	143,903				143,903
სხვა ფინანსური აქტივები	1,429				1,429
მთლიანი ფინანსური აქტივები	**1,110,308**	**1**	**78,448**	**7**	**1,188,764**
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ბანკ. წინ. არს. ვალდ.	59,982				59,982
კლიენტების ანგარიშები	533,096	144,724			677,820
სხვა ნასესხები სახსრები	9	-	158,358	111,913	270,280
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,674				7,674
მთლიანი ფინანსური ვალდებულებ.	**600,761**	**144,724**	**158,358**	**111,913**	**1,015,756**
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	**509,547**	**(144,723)**	**(79,910)**	**(111,906)**	**173,008**
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	**105,777**	**2,347**	**-**	**-**	**108,124**

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც დაწესებულება წააწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების სირთულეს. ჯგუფი ყოველდღიურად აწყდება მოთხოვნას ფულად რესურსებზე: ერთდღიან დეპოზიტებზე, მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადას მიახლოებულ დეპოზიტებზე, სესხების ათვისებაზე, გარანტიებზე, მარჟაზე, ასევე სხვა მოთხოვნებს ფულით გაქვითვად წარმოებულ ინსტრუმენტებზე. ჯგუფს არ აქვს ფულადი რესურსები ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ დაფარვის ვადას მიახლოებულ სახსრებზე ახალი ინვესტიციის მინიმალური დონე შეიძლება წინასწარ განისაზღვროს მაღალი სიზუსტით. ლიკვიდობის რისკს ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი მართავს.

ჯგუფი ლიკვიდობის რისკს მართავს „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის“ და „ლიკვიდობის მართვის რეგულაციის“ შესაბამისად, რომლებშიც ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემაა აღწერილი. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ხოლო ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ევალება ხაზინის დეპარტამენტს.

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სხვა ბანკების წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, კორპორაციული და საცალო კლიენტების დეპოზიტებისგან. ჯგუფი სახსრების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ჰქონდეს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებზე.

ჯგუფის მიერ ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონეს, რომელიც აუცილებელია ვადადამდგარი ვალდებულებების შესასრულებლად, დაფინანსების სხვადასხვა წყაროს შესანარჩუნებლად, გაუთვალისწინებელი გეგმებისთვის სახსრების შესანარჩუნებლად და საზედამხედველო მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგისთვის. ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტებს ანგარიშობს ყოველდღიურად, სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც გამოითვლება როგორც ლიკვიდური აქტივების შეფარდება ვალდებულებებთან და ექვს თვეზე ნაკლები ვადიანობის მქონე ნასესხებ სახსრებთან და გარებალანსურ ვალდებულებებთან. კოეფიციენტში დასაშვები მინიმუმი დაწესებულია 30% ზე.

ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტებს ყოველდღე ანგარიშობს სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად, რაც ლიკვიდური აქტივები ვალდებულებებთან და ექვს თვემდე ვადის ნასესხებ სახსრებთან შეფარდების საშუალო კოეფიციენტია, გარებალანსური ვალდებულებები ყოველთვიურად მინიმუმ 30%-ია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საშუალო ლიკვიდობის კოეფიციანტი 57% იყო. (2017: 57%)

ჯგუფი ლიკვიდობის რისკს მართავს „აქტივებისა და ვალდებულებების პოლიტიკის“ და „ლიკვიდობის მართვის რეგულაციის“ მიხედვით, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ლიკვიდობის მართვის პროცესები, პროცედურები და შესაბამისი ლიმიტები. ლიკვიდობის მართვის რეგულაცია ლიმიტებს აწესებს:

- ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR)
- კუმულაციური ლიკვიდობის გეპები

ხაზინის დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ. შემდეგ დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც ძირითადად მოკლევადიანი ლიკვიდური სავაჭრო ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორისი სესხებისგან შედგება. ის უზრუნველყოფს, რომ მთელ ჯგუფს საკმარისი ლიკვიდობა უნარჩუნდება.

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ხაზინის დეპარტამენტი ასრულებს ყოველდღიური ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს და აკეთებს რეგულარულ ლიკვიდობის სტრეს-ტესტირებას სხვადასხვა სცენარით როგორც ბაზრის ჩვეულებრივ, ისე მკაცრ პირობებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობით. ვადიანობის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების ოდენობა სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია, მათ შორის მთლიანი ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები (მომავლის დაფინანსების ხარჯების გამოკლებამდე), მთლიანი სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხისგან, რადგან

ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხა დისკონტირებულ ფულად ნაკადებზეა აგებული. ფინანსური დერივატივები შეტანილია მისაღები ან გადასახდელი სახელშეკრულებო თანხებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მოელის, რომ დერივატივის პოზიციას მისი ვადიანობის თარიღამდე დახურავს. ასეთ შემთხვევაში დერივატივი შეტანილია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით. ვადიანობის ანალიზის მიზნებისთვის, ჩართული წარმოებულები არ ცალკევდება ჰიბრიდული (კომბინირებული) ფინანსური ინსტრუმენტებისგან.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია არაწარმოებული ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი მათი საბალანსო ღირებულებით და სახელშეკრულებო ვადიანობების მიხედვით, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც მზა სახით გაყიდვადია, თუ აუცილებელია ფინანსურ ვალდებულებებზე ფულადი ნაკადების გადინების დაკმაყოფილება. ამგვარი ფინანსური აქტივები შეტანილია ვადიანობის ანალიზში მათი რეალიზაციის მოსალოდნელი თარიღის მიხედვით. გაუფასურებული სესხები შეტანილია მათი საბალანსო ღირებულებით ფულადი ნაკადების შემოდინების მოსალოდნელი დროების მიხედვით. დერივატივები წარმოდგენილია მათი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით.

როცა გადასახდელი თანხა არა ფიქსირებული, ნაჩვენები თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოური ვალუტით გადახდები კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
აქტივები						
ფული და ფულის ექვივალ.	132,500	-	-	-	-	132,500
ფულადი სახსრები სებ-ში	170,443	-	-	-	-	170,443
ინვესტიციები სავალო ვალდ-ში	6,021	27,114	52,592	89,963	-	175,690
ინვესტ. წილობრივ ფას. ქაღ-ში	-	-	-	-	63	63
სესხები და ავანსები კლიენტებზე	16,650	119,118	169,500	370,532	225,003	900,803
სხვა ფინანსური აქტივები	507	-	4,425	-	134	5,066
სულ	**326,121**	**146,232**	**226,517**	**460,495**	**225,200**	**1,384,565**
ვალდებულებები						
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	65,400	34,796	-	-	-	100,196
კლიენტთა ანგ. - ფიზ. პირები	123,154	51,585	70,663	26,742	2,410	274,554
კლიენტთა ანგ. – სხვა	287,796	49,664	94,555	34,250	589	466,854
სხვა ნასესხები სახსრები	5,353	87,038	114,003	157,486	10,595	374,475
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,588	4,765	-	-	-	6,353
ფინანსური გარანტიები	55,573	-	-	-	-	55,573
მთლიანი სასესხო ვალდებ-ები	77,771	-	-	-	-	77,771
მთლიანი შესაძლო სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე	**616,635**	**227,848**	**279,221**	**218,478**	**13,594**	**1,355,776**
ფინანსური ინსტრუმენტებისგან წარმოშობილი ლიკვიდობის გეპი	**(290,514)**	**(81,616)**	**(52,704)**	**242,017**	**211,606**	**28,789**

35 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

გარანტიებზე მოთხოვნის და standby აკრედიტივების მხარდამჭერი ლიკვიდობის მოთხოვნები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზში მოცემული ვალდებულების ოდენობა, რადგან ჯგუფი ზოგადად არ მოელის, რომ მესამე მხარე შეთანხმების ფარგლებში მოახდენს სახსრების გატანას. კრედიტის გაცემის ვალდებულების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა, რომელიც ზემო ცხრილშია მოცემული, არ წარმოადგენს მომავლის მოთხოვნას ფულზე, რადგან ამ ვალდებულებებიდან ბევრს ვადა გაუვა ან შეწყდება დაფინანსების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	139,577	-	-	-	-	139,577
ფულადი სახსრები სებ-ში	130,824	-	-	-	-	130,824
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	15,094	-	-	-	15,094
სესხები და ავანსები კლიენტებზე	13,611	117,206	194,569	261,911	170,577	757,874
გასაყიდი საინვესტ. ფას. ქაღ.	-	-	-	-	63	63
ობლიგაციები ამორტ. ღირ.	10,681	40,180	45,311	47,731	-	143,903
სხვა ფინანსური აქტივები	1,202	-	205	-	22	1,429
სულ	**295,895**	**172,480**	**240,085**	**309,642**	**170,662**	**1,188,764**
ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკ. წინაშე	44,028	15,954	-	-	-	59,982
კლიენტთა ანგ. - ფიზ. პირები	112,444	29,566	44,439	23,197	1,462	211,108
კლიენტთა ანგ. - სხვა	303,058	60,646	91,320	22,413	591	478,028
სხვა ნასესხები სახსრები	60,157	68,872	80,111	67,514	-	276,654
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,590	84	-	-	-	7,674
ფინანსური გარანტიები	30,978	-	-	-	-	30,978
მთლიანი სასესხო ვალდებულებები	50,477	-	-	-	-	50,477
მთლიანი შესაძლო სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე	**608,732**	**175,122**	**215,870**	**113,124**	**2,053**	**1,114,901**
ფინანსური ინსტრუმენტებისგან წარმოშობილი ლიკვიდობის გეპი	**(312,837)**	**(2,642)**	**24,215**	**196,518**	**168,609**	**73,863**

კლიენტთა ანგარიშები ზემოთ მოყვანილ ანალიზში მოცემულია სახელშეკრულებო ვადიანობით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, მათი დეპოზიტები გამოიტანონ ვადის დადგომამდე, თუ უარს იტყვიან მათ უფლებაზე, ისარგებლონ დაგროვილი პროცენტით.

ლიკვიდობის სამართავად ჯგუფი არ იყენებს ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზს, რომელიც ვალდებულებების არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვადიანობაზეა აგებული. ამის ნაცვლად, ჯგუფი მოსალოდნელ ვადიანობებს და შედეგად მიღებულ ლიკვიდობის გეპს შემდეგნაირად აკვირდება:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზევით	სულ
2018 წლის 31 დეკ. მდგ.						
ფინანსური აქტივები	326,120	146,232	226,517	460,495	225,200	1,384,564
ფინანსური ვალდებულებები	169,088	246,422	285,521	323,456	197,944	1,222,431
ფინანსური და ოპერ. გარანტ.	374	-	-	-	-	374
აუთვის. კრედიტთან დაკავშ. ვალდებ.	7,777	-	-	-	-	7,777
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**148,881**	**(100,190)**	**(59,004)**	**137,039**	**27,257**	**153,982**
კუმულაციური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**148,881**	**48,691**	**(10,313)**	**126,726**	**153,982**	**-**
2017 წლის 31 დეკ. მდგომ.						
ფინანსური აქტივები	295,896	172,479	240,085	309,642	170,661	1,188,763
ფინანსური ვალდებულებები	198,013	208,686	228,051	337,713	66,429	1,038,892
ფინანსური და ოპერ. გარანტ.	362	-	-	-	-	362
აუთვის. კრედიტთან დაკავშ. ვალდებ.	5,048	-	-	-	-	5,048
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**92,473**	**(36,207)**	**12,034**	**(28,071)**	**104,232**	**144,461**
კუმულაციური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**92,473**	**56,266**	**68,300**	**40,229**	**144,461**	

ფინანსური და ოპერაციული გარანტიების თანხები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები ნაჩვენებია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინების მიხედვით.

ჯგუფის მენეჯმენტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობების და საპროცენტო განაკვეთების თანხვედრას და/ან კონტროლირებულ შეუსაბამობას. ბანკებისთვის უჩვეულოა ბოლომდე თანხვედრა, რადგან ბიზნეს-ტრანზაქციები ხშირად გაურკვეველი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიციამ შეიძლება გაზარდოს მომგებიანობა, მაგრამ შეიძლება ასევე გაზარდოს დანაკარგების რისკი. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და ვადადამდგარი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების მისაღები ღირებულებით ჩანაცვლების შესაძლებლობა ჯგუფის ლიკვიდობის და საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსების ცვლილებებისადმი მისი პოზიციის შეფასების მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა ანგარიშების დიდი ნაწილი მოთხოვნამდე ხასიათისაა, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მეანაბრეების რაოდენობის და ტიპების მიხედვით და ჯგუფის წარსული გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ამ კლიენტთა ანგარიშები ჯგუფის დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყაროა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მენეჯმენტს სჯერა, რომ შეძლებს ლიკვიდობის გეპის დახურვას სებ-ისგან ან სხვა ბანკებისგან ნასესხები სახსრების მოზიდვით, დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, როცა ამის საჭიროება იქნება.

36 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის ამოცანებია: 1) სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება, 2) დაიცვას ჯგუფის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და 3) შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა, რათა მიაღწიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს ბაზელის შეთანხმების თანახმად, სულ მცირე ნასესხები სახსრების შეთანხმებებში მითითებული დონის ზემოთ.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის დაცვა ყოველდღიურად კონტროლდება. შესაბამის ანგარიშებს, რომელშიც ამ კოეფიციენტების გაანგარიშებაა ახსნილი, იხილავს და ხელს აწერს გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების სფეროში. კაპიტალის მართვის სხვა ამოცანები ყოველკვარტალურად ფასდება.

ბაზელი 3-ის სისტემაზე გადასვლის პროცესში, გამჭვირვალობის და შედარებითობის გაზრდის მიზნით და არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების სეგრეგაციისთვის, ასევე შესაძლო რისკების დასაფარად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2017 წლის დეკემბერში ცვლილებები შეიტანა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში და პილარი 1-ით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად შემოიღო ახალი პილარი 1 და პილარი 2-ის ბუფერები:

პილარი 1-ის ბუფერები:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%; მისი მიზანია სტრესის შემთხვევაში დანაკარგების გადაფარვა; მანამდე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებში იყო ჩადებული;

- კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი - შემოღებულ იქნა ბაზელი 3-ის სისტემით და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია; ამჟამად მისი განაკვეთი 0%-ია.

- სისტემური ბუფერები - ცალცალკე წესდება თითო კომერციული ბანკისთვის, რომელიც სისტემისთვის მნიშვნლოვან ბანკად მიიჩნევა (არ ეხება ბაზისბანკს).

პილარი 2-ის ბუფერები:

- არაჰეჯირებული სავალუტო რისკის ბუფერი (CICR)
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელსაც თან ახლავს სახელის და სექტორული კონცენტრაციის ბუფერები;
- წმინდა სტრესტესტის ბუფერი, რომელიც შემოღებული იქნება სებ-ის მიერ ადმინისტრირებული სტრესტესტის შედეგების მიხედვით;
- წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც სებ-ის რისკების შეფასების გენერალური პროგრამის და ბანკის შიდა კაპიტალის მოთხოვნის შეფასების მიხედვით დაწესდა;

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ამჟამად არსებული მოთხოვნების თანახმად, ბანკები ვალდებული არიან შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (კაპიტალის კოეფიციენტი) გაწერილი მინიმალური დონის ზემოთ. მთავარი მენეჯმენტისთვის მიწოდებული შიდა ინფორმაციის თანახმად, ჯგუფის მიერ მართული კაპიტალის რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 218,933 ათასი ლარი იყო. (2017: 185, 100 ათასი ლარი). ბანკის საზედამხედველო კაპიტალი 221,981 ათასი ლარია (2017: 187,028 ათასი ლარი). ჯგუფმა და ბანკმა 2018 და 2017 წლებში დაკისრებული ყველა კაპიტალის მოთხოვნა შეასრულეს.

სებ-ის მოთხოვნის თანახმად, კაპიტალის ადეკვატურობის ეს ანგარიში ცალკე მზადდება:

ათასი ლარი	**2018 პილარი I/II**	**2017 პილარი I/II**
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	16,138	16,097
საემისიო შემოსავალი	75,784	75,284
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგ. თანახმ.	82,129	65,530
გადაფასების რეზერვი	9,653	8,602
მიმდინარე წლის მოგება სებ-ის რეგ.თანახმ.	35,230	19,588
პირველადი კაპიტალი კორექციამდე	**218,934**	**185,101**
პირველადი კაპიტალის კორექტირება	(11,017)	(9,463)
მთლიანი პირველადი კაპიალი კორექტირების შემდეგ	**207,917**	**175,638**
მეორადი კაპიტალი		
საერთო რეზერვი	14,064	11,390
მთლიანი მეორადი კაპიტალი	**14,064**	**11,390**
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	**221,981**	**187,028**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს	**1,215,027**	**980,272**
მინიმალური პირველადი კოეფიციენტი	***11.1%***	***10.1%***
პირველადი კოეფიციენტი	**17.11%**	**17.92%**
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**18.27%**	**19.1%**

37 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეები. პერიოდულად, ბიზნესის ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობისას, შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნები ჯგუფის მიმართ. საკუთარი შეფასებით და შიდა პერსონალის პროფესიონალური კონსულტაციით, მენეჯმენტი იმ აზრისაა, რომ ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკს არ მიადგება რაიმე სახის მნიშვნელოვანი ზარალი, შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ ითვალისწინებს შესაბამის რეზერვს მასთან მიმართებაში.

გაუთვალისწინებელი საგადასახადო სიტუაციები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შემუშავდა, ან ძირითადად შემუშავდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, როცა ჯგუფის ტრანზაქციებსა და საქმიანობას მიესადაგება. შესაბამისად, მენეჯმენტის მხრიდან გადასახადებთან და თანმხლებ ოფიციალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით დაკავებულ პოზიციას საგადასახადო ორგანოები შეიძლება არ დაეთანხმონ. საგადასახადო წელიწადი მიყოლებით სამი კალენდარული წლის განმავლობაში ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღიად.

საგადასახო ორგანოები ბანკს ამოწმებს 2015 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე საგადასახადო პერიოდით. საგადასახადომ დასვა კითხვები გარკვეულ საკითხებზე, ბანკი არ დაეთანხმა მათ შეფასებებს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ შორის კამათი მოგვარებული არ იყო. საგადასახადო ინსპექტირება გრძელდება და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჯერ არ არის დასრულებული. ამ შემთხვევისთვის სპეციალური რეზერვი არ შექმნილა, რადგან ჯგუფის მენეჯმენტს არ სჯერა, რომ ბანკს რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი მიადგება.

საქართველოს კანონი ტრანსფერ ფრაისინგის შესახებ ძირითადად „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) მიერ შემუშავებული საერთაშორისო ტრანსფერ ფრაისინგის პრინციპების შესაბამისია, თუმცა სპეციფიკური მახასიათებლებიც აქვს. ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლირებად ტრანზაქციებზე დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას (დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები და გარკვეული ტრანზაქციები ურთიერთდაუკავშირებულ მხარეებს შორის), თუ ასეთი ტრანზაქციები არ არის მხარეთა დამოუკიდებლობის და თანაბრობის, ანუ „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm's length principle) პრინციპის შესაბამისი. ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მენეჯმენტმა განახორციელა შიდა კონტროლი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებების შესრულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ პოზიციაზე, თუ ეს ორგანოები წარმატებით შეასრულებდნენ ამ ინტერპრეტაციებს. ჯგუფი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს კვალიფიციურ გარე საგადასახადო მრჩევლებთან.

საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები. თუ ჯგუფი არის მოიჯარე, მომავალი მინიმალური ლიზინგის დაფარვები არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებებით იქნება შემდეგი:

ათასი ლარი	**2018**	**2017**
არაუგვიანეს 1 წლისა	327	297
მთლიანი საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები	**327**	**297**

ჯგუფს საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებებით აღებული აქვს რამდენიმე შენობა და აღჭურვილობა. ლიზინგის თავდაპირველი ვადა, როგორც წესი, 1-დან 5 წლამდე პერიოდია, განახლების შესაძლებლობით. ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, ლიზინგის დაფარვები წლიდან წლამდე როგორც წესი იზრდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების (კოვენანტების) შესრულება. ჯგუფს დადებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ძირითადად მის ნასესხებ სახსრებთანაა დაკავშირებული. ასეთი ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა ჯგუფისთვის უარყოფით შედეგებს გამოიწვევს, მათ შორის ნასესხები სახსრების ხარჯების ზრდასა და დეფოლტის განცხადებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი საერთაშორისო შეთანხმებების პირობებს ასრულებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა დაარღვია ერთი კოვენანტი მიკროსაფინანსო ფონდ „ბლუ ორჩარდთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. მენეჯმენტო მიიჩნევს, რომ ჯგუფი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სხვა ხელშეკრულების პირობებს ასრულებდა. შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 52,913 ათასი ლარი იყო. დარღვევა ადეკვატურად აისახა წინამდებარე დოკუმენტის „ფინანსური რისკების მართვის“ ნაწილში, სახელშეკრულებო ვადიანობების ცხრილში.

ბანკი ასევე ასრულებს სასესხო შეთანხმებების კოვენანტებით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, მათ შორისო კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, რომელიც გაანგარიშებულია ბაზელის შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, როგორც ეს განსაზღვრულია კაპიტალის გაანგარიშების და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო კონვერგენციით (განახლდა 1998 წლის აპრილში) და „ბაზელის შეთანხმების“ გადამუშავებულ ვერსიაში, რომელშიც შეტანილ იქნა საბაზრო რისკები (განახლდა 2005 წლის ნოემბერში), და ბაზელი II-ის სახელითაა ცნობილი. ბანკმა შეასრულა ამ სესხის შესახებ კოვენანტი.

ბანკის კაპიტალის კომპოზიცია ბაზელის შეთანხმების შესაბამისად ასეთია:

37 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	2018	2017
პირველადი კაპიტალი		
საქციო კაპიტალი	90,980	90,980
გაუნაწილებელი მოგება	146,999	113,316
მთლიანი პირველადი კაპიტალი	**237,979**	**204,296**
მეორადი კაპიტალი		
გადაფასების რეზერვები	9,372	8,387
საერთო რეზერვი	4,483	8,230
მთლიანი მეორადი კაპიტალი	**13,767**	**16,617**
მთლიანი კაპიტალი	**251,746**	**220,913**

მეორად კაპიტალში შედის საერთო რეზერვი, რომელიც განისაზღვრება როგორც მინიმალური თანხა ამ ორი ფაქტორიდან: ა) IFRS სესხებზე შექმნილი რეზერვები გაუფასურების ნიშნების გარეშე და ბ) გაუფასურების გამომწვევი მოვლენის გარეშე არსებული სესხების 2%.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამ ინსტრუმენტების ძირითადი მიზანი იმის

უზრუნველყოფაა, რომ როცა დასჭირდება, კლიენტზე გასაცემი სახსრები არსებობს. გარანტიები და standby აკრედიტივები წარმოადგენს იმის მყარ გარანტიას, რომ კლიენტის მიერ მესამე მხარისთვის წინაშე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯგუფი განახორციელებს გადახდებს. გარანტიებს და standby აკრედიტივებს იგივე საკრედიტო რისკი აქვს, რაც სესხებს. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები არის ჯგუფის მიერ კლიენტის სახელზე დაწერილი პირობები, რომელიც მესამე მხარეს უფლებას აძლევს, გაიტანოს ჯგუფიდან თანხები გარკვეულ ლიმიტამდე და გარკვეული პირობებით. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივების უზრუნველყოფად ითვლება საქონლის ის პარტია, რომლებსაც ისინი ეხება ან ფულადი დეპოზიტები და ამიტომ ნაკლები რისკი აქვს, ვიდრე პირდაპირ სესხებას.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის გაცემის ავტორიზაციის მიცემის გამოუყენებელ ნაწილს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების ფორმით. რაც შეეხება კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფის წინაშე შესაძლოა იდგას ზარალის რისკი იმ ოდენობით, რომელიც უდრის მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებას, თუ აუთვისებელი თანხები ათვისებული უნდა ყოფილიყო. თუმცა, ზარალის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია კლიენტების მიერ კრედიტის კონკრეტული სტანდარტების დაცვაზე.

ჯგუფი აკვირდება კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ვადის დადგომამდე დარჩენილ პერიოდს, რადგან შედარებით გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად მეტი საკრედიტო რისკი აქვს, ვიდრე შედარებით მოკლევადიანებს.

კრედიტთან დაკავშირებული დაუფარავი ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
გაცემული ფინანსური გარანტიები		55,573	30,979
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები		77,771	50,477
მთლიანი სასესხო ვალდებულებები		133,344	81,456
შემცირებული: ფინანსური გარანტიების რეზერვი		(95)	(168)
შემცირებული:სასესხო ვალდებულებების რეზერვი		(262)	-
შემცირებული: ფულადი დეპოზიტებით უზრუნველყოფილი ვალდებულება		(24,422)	(23,295)
მთლიანი კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები, რეზერვების და ფულით დაფარული პოზიციების გარდა		**108,565**	**57,993**

37 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისა და გარანტიების მთლიანი დასაფარი სახელშეკრულებო თანხა არ წარმოადგენს მომავლის ფულადი სახსრების მოთხოვნებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე.

ფინანსური გარანტიების რეზერვების ცვლილებები ასეთია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12 თვის ECL)	ეტაპი 2 (არს. მთ. პერ. ECL SICR-ისთვის)	მთლიანი რეზერვი	მთლიანი გარანტირებული თანხა
ფინანსური გარანტიების რეზერვი 2018 წლის 1 იან. მდგომ.	**77**	**1**	**78**	**30,978**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე				
ტრანსფერები:				
- არს. მთ. პერ. (ეტაპი 1 ეტაპი 2-მდე)	(44)	44	-	-
გაცემული გარანტიები	95	-	95	49,887
აღიარების შეწყვეტა პერიოდის განმავლობაში	(77)	(1)	(78)	(25,380)

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12 თვის ECL)	ეტაპი 2 (არს. მთ. პერ. ECL SICR-ისთვის)	მთლიანი რეზერვი	მთლიანი გარანტირებული თანხა
წლის მოგების ან ზარალის ხარჯი	**(26)**	**43**	**17**	**55,485**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომლსაც ეფექტი არ ჰქონდა რეზერვზე				
უცხოური ვალუტის ცვლილებები	-	-	-	88
ფინანსური გარანტიების რეზერვები 2018 წლის 31 დეკ. მდგ.	**51**	**44**	**95**	**55,573**

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანალიზი კრედიტის ხარისხის მიხედვით, კრედიტის რისკების კატეგორიებზე დაყრდნობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს. მთ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 არს.მთლ. პერ. ECL საკრედიტო რისკით გაუფას.)	სულ
გაცემული				
- ძალიან კარგი	10,674	-	-	10,674
- კარგი	39,431	-	-	39,431
- დამაკმაყოფილებელი	-	5,468	-	5,468
მთლიანი თანხა აღიარების გარეშე	**50,105**	**5,468**	**-**	**55,573**
ფინანსური გარანტიების რეზერვი	**(51)**	**(44)**	**-**	**(95)**
სასესხო ვალდებულებები				
- ძალიან კარგი	7,334	-	-	7,334
- კარგი	53,358	-	-	53,358
- დამაკმაყოფილებელი	-	17,037	-	17,037
- სპეც. მონიტორინგს დაქვემდ.	-	43	-	43
მთლიანი თანხა აღიარების გარეშე	**60,692**	**17,080**	**-**	**77,772**
სასესხო ვალდებულებების რეზერვი	**(123)**	**(139)**	**-**	**(262)**

37 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკების კატეგორიების და ECL მიდგომით გაანგარიშების შესახებ ინფორმაციისთვის, ასევე კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან მიმართებაში დეფოლტის და SICR-ის განსაზღვრების შესახებ იხ. განმარტება 35.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 638 ათასი ლარი (2017: 1,379 ათასი ლარი).

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით საკრედიტო რისკის გადაცემა არ ხდება. ეფექტიანობის გარანტიების კონტრაქტში არსებული რისკი იმის შესაძლებლობაში მდგომარეობს, რომ დაზღვეული მოვლენა (ანუ სხვა მხარის მიერ საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობა) მოხდება. ჯგუფის წინაშე მდგარი მთავარი რისკები ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული დაფარვების სიხშირის და სიმძიმის მნიშვნელოვანი ცვლილებებია, მოლოდინთან შედარებით. ასეთი დაფარვების პროგნოზირებისთვის ჯგუფი იყენებს ისტორიულ მონაცემებსა და სტატისტიკურ მეთოდებს. მოთხოვნების წაყენება ხელშეკრულების ვადის დადგომამდე უნდა მოხდეს. ამ მოთხოვნების უმეტესობის დაკმაყოფილება

მოკლე ვადაში ხდება. ეს ჯგუფს საშუალებას მაღალი ხარისხის სიზუსტით განსაზღვროს მოსალოდნელი დაფარვები და შესაბამისად, მომავალი ფულადი ნაკადები. ჯგუფი ასეთ რისკებს მართავს ასეთ პროდუქტებზე დაფარვების მუდმივად დაკვირვებით და საშუალება აქვს მომავალში მისი საკომისიოების კორექტირება მოახდინოს და ამაში ასახოს მოთხოვნების დაკმაყოფილების გამოცდილებაში მომხდარი ცვლილება. ჯგუფს აქვს მოთხოვნების დაკმაყოფილების თხოვნების მართვის პროცესები, რომლებიც გულისხმობს მოთხოვნის განხილვის და თაღლითური ან შეუსაბამო თხოვნების დაუარების უფლებას.

ეფექტიანობის გარანტიების პოზიცია და კონცენტრაცია, გამოხატული გარანტირებული თანხებით, ასეთია:

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
მშენებლობა		14,216	10,266
ვაჭრობა		747	1,653
მომსახურება		1,454	2,081
სხვა		6,865	12,669
მთლიანი გარანტირებული თანხები		**23,282**	**26,669**

ეფექტიანობის გარანტიის რეზერვების ცვლილება ასეთია:

ათასი ლარი	Note	2018	2017
საბალანსო ღირებულება 1 იანვ.მდგ.		**179**	**79**
გაცემული ეფექტიანობის გარანტიების თავდაპ. აღიარება		9	686
რეზერვის გამოყენება		(171)	(586)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბ. მდგ.		**17**	**179**

37 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გირაოში ჩადებული და შეზღუდული აქტივები. ჯგუფს ჰქონდა უზრუნველყოფის სახით გირაოში ჩადებული აქტივები შემდეგი საბალანსო ღირებულებით:

		31 დეკ 2018		31 დეკ 2017	
ათასი ლარი	შენშენ	გირ.ჩად. აქტ.	დაკავშ. ვალდებ.	გირ.ჩად.აქტ.	დაკავშ. ვალდებ.
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში		40,427	38,153	-	-
სებ-ში დაგირ. იპოთ. სესხ. პორტფ.		27,309	21,847	-	-
ამორტ. ღირ. აღრიცხ. ობლიგაციები		-	-	39,416	30,000
სულ		**67,736**	**60,000**	**39,416**	**30,000**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეზღუდული ფულადი ნაშთები არის 134 ათასი ლარის ნაშთები (2017: 130 ათასი ლარი), რომლებიც საერთაშორისო საგადახდო ბარათების ტრანზაქციების გადასაფარადაა გამოყენებული.

ამასთან ერთად, სებ-ში რიცხული ფულადი სახსრები 170,444 ათასი ლარია (2017: 130,824,ათასი ლარი), რაც სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს წარმოადგენს და მათით არ შეიძლება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დაფინანსება, როგორც ეს მე-7 განმარტებაშია გამჟღავნებული.

38 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის შეთანხმებებს და მსგავს ღონისძიებებს.

39 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება

სამართლიანი ღირებულების იერარქიული დონის მიხედვით, სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ტარდება შემდეგი სახით: (1) 1-ლი დონე გულისხმობს მოქმედ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტორებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს, (2) მე-2 დონის გაანგარიშებები წარმოადგენს შეფასების ტექნიკას, რომლებიც იყენებს აქტივებზე ან ვალდებულებებზე პირდაპირ (ანუ ფასების) ან არაპირდაპირ (ანუ, ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვების ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (3) მე-3 დონის შეფასებები ის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვების საბაზრო მონაცემებს (ანუ ეფუძნება არადაკვირვების მონაცემებს). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიების განსაზღვრისას მენეჯმენტი იყენებს შეფასებას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება ისეთი დაკვირვების მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, ამგვარი შეფასება მე-3 დონის შეფასებაა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა განისაზღვრება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების მიხედვით.

ა) *სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები*

აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები ის შეფასებებია, რომელთა განხორციელებაც სავალდებულო ან ნებადართულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები შემდეგ დონეებზე კატეგორიზდება:

	31 დეკ 2018				31 დეკ 2017			
ათასი ლარი	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**
აქტივები სამართლიანი ღირებ-ით								
ფინანსური აქტივები								
ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში	-	63	-	63	-	-	-	-
არაფინანსური აქტივები								
- შენობები	-	-	21,345	21,345	-	-	18,961	18,961
მთლიანი აქტივები სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებით	-	**63**	**21,345**	**21,408**	-	-	**18,961**	**18,961**

39 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება

(ბ) სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებები

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები იზომება, როგორც სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით სამართლიანი ღირებულება მიეკუთვნება მე-3 დონის შეფასებას. სამართლიანი ღირებულება შეადგენს: 6,301 ათას ლარს (2017: 2,800 ათასი ლარი).

მე-3 დონის შეფასებისას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასების ტექნიკა და მონაცემები და ამ მონაცემებში გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი მგრძნობელობა 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	სამართლ. ღირ. 31 დეკ. მდგ. 2018	2017	შეფასების ტექნიკა	გამოყ. მონაც.	მონაც. დიაპ. (საშუალ შეწონილი)
აქტივები სამართლიანი ღირებულ-ით					
არაფინანსური აქტივები					
- შენობები	21,345	18,961	მსგავსი აქტივები ბაზარზე	კვ.მ. ფასი	კომერციულ ფართი 3,640-10,831 ოფისი 2,460-4,100 გარაჟი 1,179-1,591 (3,568)
მთლიანი ერთჯერადი სამართლიანი ღირებულების შეფასება მე-3 დონეზე	**21,345**	**18,961**			

დ) (აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულებაც მჟღავნდება;

სამართლიანი ღირებულების ანალიზი იერარქიების დონეების მიხედვით და აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც არ შეფასებულა სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკ 2018				31 დეკ 2017			
ათასი ლარი	დონე 1 სამართ. ღირ	დონე 2 სამართ. ღირ.	დონე 3 სამართ. ღირ	საბალ. ღირ.	დონე1 სამართ. ღირ.	Level 2 სამართ. ღირ.	Level 3 სამართ. ღირ.	საბალ. ღირ.
აქტივები								
ფული და ფულის ეკვივ.								
- ნაღდი ფული	32,099	-	-	32,099	30,341	-	-	30,341
- ფულადი სახსრები სებ-ში	-	31,750	-	31,750	-	27,902	-	27,902
- საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	-	68,650	-	68,650	-	81,333	-	81,333
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ								
- მოკლევადიანი განთავსებები სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი საწყისი ვადიანობით					-	15,094	-	15,094
ფულადი ნაშთები სებ-ში	-	170,443	-	170,443	-	130,824	-	130,824
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში								
-საქ. მთავრობის სახაზ, ობლიგაციები	-	107,067	-	106,109				
-საქ. მთავრ. სახაზ. ფას. ქაღ.	-	66,948	-	66,850				
-სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	-	2,731	-	2,731				
სესხები და ავანსები კლიენტებზე AC-ით								
- კორპორაციული სესხები	-	-	679,068	683,919	-	-	594,712	604,695
- იპოთეკური სესხები	-	-	142,684	134,980	-	-	110,060	99,049
- სამოხმარებლო სესხები	-	-	82,602	77,245	-	-	51,497	49,140
- საკრედიტო ბარათები	-	-	4,659	4,659	-	-	4,990	4,990
ობლიგაციები ამორტ. ღირ.								
საქ. მთავრობის სახაზ. ობლიგაციები					-	88,721	-	87,747
საქ. მთავრობის სახაზ. ფას. ქაღალდები					-	56,103	-	56,156
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი								
სხვა ფინ. აქტივები	-	5,066	-	5,066	-	1,429	-	1,429
არაფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება	-	-	3,972	1,572	-	-	1,636	1,078
სულ	**32,099**	**452,655**	**912,985**	**1,386,073**	**30,341**	**401,406**	**762,895**	**1,189,779**

ქვემოთ მოცემულია სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების და იმ ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ იზომება:

ათასი ლარი	დონე1 სამართ. ღირ.	დონე 2 სამართ. ღირ.	დონე 3 სამართ. ღირ. სულ	საბალ. ღირ.	დონე 1 სამართ. ღირ.	Level 2 სამართ. ღირ.	Level 3 სამართ. ღირ. სულ	საბალ. ღირ.

ფინანსური ვალდებულებები								
სხვა ბანკ. წინ. არს. ვალდ.								
- საკორესპონდენტო ანგარიშები და სხვა ბანკების ერთდღიანი განთავსებები	-	1	-	1	-	1	-	1
- სხვა ბანკების მოკლევადიანი განთავსებები	-	50,155	-	50,155	-	29,963	-	29,963
- სებ-ის მოკლევადიანი სესხები	-	50,039	-	50,039	-	30,018	-	30,018
კლიენტთა ანგარიშები								
- სახ. და საჯარო ორგ. მიმდინარე/საანგარიშსწ. ანგარიშები	-	128,789	-	128,789	-	151,577	-	151,577
- სახ. და საჯარო ორგ. ვად. ანაბრები	-	-	35,638	35,137	-	-	14,387	13,638
- სხვა იურიდ. პირ. მიმდ/საანგარიშსწ. ანგარიშები	-	135,716	-	135,716	-	136,051	-	136,051
- სხვა იურ. პირ. ვად. დეპოზიტები	-	-	163,226	161,995	-	-	187,130	171,321
- ფიზ. პირ. მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგ.	-	109,751	-	109,751	-	93,866	-	93,866
- ფიზ. პირების ვად. ანაბ.	-	-	159,211	156,033	-	-	128,551	111,367
სხვა ნასესხები სახსრები								
- საერთ. ფინ. ინსტ. ნას. სახს.	-	374,476	-	345,782	-	296,617	-	270,270
- მთავრობისგან ნას. სახს.					-	10	-	10
სხვა ფინანსური ვალდებ.	-	6,352	-	6,352	-	7,673	-	7,673
სულ	**-**	**855,279**	**358,075**	**1,179,750**	**-**	**745,776**	**330,068**	**1,015,755**

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასების ტექნიკით. მცურავი კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე, წინასწარ განისაზღვრა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წინასწარ შეფასდა პროგნოზირებული მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია და რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით.

ვალდებულებების დისკონტირება განხორციელდა ჯგუფის საკუთარი მზარდი სასესხო განაკვეთით. მოთხოვნამდე ვალდებულებების დისკონტირება განხორციელდა იმ პირველივე დღიდან, როცა ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს თანხის გადახდა.

კლიენტების მიმართ ჯგუფის ვალდებულებები დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სქემაშია შეტანილი, როგორც განმარტება 0-შია მოცემული. ამ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ამ კრედიტის გაუმჯობესებას ასახავს.

40 ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნით, IFRS 39-ში "ფინანსური ინსტრუმენტები" ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით (ბ) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით (გ) წილობრივი ინსტრუმენტები FVTPL-ით (დ) ფინანსური აქტივები AC-ით. ფინანსური აქტივები FVTPL-ით იყოფა ორ ქვეკატეგორიად: (ა) აქტივები, რომელთა FVTPL-ით გაზომვა სავალდებულოა და (ბ) აქტივები, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ან შემდეგ ასეთი დანიშნულება აქვს მინიჭებული. გარდა ამისა, ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები ცალკე კატეგორიას ქმნის.

შეფასების მიზნით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, IAS 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა" ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) L&R (ბ) AFS ფინანსური აქტივები; (გ) HTM ფინანსური აქტივები და (დ) FVTPL ფინანსური აქტივები. FVTPL ფინანსური აქტივები იყოფოდა ორ ქვეკატეგორიად: (ა) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (ბ) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური ლიზინგიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას ქმნიდა. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედიოდა L&R კატეგორიაში გარდა ფინანსური წარმოებულებისა და გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა. წარმოებულების გარდა, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. წარმოებულები სამართლიან ღირებულებას მიეკუთვნება მოგება-ზარალის შეფასების კატეგორიის

მეშვეობით და მათ სარეალიზაციოდ ფლობდნენ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობდა წარმოებულ ფინანსურ აქტივებს (ნული 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით).

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება „სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომის“ შეფასების კატეგორიას. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გარდა წარმოებულებისა AC-ით აღირიცხებოდა. წარმოებულები მიეკუთვნებოდა FVTPL შეფასების კატეგორიას და მათ სარეალიზაციოდ ფლობდნენ.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება AC-ით იყო აღრიცხული.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების რეკონსილიაცია შეფასების კატეგორიების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით	AC	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	**132,500**	**132,500**
ფულადი სახსრები სებ-ში	-	**170,443**	**170,443**
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	-	**175,690**	**175,690**
საქ. მთავრობის სახაზინო ობლიგაციები	-	106,109	106,109
საქ. მთავრობის სახაზინო ვალდებულებები	-	66,850	66,850
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	-	2,731	2,731
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	**63**	-	**63**
სესხები და ავანსები კლიენტებზე	-	**900,803**	**900,803**
- სტანდარტული დაკრედიტება	-	683,919	683,919
- იპოთეკური სესხები	-	134,980	134,980
- სამომხმარებლო სესხები	-	77,246	77,246
- საკრედიტო ბარათები	-	4,659	4,659
სხვა ფინანსური აქტივები:	-	**5,066**	**5,066**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**63**	**1,384,501**	**1,384,564**

41 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ცალკე თავში, შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების შესახებ მოცემულია ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ შვილობილ კომპანიებში, ესენია: შპს “ბაზის აქტივების მართვის ჰოლდინგი”, სს ჰუალინგ დაზღვევა და სს BHL ლიზინგი.

ათასი ლარი		2018		2017	
სახელწოდება	**მთავარი საქმიანობა**	**ინვესტიცია**	**აკუმულირებული მოგება (ზარალი)**	**ინვესტიცია**	**აკუმულირებული მოგებაში (ზარალი)**
შპს Basis Asset Management ჰოლდინგი	აქტივების მართვა	3,796	(52)	3,797	(56)
სს ჰუალინგ დაზღვევა	დაზღვევა	4,300	1,470	4,300	8
სს BHL ლიზინგი	ლიზინგი	2,000	(3)		
Total		**10,096**	**1,415**	**8,097**	**(48)**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები
სესხები და ავანსები კლიენტებზე (სახელშეკრ. საპრ. გან. 4.7% 16 %)	-	23	-	7	676	261	195
საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 31 დეკ. მდგ.	-	(1)	-	-	(15)	(9)	(4)
კლიენტთა ანგარიშები (სახელშეკრ. საპრ. გან. 2% 10%)	386	1,241	9,800	560	2,288	37,486	829

2018 შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა მთავარი მენეჯმენტის ანაზღაურებისა, იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	-	6	-	21	59	1,455	20
საპროცენტო ხარჯი	(22)	(33)	(230)	(42)	(145)	(1,649)	(49)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-	1	(3)	4	1
მოგებას გამოკლებული უცხ. ვალ. ვაჭრ. გამოწ. დანაკარგები	-	5	-	4	-	597	-
უცხ.ვალ. კონვერტ. მოგებას გამოკლ. დანაკარგები	-	(23)	(236)	33	(90)	1,498	(16)
შემოსავალი საკომისიოებიდან	-	-	-	-	-	5	-
ადმინისტრაციული და სხვა ოპერაციული ხარჯები	-	-	-	-	(2)	-	(86)

41 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან სხვა უფლებები და მოვალეობები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები
ჯგუფის მიერ წლის ბოლოს გაცემული ეფექტიანობის გარანტიები	-	-	-	-	-	1,065	-
ჯგუფის მიერ წლის ბოლოს გაცემული ფინანსური გარანტიები	-	-	-	-	-	1,536	-
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	-	295	-	160	496	739	18

2018 წელს დაკავშირებულ მხარეებზე გაიცა და ამ მხარეების მიერ დაიფარა შემდეგი აგრეგირებული თანხები:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერები	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები
წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარებზე გასესხებული თანხები	-	1,042	-	849	332	3,613	-
დაკავშირებული მხარეების მიერ დაფარული თანხები წლის განმავლობაში	-	(1,364)	-	(1,253)	(626)	(41,234)	(114)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერი	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ
კლიენტებზე გაცემული სესხების და ვავანსების მთლიანი თანხა (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 4% -24%)	-		-	1	959	36,424
გაუფასურების რეზერვო კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე 31 დეკემბერს	-		-	-	(6)	-
კლიენტების ანგარიშები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 0% - 12.25%)	363	1,007	6,757	1,034	1,845	85,837

დაკავშირებულ კომპანიებზე გაცემული სესხები მთლიანად უზრუნველყოფილია დეპოზიტებით.

41 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

2017 წელს დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები, გარდა მთავარი მენეჯმენტის ანაზღაურების გარდა, იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სხვა აქციონერი	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ
საპროცენტო შემოსავალი	4	-	-	-	56	910
საპროცენტო ხარჯი	(25)	(28)	(205)	(47)	(128)	(2,044)
(რეზერვის ხარჯი)/სესხის გაუფასურების ამოღება	-	-		-	(1)	245
მოგებას გამოკლ. დანაკარგები უცხ. ვალუტ. ვაჭრობიდან	9	-	1	1	4	603
უცხ. ვალ. კონვერტ. მოგებას გამოკლ.	-	(23)	(75)	14	(4)	1,087
ადმინისტრ. და სხვა საოპერ. ხარჯები	-	-	-	-	-	(71)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან სხვა უფლებები და მოვალეობები იყო:

ათასი ლარი	საბოლოო აქციონერი	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ
ჯგუფის მიერ წლის ბოლოს გაცემული ეფექტიანობის გარანტიები	-	-	-	452
ჯგუფის მიერ წლის ბოლოს გაცემული ფინანსური გარანტიები	-	-	-	1,553
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	98	38	288	-

2017 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე გაიცა და მათ მიერ დაიფარა შემდეგი აგრეგირებული თანხები:

ათასი ლარი	უშუალო მშობელი კომპანია	სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორთა საბჭო	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ
წლის განმ. დაკ. მხარეებზე გასესხებული თანხები	275	-	621	45,654
წლის განმ. დაკ. მხარეების მიერ დაფარული თანხები	(733)	-	(453)	(12,723)

41 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპენსაცია:

	2018		2017	
ათასი ლარი	**ხარჯი**	**დარიცხ. ვალდ.**	**ხარჯი**	**დარიცხ. ვალდ.**
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	173	-	173	-
სულ	**173**	**-**	**173**	**-**

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია:

	2018		2017	
ათასი ლარი	**ხარჯი**	**დარიცხ. ვალდ.**	**ხარჯი**	**დარიცხ. ვალდ.**
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	838	-	837	-
- მოკლევადიანი ბონუსები	1,360	837	905	780
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია:				
წილობრივ აქციებზე დაფუძნებული გადახდები	488	-	463	-
სულ	**2,686**	**837**	**2,205**	**780**

მოკლევადიანი ბონუსების მთლიანი გადახდის დრო იმ პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში მოდის, როცა მენეჯმენტმა შესაბამისი მომსახურება გასწია.

42 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული შესადარებელი პერიოდისთვის მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელმაც IFRS 9-ის მიხედვით განახლება განიცადა, შემდეგია:

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, ხარჯით ან AC (ამორტიზებული ღირებულება)-ით აღირიცხება, როგორც ქვემოთაა აღწერილი. სამართლიანი ღირებულების და AC-ის განსაზღვრებისთვის, ასევე შეფასების ტექნიკის აღწერისთვის იხ. განმარტება 3.

თვითღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტის ოდენობა, ან აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება მისი შესყიდვის დროს და მოიცავს *ტრანზაქციის ხარჯებს.* თვითღირებულებით დათვლა ვრცელდება წილობრივ ინსტრუმენტებში მხოლოდ იმ ინვესტიციებზე, რომელთაც არ აქვს კოტირებული საბაზრო ფასი და რომლის სამართლიანი ღირებულებაც სანდოდ არ დაითვლება; ასევე ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც დაკავშირებულია და უნდა ანაზღაურდეს ამგვარი არაკოტირებული წილობრივი ინსტრუმენტების მიწოდებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით აღირიცხებოდა და მათი გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდებოდა, იმ შემთხვევაში თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა ერთი ან რამდენიმე მარწმუნებელ მოვლენას(ზარალის გამომწვევი მოვლენები), და რომელმაც გავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადის მოძრაობის ოდენობაზე ან ვადაზე, რაც შეიძლებოდა სანდოდ შეფასებულიყო. თუ ჯგუფი განსაზღვრავდა, რომ არ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება მოხდა ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, სულერთია მნიშვნელოვანი იყო თუ არა, მას ეს აქტივი შეჰქონდა იმ ფინანსური

აქტივების ჯგუფში, რომლებსაც საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვს, და კოლექტიურად აფასებდა მათ გაუფასურებას.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ჯგუფი ითვალისწინებდა იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, იყო მისი ვადაგადაცილების მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზებადობა. იმის განსაზღვრისას, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ საკრედიტო ზარალი დადგა, გათვალისწინებული იყო სხვა პრინციპული კრიტერიუმებიც:

- ერთი რომელიმე გადახდა იყო ვადაგადაცილებული და დაგვიანებით გადახდა არ იყო გამოწვეული საგადახდო სისტემებში არსებული შეფერხებით;
- მსესხებელს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე ჰქონდა, რაც ცხადი გახდა მსესხებლის შესახებ იმ ფინანსური ინფორმაციიდან, რომელიც ჯგუფმა მოიპოვა;
- მსესხებლის საგადამხდელო მდგომარეობამ უარყოფითი ცვლილება განიცადა ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების გამო, რამაც მსესხებელზე იმოქმედა, ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა ბაზრის გაუარესებული პირობების გამო.

საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შეესაბამებოდა ამგვარი აქტივების ჯგუფისთვის პროგნოზირებულ მომავალ ფულადი ნაკადების მოძრაობას, რადგან ასახავდა მოვალის უნარს, დაეფარა ყველა თანხა შეფასებას დაქვემდებარებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების თანახმად.

მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობა იმ აქტივების ჯგუფისთვის, რომლებიც კოლექტიურად ფასდებოდა საკრედიტო ზარალის დადგენის მიზნით, განისაზღვრებოდა აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით და ასევე, იმის მიხედვით, თუ რა გამოცდილება ჰქონდა მენეჯმენტს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იქნებოდა ეს თანხები ვადაგადაცილებული და რამდენად წარმატებით იქნებოდა ამოღებული ვადაგადაცილებული დავალიანებები, წარსულის გამოცდილება კორექტირდებოდა მიმდინარე დაკვირვების მონაცემების მიხედვით და აისახებოდა მიმდინარე პირობების ზეგავლენა, რომელსაც წარსულის პერიოდებზე არ უმოქმედია, და ჩამოშორდებოდა წარსულის პირობების ზეგავლენა, რომელიც მიმდინარე ეტაპზე აღარ არსებობს.

საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარდებოდა სარეზერვო ანგარიშის საშუალებით, რომელზეც ხდებოდა აქტივის საბალანსო ღირებულების ჩაწერა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებით (რომელიც გამორიცხავდა მომავლის საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც არ დამდგარა), რომელიც დისკონტირდებოდა აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საპროგნოზო ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავდა ფულადი ნაკადების მოძრაობას, რომლებიც დასაკუთრების შედეგი შეიძლება ყოფილიყო და აკლდებოდა უზრუნველყოფის მიღების და გაყიდვის ხარჯები, სულერთია დასაკუთრების ალბათობა იყო თუ არა.

თუ ადგილი ჰქონდა AC-ით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობებზე გადახედვას, ან თუ ეს აქტივი სხვაგვარად იქნა მოდიფიცირებული მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულის გამო, გაუფასურება ფასდებოდა საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, პირობების შეცვლამდე. ამის შემდეგ ხელახალ მოლაპარაკებას დაქვემდებარებული ამ აქტივის აღიარება წყდებოდა და ახალი აქტივი აღიარდებოდა სამართლიანი ღირებულებით, თუ აქტივის რისკები და სარგებელი საფუძვლიანად იყო შეცვლილი. ამის მტკიცებულება იყო თავდაპირველი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებასა და ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება.

თუ მომდევნო პერიდში საკრედიტო ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს იმ მოვლენას, რომელიც გაუფასურების აღიარების შემდეგ მოხდა (მაგალითად, როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული

42. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალი ამობრუნდებოდა და წლის მოგება-ზარალის ანგარიშში სარეზერვო ანგარიშზე ხდებოდა შესაბამისი კორექტირება.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა შესაბამისი საკრედიტო ზარალის რეზერვიდან მას შემდეგ, რაც ამ აქტივის ამოღებისთვის აუცილებელი ყველა პროცედურა დასრულდებოდა და განისაზღვრებოდა ზარალის რაოდენობა. უკვე ჩამოწერილი თანხების ამოღებები აისახებოდა საკრედიტო ზარალის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალის ანგარიშში.

თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიციები. მენეჯმენტს არ შეეძლო სანდოდ შეეფასებინა ჯგუფის 63 ათასი ლარის აქციებში სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება. ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით. აქციის მფლობელს არ გამოუქვეყნებია ახალი ფინანსური ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, მისი აქციები არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე და ვაჭრობის ახალი ფასების შესახებ ინფორმაცია საჯარო არაა.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ფინანსური გარანტიები და სესხის გაცემის ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგ კი ანგარიშდება, როგორც მაქსიმუმი შემდეგი ორ სიდიდეს შორის: ა) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ბალანსი თავდაპირველი აღიარებისას და ბ) საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად საჭირო ხარჯის საუკეთესო პროგნოზი.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS. ეს კლასიფიკაცია მოიცავდა საინვესტიციო ფასიან ქაალდებს, რომელთა ფლობაც ჯგუფს განუსაზღვრელი პერიოდით ჰქონდა განზრახული და რომელიც შეიძლებოდა გაყიდულიყო ლიკვიდობის საჭიროებებიდან გამომდინარე ან საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსის ან აქციების ფასების ცვლილების გამო.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები AFS სამართლიანი ღირებულებით აღირიცხებოდა. AFS სავალო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო შემოსავალი იანგარიშებოდა ეფექტური პროცენტის მეთოდით და აღიარდებოდა წლის მოგება-ზარალის ანგარიშში.

AFS წილობრივ ინსტრუმენტებზე დივიდენდები წლის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდებოდა, როცა დაწესდა ჯგუფის მიერ გადახდის მიღების უფლება და იყო იმის ალბათობა, რომ მოხდებოდა დივიდენდების აღება. სამართლიან ღირებულებაში ყველა სხვა ცვლილების ელემენტები აღიარდა სხვა სრულ შემოსავლებში იმ დრომდე, სანამ ინვესტიციის აღიარება შეწყდა ან ის გაუფასურდა. ამ დროს კუმულაციური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდა სხვა სრული შემოსავლიდან წლის მოგება-ზარალის ანგარიშზე. გაუფასურების ზარალი აღიარდა წლის მოგება-ზარალის ანგარიშში, როცა ის დადგა ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენის შედეგად (ზარალის გამომწვევი მოვლენები), რომლებიც მოხდა AFS საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. წილობრივი ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან გახანგრძლივებული ვარდნა მის თვითღირებულებაზე დაბლა მისი გაუფასურების მაჩვენებელი იყო. კუმულაციური გაუფასურების ზარალი - რომელიც იზომებოდა, როგორც შესყიდვის ღირებულებას და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში უკვე აღიარებულ აქტივზე - გადაკლასიფიცირდებოდა სხვა სრული შემოსავლიდან წლის მოგება-ზარალის ანგარიშში. გაუფასურების ზარალი წილობრივ ინსტრუმენტებზე არ ამობრუნდებოდა და შემდგომი მოგება აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში. თუ შემდგომ პერიოდში AFS-ად კლასიფიცირებული სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდებოდა და ეს ზრდა ობიექტურად არ უკავშირდებოდა იმ მოვლენას, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარების შემდეგ, გაუფასურების ზარალი ამობრუნდებოდა წლის მოგება-ზარალის ანგარიშის საშუალებით.

HTM ფასიანი ქაღალდები. ეს კლასიფიკაცია მოიცავს კოტირებულ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული ვადიანობით, რომლის ვადიანობის ბოლომდე ფლობის განზრახვა და უნარი აქვს ჯგუფს. ინვესტიცია არ კლასიფიცირდება, როგორც

42. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვადიანობის ბოლომდე ფლობადი ინვესტიცია, თუ ჯგუფს უფლება აქვს მოითხოვოს რომ ემიტენტმა ინვესტიცია დაფაროს ან გამოითხოვოს მის ვადიანობამდე, რადგან ამგვარ ინსტრუმენტზე გადახდა არ შეესაბამება აქტივის ვადიანობის ბოლომდე ფლობის განზრახვის გამოხატვას. მენეჯმენტი განსაზღვრავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების HTM კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელახლა აფასებს ამ კლასიფიკაციის მართებულობას. HTM საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება AC-ით.

შესყიდული ვექსილები. შესყიდული ვექსილები შედის სავაჭრო ფასიან ქაღალდებში, AFS ფასიან ქაღალდებში, სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნებში ან კლიენტებზე სესხების და ავანსების კატეგორიაში, გააჩნია მათ არსს. ისინი ბუღალტრულად ტარდება, შემდეგ ხელახლა იზომება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებისთვის განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. გაუფასურების ზარალი აღიარდებოდა წლის მოგება-ზარალის ანგარიშში, როცა ის დადგებოდა ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად (ზარალის გამომწვევი მოვლენები), რომლებიც ხდებოდა ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების ზარალი დადგა, ჯგუფი იმავე პრინციპულ კრიტერიუმებს იყენებდა, რასაც AC-ით აღრიცხული სესხების შემთხვევაში. გაუფასურების ზარალი აღიარდებოდა სარეზერვო ანგარიშის საშუალებით, რომელზეც ხდებოდა მისაღები შემოსავლის საბალანსო ღირებულების ჩაწერა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებით (რომელიც გამორიცხავდა მომავლის საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც არ დამდგარა), რომელიც დისკონტირდებოდა ფინანსურ ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. საპროგნოზო ფულადი ნაკადების მოძრაობა ასახავდა ფულადი ნაკადების მოძრაობას, რომლებიც ლიზინგს დაქვემდებარებული აქტივების მიღების და გაყიდვის შედეგი შეიძლება ყოფილიყო.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ითვლება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური პროცენტის მიდგომის გამოყენებით. ამ მიდგომით გადავადდება, მხარეთა შორის გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო ხელშეკრულების ფარგლებში, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია ან დისკონტი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ის საკომისიოები, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილია, მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებსაც იხდის ან იღებს ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებული მხარე, მაგალითად გადახდისუნარიანობის შეფასების, გარანტიის ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების.

იმ სესხის, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, დამტკიცების საკომისიო ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, თუ არის იმის ალბათობა, რომ ჯგუფი რაიმე კონკრეტულ სასესხო შეთანხმებას გააფორმებს და არ მოელის ამ შეთანხმების შედეგად გაცემული სესხის გაყიდვას მისი წარმოშობის შემდეგ მოკლე პერიოდში. სასესხო ვალდებულებებს ჯგუფი არ ანიჭებს ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

როცა სესხები და სხვა სავალო ინსტრუმენტები ამოღების თვალსაზრისით საეჭვო ხდება, ისინი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებით იწერება და შემდეგ საპროცენტო შემოსავალი იწერება მიმდინარე ღირებულების დისკონტის პოზიციის დაფარვისთვის, აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც გამოყენებულ იქნა გაუფასურების ზარალის გასაზომად.

ყველა სხვა საკომისიო და სხვა შემოსავლების და ხარჯების მუხლები ზოგადად დარიცხვის მეთოდით იწერება, კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც ფაქტობრივად გაწეული მომსახურებით ფასდება (რაც მთლიანად გასაწევი მომსახურების პროპორციაა).

ის საკომისიოები, რომლებიც წარმოიშობა მესამე მხარისთვის ტრანზაქციის შესახებ მოლაპარაკებიდან, ან ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგალითად სესხების, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვა, ან ბიზნესის შესყიდვა ან გაყიდვა, და ის საკომისიოები, რომლებიც ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ გადაიხდება, ბუღალტრულად მათი დასრულების შემდეგ ჩაიწერება. პორტფელის და სხვა მენეჯმენტის საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოები აღიარდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებების მიხედვით, როგორც წესი, პერიოდის პროპორციულად. საინვესტიციო სახსრებთან დაკავშირებული აქტივების მართვის საკომისიოები იწერება თანაზომიერად იმ პერიოდში, როცა მომსახურების გაწევა ხდება. იგივე პრინციპი მოქმედებს ქონების მართვას, ფინანსურ დაგეგმვას და შენახვის სერვისს, რომლის გაწევაც მუდმივად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება.

43 აბრევიატურები

ქვემოთ მოცემულია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული აბრევიატურები:

აბრევიატურა	ტერმინის დასახელება სრულად
AC	ამორტიზებული ღირებულება
ADR	ამერიკული სადეპოზიტო ქაღალდი
AFS	სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი
CCF	კრედიტის კონვერსიის ფაქტორი
EAD	რისკი დეფოლტის შემთხვევაში
ECL	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
EIR	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
FVOCI	სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლით
FVTPL	სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალით
FX, Forex	უცხოური ვალუტის გაცვლა
GDR	გლობალური სადეპოზიტო ქაღალდი
HTM	ფლობა ვადის ბოლომდე
IFRS	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი
IRB system	რისკებზე დაფუძნებული შიდა სისტემა
L&R	სესხები და მისაღები შემოსავლები
LGD	ზარალი დეფოლტის შემთხვევაში
LTV	სესხის ღირებულება შეფარდებული უზრუნველყოფის ღირებულებასთან
PD	დეფოლტის ალბათობა
POCI financial assets	შეძენილი ან წარმოშობილი, საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები
SDIA	დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სააგენტო
SICR	საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა
SME	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
SPPI	ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვები
SPPI test	შეფასება იმისა, ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს



ქეთევან ნამებულის გამზ. 1
ტელ.: +995 322 922 922
www.basisbank.ge

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N190771915**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**02.07.2019 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო შოშიაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2933087**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**41809402534319**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის ორ ივლისს, მე, ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 9-ში. ვადასტურებ მთარგმნელის **ეკატერინე კანდელაკის** *(დაბადებული 08.09.1974 წ. რეგ. მისამართი: თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 2 ბ. 54, პირადი №01006012815, დიპლომი სერთიფიკატი №13CGE0015009 გაცემული კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ 2013წ.) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე მთარგმნელი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, თარჯიმნობის გამორიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ რომ ჯეროვნად იცის ქართული და ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. სანოტარო აქტი შედგა მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქ.ცოტნე ნამებულის გამზირი, №1-ში.*

02.07.2019 I, NINO SHOSHIASHVILI, the notary, the Notary office of which is located at the address: Tbilisi, 9, Leselidze str, certify that the signature of the Translator ***Ekaterine Kaldelaki*** *(born on 08.09.1974, address: Apt. № 54, 2 blockhouse, quarter II, Dighomi mass., Tbilisi, personal №01006012815, Certificate №13CGE0015009, issued by Cambridge University in 2013) is genuine I, Notary Public have warned the translator, that she was responsible for an accurate translation. The translator confirmed that there exist no circumstances excluding translating and that she duly knew Georgian and English languages and ensured the exactness of the translation. The notary act has been fulfilled at the following address: Q.Tsamebuli street N1, Tbilisi.*

გადახდილია 426-00 ლარი (1 ერ ზემპლარზე შესრულებული 213 ხელმოწერისთვის), თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდეგინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, მისამართზე გასვლის 20.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 34-ე მუხლისა, ასევე დღგ 80.28 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია: 528.28 ლარი.

Fee paid 426-00 GEL according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, in compliance with the Article 34 ,for the following to the address *20.00 GEL, also VAT 80.28 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT). Also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011.) . Total amount: GEL 528.28*

ნოტარიუსი /ნინო შოშიაშვილი/
The notary *Nino SHOSHIASHVILI*

